



კულტურათაშორისი კომუნიკაციები  
**INTERCULTURAL COMMUNICATIONS**  
**МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ**

INTERCULTURAL RELATIONS SOCIETY

---

ISSN 1512-4363

*საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა*  
*International scientific periodical edition*  
*Международное научно-периодическое издание*

**კულტურათაშორისი კომუნიკაციები**

**INTERCULTURAL COMMUNICATIONS**

**МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ**



**№16**

**თბილისი – Tbilisi – Тбилиси**  
**2011**

UDC (უკ) 008 (100)

კ-897

**მთავარი რედაქტორი**  
**Editor-in-chief**  
**Главный редактор**

**ინდირა ძაგანია**  
**Indira Dzagania**  
**Индира Дзагания**

**რედაქტორები**  
ლირა გაბუნია  
ოლღა პეტრიაშვილი  
მარინე ტურავა  
ირინე ჯობავა

**Editors**  
Lira Gabunia  
Olga Petriashvili  
Marina Turava  
Irina Jobava

**Редакторы**  
Ли́ра Габу́ния  
Ольга Пётриа́швили  
Ма́рина Тура́ва  
Ири́на Джоба́ва

**კომპიუტერული  
რედაქტირება**  
რობერტ მესხი

**Computer  
Editing**  
Robert Meskhi

**Компьютерное  
Редактирование**  
Роберт Месхи

**პასუხისმგებელი  
მდივანი**  
ლიანა გვასალია

**Executive  
Secretary**  
Liana Gvasalia

**Ответственный  
секретарь**  
Лиана Гвасалия

### სარედაქციო საბჭო

ჯონი აფაქიძე (საქართველო), დელვინ ჰარნიშჩი (აშშ), ბილალ დინდარი (თურქეთი), ქემალ აბდულა (აზერბაიჯანი), ენდრიუ ჰარისი (დიდი ბრიტანეთი), მარია კორნელია ბარლიბა (რუმინეთი), დორის ფოგელი (ავსტრია), სვეტლანა ტერ-მინასოვა (რუსეთი), პეტრე კონონენკო (უკრაინა), გიორგი პოპა (მოლდავეთი), ილონა მანელიდუ (საბერძნეთი), ილიას უსთუნერი (თურქეთი), ანა აგრანატი (ისრაელი), ლალა ანმელოვა (აზერბაიჯანი), აიტენ მუსტაფაევა (აზერბაიჯანი), დავით გოცირიძე (საქართველო), ლეონიდე ჯახაია (საქართველო), მიხეილ ბოგუცკი (პოლონეთი), ვილემ ჰენდრიკ დე ბოფორტი (ნიდერლანდების სამეფო), ვენტა კოცერე (ლატვია), ჟანა ტოლისბაევა (ყაზახეთი), არტო მუსტაიოკი (ფინეთი), მერი მადარშახი (საფრანგეთი), რობერტო რიჩი (იტალია), სტეფანო გრანდი (იტალია), იორდან ლუცკანოვი (ბულგარეთი), ქემალ მაკილი-ალიევი (აზერბაიჯანი), ირინა ანდრიუშენკო (უკრაინა), მარია დიმასი (საბერძნეთი), რიტსუკო ინოუე (იაპონია), ალა საინენკო (მოლდავეთი), მანუელ ფილიპე დე კოსტა (პორტუგალია).

### Editorial Board

Joni Apakidze (Georgia), Delwyn Harnisch (USA), Billal Dindar (Turkey), Kamal Abdulla (Azerbaijan), Andrew Harris (Great Britain), Maria Cornelia Barliba (Romania), Doris Fögel (Austria), Svetlana Ter-Minasova (Russia), Peter Kononenko (Ukraine), Gheorghe Popa (Moldova), Ilona Manelidu (Greece), Ilyas Ustunyer (Turkey), Ann Agranat (Israel), Lala Akhmedova (Azerbaijan), Ayten Mustafaeva (Azerbaijan), David Gotsiridze (Georgia), Leonid Jakhiaia (Georgia), Mikhael Bogutski (Poland), Willem Hendrik de Beaufort (the Netherlands), Venta Kotsere (Latvia), Jhana Tolisbaeva (Kazakhstan), Arto Mustaioki (Finland), Mehri Madarshahi (France), Roberto Righi (Italy), Stefano Grandi (Italy), Yordan Lyutskanov (Bulgarian), Kamal Makili-Aliyev (Azerbaijan), Irina Andriushenko (Ukraine), Maria Dimasi (Greece), Ritsuko Inoue (Japan), Ala Sainenco (Moldova), Manuel Filipe da Costa (Portugal).

### Редакционный совет

Джони Апакидзе (Грузия), Делвин Гарнишч (США), Билял Диндар (Турция), Кямал Абдулла (Азербайджан), Эндриу Харрис (Великобритания), Мария Корнелия Барлиба (Румыния), Дорис Фегель (Австрия), Светлана Тер-Минасова (Россия), Петр Кононенко (Украина), Георгий Попа (Молдова), Илона Манелиду (Греция), Ильяс Устуньер (Турция), Анна Агранат (Израиль), Лала Ахмедова (Азербайджан), Айтен Мустафаева (Азербайджан), Давид Гоциридзе (Грузия), Леонид Джахия (Грузия), Михаил Богущкий (Польша), Виллем Хендрик де Бофорт (Нидерланды), Вента Коцере (Латвия), Жанна Толысбаева (Казахстан), Арто Мустайоки (Финляндия), Мери Мадаршахи (Франция), Роберто Ричи (Италия), Стефано Гранди (Италия), Йордан Люцканов (Болгария), Кямал Макили-Алиев (Азербайджан), Ирина Андриущенко (Украина), Мария Димаси (Греция), Ритсуко Иноуэ (Япония), Алла Сайненко (Молдова), Мануэль Филипе де Коста (Португалия).

EAN 9771512 43 6007

**ელენე ჯაგელიძე**  
(საქართველო)

**შეზღვევის ნაწილის უსთავიანო ნაწილის-თავის  
იპოვება მხატვრულ აზროვნებაში**

თურქული მწერლობის ისტორიაში იაჰია ქემალი (1884-1958) სრულიად გამორჩეული ფიგურაა. მისი ღვაწლი ახალი თურქული ლიტერატურის ფორმირების პროცესში მრავალჯერ არის აღნიშნული. პოეტის შემოქმედების უპირველესი შემფასებლები, მისი თანამედროვე ლიტერატორები, იაჰია ქემალს, არც მეტი, არც ნაკლები, „ღმერთ პოეტად“ თვლიდნენ (Tunc, 1998:126); ამტკიცებდნენ, რომ „თურქულ მწერლობაში მას ბადალი არ ჰყავს“ (Oksal, 1998:482). ის არის „პოეტი, რომელსაც თურქული მწერლობა ერთი საუკუნე ელოდა“ (Tanpınar, 1969:547).

იაჰია ქემალის შემოქმედების შესწავლისას მეცნიერთა შორის ერთგვარი შეჯიბრებაც კი გაიმართა, ვინ უფრო აღმატებულ ხარისხში წარმოაჩენდა პოეტის ნაღვაწს; თავს იწონებდნენ იმით, რომ ჩასწვდნენ იაჰია ქემალის ნაზრევს, ცდილობდნენ, წარმოედგინათ პოეტის, როგორც თურქული მწერლობის განმავითარებელის, როლი. იაჰია ქემალის გარდაცვალების შემდეგ კი, თითქოს, მისი მაგიური ქარიზმა სადღაც გაქრაო, აღფრთოვანებული დითირამების ადგილი გაურკვეველმა ბუტბუტმა შეცვალა. ნურულაჰ ათაჩი, რომელსაც იაჰია ქემალი „თურქი ერის ყველაზე დიდ პოეტად“ მიაჩნდა და ცამდე აჰყავდა, მოგვიანებით: კატეგორიული აღმატებული შეფასებებისგან თავს შევიკავებ, „მესირცხვილებაო“, – აცხადებდა (Kabaklı, 1994:752).

საერთოდ, აჰმედ ჰაშიმისა და იაჰია ქემალის, ამ ორი უდიდესი პოეტის, გარშემო ლიტერატორთა წრეში დიდი ხნის განმავლობაში კამათი არ წყდებოდა. მეცნიერები ხან ერთი, ხან მეორე პოეტის ღირსებებს გაცხარებით იცავდნენ, რა თქმა უნდა, უაპელაციო განცხადებებს აკეთებდნენ: „ჩვენი უბრწყინვალესი პოეტი“ ან „მისი პოეზიის დარი არ არსებობს“ და სხვა (Yücel, 1998:104). აჰმედ ჰაშიმისა და იაჰია ქემალის ღვაწლი დღევანდელ თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯეროვნად არის შეფასებული. დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციები ისტორიული რეალიების კონტექსტში განიხილება. ახალი თაობის მეცნიერები აჰმედ ჰაშიმისა და იაჰია ქემალის ღირიკას უკვე როგორც დიაქრონულ ჭრილში, ასევე, სინქრონულ სიბრტყეზე იკვლევენ.

იაჰია ქემალმა ცხრა წელი გაატარა პარიზში, გაეცნო ფრანგულ მწერლობას, შეისწავლა რომანტიკოსები, შემდეგ – პარნასელები და, ბოლოს, სიმბოლიზმს ჩაუღრმავდა. ევროპიდან დაბრუნებულმა პოეტმა ლიტერატურულ წრეებში უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა. ამ თვალსაზრისით, მას მაღარმესაც ადარებდნენ, ოღონდ, ერთი განსხვავებით: მაღარმეს ქუნა და სახლი ზეპირად იცოდა ყველა სიმბოლისტმა და ისიც იცოდნენ, რომ მასთან შეხვედრა მხოლოდ განსაზღვრულ დროს იყო შესაძლებელი (სამშაბათობით), ხოლო, რაც შეეხება იაჰია ქემალს, მას „მოსიარულე პოეტი“ უწოდეს, რადგან ამ მენესტრელს ნებისმიერ საათზე, ნებისმიერ ყავახანაში, რესტორანსა ან კლუბში შეიძლებოდა შეხვედროდა ადამიანი: „ყოველ წამს შეიძლება სადმე შეეფეთო დღისით და ღამით, ის ჩვენი „მომთაბარე მაღარ-

მეა“, – აღნიშნავს პოეტისადმი კრიტიკულად განწყობილი მეცნიერი (Yücel, 1998:104).

იაჰია ქემალი განმარტავდა: „ლექსის მუსიკალური ჟღერადობა მუსიკისგან განსხვავებულია“, მასში „ჩვენი შინაგანი ჰარმონია“ განცხადებული. ლექსის ყოველ პწკარში განხორციელებულ შემოქმედებით პრინციპს იგი „შინაგანი კეთილხმოვანებისა და ჰარმონიის“ შექმნის მცდელობას ეძახდა, ამგვარი ფორმით შექმნილ ლექსს კი „წმინდა პოეზიას“ უწოდებდა (Kemal, 1984:9-21), ანუ იაჰია ქემალი სიტყვების გამოყენებისას საკუთრივ პოეტურ – ონომატოპოეტურ პრიორიტეტებს არ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას; მისი ხედვით, პოეტმა უნდა იპოვოს რაღაც უფრო მნიშვნელოვანი მუსიკის ჯადოსნურ ძალაში, ვიდრე ეს არის ასონანსები და ალიტერაცია. მას ესმის, რომ მუსიკალურობის საიდუმლო არის არა ბგერებში, არამედ – ინსტრუმენტალიზაციაში.

თურქი მეცნიერი ვეჰბი ერალფი გვიმტკიცებს, რომ აბატ ბრემონამდე „წმინდა პოეზიის“ ცნება იაჰია ქემალს ჰქონდა გამოთქმული. მას მნიშვნელოვნად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ქემალიცა და ბრემონიც თავიანთ კონცეპციას ერთგვარ ტერმინებსა და გამოთქმებში გამოხატავენ, მაგრამ პოეზიისა და მუსიკის დაახლოების კონცეფცია, ლექსის, როგორც სპეციფიკური მუსიკალური ნაწარმოების, პრინციპები ჯერ კიდევ სიმბოლიზმის ავანგარდულმა ფრთამ ბოდლერის, ვერლენის, მაღარმეს სახით ნათლად გამოხატა. ლექსის შინაგანი ჟღერადობის, ჰარმონიის პრინციპები სწორედ მათი ჩამოყალიბებულია. ეს შეხედულებები არც თურქული სიმბოლიზმისთვის არის უცხო (Haşim, 1999:69-77).

„პრინციპში, XIX საუკუნის ბოლოდან „წმინდა პოეზიის“ კონცეფცია გავრცელებული იყო, – აღიარებს ვეჰბი ერალფი, – ბრემონმა და იაჰია ქემალმა ერთმანეთის შესახებ არაფერი იცოდნენ, მაგრამ ისინი ერთგვარმა ხედვამ შეიპყრო (...) იაჰია ქემალს ხელთ ესთეტიკოსთა მიერ გამოთქმული ოქროს კვეთის საზომი აქვს. ერთი მხრივ, ის თავის ლექსს ამ საზომით ქმნის, მეორე მხრივ, ჩვენი პოეზია ამ საზომის სასწორზე იზომება“ (Eralp, 1960:34).

მართალია, თურქი მეცნიერი მზად არის იაჰია ქემალს მიაწეროს „წმინდა პოეზიის“ ცნების შემქმნელის პრივილეგია (იაჰია ქემალმა ეს ტერმინი 1913 წელს გამოიყენა, ხოლო ბრემონმა კი – მხოლოდ 1925 წელს), მაგრამ სხვა რა გზა გვაქვს, კიდევ ერთხელ უნდა განვმარტოთ, რომ „წმინდა პოეზია“, როგორც ტერმინი, აბატი ბრემონის განმარტებით, პირველად პოლ ვალერიმ გამოიყენა, რასაც პოლ ვალერის პროტესტი მოჰყვა, რადგან ამ ტერმინს ვალერისათვის მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში ჰქონდა მნიშვნელობა (Balakian, 1962:165).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იაჰია ქემალი ნათლად განმარტავდა, რომ „სიმბოლისტებმა წმინდა პოეზია თავიანთი თეორიის „პრინციპად“ აღიარეს და ის ამ მიმდინარეობის შემადგენელ ნაწილად ითვლება“ (Kemal, 1984: 163). როგორც ჩანს, ვეჰბი ერალფისთვის ცნობილი არ იყო იაჰია ქემალის ეს განმარტება, ანდა, იაჰია ქემალის განდიდების სურვილმა მას თავგზა აუბნია.

საბაჰათინ ეიუბოღლუსთვის იაჰია ქემალი არის „კრიტერიუმი, რომლითაც თურქულმა კრიტიკამ უნდა იხელმძღვანელოს“. მეცნიერის აზრით, „ფრანგების მიერ ჩამოყალიბებული წმინდა პოეზიის (poésie pure) იაჰია ქემალისეული გააზრება ფრანგულზე უფრო მართებულია, რადგან მისი კვინტესენცია ახალ ფრანგულ პოეზიაზე მეტად ძველ თურქულ პოეზიაშია გამოვლენილი. პოლ ვალერი რომ ეძებდა და აბატმა ბრემონმა რომ აღწერა წმინდა პოეზია, ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარიო“, – გვიმტკიცებს მკვლევარი (Eyüboğlu, 1998:86).

როგორც საბაჰათინ ეუბოღლუს მსჯელობიდან ჩანს, იგი ლიტერატურულ პროცესებს თვალს ადევნებს, მაგრამ მისი შეხედულებები ვეჭბი ვრალფის ფანტაზიების ინვექტივად არ უნდა გავიგოთ. ისიც დარწმუნებულია, რომ იაჰია ქემალის „წმინდა პოეზიის“ გააზრება ფრანგების გაგებაზე „უფრო სწორია“. გამოვნიშნავ: იაჰია ქემალი ფრანგებისგან სწავლობს „პოეზიის ხელოვნებას“, მაგრამ მისი ხედვა „უფრო სწორია“.

ცნობილია, რომ მალარმემ თავის დროზე „იდეებით შეპყრობილ“ დეგას განუცხადა: „ლექსი იდეებით არ იწერება, ის სიტყვებით იქმნებაო“ (Balakian, 1964: 76). იაჰია ქემალსაც ანალოგიური ხედვა ჰქონდა. ადილე აიდასთან საუბრისას მან განაცხადა: ლექსის ნამდვილი სუბსტანცია აზრი არ არის, სიტყვაა, პოეზიაში უმთავრესი სიტყვაა. ლექსი სიტყვების განსაკუთრებულ რიტმული ნიშან-თვისებებით შექმნილი ხელოვნებაა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი პწკარში ტალღოვანების, მოდულაციის შექმნაა. ჭეშმარიტი ლექსის სხვადასხვა ნაწილი ერთმანეთს ავსებს და ერთიან მთლიანობას ქმნის. მისი აზრით, „ძველები“ ამას მეტ-ნაკლები წარმატებით აღწევდნენ, შეუგნებლად ისე, რომ არც კი ჰქონდათ ეს გაცნობიერებული (Kabaklı, 1994:454). ოღონდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ იაჰია ქემალმა ძველი ლექსიკის ახალ ენასთან შერწყმა ნამდვილად შეძლო (Akyüz, 1958:604).

მოგეხსენებათ, ვერლენმა თავის წიგნში „დაწყვეტილი პოეტები“ შეიტანა ნარკვევები მალარმეზე, რემბოსა და თავის თავზე, „საბრალო ლელიანზე“ და ამით დაუპირისპირდა, პირველ რიგში, მაქს ნორდაუს, რომელიც ვერლენს „ინბეცილისა და დეგენერატის“ ეპიტეტებით ამკობდა. არსებობდა, აგრეთვე, პრუდომისა და ბონომეს შედარებით „ლმობიერი“ კრიტიკაც. მოკლედ, ვერლენი ამ ტიტულით უპირისპირდებოდა „მაწყევრებს“ და ღრმა პატივისცემას გამოხატავდა თავისი კოლეგების მიმართ. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში წყველ-კრულვის ზუზუნის აღფრთოვანების ჰიმნად გადაიქცა, მაგრამ პირველი „ბედკრული“ პოეტი, რომლის სახელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული სიმბოლიზმის წარმოშობა, ჟერარ დე ნერვალაა.

აღსანიშნავია, რომ ჟან მორეასმა პირველმა შემოიტანა ტერმინი „სიმბოლიზმი“ და თავის ლიტერატურულ მანიფესტში ახალი პოეტური სკოლის პუნქტირული სქემა მოხაზა. იგი თვლიდა, რომ ამ სკოლის სულის ჩამდგმელი ბოდლერი იყო, მალარმემ მას გამოუთქმელის იდუმალება შესძინა, ხოლო ვერლენმა კი ვერსიფიკაციის მკაცრი კანონები დაანგრია და პოეზია გაათავისუფლა. მართალია, მორეასი გუთავაზობს გავიხედოთ უკან, საუკუნეების სიღრმეებში, მაგრამ ჩნდება ბუნებრივი კითხვა: რატომ არ მოხვდა ამ სიაში ჟერარ დე ნერვალა და რატომ გახდა პოპულარული მისი შემოქმედება მხოლოდ XX საუკუნეში, რატომ მოიაზრა სიურეალიზმის სათავედ ანდრე ბრეტონმა ჟერარ დე ნერვალა?!

ცნობილია, რომ შარლ ბოდლერი ჟერარ დე ნერვალს „ჩემს ძმას“, „ჩვენი დროის პითაგორას“ ეძახდა, მარსელ პრუსტისთვის ის „გენიოსი“ იყო, ოღონდ მის შემოქმედებას სიმბოლისტები პრაქტიკულად არ იცნობდნენ. ჟერარ დე ნერვალს ერთი ნაკლი ჰქონდა: იგი ხშირად სტუმრობდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, ის გიჟად იყო შერაცხული. ისიც უნდა აღვნიშნოს, რომ სწორედ ნერვალის სიგიჟემ განაპირობა მისი არაორდინალური ხილვები.

ზმანებების მისტერიალურ სამყაროში ჩაკეტილმა მწერალმა სიმბოლიზმის პრაქტიკული ესთეტიკა შექმნა, მაგრამ რა იზიდავდა ისეთ გონებადამჯდარ ინტელექტუალს, როგორიც იაჰია ქემალი იყო ჟერარ დე ნერვალის გამოვნიშნული ფანტაზიებით სავსე სამყაროში?! ფაქტია, რომ იაჰია ქემალს უსაზღვროდ ხიბლავდა ჟერარ დე ნერვალის სპირიტუალური სამყარო. შესაძლოა, იგი მასში თავის ბინა-

რულ წყვილს ხედავდა, მასთან ანდროგინულ ერთიანობას გრძნობდა, ვითარცა ინი მისწრაფვის იანთან ჰარმონიისკენ.

ბოლოს და ბოლოს, ხელოვანი გაორებული ცხოვრებით ცხოვრობს. რეალურისა და ირეალურის დუალიზმი მასში მუდამ თანაარსებობს. იგი იაზრებს თავის რეფლექსიას ანტინომიურად. პერცეპციის ფორმები აპერცეფციის ხარისხში აჰყავს და უნაწილებს მას მკითხველს. „ზღვის სიმღერაში“ იაჰია ქემალი ამბობს: „ადამიანი ამ ქვეყანაზე წარმოსახვის ჟამს ცხოვრობს“. ვალერი ბრიუსოვი აღნიშნავდა: „ის პოეტები, რომლებიც საერთოდ არ თვლიდნენ თავს სიმბოლიზმის მიმდევრებად, შეუგნებლად უახლოვდებოდნენ მას, როდესაც სურდათ ნატიფი, ძნელად აღსაქმელი განწყობილება გადმოეცათ“ (Брюсов, 1973:171).

ამას გარდა, თუ „ეკოლუციონისტებს“ არ ეწყინებათ, ერთი მარტივი კორექტივი გვინდა შემოვიტანოთ: პოეტები ერთმანეთის შემოქმედებაზე იზრდებიან, ხშირად ბაძავენ წინამორბედებსაც და თანამედროვეებსაც, „ლიტერატურის საუნჯე“ მუდამ ხელიდან ხელში გადადის, მემკვიდრეობა არ იკარგება. ოსიპ მანდელშტამი აღნიშნავდა: „თუ ლიტერატურის ისტორიკოსებს მოვუსმენთ, რომლებიც ეკოლუციონიზმს ქადაგებენ, გამოდის, რომ მწერლები მარტო იმაზე ფიქრობენ, როგორ გაუკაფონ გზა მომავალ მწერლებს და სრულიად არ ფიქრობენ საკუთარი საქმეზე, ანდა, ისინი რაღაც კონკურსში მონაწილეობენ, რომელმაც ლიტერატურის მანქანა უნდა სრულყოს, თანაც, უცნობია ჟიური სად იმალება. (...) ლიტერატურა სახეცვლილებას განიცდის, ერთი ფორმის ადგილს მეორე იკავებს, მაგრამ ყოველი სიახლით რაღაც იკარგება. არანაირი „უკეთესი“, არანაირი „პროგრესი“ არ არსებობს“ (Верлен, Рембо, Маларме, 1998:9). საინტერესო მოსაზრებაა, დამაფიქრებელი!

ჩვენც ვიზიარებთ მანდელშტამის თეზას, მაგალითად, ვერმეერის განმავითარებლად შეიძლება მოვიაზროთ ენდი უორჰოლი? ანდა მანიპულაციებში, ციტირებებსა და მისტიფიკაციებში ჩაფლული პოსტმოდერნიზმი „პროგრესულად“ უნდა მივიჩნიოთ?! ეს ხომ მოდერნიზმშიც იყო, მაგრამ არის ერთი ფუნდამენტური განსხვავება: მოდერნიზმები მხოლოდ თავის ელიტარულ მკითხველს აღიარებდნენ, ხოლო პოსტმოდერნიზმები მასაბრივ მკითხველზე არიან ორიენტირებული.

მწერლობა, რა თქმა უნდა, ერთ ადგილზე არ ჩერდება, მისი მხატვრული სტრუქტურა განუწყვეტლივ იცვლება, მაგრამ ლიტერატურა და ზოგადად ხელოვნება ეკოლუციის ვერტიკალზე კი არ ვითარდება, არამედ ჰორიზონტალური დიფუზიის ფორმით განიცდის სახეცვლილებას. სიახლე-სიძველის პარადიგმა არის ის მოცემულობა, რომელსაც ხელოვნება ეყრდნობა. მწერლობა, რა თქმა უნდა, ვითარდება, მისი სტრუქტურა გარეგან და შინაგან ცვლილებებს განიცდის, მაგრამ ამ პროცესების შეფასებისას მხოლოდ ერთ დასკვნამდე მივდივართ: არსებობენ გამორჩეული, დიდი მწერლები, მათ კი მიჰყვება ეპიგონთა გუნდი.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს უცვლელი ესთეტიკური კატეგორიები, ნორმები და კრიტერიუმები. არც ერთ ნაწარმოებს არ შესწევს იმის ძალა, რომ „მარად გაგვაოგნოს“. ამდენად, გარკვეულმა პოეტურმა სტილმა შეიძლება დროთა განმავლობაში დაკარგოს თავისი ფუნქცია, რათა შემდგომ ისევ მოიპოვოს ის. ყველასთვის ცნობილი – „გადაღებული“, წარმოდგენელი, უცხო მხარით შეიძლება წარმოჩინდეს. ჩვენ ვუბრუნდებით ძველ, კარგად ნაცნობ ლექსებს და მოულოდნელ „აღმოჩენებს“ ვაკეთებთ, „ვწვდებით“ დაფარულ სიღრმეს. ამაშია ლიტერატურის ისტორიის გამაოგნებელი ეფექტი. ზოგიერთი მივიწყებული პოეტი ბრუნდება, კვლავ გვაოცებს, სხვებს კი „ვეჩვევით“, აღარ ვიხიბლებით.

თუ ისევ ჟერარ დე ნერვალს დავუბრუნდებით, ვნახავთ, რომ „ბოდლერი რელიგიური სიმბოლოსა და მითისგან კი არ იძენს თავის მისტიკურ მგრძნობელ-



ბას, არამედ ჟერარ დე ნერვალის საშუალებით“ (Bertocci, 1964:66). არტურ საიმონ-სიც პირდაპირ აცხადებს: „ჟერარ დე ნერვალს მივაწერ მე იმ განსაკუთრებული ლიტერატურის წარმოშობას, რომელსაც „სიმბოლიზმი“ ეწოდება (Symons, 1911:3).

ჟერარ დე ნერვალმა არა მარტო სიმბოლიზმის ესთეტიკას ჩაუყარა საფუძველი, არამედ შემოქმედებითი ინსპირაციის წყაროც აღმოაჩინა: „მე არ ვთხოვდი დემეროს, შეეცვალა გარკვეული მოვლენები, მე მსურდა, რომ მას შეეცვალა ჩემი დამოკიდებულება საგნების მიმართ ისე, რომ მე შემექმნა ჩემი საკუთარი სამყარო, რათა მემართა ჩემი სიზმრები“ (Symons, 1911:10).

არტურ რემბოსაც ჰქონდა თავისი „ნათელხილვის“ თეორია, მეთოდი, თუ როგორ შეიძლება გაარღვიოს ონტოლოგიური ყოფიერების საზღვრები ჰალუცინოგენების საშუალებით პოეტმა; როგორ კარგავს იგი თავის პიროვნულ მეობას და ხდება შუამავალი ზეციურ სამყაროსა და ადამიანებს შორის. პოეტი უკვე „ინსტრუმენტი“, რომელზეც სამყაროს ძალები უკრავენ. ის აღარ ფიქრობს, რადგან მას „ფიქრობენ“. რემბო ასე მსჯელობდა: თუ იმას, რაც პოეტს მოაქვს „იქიდან“, აქვს ფორმა, იგი მას ფორმით წარმოაჩენს. თუ უფორმოა, უფორმოდ (Pemბო, 1982: 240).

საგულისხმოა ერთი გარემოება, რომ არც პოლ დემენისა და არც იზამბარი-სადმი გაგზავნილ წერილებში, რომლებშიც რემბოს „ნათელხილვის“ თეორიაა წარმოდგენილი, იგი ჟერარ დე ნერვალს არ ახსენებს, თუმცა, ნერვალის მოთხრობის „სიზმარისა და სიცოცხლის“ გავლენა რემბოს „განთიადზე“ სრულიად თვალსაჩინოა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რემბოს მეთოდით კვლავ სიურეალისტები დაინტერესდნენ, ხოლო სიმბოლისტები პრაქტიკულად არ იცნობდნენ მის „ნათელხილვის“ თეორიას.

ჟერარ დე ნერვალის „ქიმერების“ სახელწოდების სონეტების წინასიტყვაობაში გამოყენებულია წერილი, რომელიც მან აღექსანდრე დიუმას მისწერა: ერთ დღეს გადავწყვიტე ჩემი ცხოვრება აღმეწერა, ყველა სიზმრის, განცდის, მღელვარების გადმოცემა დავიწყე. როგორც გერმანელები ამბობენ, ეს სონეტი სუპერნატურალური ზმანების მდგომარეობაში დავწერე. ნერვალი აღნიშნავს, რომ მისი ლექსები ზმანებისა და სიზმრის ნაყოფია. ის, რასაც ნერვალი „სუპერნატურალურს“ უწოდებდა, მას ბოდლერმა „სურნატურალური“ დაარქვა. ორივე მწერალს „ზერეალურის“ ერთგვარი გააზრება ჰქონდა, რადგან ორივე სპირიტუალური, სიზმრისეული სამყაროს წვდომისკენ იყო მიმართული.

იაჰია ქემალი სხვადასხვა წერილებსა და საუბრებში ხშირად ახსენებდა ჟერარ დე ნერვალს. მოვიყვანოთ ზოგიერთ მაგალითს: „ფრანგები პოეზიას ძალზე დიდ ღირებულებას ანიჭებენ. ჟერარ დე ნერვალს ფრანგულ პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ფრანგული სიმბოლიზმის სათავედ მიჩნეულ სონეტ „ელ დესთიქადოს“ პირველ სტროფში პოეტი, რატომღაც, სამ სიტყვას, მეორე სტროფში კი ერთ სიტყვას კურსივით გამოჰყოფს. ლექსის ამგვარი გაფორმება ემყარება მხოლოდ პოეტის პირად ლოგიკას; სხვაგვარი ახსნა არ არსებობს. ერთი საუკუნეა საფრანგეთში გამოცემულ ასზე მეტ ანთოლოგიაში ეს სონეტი ხსენებული ფორმით შეაქვთ, კვლავ კურსივით წარმოადგენენ“ (Uysal, 1959:121).

აღსანიშნავია, რომ იაჰია ქემალის ლექსში „ღამის მელოდია“ ჟერარ დე ნერვალის ლექსის „ტყეში“ გავლენა იგრძნობა. ჟერარ დე ნერვალს **ჩიტი** დიდი ასოთი უწერია, იაჰია ქემალიც **დიდი** ასოთი წერს. იაჰია ქემალი ამბობს: „ის ჩიტი ყველაზე მიუვალ ბაღებში გალობს, წარმოსახვაში ცხოვრობს, წარმოსახვაში **კვდება**“. ნერვალი კი ასე ამთავრებს ლექსს: „სამწუხაროა, სულ არ არის სასიამოვნო ჩიტის სიკვდილი ტყეში“. საერთოდ, იაჰია ქემალი გულახდილად ლაპარაკობს იმ



მწერლებზე, რომლებმაც მასზე გავლენა იქონიეს, რადგან იგი მათ კოპირებას არ ეწევა. შეიძლება გამოიყენოს მეთოდი, იდეა, მაგრამ არ გადმოაქვს პწკარი. პირით, რთულიც კი არის რეალურ გავლენაზე საუბარი.

შუქრან ქურდაქული წერდა: როგორც კი იაჰია ქემალს სიკვდილის განცდა მოეძალებოდა, მაშინათვე თავის სათაყვანებელი პოეტის, ჟერარ დე ნერვალის, „ელ დესთიქადოს“ სამყაროში ჩადრმავდებოდა. განსაკუთრებით უყვარდა ამ სონეტის ერთი პწკარი: „მელანქოლიის შავი მზე“ (Kurdakul, 1986:186). სევდის აღმძვრელი ეს ხატი იმ პოეტური განცდის ამსახველი იყო, რომელიც მან „შავ მზეში“, „შავ პორიზონტში“, „ნაიარევ სიცოცხლესა და სიკვდილში“ შეიცნო:

„ფართო ფრთები, უშავეს სიცარიელეში გახსნილი,  
და მის უკან მზის არდამბადებელი დიდი კარიდან  
შესვლისთანავე დაიწყება დაუსრულებელი სიხუმის ღამე“.

სერმეთ სამი უისალი მოგვითხრობს: „იაჰია ქემალის ოთახის კარი რომ შევაღე, გულითადად მომიკითხა, მერე წიგნი გამომიწოდა და მითხრა, ანდრე ჟიდის ანთოლოგიაში ჟერარ დე ნერვალის ლექსებს ვკითხულობდიო. „ელ დესთიქადო“ წამიკითხა, გაელიმა და თქვა: ეს ლექსი ოცდაათი წლის წინ მაქვს წაკითხული, მაგრამ აღფრთოვანება მიათქეცდებო (Uysal, 1959:160). იაჰია ქემალი ხშირად აღნიშნავდა: „ენა ძველდება, მაგრამ პოეზია მუდამ ახალია, აქედან გამომდინარე, ჰომეროსი ახალია, ვირგილიუსი ახალია, ჟერარ დე ნერვალი ახალია“ (Uysal, 1959:96).

დროისა და სივრცის კონტინუუმის ერთი პერიოდიდან მეორეში ტრანსპოზიცია ლიტერატურაში ფართოდ არის გამოყენებული. წერის ამ სტილს იყენებდნენ ბაირონი და თომას მორი, სიმბოლისტებიც. ჟერარ დე ნერვალისთვის ეს უმთავრესი პოეტური ხერხია. მაგალითად, „ელ დესთიქადოში“ ნერვალი ხან აქვიტანიის პრინცია, ხან – ვენერას პირმშო ამური, აპოლონი, ზოგჯერ, ანრი მეოთხის ამხანაგი და დედოფალზე გამიჯნურებული ბირონი, ზოგჯერ – სიკვდილის მდინარეში შესული ორფოსია. „სიზმარსა და სიცოცხლეში“ იგი ასი წლის, ზოგჯერ – ორი ათასი წლის, ზოგჯერ მილიონობით წლის წინანდელ სამყაროში გადადის. დროისა და სივრცის ტრანსპოზიცია იაჰია ქემალთანაც გეხდება, პოეტი ხშირად მიმართავს წარსულში ექსტრაპოლაციის მეთოდს:

„მე ჩვენი გადმოსახლების დროიდან ვიცხოვრე  
სტამბოლს რომ ვიღებდით იმ დღეებში“.

პოეტი, რატომღაც, არ მიჯნავს მცირე აზიაში გადმოსახლების საუკუნეებს სტამბოლის ალების პერიოდისგან, არადა, თურქული მოდემის ტომები VIII–X საუკუნიდან იწყებენ მცირე აზიაში შემოსვლას და XI საუკუნის მეორე ნახევრიდან სელჯუკები უკვე სერიოზულ პოზიციებს იკავებენ და თანდათანობით ბიზანტიას ავიწროვებენ, ხოლო XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალეთის იმპერიას ქმნიან. მოკლედ, პოეტი ერთნაირად აღიქვამს „ძალიან“ ძველს და „შედარებით“ ძველს.

ლექსში „დღესასწაულის დილა სულეიმანიეში“ პოეტი აწმყოლან წარსულში გადასვლას „დღესასწაულის მადლიანი დილიდან იწყებს“. ხაზს ვუსვამთ „დილიდან“, რადგან ტრეანსპოზიცია და წარსულზე მედიტაციას პოეტი ძირითადად საღამოს ან ღამე იწყებს. იაჰია ქემალი ამბობს: „ყოველ წამს გულს მინათებდა დიდებული დილა სულეიმანიეში“. შემდეგ წარსულში გადასვლის ჟამიც დგება:

„ყოველ წამს იწევა სიშორიდან დროის მტვრიანი ფარდა,  
მოძრაობა! რა დალოცვილი, რა უცხო სამყაროა!  
ატმოსფერო ათასობით ფანტომით სავსეა“.

ლექსი მისტიკური იდუმალებისა და სასწაულის მოლოდინის ეფექტს ქმნის. ონტოლოგიური გარემო თანდათანობით მოლოველივე, ბუნდოვანი იდუმალი ფანტო-

მებით ივსება. ამ მადლიანი გაზაფხულის დილის ცის სილაჟვარდეში პოეტი ხედავს „მთელ ერს, მთელ ქვეყანას“, მაგრამ ეს პანოპტიკუმი რვა საუკუნეს მოიცავს. აქ უკვე სუპერნატურალური ხილვების მითითებებია. „სულემანიე – დილა – დროის ფარდა“ (თანაც მტვრიანი) – ამ ხატ-სიმბოლოებით პოეტი თითქოს ექსტატიურ მდგომარეობაში შედის და ეხება სრულიად საკრალურს, ტრანცენდენტურს.

პოეტი თავისი ხალხის გამირული წარსულით ტკბება. ისტორია იაჰია ქემალისთვის ფუნდამენტურ ღირებულებას იძენს. ეს ნათლად ჩანს ამ ლექსშიც. პოეტის აზრით, ისტორიის პოეზიაში წარმოჩენა ხელოვანის ვალია: ევროპელებმა თავიანთი ისტორია პოეზიაში, ბალეტში, მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში გააცოცხლეს. ჩვენ, გარკვეული მიზეზების გამო, ამის საშუალება არ მოგვეცა (abakl, 1994:460). სწორედ ამ სიცარიელის შევსება სურდა იაჰია ქემალს. იგი ხშირად იმეორებდა ერთ ფრაზას: „მე მუდამ ჩვენს საჭიროებებზე ვფიქრობდი“. იაჰია ქემალის პოეზიას ორი მხარე აქვს: ერთი მთლიანად ნაციონალისტურია, მეორე კი, როგორც ჟერარ დე ნერვალის იტყოდა – „სუპერნატურალისტური“.

იაჰია ქემალის ლექსი „ის მხარე“ ჟერარ დე ნერვალის „აურელიათი“ არის ინსპირირებული. ნერვალის „სიზმარსა და სიცოცხლეში“ მიცვალებულთა სამყაროში მოგზაურობს. მან ეს მოთხრობა სიკვდილის წინ დაწერა. სიკვდილის მისტერია უკვე აღარ აშინებდა მწერალს, რადგან ის, რაც სიცოცხლის მიღმა იყო, მისთვის უკვე დიდი ხანია, აღარ წარმოადგენდა შემადრწუნებულ სიცარიელეს. ახლა ვნახოთ, როგორ აღწერს საიქიოს – „სიკვდილის მხარეს“ იაჰია ქემალი:

„ერთ ღამეს სიკვდილის მხარე ვნახე სიზმარში,  
უნუმრობაში დავხეტიალობდი დამწუხრებული.  
გაჩერებული საათივით უმოძრაო იყო დრო.  
გაყინულ სიჩუმეში იყო მზის უნახავი სამყარო.  
ბრძანებლობდა ადგილზე პორიზონტამდე საიქიოს

სიღარბაისლე;

ერთი წყარო იყო, ყოველი მხრიდან სხივი ჩაედინებოდა;  
როცა ჩაუვარე სრულიად თეთრ სამ-სამ, ხუთ-ხუთ მოხეტიალე  
არსებას,

გაგიგე, რომ „საიქიოდ“ წოდებულ ადგილზეა ადამიანთა  
მოდგმა.

ვნახე ყოველი მათგანის სახე ნაღველით გაფითრებული,  
მივხვდი, რომ უსხეულო, ფანტომური იყო მათი სხეულები.  
სეირნობის შემდეგ სხვა მხარეში როს ბრუნდებოდნენ,  
იმ წყაროდან თასით სხივებს აგროვებდნენ და სვამდნენ;  
გვერდიგვერდ იდგნენ და ღმერთს ჰმადლობდნენ,  
უნმოდ, ნელ-ნელა გზაზე იძირებოდნენ.  
თითქოს, თავად გადამხდა ის, რაც მე ამ სიზმარში ვნახე.  
სიზმარია ეს, თუ სიკვდილი სხვა სამყაროა?“

ლექსის პირველი პწკარებიდან ვიგებთ, რომ პოეტი „სიკვდილის მხარეს“ ესტუმრა, მაგრამ მისთვის სიკვდილის ჩაკეტილი კარის გაღება მხოლოდ სიზმარშია შესაძლებელი. იაჰია ქემალი საიქიოს ექსპოზიციას „გაყინული სიჩუმით“, „დროის საათის“ გაჩერებით იწყებს. ეს არის მზის უნახავი სამყარო.

ვნახოთ, ახლა რას ამბობს „სიზმარსა და სიცოცხლეში“, ანუ „აურელიაში“ ჟერარ დე ნერვალის: ყველამ იცის, ცხოველი სიკაშკაშეც რომც იყოს სიზმარში, მზეს ვერასოდეს დავინახავთ! რა ეფექტური, როგორი შთამბეჭდავია ეს განცხადება! განსაკუთრებით, ის, რომ „ყველამ, უკლებლივ ყველამ“ იცის, რომ მზეს სიზ-

მარში ვერ ნახავ! ვინ იცოდა ეს, ნერვალის გარდა, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ იაპია ქემალმა რომ ირწმუნა ნერვალის სპირიტუალური ხედვა, ეს ფაქტია.

ნერვალის წერს: როდესაც თეთრ სამოსში ჩაცმული ხალხი დავინახე, გავოგნდი, მე ვფიქრობდი, რომ ეს ოპტიკური ილუზია იყო. იაპია ქემალთანაც მიცვალებულები, „უთურესი“ არსებები, დასეირნობენ, სხივებს აგროვებენ თასში და სვამენ. „აურელიაში“ ნერვალის ამბობს: როცა უკან ბრუნდებოდა ქალი, სხივების დიდ ნაკადში მოხვდა და გაზრდა დაიწყო.

იაპია ქემალის წერს, რომ ყოველი მათგანის სახე ნაღვლიანი და ფერმკრთალი იყო. ნერვალის „აურელიაში“ მოგვითხრობს: აი, უკვე აქროლების პირას იყო ლამაზი ფორმები, რაც აფერმკრთალებდა მათ მშვენიერ სახეებს. რას ამბობს ქემალის: მიცვალებულები ცოცხალთა სიზმრებში უსხეულო, მიმქრალი არიანო. ნერვალთანაც იგივე ხატია: ფორმები ღღვება და ქრება, სახე იცრიცება. ლექსის ბოლოს იაპია ქემალის ისევ სიზმრის თემას უბრუნდება, რითიც დაიწყო, იმით ამთავრებს, სვამს კითხვას: „სიზმარია ეს, თუ სიკვდილი სხვა სამყაროა?!

აი, ის ძირითადი საკითხი, რომელზეც კონცენტრირებულია ხელოვანი. რა პუნქტამდე შეიძლება მივიდეს წარმომსახველი პოეტი და სად არის ის მიჯნა, რომლის იქითაც პიროვნული მეობა იკარგება. წარმოსახვის სიზმრისეულ ფორმებში გადასული ცნობიერება დუალიზმის ტყვეობაში ექცევა. მას შესწევს უნარი დაინახოს მეტისმეტად დიდი, შეეხოს უსაზღვრობას, მაგრამ მარადისობის შეგრძნება პრაქტიკულად ანადგურებს იმას, რასაც ინდივიდუალური „მე“ ჰქვია და მთავრდება სამყაროსთან იდენტობის განცდით. ეს ტრანსცენდენტული სამყაროს სიდიადის გრძნობითი აღქმაა.

შესაძლებელია კი, საბოლოო ჯამში, მისი გააზრება? ყოველი პოეტი ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობს: აქ და იქ. სიგიჟის ზღვარზე მისული ჟერარ დე ნერვალის წარმოსახვასა და რეალობას ვედარ მიჯნავდა. იაპია ქემალის კი აცნობიერებს წარმოსახვით ილუზიებს. პოეტი თავის რეფლექსიას უნაწილებს მკითხველს – წარმოსახვის მქონე ადამიანებს.

#### **ლიტერატურა:**

1. M. Şekip Tunç, Tanrı Şair, Yahya Kemal için Yazılanlar, İst. 1998.
2. Sadat Oksal, Yahya Kemal ve Şiirimiz, Yahya Kemal için Yazılanlar, İst. 1998.
3. Ahmet Hamdi Tanpınar, Edebiyat üzerinde Makaleler, İst. 1997.
4. Ahmet Kabaklı, Türk Edebiyatı, İst. 1994.
5. Hasan Ali Yücel, Kriterium Meselesi, Yahya Kemal için Yazılanlar, İst. 1998.
6. Yahya kemal, Edebiyata Dair, İst. 1984.
7. Ahmet Haşim, Bütün Eserleri, İst. 1999.
8. Vehbi Eralp, Yahya Kemal, İst. 1960.
9. Anna Balakian, The Symbolist movement a Critical Appraisal, New York, 1962.
10. Yahya Kemal, Bir Dağdan bir Dağa, İst. 1984.
11. Sabahattin Eyüboğlu, Yeni Türk Sanatkari yahut Frenkten Türk'e Dönüş, Yahya Kemal için Yazılanlar, İst. 1998.
12. Kenan Akyüz, Batı Tesirinde Türk Şiiri Antolojisi, Ank. 1970.
13. Валерий Брюсов, Избранные произведения, М. 1973.
14. Верлен, Рембо, Маларме, Стихотворения, проза, М. 1998.
15. Angelo Philip Bertocci, From Symbolism to Baudelaire, Southern Illinois Press, 1964.
16. Arthur Symons, The Symbolist Movement in Literature, London, 1911.
17. Артюр Рембо, Стихи, М. 1982.

18. Sermet Sami Uysal, Yahya Kemalle Sohbetler, 1959.

19. Şukran Kurdakul, Çağdaş Türk Edebiyatı, Meşrutiyet Dönemi, İst. 1986.

**Helen Javelidze**

***Jerard De Nerval's Aesthetic Features in Yahya Kemal's Artistic Thinking***  
**Summary**

Yahya Kemal (1884-1958) is one of the prominent representatives of new Turkish literature. The poetry of Western literature, namely elements of poetic culture and aesthetics of Symbolism, as well as creative thinking of Jerard de Nerval's literature affected the poet's work.

Yahya Kemal spent nine years in Paris, He studied French Romanticism, Parnas literature and had close relationship with Symbolists. It was well known, that Jerard de Nerval created the architectonics of new French verse and thus created poetry later was named Symbolism. Jerard de Nerval applied the historical and mythological motives in his poetic collection. Yahya Kemal seriously studied Jerard de Nerval's literature based on the Supernaturalistic inspiration, created verses similar to Jerard de Nerval's poetry. The poet noted, that Jerard de Nerval inspired him to create his own poetry.

Yahya Kemal's poetic concerns were crystallised in Paris in the artistic society of writers, when he sketched the forms they were to take, thereafter, he spent his life refining his attitudes and his forms. Poet was largely haunted with feeling of death and its opposite counterpart - spiritual world. Theme of Infinity in Yahya Kemal poetry appears both mystical and mythological qualities. These broad thematic lines are closest he ever got to "subject matter" and his poems, long and short, reflected (proceeding from the poet's "I" to the exterior world), or projected (creating an emblematic world and characters), these intertwined preoccupation of poet.

There is no doubt that a feeling of isolation pervaded all the intellectuals at the turn of century. Yahya Kemal sought escape in artistic notions, he turned towards "higher" spheres, towards mysticism. The main aesthetic and artistic criterion of Yahya Kemal is the cognition of beauty and infinity. The intermingling of the abstract and concrete, which we have noted both in the literature of Jerard de Nerval in his Supernaturalism, undergoes a state of evolution in the poetry of Yahya Kemal. Poetics of Yahya Kemal is a particular phenomenon of Turkish literature.

**Элене Джавелидзе**

***Некоторые особенности эстетики Жерара де Нерваля в художественном мышлении Яхьи Кемалья***

**Резюме**

Яхья Кемаль (1884-1958) является одним из выдающихся представителей турецкой литературы. Поэзия западной литературы, в особенности элементы поэтической культуры и эстетики символизма, как и творчество Жерара де Нерваля, оказало огромное влияние на формирование художественного мышления писателя. Яхья Кемаль провел девять лет в Париже, он изучал французский Романтизм, литературу Парнаса, общался с символистами, боготворил Жерара де Нерваля, создавшего архитектуру нового французского стиха, по праву считающегося основоположником Символизма.

В целом поэзия Яхьи Кемаля воспринимается как на редкость откровенная и лирическая исповедь, раскрывающая душевный мир человека, потрясенного предельно обострившимися в его эпоху общественно-историческими событиями. Связующим началом этой поэзии, точкой притяжения различных многообразных тем служит образ самого поэта, точнее выражаясь, «лирического героя», от лица которого звучит исповедь поэта. Жерар де Нерваль использовал исторические и мифологические мотивы в своем творчестве. Углубленное изучение супернатуралистических инспирации Жерара де Нерваля дала возможность поэту использовать творческие искания Нерваля. Яхья Кемаль утверждал, что он черпал вдохновение в творениях Жерара де Нерваля.

Поэтические принципы Яхьи Кемаля были сформированы в Париже в артистическом сообществе французских писателей. Суть декадентского отношения к жизни Яхьи Кемаля в основном проявляется в признании тленности всего сущего. Мотив смерти и загробной жизни занимает центральное место в творчестве поэта. Тема бесконечности в творчестве Яхьи Кемаля имеет мистические и мифологические свойства. Поэт открыто и прямо утверждал в лирике свою литературную личность, свое «Я».

Неоспоримо, что гнетущее чувство одиночества охватило практически всех интеллектуалов конца века. Яхья Кемаль искал спасение в творческих исканиях, направляя свой интерес к «высшим» сферам, мистицизму. Основным эстетическим и художественным критерием Яхьи Кемаля является познание красоты и вечности. Связь абстрактного с конкретным, которое мы наблюдали в литературном супернатурализме Жерара де Нерваля, развивается в поэзии Яхьи Кемаля.

Влияние западной литературы на художественные особенности поэта значительно, в его лирических исканиях и приоритетах особое место занимает Жерар де Нерваль. Поэтика Яхьи Кемаля - это особый феномен новой турецкой литературы.



## ირინე ბრუნჯაძე (საქართველო)

### მეტყველება და ინტელექტი

ისეთი მონათესავე ცნებების ურთიერთგანპირობებულობა, როგორცაა ინტელექტი და მეტყველება და მათი ურთიერთზემოქმედება, არ არის ძალიან თვალსაჩინო. საქმე იმაშია, რომ ადამიანს ბუნებისგან ბოძებული აქვს არა ენა, არამედ მეტყველების უნარი. ამის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მაგალითები პატარების ველურ მხეცებთან აღზრდის შესახებ (მაგალითად, „მაუგლი“). ეს ბავშვები მერე, ადამიანებთან დაბრუნების შემდეგ (თუ ისინი 5-6 წლის და მეტის იყვნენ) ძალიან რთულად ეუფლებოდნენ რამდენიმე აუცილებელ სიტყვას და ისიც მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში. „ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში რჩება სოციალურად არაადაპტირებულად, კოლექტიური ცხოვრებისთვის უგარვისად“ (ველერი, 2004:224). ძირითადი, მაგრამ არა ერთადერთი მიზეზი ასეთი ადამიანების არაადაპტირებულობისა არის ის, რომ ისინი მაინც რჩებოდნენ ადამიანებად, მაგრამ არ ჰქონდათ ენის ჩვევები, რომელიც ახდენს ინტელექტუალური უნარის რეალიზაციას.

დასაწყისისთვის, აუცილებელია განვმარტოთ ინტელექტის ცნების ბუნება. ეს სიტყვა ხშირად გამოიყენება ჩვენს დროში, განსაკუთრებით „ნაცნობი და უცნობი ადამიანების გონებრივი შესაძლებლობების შეფასებისას“, ე.ი. სიტყვა „ინტელექტში“ ჩვენ ვგულისხმობთ სუბიექტის გონებრივი განვითარების დონეს (ზიმნია, 1985:23). ინტელექტის ასეთი გაგება აისახება უცხო სიტყვათა ლექსიკონში, სადაც მოცემული სიტყვა განისაზღვრება როგორც ჭკუა, გონება, ადამიანის აზროვნებითი უნარი (ლათინური სიტყვისგან „*intellectus*“).

ინტელექტი არის ცოდნის დაუფლების ანუ სწავლის უნარი: ადამიანები, რომლებსაც გარკვეულ დარგში მაღალი ინტელექტი აქვთ, უფრო ადვილად და სწრაფად ითვისებენ ახალ ინფორმაციას და სწავლობენ ახალი ამოცანების შესრულებას, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც ნაკლებად ინტელექტუალურები არიან (გარდნერი, 2006).

უსიქოლოგთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანის ინტელექტი და მის მიერ აღრე შეძენილი ცოდნა განსხვავებული ცნებებია. თუმცა, ამავე დროს, ინტელექტუალური აზროვნება და ინტელექტუალური ქცევა დამოკიდებულია აღრე შეძენილ ცოდნაზე. აქედან გამომდინარე, ინტელექტი არ არის ურყევი და უცვლელი თვისება; მისი შეცვლა შესაძლებელია სწავლისა და გამოცდილების საშუალებით.

განსხვავებული განსაზღვრება აქვს მოცემული თავის ნაშრომში ბრილევას. ავტორის აზრით, ტერმინი „ინტელექტი“ პირველად შემოიღო ძველბერძენმა ორატორმა ციცერონმა და აღნიშნავდა „გაგების უნარს“ (ბრილევა, 2006:9). დღეისათვის ითვლება, რომ ცნება „ინტელექტი“ აერთიანებს ორ ზემოაღნიშნულ მნიშვნელობას, ე.ი. აზრობრივი ინფორმაციის ადეკვატური აღქმა და გაგება, როგორც ენობრივი სუბიექტის უნარი – ადაპტაცია მოახდინოს ბუნებრივ გარემოსთან. ძნელი არ არის აღვნიშნოთ, რომ ორივე განსაზღვრება ერთმანეთთან ახლოსაა და ავსებს ერთმანეთს. ამასთანავე, უნარი გაგებისა არის დომინირებული მნიშვნელობის, რადგანაც ინდივიდის უნარი შეეგუოს გარემო პირობებს და, უპირველეს ყოვლისა, თავისნაირებს, წარმოუდგენელია გაგების უნარის გარეშე, ე.ი. ადეკვატური აღქმის გარეშე. ინტელექტის მოცემულ კონტექსტში შეიძლება განისაზღვროს როგორც „პრაქტიკული ინტელექტი ან პრაქტიკული აზროვნება“ (ვიგოტსკის ტერმი-

ნი) და სქემატურად შეიცავს შემდეგ სტადიებს ან პროცესებს: 1) აღქმა; 2) დამახსოვრება; 3) გააზრება (ანალიზი); 4) მსჯელობა (ენობრივი რეაქცია). თითოეული დასახელებული პროცესი საჭიროების შემთხვევაში რეალიზაციას იღებს ენობრივი ნიჭის საშუალებით, ე.ი. ენობრივი აზროვნების უნარით და არა „აზროვნებით“, როგორც თელის პინკერი.

მხოლოდ მეტყველება, როგორც ენობრივი უნარის ვერბალური აქტუალიზაცია, შეიძლება გახდეს ინდივიდის აზრობრივი ნიჭის მოწმე. უდავოდ, აზრობრივი პროცესის მეტ-ნაკლებად ადეკვატური გამოხატვა პრაქტიკულად მიუღწევადია. მიუხედავად ამისა, მეტყველების, რომელიც მოცემული გვაქვს როგორც შინაგანი ნიჭი (ვიგოტსკი, 2006:445), რეალიზება ხდება მისი ორი მნიშვნელოვანი ფუნქციის მეშვეობით – ექსპრესიულით და კომუნიკაციურ-აზრობრივით. იმის მიხედვით, რამდენად ხატოვანია მეტყველება ერთი მხრივ (ექსპრესიული ფუნქცია) და რამდენად დამაჯერებელია მეორე (კომუნიკაციურ-აზრობრივი), ჩვენ შეიძლება ვიმსჯელოთ ენობრივი სუბიექტის ინტელექტუალური ნიჭის შესახებ.

როცა ჩვენ ვსაუბრობთ ინტელექტისა და მეტყველების ასეთ ურთიერთდამოკიდებულებებზე, იგულისხმება ამ უკანასკნელის გაცნობიერება. მეტყველების გაცნობიერება, თავის მხრივ გულისხმობს მასში სოციალური ფაქტორის არსებობას, რამეთუ მეტყველება არსებობს მხოლოდ სოციალურ და მის გარეშე აზრს მოკლებულია. ენის სოციალური ფაქტორი ერთდროულად მეტყველების აღმოცენების და განვითარების პირობაცაა, რომელიც ვიგოტსკიმ განსაზღვრა როგორც „ქცევის სოციალური მექანიზმი“ (ვიგოტსკი, 2006:446).

ამასთანავე, დამოკიდებულება ინტელექტთან, როგორც „აზროვნებასთან სიტყვის საკუთარ აზრში“ ხასიათდება არაერთმნიშვნელოვნებით და არათანაბარი განვითარებით. პრაქტიკულად, ეს აღნიშნავს, რომ ინტელექტის გამოვლენა (მაგ., ადამიანისმაგვარ მაიმუნებში) არანაირად არ უკავშირდება მეტყველების ფუნქციონირებას. ვიგოტსკის მოყვანილი მაგალითები ნაშრომში „აზროვნება და მეტყველება“, პირდაპირ მიუთითებს ადამიანისმსგავს მაიმუნებში პრიმიტიული ინტელექტის არსებობაზე, რაც ვლინდება „ოპტიკურ-აქტუალურ საგნობრივ სიტუაციებში“ (ვიგოტსკის ტერმინი), როცა საცდელი მაიმუნი ხიდან ნაყოფს ჩამოაგდებს ჯოხით, რომელიც მისი ოპტიკური ველის ზღვარში მდებარეობს.

ის აზრი, რომ ინტელექტის ფუნქციონირება არაა დამოკიდებული ენობრივი ნიჭზე, არგუმენტირებულია პინკერის ნაშრომში „ენა როგორც ინსტინქტი“. ავტორის აზრით, ადამიანს ტვინში აქვს გენების ერთობლიობა „გრამატიკული ალგორითმები“ (პინკერის ტერმინი), რომლებიც პასუხისმგებელია ენობრივი ნიჭის და მასთან დაკავშირებული ინტელექტის ნაწილზე. ამის მტკიცებულებად მოჰყავს მაგალითი, როცა მეტყველების უნარი ერღვევა საცდელ ობიექტს, რომელმაც დარტყმა გადაიტანა. საცდელი ობიექტი, სახელად ფორდი, ინტერვიუს აძლევს ნეიროფსიქოლოგ ჰ. გარდნერს იმის შესახებ, რაც მის წინანდელ სამუშაოს ეხება. ამ ინტერვიუს ნაწილობრივ მოვიყვანო:

“I’m a sig...no...man...uh,...well,...again”.

“Let me help you,” I interjected. “You were a signal man...”

“A sig...nal man...right,” Ford completed my phrase”.

“Were you in the Coast Guard?”

“No, er, yes, yes... ship...Massachu... chussets...Coastguard...years. He raised his hand twice, indicating the number of a nineteen” (პინკერი, 2004:37).

საცდელი პირის მეტყველება, რომელიც, როგორც ვხედავთ, სანაპირო დაცვაში მიუშაობდა, დანაწევრებული და ერთმანეთთან დაუკავშირებელია. ის ძლივს აკავშირებს სიტყვების უმარტივეს კომბინაციებს და რთულ სიტყვებს. მიუხედავად



აშკარა დარღვევებისა მეტყველებაში, ინტელექტი, უფრო სწორად, ინტელექტუალური ფუნქციები, თითქმის მთლიანად არის შენარჩუნებული. საცდელმა შეძლო საგნის დასახელება, ან მისი ამოცნობა სახელწოდების მიხედვით. ის ხვდებოდა კითხვებს, როცა მათი შინაარსი უნდა გამოეყვანა სრულმნიშვნელოვანი სიტყვებისგან, მაგ., „იძირება ქვა წყალში?“ ან „შეიძლება ჩაქუჩით რაიმე გავჭრაო?“, მაგრამ არა მაშინ, როცა სთხოვდნენ გრამატიკულ ანალიზს, მაგ., „ლომი მოკლულია ვეფხვის მიერ; რომელი მხეცი დაიღუპა?“ (პინკერი, 2004:39).

პინკერის მიერ აღწერილი ექსპერიმენტის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მეტყველების უნარის დარღვევა „აფაზია“, რომელიც გამოიხატება გრამატიკაში, მხოლოდ ნაწილობრივ ახდენს გავლენას ინტელექტზე, უფრო ზუსტად, მის ვერბალურ შემადგენელ ნაწილზე. მეორე მხრივ, მეტყველების უნარი არ არის ინტელექტის მაღალი დონის შედეგი. პინკერს მოჰყავს მაგალითი, როცა გონებრივად შეზღუდული ბავშვები არიან აბსოლუტურად უსუსური ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ მეტყველებენ და მათი მეტყველება „თავისუფალი და გრამატიკულად გამართულია“ (პინკერი, 2004:42). ე.ი. გარეგნულად სუფთა ასეთი მეტყველება შეიძლება აღვიქვათ როგორც აბსოლუტურად ნორმალური ადამიანის მეტყველებად, საკმაოდ განვითარებული ინტელექტით. მიუხედავად ამისა, ასეთი მეტყველება ღრმა განხილვისას საკმაოდ „თავისებურია“. მენტალურად დასუსტებული სუბიექტების ექსპლიციტური თავისებურებებია, უპირველეს ყოვლისა, მისი ასიმეტრიულობა და ციკლური ხასიათი. მასში წარმოდგენილი მასალის ფორმითა და შინაარსით ეს ენობრივი ფრაგმენტები ახლოა შინაგან, ეგოცენტრულ მეტყველებასთან. ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითებისთვის დამახასიათებელია, ჯერ ერთი, სემანტიკური მთლიანობის, ლოგიკური ელემენტების არარსებობა, მეორეც, ერთგვაროვანი ლექსიკა, რაც გამოიხატება ლექსიკურ და სემანტიკურ განმეორებებში. შემდეგი მაგალითი, აღებული პინკერის შრომებიდან, დამაჯერებლად ამტკიცებს ზემოაღნიშნულ დებულებას. ეს არის ვინმე კრისტალის სტენოგრამის გაშიფრვა, რომელიც „დაავადებულია ვილიამსის სინდრომით – გონებრივი ჩამორჩენის იშვიათი ფორმით“:

„რა არის სპილო, ეს ასეთი ცხოველია. რას აკეთებს სპილო, ის ცხოვრობს ჯუნგლებში. მას შეუძლია აგრეთვე იცხოვროს ზოოპარკში. რა აქვს სპილოს, მას აქვს გრძელი ყურები, ყური-მარაო, რომელიც ქარში ფრიალებს. მას აქვს გრძელი ხორთუმი, რითაც გლეჯს ბალახს ან იღებს თივას... თუ ის ცუდ განწყობაზეა, საშინელებაა. თუ მას გააბრაზებ, ფეხებს დააბაკუნებს და შეიძლება გვეცეს. ხანდახან ისე იქცევიან, როგორც ხარები. მათ აქვთ გრძელი ეშვები. მათ შეიძლება დაახიანონ მანქანა. ეს შეიძლება იყოს საშიში. როცა ისინი საფრთხეს გრძნობენ, როცა ცუდ ხასიათზე არიან, ეს საშინელებაა. არავის უნდა სპილო სახლში გააჩეროს. ყველას უნდა კატა ან ჩიტი“ (პინკერი, 2004:43).

მაშ ასე, ერთი მხრივ, მეტყველება, როგორც უნარი ან ენობრივი რეალიზაცია, არსებობს ინტელექტისგან დამოუკიდებლად და თვით ინტელექტი, როგორც ეს მაგალითებიდან ჩანს, ყოველთვის არ ვლინდება სიტყვიერი ფორმით. ამ აზრის მტკიცებულებას ვპოულობთ პოტენიას შრომაში „აზრი და ენა“: „თვით აზროვნებაში (ე.ი. ინტელექტში პრაქტიკული თვალსაზრისით) შეიძლება აღვნიშნოთ ბევრი რამ, რაც ენას არ მოითხოვს. მაგ., ბავშვი არ ლაპარაკობს, მაგრამ გარკვეულწილად ფიქრობს, ე.ი. აღიქვამს გრძნობით სახეებს უფრო სრულყოფილად, ვიდრე ცხოველი, იხსენებს მათ და გარკვეულწილად ანზოგადებს. სკულპტორის, მხატვრის, მუსიკოსის შემოქმედებით აზროვნება არ გამოიხატება სიტყვით, ყრუ-მუნჯი მუდმივად აზროვნებს, და არა მარტო ხატოვნად, როგორც მხატვარი, არამედ განყენებულ ცნებებზე, ბგერითი ენის გარეშე, თუმცა, აშკარად ვერ აღწევს გონებრი-

ვი მუშაობის იმ სრულყოფას, რაც შესაძლებელია მოლაპარაკეთათვის, და ბოლოს, მათემატიკაში, რომელიც ფორმით სრულყოფილი მეცნიერებაა, ადამიანი უარს ამბობს სიტყვებზე – გვაძლევს ყველაზე რთულ გამოსახულებებს პირობითი ნიშნების საშუალებით“ (პოტებნია, 1989:51). მეორე მხრივ, გვევლინება რა „ინტელექტუალურ ფუნქციად“ (ვიგოტსკის ტერმინი), მეტყველება არ შეიძლება ასახავდეს ადამიანის გონებრივ მდგომარეობას და მის გონებრივ შესაძლებლობებს. ენის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია არის „კომუნიკაციური“, ეს არის ფუნქცია შეეგუოს ადამიანი გარემო პირობებს და თავისნაირებს. ენობრივი უნარის არსებობა გამოხატავს ინტელექტის განვითარების განსაზღვრულ დონეს, ე.ი. ინტელექტი მოცემულ შემთხვევაში გამოვლინდება ენობრივ აქტუალიზაციაში.

განვსაზღვრავთ რა მეტყველებას, როგორც ინტელექტის ფუნქციას, უფრო სწორად ერთ-ერთ მათგანს, ჩვენ გარდაუვლად ვაძლევთ მას მეორეხარისხოვან როლს. ამასთან ერთად, უდავოა მისი როლი ინტელექტის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. როცა ვსაუბრობთ მეტყველებაზე, ჩვენ ვგულისხმობთ მის როგორც აქტიურ, ასევე პასიურ მდგომარეობას. ენის აქტუალიზაცია, როგორც მეტყველების უნარის გამოვლინება, პოტებნიას აზრით, თავისთავად განვითარებადი მოვლენაა, ე.ი. აქტიური, მოქმედი საწყისი. მეტყველების ასეთი განმარტება გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ ის როგორც „მოსახვევი პუნქტი“ ან აზროვნების „გარდაქმნის წერტილი“ (მამარდაშვილი, 1989:75). ამ უკანასკნელის ენობრივი განვითარების ფაზაში შესვლა ხელს უწყობს აბსტრაქტული სააზროვნო პროცესების კონკრეტიზაციას, რაშიც მდგომარეობს მისი სოციალური როლი, სწორედ ის, რომელიც გვევლინება ინტელექტის დანიშნულებად. აქედან გამომდინარე, მეტყველების უნარის დონე შეიძლება აჩვენებდეს ინტელექტუალური ნიჭის დონეს, ე.ი. უნარს – აღიქვას, გაიგოს და გაანალიზოს გარედან მოსული ინფორმაცია და მოახდინოს ადაპტაცია. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეტყველებისა და აზროვნების ურთიერთდაძოკიდებულება სუბიექტურობის და ობიექტურობის კატეგორიების სიბრტყეში. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებით დავრწმუნდით, მეტყველება, როგორც პიროვნების ენობრივი განსახიერება, სრულიად არაა სავალდებულო იყოს მისი აუცილებელი თვისება (ბავშვი, რომელიც მგლის ხროვაში გაიზარდა) იმ დროს, როცა ინტელექტი პირიქით, არის ენობრივი სუბიექტის განუყოფელი ნაწილი. ამგვარად, მეტყველება, და ამას ამტკიცებს მისი კომუნიკაციური სოციალური მიმართულება, არის ობიექტური, გამაერთიანებელი კატეგორია, ამასთანავე, ინტელექტი არის სუბიექტურად იზოლირებული რივის კატეგორია. ინტელექტის განვითარება უნდა იყოს განპირობებული და ინიცირებული ენის განვითარებით, როგორც მისწრაფებით – მიაღწიოს, ერთი მხრივ, საკუთარი შინაგანი „მე“-ს ადეკვატურ რეალიზაციას, რაც ნაწილობრივ წარმოადგენს ინტელექტს, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს მუდმივად ცვალებად გარემო პირობებთან შეგუებას.

მისწრაფება აზრის ობიექტურობისკენ, პოტებნიას აზრით, შეადგენს ჭეშმარიტების ცნების შინაარსს, აგრეთვე, არის ენის იდეალური ფუნქცია მის მეტყველებით გამოვლინებაში. მეტყველებას მოაქვს ინფორმაცია (რომელიც შეიძლება განვიხილოთ მოსაუბრის ინტელექტის ერთეულად) პასიურ კომუნიკანტამდე, აღიქვამს მიღებულ ინფორმაციას ობიექტურ დონეზე, მსმენელი, იმავდროულად, ხდის მას სუბიექტური ინტელექტუალური სივრცის ნაწილად, გამოიყენებს რა ვერბალური შეტყობინების არავერბალურად გარდაქმნის (დეკოდირების) მექანიზმებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მეტყველება გვევლინება, ნაწილობრივ, სუბიექტურ კატეგორიად, იმდენად, რამდენადაც „შემეცნების ერთობლიობა მდგომარეობს ენის გარეთ: ადამიანს შეუძლია მიუახლოვდეს ამ სუფთა ობიექტურ სფეროს მხოლოდ მისთვის

დამახასიათებელი შემეცნების და შეგრძნების საშუალებებით, მაშასადამე, მხოლოდ სუბიექტური გზით“ (პოტენია, 1989:43).

ამგვარად, ენის განვითარება და მეტყველება, როგორც მისი გამოვლინება, ეს არის ინდივიდის ინტელექტის სუბიექტურობის გამოხატვა, მისი აზროვნებითი პროცესის მიმდინარეობა, ამავე დროს, ინდივიდუალური აზროვნების ობიექტივაციის რეალიზება. თვით ენა გარდაიქმნება სუბიექტურ კატეგორიად. რაც შეეხება ინტელექტის განვითარებას, შეიძლება დანამდვილებით ვთქვათ, გარემო პირობებთან ადაპტაციის მექანიზმის სრულყოფა ხდება ენობრივი უნარის განვითარებასთან ერთად. მეტყველების უნარი არის ამ განვითარების საშუალებაც და პირობაც. უწოდებდა რა ენას „ფორმას, სხეულს და გარსს“, ფ. დოსტოევსკი წერდა: „რაც უფრო მდიდრულია ის მასალა, ის ფორმები და აზრები, რომლითაც მე ვითვისებ სხვადასხვა გამოთქმას, მით უფრო ბედნიერი ვარ ცხოვრებაში, გასაგები ჩემთვის და სხვებისთვის, უფრო გამარჯვებული და მძლავრი, მით უფრო მალე უნდა ვუთხრა ჩემს თავს და სხვებს, რისი თქმაც მინდოდა, მით უფრო მტკიცე და სულით მშვიდი ვხდები და, რა თქმა უნდა, უფრო ჭკვიანიც“ (დოსტოევსკი, 2008:170).

#### **ლიტერატურა:**

1. Брилева Ю. В. Суперинтеллект. Практикум по развитию IQ. М.: ООО ТД “Издательство Мир книги”, 2006.
2. Веллер М. Всеобщая теория всего. М.: Изд-во АСТ, 2004.
3. Выготский Л. С. Психология развития человека. М.: Изд-во Смысл; Изд-во Эксмо, 2006.
4. Достоевский Ф. М. Дневник писателя. СПб.: Издательский Дом «Азбука-классика», 2008.
5. Зимняя И. А. Функциональная психологическая схема формирования и формулирования мысли посредством языка // Исследование речевого мышления в психолингвистике. М.: Высшая школа, 1985.
6. Мамардашвили М. К. Картезианские размышления. М.: Прогресс, 1981.
7. Пинкер Стивен. Язык как инстинкт. Пер. с англ. В. Д. Мазо. М.: Едиториал УРСС, 2004.
8. Потебня А. А. Слово и миф. М.: Изд-во “Правда”, 1989.
9. Словарь иностранных слов. 14-е изд., испр. М.: Рус. яз., 1987.

#### **Irine Brunjadze *Speech and Intellect* Summary**

The article analyses the nature of intellect and the specialties of interaction of it with speech as a verbal actualization of language personality. The interrelation of speech and thinking and of speech and intellect are also being studied. Theoretical principles are supported with the examples of psycholinguistic experiments.

**Ирине Брунджадзе**  
***Речь и интеллект***  
**Резюме**

В статье проанализирована природа интеллекта и особенности его взаимодействия с речью, как актуализацией языка. Описывается взаимосвязь речевой деятельности и мышления, речевой деятельности и интеллекта. Теоретические принципы обоснованы психолингвистическими экспериментами.



**ირინა ყრუაშვილი**  
(საქართველო)

**შედარების გამომხატველი სიტყვაწარმოებითი  
კონსტრუქციები გერმანულ ენაში**

შედარების გამომხატვას გერმანულ ენაში ემსახურება როგორც კომპოზიციური, ასევე დერივაციული მოდელები. აქ, უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკია ზედსართაულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებზე, რომლებიც გვიჩვენებენ მსგავსებას ან უშუალო შედარებას.

კომპოზიციური მოდელებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია დეტერმინატიული კომპოზიტები, რომელთა პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტს არსებითი სახელი წარმოადგენს. სუბსტანტიური მსახლვრელი სიტყვები შეესატყვისება შედარების გამომხატველ შესიტყვებებს: *grasgrün – etwas ist grün wie Gras; butterweich – etwas ist weich wie Butter; wieselflink – jemand ist flink wie ein Wiesel; leichenbläß – jemand ist blaß wie eine Leiche*. ასეთივეა: *stahlharte Kugeln, weizenblondes Haar, eine federleichte Turnerin, ein kornblumenblauer Pullover, seidenweiches Material, papierdünne Taschentücher, ein grasgrüner Anstrich, ein messerscharfes Urteil*.

ჰ. ვაინრიხი ამ მიმართებას აღნიშნავს სიტყვებით: *wie-Vergleich* (Weinrich, 1993:1021). ნივთიერებათა და საგანთა აღნიშვნებთან ერთად, როგორცაა: *silberhell, pfenniggroß, fadendünn, handtuchschmal*, გამოიყოფა ასევე ცხოველთა და სხეულის ნაწილთა აღნიშვნები: *bienenfleißig, lammfromm, aalglatt, ameisenklein, rehscheu, schneckenlangsam, armdick, fingerlang* (Lohde, 2006:161). აბსტრაქტული სახელები იშვიათად გვხვდება, მაგალითად, „*wie Jahrtausende tief, ewigkeitstief, lag der See*“ (ი. რ. ბეხერი).

Действительно, в лексике отражается всё многообразие предметов, явлений, признаков, существующих в окружающей действительности. Причем, обозначая различные классы предметов и явлений, слова группируются в языке на основе объективных связей и отношений, существующих между реалиями и понятиями. Поэтому вполне целесообразно выделение группы слов, объединённых как сферой своего употребления, так и областью применения.

Слова, объединённые сферой употребления, собственно говоря, и образуют определённые лексико-семантические группы. Среди них по основному тематическому признаку могут быть выделены самые разнообразные лексико-семантические парадигмы: это слова, называющие разные события, реалии общественно-политической жизни, экономические, идеологические понятия, всевозможные явления культурно-исторической жизни, бытовые наименования. Но лишь для наглядности мы приводим отдельные лексемы.

В современном русском и азербайджанском языках имеется определённая группа слов, которые не только называют явления и события действительности, но и выражают субъективную эмоциональную оценку обозначаемого, данного от имени определённого лица. Это нейтральная или (чаще всего) эмоционально-окрашенная лексика, обозначающая отдельные специфические черты характера человека, его манеры и привычки, самокритичное, негативное или, напротив, положительное, если можно так сказать, умиротворённо-благодушное отношение к самому себе.

Нас интересуют непосредственно такие лексико-семантические группы, которые определяют наиболее общие черты характера человека с положительной или отрицательной стороны в русском и азербайджанском языках. Примечательно, что такая лексика обнаруживается во многих частях речи, но, насколько нам удалось выяснить, наиболее многочисленна она среди имён прилагательных и существительных. К примеру, по подсчётам одного из современных учёных-лингвистов Эви Штейнфельдт, только с одним корнем «добр» имён прилагательных (общеоценочных или частнооценочных) насчитывается не менее четырнадцать.

Лексические единицы, обозначающие характер человека (однозначные слова или отдельные значения многозначных слов), обладают способностью производить особое стилистическое впечатление. Эта особенность характерологических слов, как отмечает современный лексиколог Е.Ф.Петрищева, «обусловлена тем, что они заключают в себе не только предметно-логические сведения об обозначаемом предмете..., но и какую-нибудь важную дополнительную непредметную информацию» (92, 34).

Итак, прежде всего напрашивается вопрос: чем же характеризуются указанные лексико-семантические группы? Семантическое наполнение и словообразовательная структура имён прилагательных и существительных, которые, в частности обозначают общие черты человека в русском и азербайджанском языках, представляются сложными и разнообразными в своих оттеночных значениях. Только у имён прилагательных главное характерологическое свойство выступает на первый план как обозначение самого признака, а у существительных как обозначение лица, то есть носителя данного признака. Разграничение по данным функциональным признакам в то же самое время позволяет нам объединить указанные части речи в единую тематическую группу, которую можно условно озаглавить следующим образом: «характеристика психических свойств человека, описываемых с точки зрения их положительной или отрицательной оценки». А такое описание предполагает выяснение того, на основе каких существенных различий происходит деление категориальных сем (или лексем) прилагательных и существительных, характеризующих общие черты человека. В ходе такого лингвистического анализа могут быть выделены соответствующие лексико-семантические группы (ЛСГ).

Вопрос этот в современной филологической науке не является новым. В своё время были изданы работы таких известных лингвистов, как О.С. Ахманова, А.М. Кузнецов, Э.В. Кузнецова, О. Н. Селиверстова, В. Г. Гак, Л.М. Васильев и некоторых других. Они включали указанную характеристику в подраздел «Человек как живое существо» единого семантического микрополя «Человек» и рассматривали физические и психические свойства как постоянные признаки личности. Мы продолжим исследования этих учёных, установив соответственно две большие группы: слова, обозначающие наиболее общие положительно-оценочные черты характера, а, образно выражаясь, на противоположном полюсе – отрицательно-оценочные. Однако, согласуясь с положениями упомянутых выше учёных, в первую очередь зададимся вопросом: что же, по их представлениям, входит в понятие характерологических признаков человека? Это общие признаки человека, которые могут быть отражены как именами прилагательными, так и существительными.

Так, по данным словаря Эви Штейнфельдт, «прилагательные относятся к одной из наиболее существенных значимых частей речи. Их доля в словаре составляет 15,48% (для сравнения: существительные – 37,46%, глаголы – 24,74%, наречия – 6,88%, причастия – 8,36%, доля других частей речи [местоимений, предлогов, числительных] не превышает 0,33%)» (127, 57).

С этой точки зрения одна из моделей интересующего нас микрополя по линии отражения наиболее общих черт характера человека привлекает сегодня особое внимание учёных своей продуктивностью. Она охватывает лексемы нескольких языков, а именно выражают оценку умственных способностей и широту познаний человека. Главной характерологической особенностью становится следующая формула: «наименование источника разносторонних знаний + атрибут с семантическим показателем одушевленности». Эта общая черта человека с оттенком положительной

оценочности, точнее сказать, это «человек, обладающий богатыми и разносторонними знаниями». Типичные лексемы здесь такие: ходячая энциклопедия, ходячий университет.

Однако в более упрощённом варианте перед нами, скорее всего, *оценка* именами прилагательными умственных способностей человека и её противопоставление отсталости в развитии. Причём, такая оценка может быть представлена не в прямом своём значении, а посредством особой метафоризации.

В этом отношении наше внимание привлекла содержательная статья Г.В. Леонтьевой «Интеллект человека в зеркале «растительных» метафор». В ней представлен один из срезов лексико-семантического поля «Интеллект человека», в котором характер реализуется через так называемые «растительные» метафоры, иными словами, мотивированы названиями всевозможных видов растений. Статья объёмная (более подходящая по обилию информативного материала и архитектонике к монографическому разделу), включает в себя шестнадцать «растительных» метафор, каждая из которых раскрывается Леонтьевой в мотивационном аспекте.

Нас в этой статье, в частности заинтересовал один из наиболее общих элементов предметно-тематического кода, который присутствует в сознании человека и проецируется на представления носителей языка о данном объекте. В качестве такого номинируемого объекта в одном из частных соматических компонентов так называемого «растительного кода» выступают антонимические лексемы *глупый* и *умный*. Другими словами, именно через «растительную» метафору характер человека можно наглядно представить в иносказательном противопоставлении умственной неполноценности (несостоятельности) и, напротив, высоких интеллектуальных способностей человека.

Необходимо подчеркнуть, что в азербайджанском языке нельзя непосредственным образом выразить *глупость* человека через так называемые растительные метафоры. Иными словами, нет возможности идентифицировать растения, типа *дуб* или *баобаб* с их смысловыми азербайджанскими вариантами (балгабаг) – туп, как тыква). Однако мы имеем возможность вывести параллели за пределы данной статьи и выразить смысловой центр лексем опосредованным образом. В таком случае в азербайджанском языке значение антонимической пары *глупый* – *умный* проявляется, на наш взгляд, нестандартным образом. А именно: в некоторых толковых или фразеологических словарях (под редакциями С.И. Ожегова (116), Д.Н. Ушакова (115), А.И. Молоткова (87) и некоторых других) происходит явная путаница.

Так, в одном из последних выпусков «Большого словаря русского жаргона» глупый, наивный человек уподобляется укропу и находит своё соответствующее языковое оформление в данной «растительной» метафоре (25, 611). Основная мотивация значения здесь следующая: глупый (или недалёкий) человек в указанном случае непосредственно проецируется на метафорический образ растительной реалии «человек – укроп». В азербайджанском языке не существует аналогичного сопоставления. Приведём основания подобной мотивации. Из объяснений учёного следует, что элемент кода связан с зелёным цветом растения, что, по вполне понятному признаку, означает «незрелый плод», а, следовательно, семантически близок к отражению неопытности, временного и, как правило, свойственного периоду юности умственного несовершенства. Кстати сказать, в русском диалекте присутствует метафорическое выражение «как мухомором объелся», что применимо к человеку, потерявшему рассудок и, как видим, имеющее тесную лексическую связь с растительным миром. По аналогии с укропом можно, между прочим, вывести и такую формулу: *глупый человек – отравившийся мухомором*.

При всём отмеченном, несомненно, на наш взгляд, одно: динамичный аспект лексико-семантического поля «Интеллект человека», который в двух языках, как нетрудно было убедиться, может выражаться средствами тематического «растительного» кода (в русском более разнообразными лексемами) подлежит более сложному и многоступенчатому объяснению, чем статичные характеристики человека. И это явление вполне объяснимо. В нашем случае антонимы *глупый* – *умный* следует подвести под формулу общих черт человека; соответственно они входят в один из тематических аспектов настоящей главы диссертационного исследования. Причём, прилагательные-эпитеты *глупый* – *умный* можно отнести как раз к разряду статичных метафор, и «преимущество» всегда будет на их стороне по сравнению с иноказательными образами флоры на земле, потому что в последнем случае эти лексемы необходимо реконструировать через соответствующие мотивационные доминанты, а в первом этого процесса вообще нет. При указании на общие черты характера человека как статичные характеристики не существует отсылки к каким-либо «типичным качествам» того или иного объекта (будь то растительный мир, животный и т.п.).

В то же время ценность второго подхода нередко обнаруживается в том, что сопоставляемые объекты оцениваются с точки зрения пригодности или непригодности использования. А это, естественно, проецируется на такие качества характера человека, как прозорливость, дальновидность. Например, использование в контексте метафоры блуждания в лесной глуши «подгоняется» к интеллекту.

Например: А.К. Бирих, В.М. Мокиенко и Л. Степанова в «Словаре русской фразеологии. Историко-этимологический справочник» указывают на частое применение этой метафоры в иркутских говорах, а также на существование выражения «Наговорить семь вёрст до небес и всё лесом = наговорить глупостей, нелепостей» (21, 336).

Далее, необходимо заметить, что лексико-семантическое макрополе «Человек» включает в себя как внешние, так и внутренние признаки. Однако, по нашему убеждению, ряд специфических особенностей личности, характеризующий параметрами внешних качеств, принципиально отличен от избранной нами проблемы.

В качестве иллюстративного примера укажем, что диссертация М. Ержанова посвящена лексическим единицам, описывающим внешность человека. Автореферат как материал локального изложения исследования не предоставляет возможности судить о чётких расхождениях целевой установки и главного содержания. Однако в тексте самой диссертации к характеру человека приписываются такие лексемы, как симпатичный, красивый, уродливый, противный и т.п. В действительности, они не имеют прямого и непосредственного отношения к характеру, хотя и, повторим, включены в глобальное семантическое поле «Человек». На наш взгляд, такие сопоставления недопустимы, и в настоящей диссертации чётко разграничиваются лексемы, описывающие внешность человека и его внутренние качества; даже если речь идёт о наиболее общих чертах характера человека.

Так, известные российские языковеды Е.А. Земская, О.Б. Сиротина и некоторые другие (правда, применительно к лексике современного русского языка) считают, что разговорную речь следует рассматривать как разновидность литературного языка. Более того, соответствующие искомым параметрам просторечные образования также можно включать в лексико-семантические группы слов, характеризующие человека с положительной либо отрицательной стороны. Основания этому, бесспорно, есть, потому что грани разговорной и просторечной (бытовой) лексики расплывчаты, неустойчивы. Подробнее об этом можно прочесть в некоторых работах Л.И.

Баранниковой, но стилевые особенности данных лексико-семантических групп слов, выражающих характер человека, уже несколько отдаляют нас от темы диссертации. Точно так же и в азербайджанском языке разговорную речь можно считать одной из разновидностей литературного языка.

Особый разговор должен идти в направлении того, что правомерность включения данных слов анализируемых нами частей речи характеризуются маркированностью (или отмеченностью) одного и того же слова (не столь важно для нас – в разговорном или просторечном стиле); в различных толковых словарях русского и азербайджанского языков они не всегда совпадают.

Принципиально важно также отметить, что специфика слов двух частей речи (имеются в виду имена прилагательные и существительные) заключается в их тесной связи с эмоциональной оценочностью. Что это означает? Оценочность, по нашему убеждению, тот самый фактор, который обоюдно присутствует в целом ряде лексико-семантических групп слов, характеризующих человека с положительной и с отрицательной стороны. И этот фактор, между прочим, сегодня оказывается весьма актуальным в современной лингвистике текста, так как является цементирующим при выяснении степени взаимодействия внутренних элементов в предложении, в том числе и в составе сложного синтаксического целого.

Одной строкой заметим, что в последнее время исследователей все чаще начала волновать проблема лингвистики текста. «Текст, как нам представляется, пишет К.М. Абдуллаев, – не следует отождествлять с каким-либо законченным произведением; в таком случае он автоматически становится непосредственным объектом литературоведения. Определение текста как соединение двух и больше ССЦ (сложного синтаксического целого – примечание наше) составляет возможность его изучения также в семантико-синтаксическом плане. Но, в основном, текст все же является объектом стилистического анализа. Выход за границы текста (два и больше текста) характеризуется одновременно выходом из стилистики в широкую филологию (в частности, литературоведения); определяется тип произведения (роман, новелла, рассказ, стихотворение, поэма)» (1, 96).

В связи со сказанным очевидно, что корректное определение системы исходных положений в лингвистике текста имеет немаловажное значение, а в нашем случае – тем более.

Попытаемся разобраться в этом вопросе глубже. Так, называя отдельные признаки, характеризующие человека, говорящий при этом как бы автоматически дополнительно их и оценивает. Тем самым происходит, на наш взгляд, как бы своеобразная стыковка лексических пластов с сугубо грамматическими, конкретнее, с модальностью, с выражением говорящим своего субъективного отношения к предмету высказывания.

В работах некоторых ученых-лингвистов порою проходила мысль, что на основании учета многочисленных данных психологии и языкознания оказывается возможным выделение нескольких более частных лексико-семантических групп по их стержневым характерологическим особенностям. Некоторые лингвисты полагают, что большую группу, характеризующую человека, можно подразделить на более мелкие, частные. К примеру, это могут быть наименования индивидуальных (природных), индивидуально-личностных, или индивидуально-личностных (природно-приобретенных) или собственно личностных свойств и т.д.

Считаем, что в данном случае необходим небольшой комментарий, объясняющий терминологические свойства характера. Индивидуальные черты представляют человека именно как *индивидуальность*, то есть как личность, раскрывающуюся во всем своем разнообразии, с неповторимыми чертами. Психологи или, точнее, психолингвисты включают в эту частную подгруппу конституционные и так называемые нейродинамические свойства личности. Собственно-личностные – это такие социально значимые черты, которые выражают отношение человека к тем или иным предметам или событиям.

К примеру, М. Ержанов в автореферате кандидатской диссертации пишет: «Лексические единицы, описывающие внешность человека, шире узко тематического объединения и правомерно структурируются в лексико-семантическую группу, хотя в отличие от ЛСГ вообще, в составе данной группы можно выделить относительно самостоятельные и независимые ЛСГ – подгруппы и подсистемы» (54, 8).

В принципе нам удалось установить, что М. Ержанов следует за утверждениями таких видных русских лингвистов, как Д.Н. Шмелёва и А.А. Уфимцевой. Первый, к примеру, многоступенчатые и широкорядные структуры квалифицировал как лексико-семантические парадигмы, а Уфимцева как лексические парадигмы. Мы в свою очередь согласны с мнением М. Ержанова и обобщениями Д.Н. Шмелёва и А.А. Уфимцевой, полагая, что разумное дробление отдельных лексем на более мелкие подгруппы (подклассы) выглядит целесообразным и обоснованным явлением с научной точки зрения. Например, по предположению названных лингвистов, ЛСГ слов, описывающих исключительно внешность человека, в ряде случаев можно представить как частное, то есть более локальное объединение основных характеристик человека вообще. Так, это может быть параллель между чисто внешними признаками и внутренним миром, интеллектуальными способностями человека и т.д.

Следовательно, можно продолжить мысль русских учёных в данном направлении: если такой процесс возможен для ЛСГ слов, включающих в орбиту своего анализа внешность человека, то неправомерно оказывать в аналогичной классификационной структуре для категории слов, составляющих основу избранной темы. Уточним: нас более интересуют не внешние параметры, но внутренние качества характера человека. Причём, целесообразность аналогичного дальнейшего членения состоит, на наш взгляд, не только в активном поиске указанных параллелей или языковых стыковок в разносистемных языках. В наши дни проблема классификации и систематизации отдельных компонентов лексической семантики является перспективным направлением в лингвистике. В современном языкознании минимальные единицы плана содержания как специфические элементы внутренних пластов до сих пор трактуются по-разному. Одни учёные выделяют их в виде семантических множителей или семантических дифференцированных признаков, другие – как лексико-семантические варианты или семантические дифференцированные элементы, третьи пользуются терминологией, объединённой понятиями категории или субкатегории. А С.М. Толстая, к примеру, в монографии «Русский язык в научном освещении» для соматического компонента предлагает такой достаточно редко употребляемый термин, как «культурный код» (117, 124).

Сущность разночтений в приведённых трактовках не входит в задачу настоящего исследования. Важно указать, что в любом случае перед нами частные семы, описывающие характер человека. От научной дискуссии нам также не уйти. Выразим свое собственное мнение по указанному вопросу, тем более что в современной

лингвистической науке есть и противники дробления лексико-семантических групп или всевозможных больших классов в грамматике на более мелкие, т.е. на подгруппы или подклассы. Существо проблемы заключается не в описании научных параметров области структурного языкознания. Здесь дело, пожалуй, в следующем: в какой степени можно считать вполне оправданной дифференциацию, если специфические черты и свойства, составляющие эти подгруппы или подклассы, замкнуты в подвижных границах. Они вообще представляются нам весьма «сомнительными». Выше уже говорилось о том, что вектор нашего поиска лежит в определении функции и системы как важных составляющих концептуального аппарата и в уточнении параметров лексико-семантических групп.

Из вышесказанного можно сделать вывод о том, что когда одно понятие в языкознании жесткими правилами не нормировано и с набором не вполне колоритных характерологических признаков легко может переходить в другое, некорректно и говорить о более глубоком его дроблении.

Между тем мы убеждены, что именно лексико-семантическая системная организация характерна для всех пластов словарного состава языка, разумеется, не исключая и языки славянской и тюркской групп. Причём, те или иные искомые понятия в лексической сфере могут рассматриваться как изолированно, так и с большим успехом в контексте разносистемных языков, что и наблюдается в нашем случае при сравнительно-сопоставительном характера человека в русском и азербайджанском языках.

#### ***Литература:***

1. Петрищева Е.Ф. Стилистически окрашенная лексика русского языка. М., Наука, 1984.
2. Леонтьева Г.В. Интеллект человека в зеркале «растительных» метафор // Вопросы языкознания, 2006, №5.
3. Толковый словарь русского языка / Под ред. С.И. Ожегова. М., Русский язык, 1986.
4. Молотков А.И. Фразеологический словарь русского языка. М., Советская энциклопедия, 1968.
5. Толковый словарь русского языка / Под ред. Д.Н. Ушакова. В 3-х томах. М., Вече; Мир книги, 2001.
6. Большой словарь русского жаргона. СПб., 2000.
7. Бирих А.К., Мокиенко В.М., Степанова Л. И. Словарь русской фразеологии. Историко-этимологический справочник. СПб., 1999.
8. Абдуллаев К.М. Сложное синтаксическое целое как объект научного исследования в современной лингвистической науке. Дис. ... д-ра филол. наук. Баку, 1991.
9. Ержанов М. Лексико-семантическая группа слов, описывающих внешность человека в казахском языке: Автореф. дис. ... канд. филол. наук. Алма-Ата, 1988.
10. Толстая С.М. Мотивационные семантические модели и картины мира // Русский язык в научном освещении. М., Прогресс, 2002.



**შარგია ჰასანოვა**  
**ადამიანის ხასიათის ზოგადი ნიშნების აღმნიშვნელი ლექსიკა**  
**რეზიუმე**

ლექსიკური სემანტიკის, როგორც ზოგადი ენათმეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულების, პრობლემების შესწავლას ნაკლები ყურადღება ეთმობა. და ეს მაშინ, როცა ანალოგიური პრობლემები სხვა ენობრივ (ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სიტყვაწარმოებით, ლექსიკოგრაფიულ და სინტაქსურ) დონეებზე ღრმად იქნა შესწავლილი როგორც თანამედროვე, ასევე გასული წლების მეცნიერების მიერ.

**Shargia Gasanova**  
***Vocabulary expressing general human features***  
**Summary**

The problems of studying lexical semantics as one of the most perspective directions of the general linguistics is not given enough attention. And due to this unbiased fact some adjacent problems at other language levels – phonologic, morphological, actually word-building, lexicographic and syntactic – were much more deeply studied recently both by modern linguists and scientists.



**იგორ კეკელია, დავით ოდიშარია**  
(საქართველო)

**პიუბანი სენაკის რაიონის ოიპონიმიკას**

**ახალსოფელი** – სოფელი და თემის ცენტრი ოდიშ-გურიის დაბლობზე, ტყე-ხურისა და რიონის მარჯვენა მხარეს. სენაკს დაშორებულია 3 კმ-ით და ზ.დ. 20 მ-ზე მდებარეობს. აერთიანებს ორ სოფელს – ახალსოფელსა და ისულას (ქსე). 1930 წლის ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში ახალსოფელი არ ჩანს, მაგრამ თეკლათის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებს შორის დასახელებულია სოფ. ძონძირი 237 კომლით (1091 სული), რაც ახალსოფლის უწინდელი სახელწოდება იყო.

2002 წლის საყოველთაო ეროვნული აღწერის მასალების მიხედვით, ახალსოფელში მუდმივი მოსახლეობის რაოდენობაა 1125 სული, მათ შორის 547 კაცია, 578 – ქალი.

რუსეთის ცარიზმის, მოგვიანებით, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში განხორციელებული ტოპონიმთა მასობრივი ცვლა ითვალისწინებდა კონკრეტული მიზნების, კერძოდ, იმპერიული პოლიტიკის განხორციელებას. სენაკის რაიონის სოფ. ახალსოფლის სახელწოდებაც კომუნისტური იდეოლოგიის ამსახველია. ტოპონიმთა ცვლით „ხელისუფლება ცდილობდა მოსახლეობისათვის ჩაენერგა ის აზრი, რომ სოციალისტური წყობა განახლების, სინათლის, სიკეთის მომტანია ყველასათვის. ამ ტიპის სახელებია: ახალსოფელი, ახალშენი, განახლება, მზისა, „შუქურა“ (პაპავა, ქ. ო. IV, 2010:196).

ახალსოფელი დაერქვა ორ ათეულზე მეტ სოფელს საქართველოში. კერძოდ, ამბროლაურის, გარდაბნის, გუდაუთის, ზნაურის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, თიანეთის, კასპის, ღანჩხუთის, ღვინგორის (ახალგორის), მახარადის (ოზურგეთის), მცხეთის, ორჯონიკიძის (ხარაგაულის), სამტრედიის, სოხუმის, ქარელის, ყვარლის, ცხაკაიას (სენაკის), ხაშურის, ხელვაჩაურისა და ხობის რაიონებში, ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (ორთოვრ. ლექსიკონი, 1987:20).

**ბათარია** – სოფელი ციის მარჯვენა ნაპირას, სენაკი-სოხუმის გზატკეცილზე, ზ.დ. 22 მ. სენაკს 4 კმ-ითაა დაშორებული და წარმოადგენს მენჯის თემის ცენტრს.

1930 წელს გამოცემული ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის თანახმად, თეკლათის სასოფლო საბჭოს სოფელ ბათარიაში 76 კომლი (359 სული) ცხოვრობს. 1949 წლის ცნობარის მიხედვით, ბათარია უკვე მენჯის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაშია. 1989 წლის მონაცემებით, სოფელში 651 სული ცხოვრობს, 2002 წლის მონაცემებით – 721 სული (მათ შორის, 329 კაცი, 392 ქალი).

მხარეთმცოდნე გ. ელიავა „თეკლათის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დიდი ველის სახელწოდებად ასახელებს ტოპონიმ „ბათარიას“, რასაც ახლავს ხალხური ეტიმოლოგია: აქ მდგარა რუსეთის ჯარის ბატალიონი და აქედან თურქებისთვის ქვემეხებით ცეცხლი გაუხსნია. ამიტომ ეწოდა ბათარია (ელიავა, 1989:26). ასეთივე განმარტებაა მოცემული „მენჯის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში: ბათარია დარქმევია ადგილს, სადაც უწინ რუსების „ბატარეია“ მდგარა (იქვე:38). სინამდვილეში, ბათარიას სამეგრელოში ეძახიან პატარა თევზსაჭერ მოწყობილობას – ერთგვარ ქუფებს, რაც დიდი გოდრის მსგავსადაა მოწნული. ბათარია ქვებით ივსება და მდინარეში მოსახერხებელ ადგილას უნდა ჩაიდგას, რათა თევ-

ზმა დაიბუღოს. შდრ. ბათარიაშ ტომბა-მორევი მდ. ჯუმზე, სოფ. ახალსოფელში (ცხადია, I, 1999:19).

**გახომელა** ტეხურის მარჯვენა შენაკადის – გახომელაშლევს ნაპირებზე, ოდიშის დაბლობზე, ზ.დ. 80-ზე მდებარეობს და ნაქალაქევის თემში ერთიანდება. სენაკს 14 კმ-ითაა დაშორებული, თემის ცენტრს – 3 კმ-ით.

1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში ნოქალაქევის სასოფლო საბჭოს სოფლებს შორის გახომელა დასახელებული არ არის. 1949 წლის მონაცემებით, გახომელა ნაქალაქევის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაშია. 2002 წლის აღწერის მასალების ჩვენებით, გახომელა 707-სულიანი (მათ შორის, 330 კაცი, 377 ქალი) სოფელია ნოქალაქევის თემის საკრებულოში (საყოველთაო აღწერა, 2003:171).

სოფლის სახელწოდების ადგილობრივი, არაოფიციალური ვარიანტია **გახომი(ლ)ა**. გ. ელიავას თქმით, დღეე გახომელა ჩამოედინება უწყლო და მშრალი სერიდან და გვაღვიანობის დროს თითქმის დამშრალია. თვით სერის სახელწოდებას – გახომელა//ხომია გა, განმარტავს როგორც „გამხმარ სერს“, ე. ი. უწყლოს, მშრალს (ელიავა, 1989:108).

**გა** მეგრულ ენაში აღნიშნავს სერს, ქელს, თხემს; **ხომლა**, **ხუმლა** იგივეა, რაც ხმელი, გამხმარი; მაგრამ ხუმლადალი „მშრალი დღეა“. **გახომელა**, **გახომ(ი)ლა**, **გახომი(ლ)ა** უნდა გავიაზროთ როგორც „მშრალი სერი“, ან „გამხმარ-ტყეიანი ქელი“.

**ზანა** – ტერიტორიული ორგანო ხუთ სოფელს – საკუთრივ ზანას, ეწერს, საესებუოს, სატყეებუჩავოს და საშურდაიოს აერთიანებს. ზანა მდებარეობს სენაკი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზაზე, ზ. დ. 160 მ. სენაკს 20 კმ-ითაა დაშორებული. ჩრდილოეთით და დასავლეთით ჩხოროწყუს რაიონს ესაზღვრება, აღმოსავლეთით და სამხრეთით – უშაფათისა და ხორშის ტერიტორიულ ორგანოებს. დასავლეთით ჩამოუდის ხობისწყლის მარცხენა შენაკადი ზანა. ადგილობრივი მცხოვრებნი აკონკრეტებენ: დიდი ზანა და პატარა ზანა.

XVIII. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი თავის რუკაზე ოჩხომურსა და ხობისწყალს შორის მიუთითებს სოფ. ზენათს (ძენატი), რაც დამახინჯებული ფორმაა სოფ. ზანას სახელწოდებისა. ეს ეკლესია მდგარა დიდი ზანის ცენტრის აღმოსავლეთით, ბორცვზე.

ოდიშ-ლენხუშის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად, ზანა ზუბის მაზრაში შემავალი სოფელი იყო (მეუნარგია, 1939:112).

სამეგრელოს ეპარქიის 1838 წლის აღწერის მასალებში მითითებულია ზანის მაცხოვრის ეკლესია. 1855 წლის საარქივო მონაცემების თანახმად, პატარა ზანა ზუბის მაზრაში შემავალი სოფელია, სადაც მდგარა წმ. გიორგის ეკლესია. 1864 წლის საარქივო დოკუმენტების მიხედვით, ეს ეკლესია მიქაელ გუასალიევის (გვასალია) საბლადონინოში ერთიანდებოდა, სადაც მღვდელთმსახურად გამწესებული იყო მარკოზ არჩაია, ხოლო „პრინციკად“ – გიორგი ჭითანავა. იმავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ზანის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მღვდლები ყოფილან ანტონ სასანია და იოვანე შულაია, ხოლო პრინციკები – ზაქარია გობეჩია და გიორგი ცისკაძე. ირკვევა ზანის მაცხოვრის ეკლესიის მღვდლების ვინაობაც. ესენი ყოფილან გიორგი იოანეს ძე გვაძაბია და იოანე ცაავა. ამავე ეკლესიის პრინციკებად დასახელებული არიან მიხა გიორგის ძე გვაძაბია და გიორგი ესებუა. 1870

წლით თარიღდება ს.ც.ს.ა.-ში დაცული დოკუმენტი (ფ. 489, აღწ. 6, საქმე №21-72), სადაც დასახელებულია ზანის მაცხოვრის ეკლესიის მოძღვარი გიორგი შურღია.

1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალებში მდ. ხობის გასწვრივ მდებარე სოფლების ჩამონათვალში მითითებულია ზანა დიდი – ეკლესიითა და სკოლით (ცხადია, 2005:25; მისივე, IV, 2008:140).

XXს. დამდეგს დიდ ზანაში მამულები ჰქონიათ თავად მხეიძეებს, ხოლო პატარა ზანაში – აზნაურ ფულარიებს.

ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემულია **ზანას** განმარტება: „წყალი; ვაკე, ბარი; წყლისპირა ბარი“. **ზანარის** მნიშვნელობაა როგორც „ვაკელი, ბარელი, წყლისპირელი“, ისე „ზანელი; ზანი“. **ზანიშ რობა // ზანურობა** იგივეა, რაც „ღრმა თხრილი, ხრამი“ (ქობალია, 2010:307).

ჩვენი აზრით, ოიკონიმ **ზანათში** საყრდენ ფუძედ შეიძლება გვევარაუდა პიდროგრაფიული ტერმინი **ზან-**, მაშინ **ზანათი** შეგვეძლო გაგვეაზრებინა როგორც „წყლისპირა ვაკე“ ან „წყლიანი (წყარომრავალი) ადგილი“; მაგრამ ამ შემთხვევაში ვითარებას ართულებს სოფლის სახელწოდებაში **-ათ** სუფიქსის გამოყოფა (ზანათი-).

აქვე მოგვყავს საილუსტრაციო მასალა ზან- ფუძიანი ტოპონიმების სახით:

**ზანა** – მდინარე; ხობისწყლის მარცხენა შენაკადი ლესიჭინეში, რაც წარმოადგენს საზღვარს სოფ. ზანასთან (ჩხოროწყუს რაიონი);

**ზანაპიჯი//ზანაძგა** – მდ. ზანისპირები ზანის საზღვრიდან ახუთის საზღვრამდე, ლესიჭინეში (ჩხოროწყუს რაიონი);

**ზანაშ გინაჯინუ** „ზანის გადასაცქერი“ – ბექობი, რაც გადაჰყურებს მდ. ზანის მარჯვენა ნაპირს (ლესიჭინე);

**ზანაჭაღე** – ზანის ჭაღა ახუთში („კატალოგი...“, 1983:43);

**ზანა** – ა) მდინარე ხობის რაიონში, ხობისწყლის მარცხენა შენაკადი; ბ) მდინარე აბაშის რაიონში, მდ. აბაშის მარცხენა შენაკადი; გ) სოფელი და თემის ცენტრი სენაკის რაიონში. აქვე მოედინება პატარა მდინარე, რასაც ზემო წელზე **ზანა** ეწოდება, ხოლო ცენტრის შემდეგ – **ზანაძგა** (ელიავა, 1989:93).

**ზანა//ზანაღაღუ** – ღელე; სათავე აქვს საწულაოში და მარჯვნიდან შეერთვის ცის (გაღმა ქარიატა, გამოღმა შუა ხორვა);

**ზანაშ გოჭკადილი//გოჭკადილი** – რკინა-ბეტონის ხიდი მდ. ზანაზე, ახუთი-მონგირის საავტომობილო გზაზე (ახუთი).

ტოპონიმები საქართველოს დანარჩენ რეგიონებში:

**ალაზანი** – მდინარე შიგნიკახეთში; ჩაედინება მინგეჩაურის წყალსაცავში. აქვე ვაკვს ეწოდება **ალაზნის ვაკე//ალაზნის ველი**, ხოლო სარწყავ არხს – **ალაზნის არხი** (ორთოვრ. ლექს., 1987:15).

**ზანავი** – ა) უძველესი ქართული საისტორიო თხზულების („მოქცევაჲ ქართლისა“) მიხედვით, იბერიის დედაქალაქ მცხეთის უბანი („... ციხე-ქალაქნი ძლიერნი შუა-ქართლი... ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და **ზანავი**, უბანი ურიათა...“) (ქ. ცხ., I, 1955:17). ლეონტი მროველისეული „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი რედაქციის მიხედვით, მცხეთის შემოგარენში მდებარე ზანავი წყაროს სახელწოდება ყოფილა: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა, მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰრქვან ზანავი...“ (ქ. ცხ., I, 1995:16). ზანავს მტკვრის ხეობაში მდებარე სოფლისა და მდინარის სახელად

(„ზანავე-რვილის ხევი“) მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი (ბედოშვილი, 2001:155-157); ბ) სოფლები ადიგენისა და ბორჯომის რაიონებში;

**ზანავეები** – სათიბი სოფ. ბედლეთში (ხულოს რაიონი);

**საზანო** – სოფელი თერჯოლის რაიონში.

ხალხური მოტივაცია: ა) ქოთნის დამზადების ოსტატები აქ ზედდნენ ჭურჭლისთვის მიწას. ზანდეს „ზედდნენ“, ზანა „ზედენ“; ბ) ზანების ნასახლარი ადგილია; გ) დადიანის ცხენები ჭითადიხას ზანა „წითელ მიწას ზილავენო; დ) დავით დადიანის ინიციატივით სოფლის ეკლესიის ქვითკირით შემოკავება დაუწყიათ. დავითს მოუნახულებია კალატოხები და უკან გაბრუნებისას აქ მათრახი დარჩენია. გზაზე უკითხავს: მათრახი სად დამრჩაო? და უპასუხეს – სადაც კირს ზედდენო. ამიტომ დაერქვაო ზანა „ზედენ“ (ელიავა, 1989:93).

ენათმეცნიერი გ. ბედოშვილი მიიჩნევდა, რომ დასავლეთ საქართველოში დამოწმებული ტოპონიმები – ზანა, ზანათი, საზანო... ეთნონიმური წარმოშობისაა და უკავშირდება სატომო სახელ ზანას (ბედოშვილი, I, 2001:157; ჭუმბურიძე, 1971:163-164).

**თეკლათი** – სოფელი და თემის ცენტრი ციის ნაპირზე, ზ. დ. 21 მ. სენაკს 3 კმ-ით არის დაშორებული. აერთიანებს ხუთ სოფელს – საკუთრივ თეკლათს, გოლასკურს, რეკას, საგვარამოსა და ტყირს.

სოფელი „თეკათის“ (Tecati) ფორმით აღნიშნულია XVIII ს. იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის რუკაზე, ხოლო „თეკლანის“ ფორმით – იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის ბრძანებით 1737 წელს შედგენილ რუკაზე (იხ. ბერაძე, 1967:47; მისივე, 3, 1971:151). თეკლათს არ ახსენებს ვახუშტი ბაგრატიონი, მაგრამ გვხვდება XVIII ს. გერმანელი მოგზაურის – იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ნაშრომში (გიულდენშტედტი, 1962:323).

ლევან II დადიანის მიერ 1628 წელს ბიჭვინთის ტაძრისადმი „შეწირულების სიგელში“ იხსენიება „ორი მოსახლე სალაყაია თეკლათს...“ 1696-1742 წლებს შორის პერიოდით თარიღდება „პირობის წიგნი“, საიდანაც ირკვევა, რომ გრიგოლ კათალიკოსს (ღორთქიფანიძეს) გიორგი ბერძენისთვის უბოძებია „თეკლათს მოსახლე კაცი ფუცხუტია...“ (კაკაბაძე, II, 1921:175). გრიგოლ კათალიკოსის გარიგების წიგნში, რაც 1712 წლით თარიღდება, გვხვდება „თეკლათს კანდელაკის შვილი სალაყაია კოჩილე“, ასევე ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძრისადმი შეწირული (იხ. კაკაბაძე, I, 1921:43, 106). 1696-1742 წლების ახლო ხანებში დაწერილ საბუთში აღნიშნულია, რომ გრიგოლ კათალიკოსს ბიჭვინთისთვის შეუწირავს „თეკლათს მოსახლე კაცი ღვაკალი გრიგოლა“ (იქვე:156). გრიგოლ კათალიკოსის 1733 წლით დათარიღებული გუჯარის მიხედვით, „... თეკლათს ერთი მოსახლე გარუჩავა ერისთვის ქალმა დედოფალმა შესწირა მისის ყოვლისფერიანათ“ ბიჭვინთის ტაძარს (იქვე:143).

XIX ს. 30-იანი წლების ოდიშ-ლენხუმის ადმ.-ტერიტ. დაყოფის ჩვენებით, თეკლათი სუჯუნის მაზრაში შემავალი სოფელია (მეუნარგია, 1939:113).

კავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის მასალების თანახმად, სენაკის მაზრაში არსებობდა თეკლათის სასოფლო საზოგადოება, სადაც გაერთიანებული იყო ექვსი სოფელი:

დონძირი – 23 კომლი (მათ შორის, 74 კაცი, 60 ქალი; სულ 134 სული);

ისულა – 32 კომლი (მათ შორის, 74 კაცი, 63 ქალი; სულ 137 სული);

რეკა – 53 კომლი (მათ შორის, 130 კაცი, 132 ქალი; სულ 262 სული);

სახარბედიო – 229 კომლი (მათ შორის, 328 კაცი, 298 ქალი; სულ 626 სული);

თეკლათი – 507 კომლი (მათ შორის, 1288 კაცი, 1118 ქალი; სულ 2406 სული);

შხეთი – 229 კომლი (მათ შორის, 649 კაცი, 564 ქალი; სულ 1213 სული).

ექვსივე სოფელში კომლთა რაოდენობა იყო 972 (მათ შორის, 2543 კაცი, 2235 ქალი; სულ 4778 სული).

XIX ს. 90-იანი წლების მონაცემებით, არსებობდა ზემო და ქვემო თეკლათი. გაზეთ „ცნობის ფურცელის“ მიხედვით, ზემო-თეკლათში ყოველწლიურად, აღდგომის მეოთხე დღეს იცოდნენ ჯარიანობა, ცხენების ჯირითი, ხატისთვის დანაპირები შესაწირავის გაღება და დროის ტარება (გაზ. „ცნობის ფურცელი“, №807, 1899).

XX ს. დამდეგს (1904 წლის „აღწერის“ მონაცემებით) თეკლათში მამულებს ფლობდნენ და მოსახლეობდნენ ორი კომლი თევზაია აზნაურთა წოდებით, ქოჩაკიძეები, ჩხეტიები, სოფერიები და ჯაიანები. აქვე მამულები ჰქონიათ თავად მხეიძეებს.

საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის (1930 წ.) მიხედვით, სენაკის რაიონის ქვედა თეკლათის სასოფლო საბჭოში ექვსი სოფელია:

გოლასკური – 123 კომლი (591 სული);

თეკლათი ქვედა – 157 კომლი (734 სული);

პერტული – 28 კომლი (96 სული);

რეკა – 73 კომლი (360 სული);

საგვარამიო – 72 კომლი (342 სული);

ტყირი – 130 კომლი (606 სული).

სულ ქვედა თეკლათის სასოფლო საბჭოში ცხოვრობდა 583 კომლი (2729 სული).

იმავე ცნობარის ჩვენებით, არსებობს თეკლათის სასოფლო საბჭოც, სადაც კომლთა რაოდენობაა 1474 (6890 სული; მათ შორის, 6871 ქართველი, 7 რუსი, 9 სომეხი, 3 დანარჩენი). თეკლათის სასოფლო საბჭოში 12 სოფელი ერთიანდებოდა:

ბათარია – 76 კომლი (359);

თეკლათი ზედა – 70 კომლი (266 სული);

ისულა – 105 კომლი (457 სული);

ნატოხაო – 100 კომლი (493 სული);

საგრიგოლიო – 128 კომლი (667 სული);

სალომიო – 181 კომლი (847 სული);

საკალანდარიშვილო – 42 კომლი (224 სული);

საქაჩიბაო – 28 კომლი (124 სული);

საწუღეისკირიო – 58 კომლი (248 სული; მათ შორის, 1 რუსი, 7 სომეხი);

სახარბედიო – 153 კომლი (682 სული);

შხეთი – 296 კომლი (1432 სული; მათ შორის, 6 რუსი, 2 სომეხი, 1 დანარჩენი);

ძონძირი – 273 კომლი (1091 სული).

1949 წლის 1 სექტემბრის ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის მიხედვით, არსებობს თეკლათის სასოფლო საბჭო ხუთი სოფლით: თეკლათი, საგვარამიო, ტყირი, რეკა და გოლასკური (დაყოფა, 1949:104).

სამეგრელოს ეპარქიის 1838 წლის აღწერის მასალებში დასახელებულია თეკლათის მთავარანგელოზის ეკლესია. 1846 წლის საარქივო დოკუმენტის თანახმად, ამ ეკლესიაში მღვდლად გამწესებული ყოფილა მიქელ სალაყაია, დიაკვნად – მაქსიმე გრიგოლია (ჭითანავა, 2010:60, 63). სამეგრელოს ეპარქიის 1855 წლის აღწე-

რის მიხედვით, სუჯუნის მაზრაში მითითებულია ზედა თეკლათი და ქვედა თეკლათი, ორივე სოფელში მთავარანგელოზის ეკლესიებით (იქვე:64).

1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალებში დასახელებულია სოფელი თეკლათი, ოთხი ეკლესიითა და სკოლით (იქვე:75).

კ. ბოროზდინის დახასიათებით, ზუგდიდის გზის მახლობლად მდებარე სოფელ თეკლათს გარშემო უტყეხი, გაუვალი, ნარ-ეკლით გაბანდული ტყე აკრავდა, რაც საუკეთესო სანადირო ადგილს წარმოადგენდა. აქ ცხოვრობდა თავადი ივანე (კინტირია) მხეიძე, რომელსაც ხის სახლი ედგა. ამ სახლში დროებით, საოლქო სამმართველოსათვის ახალი შენობის აგებამდე ცხოვრობდა სენაკის ოლქის მმართველი კ. ბოროზდინი. თეკლათშივე ცხოვრობდა შეძლებული თავადი გრიგოლ მხეიძე. ამ გვარისკაცნი ხე-ტყის წარმოებას მისდევდნენ, მდ. ხობისწყლისა და რიონის საშუალებით ხეები და ფიცრები გასაყიდად გაჰქონდათ ზღვისპირეთში (ბოროზდინი, 1934:232-233).

გ. კალანდარიშვილის მსჯელობით, თეკლათი მეგრული სიტყვაა და სიტყვა-სიტყვით „ამ ასაქცევს“ ნიშნავს (?). ავტორი ფიქრობს, რომ ვინაიდან თეკლათი სოფელ ეკისკენ მიმავალი გზის ასაქცევზეა, ამ ტერიტორიას თითქოს, ამის გამო ეწოდა თეკლათი „ეს ასაქცევი“ (კალანდარიშვილი, „კოლხეთი“, №2, 1974:3). გ. ელიავას წიგნში – „სენაკის რაიონის ტოპონიმია“, მოცემულია თეკლათის პარალელური ფორმა **თეკათი**, შემდეგი განმარტებით: „ეს კალთა“ (?). ოიკონიმს ახლავს ხალხური ეტიმოლოგიებიც: 1. შორეული კუთხიდან ჩამოსულ კაცს ერთი შვილი აქ დაუსახლება და უთქვამს: თე კართე ქედეკინია „ეს კალთა დაიკავეო“; მეორისთვის ეკის მთის მხარე მიუჩენია სამოსახლოდ – შენ გქონდეს ეკალიო „მადალი, ზემო მხარეო“. აქედან მოდის სახელწოდება თეკლათი—>თეკართი—>თეკართე; 2. თეკართი, თექ ქაიკართე „ამის შემდეგ ჭაობი იწყება და ჩოხის კალთა აიწიეო (ელიავა, 1989:26). იმავე წიგნის 30-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ თეკლათის სასოფლო საბჭოს ცენტრის სახელწოდებაა **თეკმართუ**. ტოპონიმს ახლავს „განმარტება“: „აქ გასაყოფი“ და ინფორმანტ თამაზ კანკიასგან ჩაწერილი ხალხური ეტიმოლოგია: ეს ადგილი გზაგასაყარს წარმოადგენდა: ერთი გზა აფხაზეთისკენ, მეორე – ზემო სამეგრელოსკენ მიემართებოდა და ამიტომ შეარქვეს თეკმართუო (იქვე:30). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გულუბრყვილო „მსჯელობითაც“ გაუგებარია, რატომ თარგმნა მკვლევარმა ტოპონიმი „თეკმართუ“ როგორც „აქ გასაყოფი“!

ერთ ხალხურ ლექსში გვხვდება ოიკონიმი „**თეკართის**“ ფორმით: „თუდოლე შე შორც იძირე – ურთა, **თეკართი** დო ეკი, ჟიმოლეშე, გვალას გვალა მუნორცხილ ეკი-ეკი“ (ქვემო მხრიდან შორით მოჩანს – ურთა, თეკლათი და ეკი, ზემო მხრიდან, მთაზე მთაა აღმა-აღმა მისახსრული...).

თეკლათი ჯგუფურ ანთროპონიმად უნდა მივიჩნიოთ და იგივეა, რაც „თეკლას ოჯახი, მთამომავლობა“. ტრანსონიმიზაციის გზით ჯგუფური ანთროპონიმი გადაიქცა ადგილის სახელად და მივიღეთ ოიკონიმი „თეკლათი“.

**ისულა** – სოფელი ოდიშის დაბლობზე, ტეხურის მარჯვენა ნაპირას, ზ. დ. 12 მ-ზე მდებარეობს და ახალსოფლის ტერიტორიულ ორგანოში შედის. სენაკს 4 კმ-ით არის დაშორებული.

კავკასიის მხარის 1886 წლის კომპლობრივი აღწერის მონაცემებით, ისულა 32-კომლიანი სოფელია თეკლათის სოფლის საზოგადოებაში. მათ შორის, 74 კაცია, 63 – ქალი (სულ 137 სული). XXს. დამდეგს ისულაში მამულებს ფლობდნენ

თავადი მხეიძეები და აზნაური სალაყაიები (ამ გვარის 7 კომლი გლეხი ყოფილა, 8 კომლი – აზნაური).

საქართველოს სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის მიხედვით, თეკლათის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაშია 105 კომლით (457 სული). 1949 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არსებობს ახალსოფლის სასოფლო საბჭო, რაც აერთიანებს ორ სოფელს – ახალსოფელსა (ყოფილი ძონძირი) და ისულას. 2002 წლის საყოველთაო ეროვნული აღწერის თანახმად, ისულაში მუდმივი მოსახლეობის რაოდენობაა 692 სული (339 კაცი, 353 ქალი). სოფელს **ისულეთის** ფორმით მოიხსენიებს XVIII ს. მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი: ვაკეს „... მზღვრის... დასავლით ცხენისწყალი და ცხენისწყლიდამ წასული ხაზი ისულეთამდე და რიონამდე...“; „ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე...“; „ტეხური... გამოსდის მასვე კავკასსა, მიერთვის ისულეთს ჩრდილოდამ რიონს“; „ხოლო ისულეთს, ტეხურის შესადინარს ქუეით, სადაცა ერთვის რიონი ზღუას, აქა არს ფოთი...“ („ქ. ცხ.“, IV, 1973:773, 776, 777). სოფელს **ისმულეთის** ფორმით ასახელებს იმავე საუკუნის გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1962:323). ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ დოკუმენტში გვხვდება **ისულა** ფორმა: „განვაახლეთ. დაგთარი ესე. და შევსწირეთ შენს: სუჯუნის ეკლესიას წმინდის გიორგისას. და გიძღვნით შენ. დედაო მაცხოვრისაო: ცხენისწყლის რიონის შესაყარიდამ გაღმართში. კუკუთი. ცხეპიჯი. უჩა დელიდგან. ფიჩორს აქეთი. ანჯელი და სამარდანაო სრულად: რიონს გამოღმა. სირიანქონის თავის პირდაპირ: დაბლა **ისულას** რიონს დელე ჩაერთვის. დალუნა ქვიან. კთის (?) ტყეს შუახედ გამოივლის. ონტყოროს ტბიდგან გავა. ტეხურამდის მოაწევს და იმას აქეთ. აწ ტეხურს გამოღმა...“

გამოთქმულია მოსაზრება, რომ VII ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის, აგათიას სქოლასტიკოსის მიერ აღწერილი **ნესოსი** სწორედ ისულაა. აგათიას თქმით, ნესოსი „საკმაოდ მაგარია და არც ადვილი მისადგომი, გარშემორტყმულია მდინარეთა მორევით. ფასისი და დოკონისი ცალ-ცალკე ჩამომდინარეობენ კავკასიის მთებიდან და თავში ძლიერ არიან ერთმანეთს დაშორებულნი; აქ კი, ადგილის მდებარეობით იძულებულნი, ცოტ-ცოტა უახლოვდებიან ერთმანეთს და უკვე აღარ მოეძინებიან დაშორებით; რომაელებს ერთი თხრილი გაუკეთებიათ და ფაზისის ნაკადი დოკონისში გადაუშვიათ, ასე რომ, ეს ორივე მდინარე ერთდება ნესოსის იმ ნაწილში, რომელიც აღმოსავლეთისაკენ არის მიქცეული და ისინი გარს ერტყმიან ამ ადგილს. აქედან ისინი კვლავ უხვევენ და დაბლობის მცირეოდენ ნაწილს იმწყვდევენ შუაში. შემდეგ დასავლეთისაკენ რომ მიდიან წინ, თავისთავად ერთვიან და ბოლოს ერთმანეთს შეერთვიან ისე, რომ მათ შუა მართლაც კუნძული იქმნება“ (გეორგიკა, III, 1936:37-38).

**კვარჩხიდალი** სოფელია ძველი სენაკის თემში, ნახურის (ქსე-ს მიხედვით: ტეხურის) მარჯვენა შენაკადის – კვარჩხიდალის ხეობაში.

საქართველოს სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის (1930წ.) მონაცემებით, კვარჩხიდალი 24-კომლიანი (114 სული) სოფელია ძველი სენაკის სასოფლო საბჭოში. 1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში ცხაკაიას რაიონის სოფლებს შორის კვარჩხიდალი არ ჩანს. 2002 წლის ეროვნული საყოველთაო აღწერის ჩვენებით, კვარჩხიდალი სოფლის სტატუსით გაერთიანებულია ძველი სენაკის თემის საკრებულოში, თუმცა, დაუსახლებელია (საყოველთაო აღწერა, 2003:171). კოლხურ ტოპონიმთა ლექსიკონებში მოცემულია ასეთი განმარტება: კვარჩხიდალი „მარცხიანი დელე“. პ. ცხადაიას მსჯელობით, კვარჩხიდალი იგივეა, რაც უკუღმართი, ახირებული, არასწორი დელე. მდინარის უკუღმართობა, ახირე-



ბულობა, არასწორობა გამოიხატება იმაში, რომ მდინარე რელიეფის თავისებურების გამო მიედინება ადგილობრივ მცხოვრებთათვის უჩვეულო, საპირისპირო მიმართულებით – არა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, არამედ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ზღვის მხრიდან მთებისაკენ. მკვლევარი იმოწმებს საილუსტრაციო მასალას სამეგრელოს ტოპონიმიდან:

**კვარჩხილაი** – დელე სოფ. პატარა თამაკონში, სკურდღაის მარჯვენა შენაკადი (მარტვილის რაიონი);

**კვარჩხილალ** – ოჩხომურისა და ამარწუხის მარჯვენა შენაკადები ქვედა ჩხოროწყუსა და პირველ გურძემში; ნაკადული, რაც მარცხნიდან შეერთვის ტეხურს სოფ. ბეთლემში;

**კვარჩხილალ(?)** – 1. დელე; სათავეს იღებს ეწერში და უერთდება ოჩხომურს (ქვედა ჩხოროწყუ, ოჩხომური); 2. დელე წიფურიაში (ხობისწყალის ხეობა). „კვარჩხილალ(?) „უკუღმართი დელე“ აღნიშნავს დელეს, რომელიც მოედინება არა დაღმა (შავი ზღვისკენ), არამედ აღმა (მთების მიმართულებით“ (ცხადია, IV, 2008:164).

**კვარჩლალ//კვარჩხილალ** – ფიხორის მარჯვენა შენაკადი სოფ. საგვიჩიოში და ა. შ. (ცხადია, I, 1999:36; მისივე, 2005:33).

გ. ელიავა ჰიდრონიმ „კვარჩხილალს“ ასახელებს „ძველი სენაკის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში და გვთავაზობს სწორ განმარტებას: „საწინააღმდეგოდ მიმდინარე დელე“ (ელიავა, 1989:73). კვარჩხილალ ეწოდება აგრეთვე დელეს და სახნავს ეკის თემში. გ. ელიავას განმარტებით უკუღმართად მიმდინარე დელეა და დაერქვა კვარჩხილალი „უკუღმართი დელე“ (იქვე:87).

**კვაუთი** სენაკს დაშორებულია 23 კმ-ით, ლეძაძამეს – 3 კმ-ით და მდებარეობს ტეხურის მარცხენა მხარეს, ბუერის მთისკალთაზე, ზ.დ. 160 მ.

კვაუთი მოხსენიებულია გიორგი ლიპარტიანის მიერ ერთგული ყმის – გიორგი ფაღავასათვის მიცემულ „წყალობის წიგნში“ (ქიმ, №1178), სადაც ვკითხულობთ: „ქ: ნებითა და: შეწევნითა: ღუთისათა: ყოველთა: მისთა: წმინდათა: ღუთისათა: ესე: წყალობისა: მტკიცე: უქცეველი: მიზეზ: შეძლელებელი(?): სიტყუთ: სრულქმნილი და: საქმით: აწ და: ვიდრე: საბოლოოდ გასათავებელი: საფიცარი: წიგნი და: სიგელი: დაგიწერეთ და: გიბოძეთ: ჩვენ: ლიპარტიანმა: ბატონმა: გიორგიმ: შენ: ჩვენს: ერდგულსა და: დავდადებით: ნამსახურს: ყმას: ფაღავა: გიორგის: ასე და: ამა: პირსა: ზედან: რომე: გამიბერდა: საქმე და: გარდმომჯვდა: (?) ჩემს: გარეთ: არა: იწამეთრა: იაჯენით და: გააჯებინეთ: შეგიწყალეთ: და: გიბოძეთ: **კვაუთს:** პუჭკუეღა: ძმისეის: შვილი: ერთი: ბიჭი: მიშველია: მდივანის არ მომიცემია და: მომგვარე: იმას: ჩამოღმა: პუჭკუეღა: მისის: ცოლ: შვილებითა: სახლკართა: ჭურ: მარნითა: მისი: ყმები და: სხვისშვილებითა: მიწა: მამულითა: ტყითა და ველითა: საყანითა და: სამუშაოთა: შესავალ: გამოსავალითა: მისის: ყოვლის: ფერიანად: მიბოძებია: გყავდეს და: გიბედნიეროს: ღონ: ჩვენს: ერდგულობას და: სამსახურს: შიგან: თუ: შენ: ჩვენი: ერდგული: სიტყვისა და: ბრძანების: მორჩილი: ყმა: იყო: უფლის: ბატონისას: ჩემი: გერგოს: აროდეს: არ მოგიშალოთ: აწ: ამისა: თავდებით: მომიცემია: თავად: ღ თი და: ყოველი: მისი: წმინდანი: ზეცისანი: ქუეყნისანი: ხორციელნი და: უხორციონი: კაცთაგან: არის: მოწამე და: მაშვალი: ამისი: გიორგი: მხეიძე: წიწაკორ: დგებუაძე: წიწაკორ: ჯავახია: და: მამუკა: ჯანიაშვილი: და ეს: წიგნი: დამიწერია: მდივანს: მიშველიას და: მოწამეც: ვარ ამისი“.

სამეგრელოს ეპარქიის 1838 წლის აღწერაში იხსენიება სოფ. კვაუთის მთავარანგელოზის ეკლესია (სცსა, ფ. 489, აღწ. I, საქმე №65409), ხოლო 1864 წლის საარქივო დოკუმენტში გვხვდება კვაუთის წმ. გიორგის ეკლესია, სადაც მღვდლად

გამწესებული ყოფილა შიო ძიმისტარაშვილი, პრინციპად – ნიკოლოზ ძიმისტარაშვილი. 1873 წლის სტატისტიკური აღწერის მასალებში დასახელებულია სოფ. კვაუთი ერთი ეკლესიით. სოფელი წარმოადგენდა თავად ჩიქვანების რეზიდენციას. XXს. დამდეგს კვაუთში მამულებს ფლობდნენ აზნაურები – დგებუაძეები და ძიმისტარიშვილები.

სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **კვოუთი**. თიკონიმში გამოიყოფა კრებითობის სახელის მაწარმოებელი ანთროპოფორმანტი **თი**. პირსახელ **კვაუზე** თი-ს დართვით წარმოიქმნა ჯგუფური ანთროპონიმი, რაც ტრანსონიმიზაციის გზით იქცა გეიგრაფიულ სახელწოდებად. მაშასადამე, კვაუთი იგივეა, რაც „კვაუს შთამომავლობა; ოჯახი; სახლობა“. მსგავსი წარმომავლობისაა ლეძაძამის თემის ტოპონიმები – შაფათი, ქვანათი, ჯაბახეთი//ჯავახეთი და ყურნათი.

**ნაქალაქევი** – ზედა ნაქალაქევი ლეძაძამის თემში, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, ზ.დ. 140 მ-ზე მდებარეობს და სენაკს 18 კმ-ით არის დაშორებული, ბეთლემს – 2 კმ-ით. ამასთანავე, ნოქალაქევი ეწოდება თემს (ცენტრი – ჯიხა) და ისტორიულ ციხე-ქალაქს, რაც მარტვილი-სენაკის საავტომობილო გზაზე, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირსა და მთისკალთაზეა განლაგებული.

ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათა გვიანდელ, XVIIIს-ში გადაწერილი ხელნაწერების აშიაზე გადამწერს მიუწერია: „ოდიშს ნაქალაქევი“ და „ციხე-გოჯი ნაქალაქევი“.

XVIIIს. იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის რუკაზე აღნიშნულია პუნქტი Nachalachs-ის ფორმით, რაც ახლანდელი ნაქალაქევი (ბერაძე, 1967:74). იმავე საუკუნის მემატიანის – ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაშიც მოცემულია **ნაქალაქევი** ფორმა: „...აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში არს ნაქალაქევი, ციხეგოჯად წოდებული. ეს აღაშენა პირველი მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე...“ („ქ.ცხ.“, IV, 1973:777).

პ. ზაქარაიასა და ნ. ლომოურის მსჯელობით, „ნოქალაქევის“ ხმარება გამართლებულია ამ პუნქტის სხვა, ამავე სახელწოდების მატარებელი პუნქტებისაგან გამოსარჩევად. ავტორები აღნიშნავენ, რომ ივ. ჯავახიშვილმა და გ. ჩუბინაშვილმა გერმანულ ენაზე დაწერილ მოხსენებით ბარათში თავი მოუყარეს ყველა ცნობას არქეოპოლისის შესახებ და უპირატესობა მიანიჭეს ზეპირ, ადგილობრივი მეტყველებიდან მომდინარე ფორმას – „ნოქალაქევი“ (ზაქარაია, ლომოური, 1988).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და რუკებზე აღნიშნული და გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებად დამკვიდრებული „ნოქალაქევი“ ფორმა არასწორია. უნდა ვწერთ და ვთქვათ ისტორიულად და მორფოლოგიურად ერთადერთი სწორი ფორმა „ნაქალაქევი“, სადაც ნა- -ევ წინავითარების სახელთა მაწარმოებელი აფიქსებია (შალამბერიძე, №3, 1979; მისივე, 1980:29-30; მისივე, №4, 1982:90-92).

სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტებია **ნოქალაქი**, **ნოქაქაქი** და **ნოქალაქენი**.

XIXს. 30-იანი წლების აღმ.-ტერიტ. დაყოფის მიხედვით, ნაქალაქევი სუჯუნის მაზრაში შედიოდა. სამეგრელოს ეპარქიის 1838 წლის აღწერის მასალებში დასახელებულია სოფელი **ნაქალაქევის** ფორმით, სადაც დგას ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესია, ხოლო 1873 წლის სტატისტიკური აღწერის მასალებში – სოფ. ნოქალაქევი, არქეოპოლისის სიმაგრის ნანგრევებითა და ორი ეკლესიით. 1864 წლის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ნოქალაქევის ორმოცი მოწამის სახელობის ეკ-

ლესიის მღვდლები ყოფილან სპირიდონ და ლაზარე შალამბერიძეები, ხოლო მედავითნე – მარკოზ შალამბერიძე (ჭითანავა, 2010:66).

კავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის ცნობარში აღნიშნულია, რომ სენაკის მაზრაში შედის **ნაქალაქევის უბანი** და **ნაქალაქევის სოფლის საზოგადოება**, რაც აერთიანებს ამავე სახელწოდების ერთ სოფელს 371 კომლით, მათ შორის, 1070 კაცია, 932 – ქალი; სულ 2002 სული.

1904 წლის აღწერის თანახმად, ნაქალაქევი უცხოვრიათ აზნაურებს – გაგუებს, კარტოზიებს, ორ კომლ შალამბერიძეს და თავად ჩიქოვანებს.

საქართველოს სსრ 1930 წლის აღმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის თანახმად, სენაკის რაიონის ნოქალაქევის სასოფლო საბჭოში შედის სამი სოფელი: ბეთლემი, ლებალათურე და ნოქალაქევი. მათ შორის, ნოქალაქევი 441 კომლი სახლობს. 1812 სული ქართველია, 1 – რუსი, 2 – სომეხი, 2 – დანარჩენი (სულ 1817 სული).

1949 წლის აღმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში ასევე დასახელებულია ნაქალაქევის სასოფლო საბჭო ოთხი სოფლით: ჯიხა, გახომელა, ძიგიდერი, ლებალათურე. ამასთანავე, უკვე არსებობს ბეთლემის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელი ზედა ნაქალაქევი, რაც 1930 წლის ცნობარში არ ჩანს (დაყოფა, 1949:104, 105).

**ნოსირი** – 1864 წლის საარქივო დოკუმენტიდან (ფ. 489, აღწ. 6, საქმე №1721) ირკვევა, რომ ნოსირში ყოფილა სამი ეკლესია: 1. წმ. გიორგის ეკლესია, სადაც მღვდელთმსახურებას ეწეოდნენ გიორგი სისორდია და გიორგი დუდუჩავა. მედავითნე ყოფილა ბასა გეგენავა; 2. წმ. გიორგის ეკლესია, სადაც მღვდლად იყო გამწესებული ტიმოთე ოდიშარია, ხოლო მედავითნეზად – დიმიტრი ოდიშარია და ბასა გეგენავა და 3. წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესია. მისი მღვდელი იყო გიორგი სისორდია, მედავითნე კი – ზაქარია სისორდია (ჭითანავა, 2010:72).

1904 წლის აღწერის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ნოსირში უცხოვრიათ აზნაურ გამსახურდიებს, დგებუაძეებს, ორ კომლ ესაკიას, კიზირიებს, ჯაიანებს, ფადავებსა და თავად ნორაკიძეებს.

საქართველოს სსრ პირველი აღმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის თანახმად, არსებობს ნოსირის სასოფლო საბჭო რვა სოფლით:

ნოსირი მეორე – 111 კომლი (512 სული; მათ შორის, 510 ქართველი, 1 რუსი, 1 პოლონელი);

ნოსირი მესამე – 93 კომლი (421 სული);

ნოსირი შუა – 83 კომლი (358 სული);

საბესელიო – 84 კომლი (391 სული);

საკილასონიო – 52 კომლი (265 სული);

საოდიშარიო – 121 კომლი (534 სული; მათ შორის, 531 ქართველი, 2 ბერძენი...);

სასიმონიო – 105 კომლი (450 სული);

სასირიო – 97 კომლი (466 სული).

1949 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არსებობს ნოსირის სასოფლო საბჭო ოთხი სოფლით: შუა ნოსირი (ცენტრი), საბესელიო, პირველი ნოსირი და საოდიშარიო. ამასთანავე შექმნილია ოქტომბრის სასოფლო საბჭო, რაც აერთიანებდა ორ სოფელს – ნოსირსა და საკილასონიოს (დაყოფა, 1949:104).

1961 წლის აღმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის მიხედვით, ნოსირი კვლავ სასოფლო საბჭოა და მასში შედის შუა ნოსირი, საბესელიო, პირველი ნოსირი, საოდიშარიო, ნოსირი და საკილასონიო. როგორც ჩანს, ამ დროსთვის ტერიტორიულად ერთმანეთს შეერწყა ნოსირისა და ოქტომბრის სასოფლო საბჭოები. 1966 წლის მონაცემებით, პირველი ნოსირი ძველი სენაკის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაშია.

2002 წლის ეროვნული საყოველთაო აღწერის მასალებში აღნიშნულია, რომ ნოსირის თემის საკრებულოში მუდმივი მოსახლეობის რაოდენობაა 2805 სული, მათ შორის, შუა ნოსირში მოსახლეობს 521 სული (250 კაცი, 271 ქალი), ნოსირში – 737 სული (მათ შორის, 321 კაცი, 416 ქალი), ხოლო ძველი სენაკის თემის საკრებულოს სოფ. პირველ ნოსირში – 861 სული (მათ შორის, 386 კაცი, 475 ქალი).

მკვლევარ ზ. ჭუმბურიძის განმარტებით, „ნოსირი“ მიღებულია **ნო-ისირი**-დან და ნიშნავს „ნაისლევს“ (ჭუმბურიძე:191). ასეთივე განმარტება მოცემულია გ. ელიავას წიგნში: რიონი და ტყუური ადიდებისას გადასილადა ამ ადგილს და ამიტომ ეძახიან ნოსირს „დასილულს“ (იხ. ელიავა, 1989:33). სხვა განმარტებით, მესამე ნოსირის ტერიტორია ჭაობიანი ყოფილა და შემდეგ დააშრეს. ნოსკირუ რე „დაშრობილია“ (იქვე:72).

მეგრულ ენაში წინავითარების სახელების მაწარმოებლად გვხვდება ნა-//ნო- პრეფიქსები. პ. ცხადაიას ვარაუდით, ნო- პრეფიქსი გამოიყოფა სამეგრელოს შემდეგ ტოპონიმებში: ნობართენი, ნობალ?ლენი, ნოდარიბენი, ნორგატენი, ნოცუცუენი, ნოდარენი, ნოემენი, ნოულალენი (იგივე ნოდალევი), ნო?უჯინი//ნო?უჯინეი, ნონიჯერი, ნოხუერი, ნოხიონი და სხვ. (ცხადაია, 1985:57).

ოიკონიმი „ნოსირიც“ შესაძლებელია ნობართენის, ნობულისა და ნოდურ-წკუეს ტიპის ტოპონიმთა რიგში განვიხილოთ და გავიაზროთ როგორც „სირიას (ან სირიების) გვარის ნასახლარი“. ამდენად, მისაღებად გვეჩვენება მხარეთმცოდნე გ. ელიავას მიერ ჩაწერილი ერთ-ერთი გადმოცემა, რომლის მიხედვით, ნოსირის ტერიტორიაზე სირიების გვარს უცხოვრია. ამ გვარისკაცთა სხვაგან გადასახლების შემდეგ სოფლისთვის ნოსირი უწოდებიათ (ელიავა, 1989:330). სასირო უბანია შუა ნოსირში, სადაც სირიას ხუთი კომლი მოსახლეობს (კეკელია, 2010:93).

**პერტული** მენჯის თემში შემავალი პატარა სოფელია და სკურის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 30 მ-ზე მდებარეობს. პერტულიდან სენაკამდე 5 კმ-ია, ბათარიამდე – 2,5 კმ.

გ. ელიავას წიგნში მოცემულია შემდეგი განმარტება: „აქ პერტენა სახლებულა“ (1989:44). სინამდვილეში ტოპონიმის ამოსავალია გვარი პერტია. -ურ//-ულ სუფიქსი მეგრულ ტოპონიმიაში აღნიშნავს სახელდებული ობიექტის ვინმესადმი მფლობელობა-კუთვნილებას. მაგალითად, ბებური „ბებია(ვა)სეული“; გვიტიშური „გვიტისეული, გვიტის მფლობელობაში არსებული“ (ორმაგი სუფიქსაციით), გუგური „გუგავასეული“, ეჯიბური „ეჯიბიასგან მომდინარე“, თორდული „თორდუასეული“, კოშური „კორშიასეული; კორშიას კუთვნილი“, ჩაგანური „ჩაგანავასეული“, ჩაკაბური „ჩაკაბერიასეული“ და ა. შ. მაშასადამე, პერტული ის ტერიტორიაა, რაც პერტიას გვარის მფლობელობაშია, პერტიასგან მომდინარეობს, პერტიას კუთვნილია“. თვით გვარი პერტია უნდა წარმოქმნილიყო მეგრულისათვის დამახასიათებელი ფონოტაქტიკის შესაბამისად: საკუთარი სახელი პეტრე შეიცვალა პერტე-თი. -ა გვარის მაწარმოებელია. პეტრე →პერტე→პერტე-ა→ პერტია (ცხადაია, 2000:21).

**რეკა** – სოფელი ოდიშის დაბლობზე, თეკლათის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ჩხოუშის ნაპირას, ზ. დ. 30 მ. სენაკს 6 კმ-ით არის დაშორებული, თემის ცენტრს, თეკლათს – 1,5 კმ-ით. კავკასიის მხარის სენაკის მაზრის თეკლათის სასოფლო საზოგადოებაში დასახელებულია სოფელი რეკა 53 კომლით (130 კაცი, 132 ქალი; სულ 262 სული). სოფელი იხსენიება 1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალებში (ჭითანავა, 2010:75).

XXს. დამდეგს რეკაში მამულებს ფლობდნენ აზნაურები – სალაყაიები, ერთი კომლი ჯოჯუა და თავადი მხეიძეები.

საქართველოს სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში (ტფ., 1930)

დასახელებულია ქვედა თეკლათის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელი რეკა 73 კომლით (360 სული). 1949 წლის 1 სექტემბერის მდგომარეობით, თეკლათისა და ქვედა თეკლათის სასოფლო საბჭოების გაერთიანებით წარმოიქმნა თეკლათის სასოფლო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა სოფელი რეკა (დაყოფა, 1949:104). 2002 წლის საყოველთაო ეროვნული აღწერის ჩვენებით რეკაში მუდმივი მოსახლეობის რაოდენობაა 181 სული, მათ შორის, 87 კაცი, 94 ქალი (საყოველთაო აღწერა, 2003:170).

რეკა ლანდშაფტური ტოპონიმია და ნიშნავს „რიყეს“, „ქვა-კენჭიან ადგილს, ქვანარს“. გ. ელიავა აღნიშნავს, რომ რეკა მაღალი ბორცვის სახელწოდებაა თეკლათის თემში, სადაც დასახლებულან ოჩამჩირის რაიონის სოფ. რეკიდან ჩამოსული გოგოლი და ფაჩულია. ახალი საცხოვრისთვის რეკა დაურქმევიათ (ელიავა, 1989:28). სხვა გადმოცემით, ფაჩულიების წინაპრები აფხაზების შიშით აყრილან სამურზაყანოში და სამეგრელოში, სენაკის რაიონის სოფელ რეკის ტერიტორიაზე დამკვიდრებულან (ცხადია, ჯოჯუა, 2003:281). ტოპონიმი „რეკა“ სამეგრელოში ბევრგან ფიქსირდება (ელიავა, 1977:17, 173; ცხადია, 2005: 65; მისივე, 2004:52-53; 2008:326; საქ. ტოპ.; II, 1999:238).

**ლიტერატურა:**

1. ბელოშვილი გ., ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, თბ., 2001.
2. ბერაძე თ., ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. III, თბ., 1967.
3. ბერაძე თ., ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 3, თბ., 1971.
4. ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი (1854-1861), მოგონებანი. თბ., 1934.
5. გეორგიკა, III, თბ., 1936.
6. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1962.
7. ელიავა გ., აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია. თბ., 1977.
8. ელიავა გ., ფარულავა გ., შენგელია გ., ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმის კატალოგი. თბ., 1983.
9. ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონიმია. თბ., 1989.
10. ზაქარაია პ., ლომოური ნ., ეგრისის დედაქალაქის საიდუმლოებანი. გაზ. „თბილისი“. 5 ივლისი. თბ., 1988.
11. კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. ტფ., 1921.
12. კალანდარიშვილი გ., ტოპონიმები მეტყველებენ. გაზ. „კოლხეთი“, 3 იანვარი, №2 (5198), 1974. ცხაკაია.
13. კეკელია ი., მარტვილის რაიონის ოიკონიმია. ქუთ., 2010.
14. მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი. მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედაქციით. თბ., 1939.
15. პაპავა ბ., ახალი ქართული ტოპონიმები 1944-1956 წლებში საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანებულ ჩრდილოკავკასიის ტერიტორიაზე. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, IV, თბ., 2010.
16. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1949 წლის მდგომარეობით. თბ., 1949.
17. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (მასალები). თბ., 1987.

18. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა). თბ., 2003.
19. საქართველოს ტოპონიმია (მასალები). ქვემო იმერეთი (შემდგენლები: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კემულარია). თბ., 2003.
20. ქართლის ცხოვრება. ტ. I, IV, თბ., 1955, 1973.
21. შალამბერიძე გ. ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1980.
22. შალამბერიძე გ., ძვირფასი საჩუქარი. ჟურნ. „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“ №4 (67). თბ., 1982.
23. შალამბერიძე გ., ნოქალაქევი თუ ნაქალაქევი? ჟურნ. „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“. №3 (54). თბ., 1987.
24. ცხადია პ., მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი). თბ., 1985.
25. ცხადია პ., ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან. I, თბ., 1999.
26. ცხადია პ., სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი). თბ., 2004.
27. ცხადია პ., ათასი მეგრული ტოპონიმი. თბ., 2005.
28. ცხადია პ., გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბ., 2000.
29. ცხადია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. IV (ჩხოროწყუს რაიონი). თბ., 2008.
30. ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე). თბ., 2010.
31. ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ? თბ., 1966.

**Igor Kekelia, David Odisharia**  
***Searching from oykonimy of Senaki District***  
**Summary**

In this research work discusses only the smallest part of the things from oykonimy of Senaki district (now municipality), which are mentioned in „The Orthographikal Dictionary of Georgia’s Geographical Names”.

There are also given linguistic, extralinguistic and motivating analysis of oykonimy.

In this research work there are also analysed all the existing materials about administrative-territorial division of Senaki district and about the register of its population.

**Игорь Кекелия, Давид Одишария**  
***Поиски из ойконимов Сенакского района***  
**Резюме**

В работе рассмотрена только та малая часть ойконимов Сенакского района (ныне муниципалитета), которая входит в «Грузинский орфографический словарь географических названий». В каждой топоним-статье указаны лексические, фонетические и другие типы вариантов населенных пунктов. Дан лингвистический, экстралингвистический и мотивационный анализ ойконимов. По возможности проанализированы данные переписи населения и административно-территориальное разделение Сенакского района.

**Кетеван Сванидзе**  
(Грузия)

## **СУБЪЕКТНО-ОБЪЕКТНАЯ ГРАДАЦИЯ ГЛАГОЛОВ ВРАЩЕНИЯ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ**

Общеизвестна истина, что в грузинском языке имя намного проще, глагол – в высшей степени сложен. Именно эта сложность заставила сказать в XIX веке Платона Иоселиани, что каждый грузинский глагол нерегулярный, что каждый из них обладает способностью, путем присоединения или убавления аффиксов, слогов, образовать другие глаголы. Исходя из этого, довольно сложно и, практически невозможно подвести их под какое-либо одно, определенное правило (Иоселиани, 1840:49).

В 1929 году Арнольд Чикобава сказал, что с тех пор прошло 88 лет и до сих пор невозможно утверждать, что эта сложность преодолена, что свет научного анализа все еще не проник в лабиринт грузинского глагола и, вероятно, пройдет еще много времени до тех пор, пока «будут обнажены первичные рычаги его невидимого механизма»... (Чикобава, 1998:13).

Такая оценка талантливых лингвистов предопределялась сложностью природ грузинского глагола. Прошло еще 80 лет, сделано намного больше, чем можно было представить, было поставлено и решено много проблем, опубликованы сотни работ и десятки монографий, касающихся исследований грузинского глагола (Антон I. Грузинская грамматика. Тб., 1885.-На груз. языке; Джорбенадзе Б. Принципы функционального и семантического анализа глагола в грузинском языке. Тб., 1980.-На груз. языке; Имнаишвили И., Имнаишвили В. Глагол в древнегрузинском языке, I, II. Франкфурт-на-Майне, 1995.-На нем. языке; Кавтарадзе И. К истории основных категорий глагола в древнегрузинском языке. Тб., 1954.-На груз. языке; Меликишвили В. К вопросу о взаимоотношениях будущего времени и сослагательного наклонения в древнегрузинском языке. Тб., 1980.-На груз. языке; Топурия В. Сванский язык. Тб., 1967.-На груз. языке; Утургаидзе Т. Фонематическая структура грузинского языка. Тб., 1976.-На груз. языке; Чикобава А. Общая лингвистическая характеристика грузинского языка: толковый словарь грузинского языка, т. I. Тб., 1950.-На груз. языке; Шанидзе А. Основы грамматики грузинского языка, I. Тб., 1973.-На груз. языке; Шанидзе А. Префикс субъективного второго и объективного третьего лица в грузинском языке. I I, Тб., 1981.- На груз. языке, Эртелишвили П. К истории сложного предложения в грузинском языке, I, Тб., 1963.-На груз. языке).

Несомненно, многое уже прояснено, сделанную можно даже утверждать, что в основе изменилось отношение к грузинскому глаголу. И все же, предстоит сделать еще многое, ведь грузинский глагол – неисчерпаемый источник, кладезь, многое из чего еще предстоит исследовать и изучить. Именно исходя из этого, некоторые вопросы до сих пор остаются не только нерешенными, но и непоставленными. Редки семантические исследования лексических единиц. Исследования в области анализа. Одним из таких является именно вопрос о глаголах с семантикой вращения, вопрос, касающийся исследования их семантики, формообразования и функционирования.

Интересно проследить, распространяются ли ограничения на субъект и объект вращения, иными словами, кто именно может являться субъектом вращения,

выраженного конкретным глаголом, человек, другие живые существа или неживые предметы и явления.

Анализ показал, что субъект вращения в большинстве случаев - общий. Вращение, выраженное большинством глаголов, может осуществляться как человеком, как и другими живыми существами, а также неодушевленными предметами. Однако в первичном своем значении эти действия осуществлялись либо исключительно человеком и в дальнейшем действие это метафорически приписывалось другим живым существам или неживым предметам и явлениям, или же наоборот, первичное их значение подразумевало обязательное участие неодушевленного субъекта и лишь в переносном, метафорическом значении субъектом мог явиться человек.

Однако, порой глаголы описывают вращательное движение либо исключительно человека, либо животных и других живых существ, или же вращательное движение других неодушевленных существительных.

Таким образом, классификацию можно представить в следующем виде:

**Субъект вращения:**

I. а) глаголы, описывающие вращательное движение исключительно человека: *aburt'avebs, agoravebs, grexa - dagrexs/grexs, grexs, dagragnis, gadapirk'vaveba - apirk'vavebs, amoxraxna/čaxraxna - xraxnis, gagoreba, gagoreb-gamogoreba* и т.д.

б) глаголы, описывающие вращательное движение животных и других живых существ:

в) глаголы, описывающие вращательное движение других неодушевленных существительных: *gadmopirk'vaveba, amopirk'vaveba, gamoreva, moreva, areva, gadapirk'vaveba* и т.д.

**II. Общий (одушевленный и неодушевленный):**

- одушевленный (в первичном значении) и неодушевленный (во вторичном, переносном, метафорическом значении) - *amoq'iraveba, gadaq'iraveba, gadmoq'iraveba, daabrunebs, dabruneba, agoreba (agorebs), abruneba (abrunes)* и т.д.

- неодушевленный (в первичном значении) и одушевленный (во вторичном значении) - *gadagoreba, gadmogoreba, gagoreba, gamogoreba, gamobruneba, grexa, dagrexa* и т.д.

В этой связи следует отметить, что реальной возможностью осуществления того или иного вращательного действия обладают только живые существа, или же, наоборот, только неодушевленные предметы, однако по признаку схожести эти действия могут приписываться и неодушевленным предметам (или живым существам). Практически каждый глагол вращения (как и любой грузинский глагол) обладает потенциалом употребления в метафорическом значении.

Данная классификация может распространиться и на объекта вращения:

**Объект вращения:**

а) Исключительно одушевленный – *gadakot'rialeba - kot'rialebs* и т.д.

б) Исключительно неодушевленный – *dagragnis (gragnili), dagrexs/grexs (grexili), gadapirq'vaveba (gadapirk'vavebuli), amoxraxna (amoxraxnili), čaxraxna (čaxraxnili, xraxnili), gagoreba (gagorebuli), gamogoreba (gamogorebuli), areva (asarevi), axveva (axveuli, asaxvevi)* и т.д.

в) Общий:

- одушевленный (в первичном значении) и неодушевленный (во вторичном, переносном значении) – *gadaxveva (gadaxveuli), gadabruneba, axveva - axvevs (xveuli), amobruneba (amobrunebuli, amosabrunebeli)* и т.д.



Либо:

- неодушевленный (в первичном значении) и одушевленный (во вторичном значении) – *gadaxlartva (gadaxlartuli), c'irexva, dac'irexva (dac'irexuli), areva (areuli), amoreva (amoreuli, amosarevi)* и т.д.

Тут же следует оговориться, что инфинитив глагола может подразумевать в себе как одушевленного, так и неодушевленного субъекта или объекта, однако разные спрягаемые формы глагола (в зависимости от контекста или самостоятельно) могут исключать действие одушевленного или неодушевленного субъекта, так и наличие одушевленного или неодушевленного объекта как результата.

### **Литერატურა:**

1. Ахвледиани Г.С., Топурия В.Т. Грузинско-русский словарь. Тб., 1990.
2. Гоголашили Г. Грузинский глагол (вопросы формообразования). Издательство «Меридиан». Тб., 2010. - На груз. языке.
3. Грузинско-русский словарь. Составители Г.С.Ахвледиани и В.Т.Топурия. Издательство «Ганатлеба». Тб., 1999.
4. Джорбенадзе Б.А. Грузинский глагол. Вопрос формального и семантического анализа. Издательство Тбилисского государственного университета. Тб., 1986.
5. Джорбенадзе Б.А. Диалекты грузинского языка. Издательство «Меридиан». Тб., 1995.
6. Иоселиани П. Первоначальные законы грузинской грамматики, составленный Платоном Евгеньевичем Иоселиани, Тифлис, 1930. - На груз. языке.
7. Кавтарадзе И. Особенности образования глаголов и отглагольных существительных одного типа в грузинском языке. В журн.: «Мацне», №3, Тб., 1960.
8. Климов Г.А. Этимологический словарь картвельских языков. М., 1964.
9. Орбелиани Сулхан-Саба. Словарь грузинского языка. Тб., 1949.
10. Пагава М. Частица в современном грузинском языке. Тб., 2009. – На груз. языке.
11. Толковый словарь грузинского языка. Однотомник. Под ред. А. С. Чикобава. Тб., 1986.
12. Утургаидзе Т. Грамматических категории глагола и их взаимоотношений в грузинском языке. Издательство «Картули эна». Тб., 2002. - На груз. языке.
13. Фенрих Г., Сарджвеладзе З., Этимологический словарь картвельских языков. Тб., 2000.
14. Чикобава А. Какие особенности характерны для структуры грузинского глагола. Тб., 1998.

**ქეთევან სვანიძე**  
**ბრუნვის აღმნიშვნელი ზმნების სუბიექტურ-ობიექტური**  
**გრადაცია ქართულ ენაში**  
**რეზიუმე**

სტატია ეძღვნება ბრუნვის აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკური თავისებურებების გამოვლენას სუბიექტურ-ობიექტური გრადაციის თვალსაზრისით. საინტერესოა იმის გარკვევა, ვრცელდება თუ არა ქართულ ენაში შეზღუდვა ბრუნვის სუბიექტსა და ობიექტზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოვლინდეს, ვინ შეიძლება იყოს ბრუნვის სუბიექტი ან ობიექტი კონკრეტულ ზმნაში.

**Ketevan Svanidze**  
***The Subject-Object Graduation of the Verbs of Rotation in Georgian***  
**Summary**

The article is dedicated to the identification of the semantic features of Georgian verbs denoting rotation in terms of subject-object graduation. Interesting to identify, whether the restrictions on the subject and object rotation. In other words, who may be a subject or object rotation, expressed specific verbs, people, other living beings or inanimate objects and phenomena.



**თეა ზოიძე**  
(საქართველო)

**ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის ტრანსლაცია  
ავტორისეულ თარგმანში**

ავტორისეული თარგმანის ისტორია მოიცავს ყველა ლიტერატურულ ჟანრს – პროზას, პოეზიას, დრამას. ლიტერატურის ისტორია იცნობს არაერთ ცნობილ მწერალს გასული და უახლესი საუკუნეებიდან, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ავტორისეული თარგმანის პრაქტიკაში – რეში ბელლო თარგმნიდა ლათინურად და ესპანურად, ჟულიენ გრინი – ინგლისურიდან ფრანგულად, კარლო გოლდონი – ფრანგულიდან იტალიურად, ვლადიმერ ნაბოკოვი – რუსულიდან ინგლისურად, ფრანგულად, იოსებ ბროდსკი – რუსულიდან ინგლისურად, ჭაბუა ამირეჯიბი – ქართულიდან რუსულად (1, 1).

საინტერესოა ბილინგვი ავტორის შინაგანი სამყარო, რომელმაც, გვევლინება რა საკუთარი ტექსტების მთარგმნელის როლში, თავისი ძალები უნდა მომართოს ერის, ეთნოსის შინაგანი „ეგზისტენციის“ გამოხატვისკენ, რომელიც ჩადებულია კონკრეტულ ენობრივ სისტემაში, და საბოლოო ჯამში, ავტორმა-მთარგმნელმა და მკითხველმა „უნდა გაუგონ ერთმანეთს“.

ავტორისეული თარგმანი აფართოებს არა მარტო ავტორი-ბილინგვის, არამედ მკითხველის მენტალურ შესაძლებლობებსაც. ის თავისუფლად უნდა ორიენტირებდეს ორივე ენობრივი კულტურის სტიქიაში. ავტორი-მთარგმნელი საკუთარ მკითხველს „მსოფლიოს მოქალაქედ“ აქცევს, რომელსაც შეუძლია სწორად გაიგოს ის კულტურული არტეფაქტები, რომელთაც აწყდება კითხვისას, მაგრამ არ მიეკუთვნება მის კულტურას. მკითხველი, რომელიც არ იცნობს მწერალ-ბილინგვის მშობლიურ ენას, იწყებს მის ირგვლივ არსებული კულტურული არეალის აგებას.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორენოვნება ეს არის ხსნა ნებისმიერი სიტუაციიდან და მწერლის კრიზისიდან გამოყვანის საშუალება. „როდესაც საკუთარი თავი არ მომწონს რუსულად, როდესაც თითქოსდა ამოვწურე გამოთქმის, გამოხატვის საშუალებები, მე გადავდივარ მშობლიურ ყაზახურ ენაზე და თითქოს შემდეგ შევდივარ საკუთარ სტიქიაში და ამ ენაში თითქოსდა თავიდან ვიბადები“ (2, 25).

უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებისას პრაქტიკულად შეუძლებელია კონტაქტი ერთი ენის ფარგლებში, ასეთ პირობებში ორენოვნება უკვე აქტუალურ დატვირთვას იძენს. შემოქმედებითი ბილინგვიზმის საგანი ინტერესის სფეროა არა მარტო მეცნიერთათვის, არამედ არანაკლებ საინტერესოა ორივე კულტურის ენის მატარებელთათვის. საინტერესო ფაქტია, რომ ბილინგვიზმი და მულტილინგვიზმი ხდება თანამედროვე ადამიანისა და კულტურის ერთ-ერთი მახასიათებელი თვისება.

ვლადიმერ ნაბოკოვი და ჭაბუა ამირეჯიბი გამორჩეული ბილინგვი ავტორი-მთარგმნელები არიან, რომლებმაც საკუთარი სიტყვა და კვალი დატოვეს თანამედროვე ბილინგვალურ სამყაროში. ცოტაა მწერალი, ვინც ასე კარგად შეითვისა სხვისი, სხვა ერის კულტურა, მაგრამ როგორ კარგადაც არ უნდა წერდეს ის ინგლისურად ან ნებისმიერ სხვა ენაზე, ის, უპირველეს ყოვლისა, მაინც ეროვნული მწერალია.

ვლ. ნაბოკოვის შემოქმედებითი სამყარო ძირითადად ეფუძნება რუსული კულტურის მენტალიტეტსა და ტრადიციებს, მაგრამ, ამავე დროს, თითქოს, დაკრავს დასავლეთ ევროპის გავლენა, კონკრეტულად კი – გერმანული და ფრანგული

კულტურისა, აქ შეიმჩნევა ორი ძირითადი პროცესი: 1) მწერლის ბილინგვიზმი გვევლინება როგორც საშუალება, რომ მწერალმა შეინარჩუნოს თავისი მშობლიური კულტურული წარმომავლობა ინგლისურ ენაზე მუშაობისას; 2) მისი ინგლისურენოვანი შემოქმედება გვევლინება რუსული კულტურის სხვაგვარი ყოფიერების ფორმად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედებითი გზა, განსხვავებით ვლ. ნაბოკოვისგან, სუსტად თუ აირეკლავს სხვისი, უცხო კულტურის გავლენას. თარგმნისას მან თითქოს მთელი საკუთარი „მე“ ჩაღო მცდელობაში, რომ ის „და-თა თუთაშხია“, რომელიც საკუთარი ეროვნული მკითხველისათვის მისაღები, „წაკითხვადი“ აღმოჩნდა, ისეთივე დატვირთვის მქონე ყოფილიყო უცხო ენის მკითხველისათვის.

მწერლის ბილინგვიზმი ასევე გვევლინება ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ტრანსლაციის საშუალებად უცხო კულტურაში.

ვლ. ნაბოკოვის მხატვრული სამყარო როგორც ერთიანი სისტემა იფინება და ყალიბდება რუსულენოვან შემოქმედებაში და დაფუძნებულია რუსული კულტურის მენტალიტეტსა და ტრადიციებზე.

„ლოლიტასთან“ ბევრი ჭორი და კამათია დაკავშირებული. ზოგიერთი მიიჩნევს (ა. ბიტოვი, ე. ვეტუშენკო), რომ ეს ნაწარმოები საერთოდ არ უნდა მიეკუთვნებოდეს ნაბოკოვისეულ სამყაროს, იმ სამყაროს, რომელსაც ჩვენ ასე თუ ისე ვიცნობთ, რომ ეს მხოლოდ მცდელობაა აიძულო დასავლეთელი მკითხველი წაკითხოს ყველა მისი ნაწარმოები. მაგრამ, ვფიქრობთ, რომანი საკმაოდ „ნაბოკოვისეულია“ და მთავარი გმირები რომანიდან ქრებიან ზუსტად ნაბოკოვისეულად (3, 367).

უნდა აღვნიშნოს, რომ შემოქმედი ბილინგვის საქმიანობის პრინციპი ისევე მთლიანია, როგორც სინტაქსური კონსტრუქცია. ის ფორმალურად მიეკუთვნება ერთ მოსაუბრეს, მაგრამ რეალურად მოიაზრებს ორ დიალოგურ ურთიერთობას.

ორი სუბიექტის დიალოგს ერთ ცნობიერებაში მივყავართ ორი სხვადასხვა სისტემის ენობრივი ერთეულების სემანტიკურ მახასიათებლებამდე. ის, რაც წყარო ენაში (ჩვენს შემთხვევაში, ქართულში ან რუსულში) გამოხატულია იმპლიციტურად, სამიზნე ენაში შესაძლოა ექსპლიციტურად იყოს გამოხატული ან პირიქით. მწერალ-ბილინგვის პრიორიტეტი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისთვის ცნობილია ორივე კულტურის სამეტყველო საშუალებების აღწერის ხერხები და მისთვის გადმოცემის საშუალებები უფრო მარტივია, ვიდრე მწერალ-მონოლინგვისთვის იქნებოდა ეს. შესაბამისად, თუკი მწერალი-ბილინგვი წერს ორ ან მეტ ენაზე, მაგალითად, როგორც ჭაბუა ამირეჯიბი ქართულად და რუსულად, ან ვლ. ნაბოკოვი რუსულად, ინგლისურად და ფრანგულად, მათ აზრის გამოხატვის უფრო განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე იმ მწერლებს, რომლებიც წერენ მხოლოდ თავიანთ მშობლიურ ენაზე. ერთ შემოქმედებით ცნობიერებაში ორი მთლიანის – ორი ენობრივი კულტურის შერევა და ურთიერთქმედება აუცილებლად წარმოქმნის რაღაც ახალს – ტექსტს. ერთი ენის კულტურა, ეხება რა სხვა ენის კულტურას, აკოპირებს მას, გადის ადაპტირების პერიოდს და წარმოიქმნება ახალი პროდუქტი ტექსტის სახით, რომელშიც აღწერილია „უცხო“ ეროვნული სახე საკუთარი კულტურის გათვალისწინებით და ამ დროს უკვე წარმოიქმნება სამყაროს სურათი.

ავტორისეული თარგმანი თავისუფლად ორიენტირებულია ორი ენობრივი კულტურის სტიქიაზე, ორ ლიტერატურულ სტილზე. თარგმნისას ზოგიერთ ენობრივ სისტემას მთარგმნელი არ უნარჩუნებს აფორიზმულობას, ლაკონურობასა და გამომსახველობას, ზოგიერთი რეალია, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ერთი ერისათვის (ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო საგნები, ნათესაობის აღმნიშვნელი

რეალიები და ა.შ.) იცვლება იმ კულტურული რეალიებით, რომლის ენაზეც მიმდინარეობს უკვე ტექსტის თარგმანი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთარგმნელი ანგარიშს უწევს მკითხველს იმ მხრივ, რომ გარკვეულ სიტყვას ან ფრაზას, რომელიც მის მშობლიურ ენაში არ არის, უკონკრეტებს სხვა სიტყვის ჩანაცვლების ხარჯზე, ან რემარკების საშუალებით (ჭაბუა ამირეჯიბის შემთხვევაში) ხდება მკითხველისათვის პირველადი კულტურის მატარებელი ტექსტის გაცნობა, მაგ: *She wore a plaid skirt, blue jeans and sneakers* (გვ. 40) – *Она была в клетчатой рубашке синих ковбойских панталонах и полотняных тапочках* (გვ. 73); *მას უჯრედებიანი პერანგი, კოვბოური ლურჯი შარვალი და ტილოს ფლოსტები ეცვა* (გვ. 48). – *Seventh-grader enjoyed her green-red-blue comics* (გვ. 42). – *Третьеклассница молча наслаждалась зелено-красно-синими сериями рисунков* (გვ. 75) – *მესამეკლასელი გოგონა ტკბებოდა ნახატების მწვანე, წითელი, ლურჯი სერიებით* (გვ. 50).

მაგრამ საინტერესო ფაქტს ვაწყდებით ჭაბუა ამირეჯიბისეულ „დათა თუთაშხიას“ რუსულ მისსავე თარგმანში, როდესაც ავტორი-მთარგმნელი, განსხვავებით ვლ. ნაბოკოვისგან, არ ცვლის ეროვნულ რეალიებს და უცხო კულტურის მკითხველს დამატებითი განმარტებების საშუალებით უხსნის, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის რეალია: თვისთა ჭაბუკი პირმშვენიერი და რაინდი კეთილადნავი – თუთაშხა. – *И был судьей над народом и правил им Туташха*<sup>1</sup>; *აბრაგის ცხოვრებას ეხებოდა ნაწერი. – Это была повесть из жизни абрага*<sup>2</sup>; *ამიტომ საძოვარზე დათა თუთაშხიას ფაცხა უღვას. – Поэтому на пастбище у Туташхиа стоит пацха*<sup>3</sup>; *ოდა-სახლს. – Оду*<sup>4</sup>; *Гул кругом, будто Амирани*<sup>5</sup>.

მაგალითების განხილვის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ორივე მწერალი – ვლ. ნაბოკოვი და ჭაბუა ამირეჯიბი შემოქმედებითი ბილინგვები არიან, მათ შორის იგრძნობა დიდი განსხვავება: ვლ. ნაბოკოვი მაინც კოსმოპოლიტი მთარგმნელის როლში გვევლინება, საკუთარი ამერიკული „მე“ გააცნო მშობლიურ რუსეთს, მშობლიურ მკითხველს, მაშინ როდესაც ჭაბუა ამირეჯიბი პატრიოტი მთარგმნელის როლში რჩება, რემარკების საშუალებით ცდილობს მეორადი ენის მკითხველამდე მიიტანოს საკუთარი კულტურა, ეროვნულ-კულტურული კომპონენტები, როგორებიცაა: ოდა, დადიანები, აბრაგი, თუთაშხა.

თარგმანის პროცესში ავტორს (იგივე მთარგმნელს) შეაქვს ტექსტში ახალი დეტალები, დამატებითი განმარტებები, რაც ტექსტს კიდევ უფრო მხატვრულს ქმნის, რაც იძლევა ფუნქციონალურ და სტილისტურ ბიძგს. ავტორი-მთარგმნელის წინაშე დგას ამოცანა, ადეკვატურად შექმნას საკუთარი კულტურის ხატი სათარგმნ ენაზე, ამის საშუალებას კი იძლევა სისტემათა ის ხერხები, რომლებიც ჩადებულია ყოველი ენის კოდში.

ავტორისეული თარგმანი ქმნის ახალ ტექსტს, რომელიც მიეკუთვნება ერთ რომელიმე ეროვნულ კულტურას და აღწერს უცხო, ახალი კულტურის მახასიათებელ ელემენტებს. ვლ. ნაბოკოვისა და ჭაბუა ამირეჯიბის ტექსტებზე მუშაობისას კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ფაქტი, რომ ავტორები თავს არ არიდებენ თარგმანში

<sup>1</sup> Главенствующий бог в грузинском языческом пантеоне.

<sup>2</sup> Человек вне закона, скиталец, преследуемый властями, борец за справедливость.

<sup>3</sup> Жилище, сплетенное из прутьев орешника.

<sup>4</sup> Западногрузинский дом на сваях.

<sup>5</sup> В грузинском фольклоре – Прометей.

დამატებითი სიტყვების ან განმარტებების შემოტანას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ნათარგმნი ტექსტი უცხო კულტურის მატარებელი მკითხველისათვის იყოს ისევე „წაკითხვადი“ და ახლო, როგორც ის ორიგინალი ტექსტის მკითხველისათვისაა.

ვლ. ნაბოკოვის და ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედების დიდი ნაწილი აგებულია მოულოდნელობის ეფექტზე. აღნიშნული ლიტერატურული ხერხის გამოყენებას განაპირობებს იმის რწმენა, რომ გარეშე შესედულება ამა თუ იმ ადამიანის ბუნებაზე და თვით ადამიანის არსებაში დაფარული ვნებათა დიაპაზონი ხშირად დიამეტრულად განსხვავდება ერთმანეთისგან. მათი თხრობის განუყრელი კომპონენტებია საინტერესო სიუჟეტი და თხრობის დინამიკურობა, მახვილი თვალით დანახული წვრილმანი და ოსტატური შტრიხებით მოხატული საერთო ფონი, სერიოზულ ტონთან შეზავებული მსუბუქი იუმორი.

#### **ლიტერატურა:**

1. ამირეჯიბი ჭ., დათა თუთაშხია, გამომცემლობა „თეთრი გიორგი“, სიღნაღი.
2. Амирэдживи Чабуа, Дата Туташхиа, Тб., 1997.
3. Кулжанова Кулэ Р. Кентавр казахской культуры. Ал-маты, 2001.
4. Набоков Вл .Лолита. Азбука-классика, 2004.

### ***Thea Zoidze*** ***Translation of National-cultural Traditions in the Authorial Translation*** **Summary**

Despite the fact, that there is a universal model of mankind phenomenon, the languages still differ from each other and that difference is outlined by the difference which exists in socio-cultural situation. It means that there is no principle difference between language systems, they still reflect social-psychological style of the bearer language and the concrete specific system is reflected by that moment. Bilingualism and especially creative bilingualism is that very exhausting topic, which is the subject of interest of many scientists. Creative text is still less studied linguistic object.

### **Тея Зоидзе** ***Трансляция национально-культурных традиций в авторском переводе*** **Резюме**

Билингвизм, особенно творческий билингвизм – неисчерпаемая тема для исследований. Творческий текст был и остается одним из самых интересных объектов исследования с точки зрения лингвистики. Данная статья посвящается трансляции национальных культурных традиций в авторском переводе.



**ლუარა სორდია**  
(საქართველო)

**დემონი და მისი ვარიაციები გალაკტიონის პოეზიაში**

ათეისტურ ეპოქაში ღმერთის ადგილს ცრუ ბელადები, ტირანები და დიქტატორები ეპოტინებიან, იქმნება კერპები, რომელთაც ატყვიათ დემონური ბეჭედი, დალი აქვთ „სატანური შეთქმულების წევრობის“.

დემონი მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა გალაკტიონის პოეზიაში. ერთ-ერთი გაგებით, იგი გენიალობის იდენტურია (1, 63-73).

ამჯერად გვანტერესებს დემონურის ბოროტეული არსი, ვინაიდან პოეტების მეფის შემოქმედებაში ჭარბად გვხვდება დემონის ვარიაციები: სატანა, მეფისტოფელი, ლუციფერი, ბელზებელი.

ირკვევა, რომ „ცეცხლის ენებით“ დაფარულ დროში, საწამლაგებით, შეჩვენებით, ჯოჯოხეთური ცეცხლით გამორჩეულ ეპოქაში სატანას უხმობენ ტოტალიტარული სახელმწიფოს მესვეურები, რათა ბოროტი ძალის დახმარებით მეტი განადგურება აწვნიონ ადამიანებს: „არ არის იგი იმდენად ტკბილი დრო, დაფარული ცეცხლის ენებით, მაგრამ არც ისე მწარე აქვს კბილი საწამლაგებით და შეჩვენებით. მან შეაჩვია სოფელს სატანა, ჯოჯოხეთური ალი ქურების, რათა შემდგომში შესძლოს ატანა უფრო საშინელ განადგურების“ („არ არის იგი იმდენად ტკბილი“) (2, 245).

ლექსი დაწერილია 1917 წელს და ჩანს უტყუარი განჭვრეტა იმისა, თუ ვინ მოვა ქვეყნის სათავეში.

1920 წელს პოეტს ისევ სატანის ხილვა არ ასვენებს. სიკვდილის აჩრდილი, ჩონჩხები, „შავი წიგნი“, ღამის ღირიჟორი სატანა აემგზავრება, მისი მოვლინების შედეგი კი სიკვდილია, ყვავილების (ყვავილები ღმერთის სიმბოლური სახელია) „გადათიბვა“: „რას მოელიან ვარდები რგული? ყვავილებს თიბავს ელვათა ცელი. თენდება: ქარმა წაიღო გული და ათას ცხრაას მეოცე წელი“ („მაგიდა აღეშობიკებით“) (3, 186).

1921 წელს იწერება ტოტალური უბედურების მომასწავებელი ლექსი „ბრმა ცალი თვალით“, რომელშიც პოეტმა მთელი საუკუნე მიგნებულად მონათლა მეფისტოფელის სახელით. მეფისტოფელი არის გოეთეს „ფაუსტის“ ბოროტი და მაცდური სულის სახელი, რითაც გალაკტიონმა მიანიშნა არა სიკეთეში გარდამავალ ბოროტებაზე, არამედ ცალსახა უკეთურობაზე, ცბიერებაზე, სიმკაცრეზე: „მან დაიბრმავა ეს თვალი განგებ და ამნაირად გახდა ცბიერი, მეორე თვალში არის განგება, მეტი სიმკაცრე და სიძლიერე. უმარულიან დენათა შორის, მწარე დაცინვით მათი მგმობელი, იგი ტრიალებს, ვით თვალი ქორის, ეს საუკუნე – მეფისტოფელი“ (3, 189).

გალაკტიონი შეძრული იყო მეფისტოფელური საუკუნის უსამართლობით და ბოლომდე ამხედდა მას.

1921 წელს პოეტმა „მარაოებით მოსიარულე მეფისტოფელი“ უწოდა („პოეზია უპირველეს ყოვლისა“) (4, 17).

მიუხედავად იმისა, რომ მზის (ქრისტეს), „მარადი ჭიქის“ (მარიამის) მოტრფივალე იყო პოეტი, მაინც დემონი მიუხმობდა „სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით“ („მზის სადღეგრძელოს“) (1921 წ.) (5, 221).

„ფაუსტში“ მეფისტოფელის დევიზი იყო: „გაემგზავრე არსებულს იქით“ (6, 555).

1922 წელს უკვე აშკარა იყო ეროვნულ უბედურებათა მთელი სერიალი: დამოუკიდებლობის დაკარგვა, უაზრო მსხვერპლი, სისხლი, ცხედრები, შავი ლუციფერი, რომელმაც დიდი ხნით წაშალა ნაზარეველის ნაკვალევი და პოეტს ძილშიც არ ასვენებდა ბოროტი სულის საკუთრებად ქცეული სამშობლო, „გზა, დაფენილი მსხვერპლით, ცხედრებით და სისხლით სველი. გზა, სასიკვდილო გადათეთრებით, სამშობლო შავი ლიუციფერის. ჩვენ მწუხარებამ დაგვიძმობილა ღამის ტყე-ველი, არასდროს ჩვენთან აქ არ ყოფილა ნაზარეველი“ („სამშობლო შავი ლიუციფერის“).

არც 1923 წელს იცვლება განწყობილება, რადგან სიავის დროშით მოვლენილია ტოტალური „ქარი ჩრდილოის“, „წითელი ქარი“ („მოგონებები“).

მერაბ კოსტავა კონსტანტინე გამსახურდიას „წითელ გრიგალთან“ მებრძოლად სახავდა („გამოსათხოვარი“) (7, 135).

პოემაში „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ უდაბურებაა, გამხმარია ჩინარი, ყოვლისწამლევანი გრიგალი თარეშობს; „ფშანებში ჩამპალი ჩაღის ღერები, მდინარის პირად გამხმარი ჩინარი, უდაბური ადგილი ნავის, შუა კერასთანაც ცეცხლიანი გრიგალი, სახურავებზეც ქარი“ და პოეტი სასოწარკვეთილი კითხულობს: „საქართველოა ეს მთა და ბარი თუ ის არ არის? სინამდვილეა ეს თუ ზღაპარი?“

უდმერთობა, უმწეობა ათქმევინებს: „სიცოცხლე არ ღირს უშენოდ არად...“

რევოლუცია მშვიდობას ნგრევას უპირისპირებს, მოაქვს ტოტალური ტრაგედია, დევების, დემონების თარეში: „ადვილებს დევებს დემონის ქაფი, გრიალებს ქარი... ცას სისხლისფერი მოედო ლუქი, გრიალებს ქარი, დაწეწილია აფრათა ძაფი, გრიალებს ქარი“ („გრიგალი“).

„ოცნება გულგაპობილი“, „ბედის მღვრიე ტბორი“, „მზის ჩასვლა ღრუბლებში და ისევ ქარი“ გვაგრძნობინებს უნუგეშობას.

ლექსში „დაბრუნდა გრძნობა და სისადავე“ (5, 202) „დემონმა აალაშქარა უდაბურება და ღრიანკალი“.

ბნელზე ბნელი ღამეა ბელზებელის საუფლო: „ღამე ბნელზე ბნელი მისდევს უდროობის, როგორც ბელზებელი – ქარებს უსადარესს“ („შენ და შემოდგომა“) (3, 180).

ღამეს მოჰყვება დემონი, რომელსაც მოაქვს „ახალი ქაოსები“, დაღლილი და დაფლეთილი სული, უშინაარსო და უდაბური გზები: „გასწიე! ღამე ეშვება ზეწრად, მწარედ შრიალებს ტყეთა კალთები, მახლობელ დემონს იგრძნობ უეცრად და შიშის რდილით აკანკალები“ („იარე, კაცი შენ არარ გქვიან“) (1925წ.) (5, 146).

„ყრუ დედამიწა“ უცხოობს მშობლიურ ხმებს, მხოლოდ იმედის იავარმქმნელი სატანაა ირგვლივ, სიკვდილის სამეფოსკენ მომწოდებელი: „უბედურ საათს არვინ დაგიცავს, არავინ მეტყვის მშობლიურ ნანას, მაგრამ გახედავ ყრუ დედამიწას და მოიგონებ შენ შენს სატანას. იმედი, შენი ბრძოლის საგანი, გატაცებაა დაუდგრომელის. მოღუშულია შენი საკანი: სხვა რა, სიკვდილი მხოლოდ მოგელის“ („უბედურ საათს არვინ დაგიცავს“) (6, 41). ლექსი დაწერილია 1927 წელს.

ლექსში „რისთვის“ დემონი სასიცოცხლო ძალას აცლის და ცინიკურად დაჰხარხარებს თავის მსხვერპლს: „... ჩემივ დემონი ხარხარებდა ჩემსავ მახლობლად, თუნდაც მოკვდო, გატაცებით დაიხრიალა, გამომაცალა სასიცოცხლო გრძნობა და ძალა“ (2, 288).

დემონი „სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით“ მოუწოდებს გამუდმებით („მზის სადღეგრძელოს“) (3, 190).

„უბედური საათის“, სიკვდილის შემამზადებელია სატანა („უბედურ საათს არვინ დაგიცავს“). სატანის მოვლენილი „ვიდაც მახინჯი“ სიკვდილის შიშს თესავს



და შავი დღის ბადეში შეჰყავს ცხოვრებაზე შეყვარებულნი („ედგარი მესამედ“) (2, 165). ასე იქმნება მიღმური სამყაროს მკვიდრთა „ახალი მოსახლეობა“.

ანგელოზი კეთილია და აკენის დამრწვევი, დემონი – სიკვდილის მომტანი: „თუ ანგელოზი გირწევდა აკვანს, შემდეგ დემონად მოვა სიკვდილი“ („ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა“) (2, 398).

ისევ სრული უიმედობა დააფიქსირა პოეტმა რეალური ვითარების ანალიზიდან გამომდინარე.

1927 წელს იწერება „ეს შეღამება“, რომელიც გვამცნობს: „... და გასაგონად: მსოფლიო, წყნარად! იქ ნანგრევებად იქცა სოფელი, დიდი ხანია იქცა არარად და დახარხარებს მეფისტოფელი“ (2, 323).

ლაჟვარდებთან არა ანგელოზი, არამედ ისევ ლუციფერი იღანდება („თქვენ გართობდათ“) (1927 წ.) (2, 323).

ადამიანებმა ვერ შეიფერეს „მზე კონებისა“ (ჰემმარიტი ღმერთი) და ბნელი დემონების ქვეყანაში ისურვეს ცხოვრება, რის გამოც სიკვდილის შემდეგაც მათ სულს ლუციფერი – ეშმაკი დაეპატრონება: „ვერ გაიგონეს თქვენი მხნე ნანა, ვერ შეიფერეს მზე კონებისა და მოგესიზმრათ ისევ ქვეყანა, ქვეყანა ბნელი დემონებისა. მოკვდებით, ბნელი იქნება თოვა, რომ თქვენი გრძნობა ვერ შეიფერეს და სამარესთან ვინც კრძალვით მოვა, იქნება ლანდი ლიუციფერის“ („ვერ გაიგონეს“) (1927 წ.) (2, 332).

დემონი სულელებზე ნადირობს, სიკვდილის აჩრდილების მოვლინების დიდოსტატია, ჭიანურს, სამარის ლოდს ახმიანებს და ადამიანურს ემტერება: „მას მოეჩვენა, რომ ეს ხმაა სამარის ლოდის, თითქო დემონი უკრავს ჭიანურს, რადაც აჩრდილი ქვეყანაზე მიდის და მოდის და ახშობს წყურვილს ადამიანურს“ („სხვისი სისპეტაკე უფრო აგიუებს“) (1927 წ.) (2, 333).

გოეთეს „ფაუსტში“ მეფისტოფელი „ცეცხლის ხატებაა“ (6, 560), ეს არის არა განმანათლებელი, არამედ შემწველი, გამანადგურებელი ცეცხლი.

გალაკტიონი სიბნელეში გესლს, ყველაფრის გაუფასურებას, დემონის პროფილში ცეცხლს ჭერეტს: „საშინელება, სიბნელე, გესლი, დემონიური ცეცხლის პროფილი“ („ქვეყანა გაცვდა“) (5, 810).

„მლოცველი“ სატანის სახეა – „ალოცება სატანის“ („გვიანი ოცნება“) (2, 57).

დემონთან წილნაყარი ადამიანი სულდაკარგული ცოცხალი ლეში ხდება, რომლისთვისაც სულერთია ყველაფერი: „შავ დემონს მივე ფრთა მოტივტივე და ყველაფერი ერთია ჩემთვის“ („სხვა ყველაფერი“) (3, 136).

ამიტომ მიზანი ხდება დემონთა დავიწყება: „... მხოლოდ დემონთა დავიწყება ეძებს სამყოფელს, ყოველივესთვის იყოს იგი სამაგიერო“ („შენ და შემოდგომა“) (2, 180).

დემონივით თავზე ადგა პოეტს „ცილისწამება ავი ზმანებით“, აწვალებდა თბილისი „სავსე გახელებული ინტრიგანებით“, „ზვაგი გაიძვერათა, ჭორით და ენის მიტან-მოტანით“ („თუმცა დემონივით დამადგა თავზე“) (3, 263).

სიკვდილის პირად პოეტი დემონებს თხოვდა ყველა წიგნის დახურვას, და მხოლოდ ერთთან, უზენაესთან ზიარება ენატრებოდა („სიკვდილის პირად“) (5, 576).

ცხოვრებისაგან განაწამებ პოეტს „მხეცი“ „წერტილს ტყვიისას“ – თვით-მკვლევლობას სთავაზობდა და ზოგჯერ თვითმკვლევლობის დემონი ისადგურებდა სულში: „ჩემი ტვინი დაიღალა გამოცანებით, ჩემი სხეული დაიღალა სიცოცხლით, იდეა სიკვდილის, რომელიც განადგურებას ნიშნავს, ჩემთვის ტკბილია. მე მიხარია, რომ ჩემივე საკუთარი ნებით შემიძლია შევაჩერო ეს მოუსვენარი გულისცემა, ეს აღელვებული და მხურვალე სისხლი, ეს მტანჯველი ტკივილი ნერვების. მე ახალ-

გაზრდა ვარ, მაგრამ სურვილი არსებობისა არა მაქვს, მე ვერაფერს ვერ ვხედავ, ჩემი დემონის ცეცხლოვან თვალების გარდა“ (8, 575).

ბოროტი სულის თარეში გლობალურ მასშტაბებს იძენდა და „კოსმიურ სიცივეს“ აბატონებდა („ზამთრის დღეები“) (3, 376).

„სატანური შეთქმულების წევრებს“ „დემონური საშინელი ბეჭედი“ და ყალბი „ენამჭევრობა“ გამოარჩევდათ („ენა მშობლიურ მიწის“) (5, 417).

პოემა „ჯონ-რიდში“ სატანის სახეში არიან პერსონიფიცირებული რევოლუციის მესვეურები და სარწმუნოებრივი გადაგვარება სახეზეა: „ალ-დემონებად ქცევა ადამიანების. რუსი წმინდანის ეშმაკი ბავყ. სარწმუნოება გახდა სატანის. ლოცვა ისე დაეცა. შემოვლებული დროთა ხავსებით ხატი პილატეს დაემსგავსება, მისი ასეთი ცოდვით დამწვარი ჯოჯოხეთიდან მიმოდის ჯვარი. მისთვის ჯოჯოხეთური სამოთხე შენდება და შეიძლება, როს გათენდება, ედემის მსგავსი იგრძნოს ჯოჯოხეთი. უცებ გაჩნდა დემონი და ცეცხლს ფიჩხს უკეთებს. ტანით შუათანა მოგვდევს სატანა“ (5, 234).

„მშვიდობის წიგნში“ ჩვენს ქვეყანას თავზე ადგა სატანა, რომელსაც აფრთხილებს პოეტი: „აქ ყოველ ეშმაკს უჯობს მოეშვას თვის სათარემოს და სანავარდოს“ (9, 239).

უბედურ დროში ადამიანები დემონთან სისხლით დებენ ხელშეკრულებას: „ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი, ვინ იწყევლება და იკრულება? მე, ის, დემონი, შენ ჟრუანტელი, ჩვენ სისხლით დავდეთ ხელშეკრულება“ („ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი“) (2, 121).

ფაუსტიც მეფისტოფელთან სისხლით აგვირგვინებს ხელშეკრულებას: „ქაღალდის მცირე ნაჭერიც კმარა, შენ ხელს მოაწერ მას სისხლის წვეთით“ (6, 153).

გალაკტიონს სჯეროდა, რომ დემონის მეუფება დროებითი იყო, ამიტომ „როცა დაწინარდა ქარი დელვათა, უცებ აენთო ყველა სანთელი“ (2, 121).

„დროთა სიკვდილს“ მოჰყვა დემონის აღზევება, მაგრამ ბედისწერის ძალით, ისევ აენთებოდა სიყვარულის, სიკეთის, მშვენიერების, რწმენის სანთელი, იმედოვნებდა პოეტი.

დემონი ემტერება სიკეთეს, მშვენიერებას, მოსვენებას უკარგავს „ბრძოლის რიტმი, მუსიკა“, „აღის ჭიქა“, „ლურჯი ედემი“ (დაბმული ჭინკა) (2, 590).

ალი, ცეცხლი – ქრისტეს სიმბოლოა (10, 121), ჭიქა, ედემი – მარიამის (10, 124).

ბოროტ სულს აკრთობს სიკვდილის (თავის ქალის) დამმარცხებელი სიმღერები, წიგნები, პოეზია: „და ორნამენტით აკრთობდა დემონს იმ მშვენიერი წიგნების ძალა, წიგნთა ყოველთა მაშინდელთ ზემო ვარდით მორთული ჩნდა თავის ქალა“ („ვარდები“) (5, 537).

გოეთეს „ფაუსტშიც“ მეფისტოფელს ეშინია ორნამენტის და ვირთხას სთხოვს, გაუხსნას ორნამენტის კუთხე, რთა ჰქონდეს შესაძლებლობა ფაუსტის ოთახი დატოვოს.

„ბინდის სტუმარში“ გალაკტიონის ლექსის მარტოობით დატანჯული პერსონაჟი „ახალი მხარით“ ცდუნდება, მერე კი აღმოაჩენს, რომ „ჯადოთა შიშველ-ტიტველ მხარეში“ მოხვდა და ნიკოლოზ ბარათაშვილივით შესძახებს ბოროტ სულს: „წყეულიმც იყავ!“ (3, 130).

გალაკტიონი დარწმუნებული იყო, რომ დროებით მოხდა დემონის აღზევება და იგი ცაზე ვარსკვლავის (დმერთის) აელვარების იმედით ცხოვრობდა: „ვარსკვლავი იგი, ფიქრთა საგანი, ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი აელვარდება ცაზე ოდესმე – სულო, დემონზე უბოროტესო!“ („ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“) (2, 212).

იოანეს გამოცხადებაში ღმერთის ბრძანებით ანგელოზმა ათასი წლით შეკრა ეშმაკი და უფსკრულში ჩააგდო (გამოცხადება, 20, 1, 2, 3) (12, 516).

წიგნთა წიგნის სიბრძნეს ნაზიარები ქართველი პოეტი კარგად ერკვეოდა სიკეთე – ბოროტების ბრძოლის საიდუმლოებაში.

პოემა „მშვიდობის წიგნში“ საქართველოს მტერი სახელდება, როგორც ავი ზრახვების ქაჯი, სატანა: „აქ შავი შავზე, ფიქრებით ავზე მიდამოს თავზე ადგა სატანა“ (9, 239).

დემონი, ლუციფერი, ავი სული გალაკტიონის პოეზიაში მხოლოდ გარეგნული ძალა როდია, იგი სულში ეძებს ბინას და მისი მიზანი ადამიანის არსებიდან „უმანკო ნათელის“ განდევნა, ღმერთის ადგილის დაკავებაა.

ლექსი „სასწაულს“ (1919 წ.) დემონური ძალისა და კეთილი საწყისის ურთიერთჭიდილის სიმბაფრეს ეხება.

ბოროტი ძალა სულში ჩასახლებულა მძვინვარე ლუციფერის სახით.

გალაკტიონის შემოქმედებას ახასიათებს კონტრასტი: ნათელი და ბნელი, კეთილი და ბოროტი, ქრისტე და სატანა.

თუ როდის ხდება სიკეთე ბოროტების წილხვედრი, ამაზე „ბინდის სტუმარში“ გვესაუბრება პოეტი: „... ახალი მხარე, ახალი ბინა, ჯადოთა მხარე შიშველ-ტიტველი მე მარტოობამ შემამჩნევინა“.

„სასწაულის“ ღირიკულ გმირს შეცნობილი აქვს ლუციფერის არსი და მისი ძალისხმევით ბოროტი სული მრისხანე ვეფხვივით დაკოდილი და მიძინებულა: „შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ-ცოდვილს, ლიუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს, ლიუციფერს, მრისხანე ვეფხვივით დაკოდილს და ესლა მძინარეს“.

ჯოჯოხეთია ლექსის ღირიკული პერსონაჟის თვალში, ხელებიც ბოროტებისთვის გარჯილან, მაგრამ გონსმოგებული სინანულით შეპყრობილია, შენდობას ითხოვს, ებრძვის, მიასიკვდილებს ბნელ ძალას, განწმენდის სურვილს ავლენს, განწმენდის უნარით მომადლებული კი ღმერთია, რომელსაც „უმანკო ნათელისა“ და „სასწაულის“ სახელებით მოიხსენიებს პოეტი: „შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ჩემს თვალებს, შეუნდე ჩემს ხელებს, ბოროტად დადალულს, მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს, მე ველი სასწაულს“ (2, 162).

ნათელი ღმერთის სახელია: „მე ნათელი ვარ წუთისოფლისა“ (იოანე, 8, 12) (12, 195).

სასწაული ძველი აღთქმის წიგნებში მრავალგზის ფიგურირებს უფლის სახელად.

მივმართოთ ფსალმუნს:

„დიდი და სასწაულმოქმედი ხარ, შენ ხარ ღმერთი ერთადერთი“ (ფს. 85-85,10).

„მოუთხრეთ ერს მისი ღირსება, ყოველ ერს მისი სასწაული“ (ფს. 95/96, 3).

„უგალობეთ უფალს ახალი აღთქმა, რადგან სასწაულები მოიმოქმედა“ (ფს. 97/98, 1).

„მოიმოქმედე ჩემს მიმართ სასწაული სასიკეთო, შემეწირე და ნუგეში მეცი“ (ფს. 85/86, 17).

„გადიდებ უფალო, ვილაპარაკებ შენს სასწაულებს“ (ფს. 9, 2).

„აქეთ იგი, ილაპარაკეთ ყოველ მის სასწაულზე“ (ფს. 104/105, 2).

„გაიხსენეთ მისი სასწაულები, საოცრებანი“ (ფს. 104-105, 5).

სასწაულის სახე გვხვდება წინასწარმეტყველ მიქასთან: „გაჩვენებ სასწაულებს, როგორც იმ დღეებში“ (მიქა წინასწარმეტყველი, 7,15).

დანიელის წინასწარმეტყველებაში ხაზგასმულია ღმერთის სასწაულები: „რაოდენ დიდია მისი ნიშნები, – რაოდენ ძლევამოსილია მისი სასწაულები“ (დანიელი, III,10).

„იგი შველის და იხსნის, სასწაულებს და ნიშნებს ახდენს ცაზე და დედამიწაზე“ (დანიელი, 6, 28).

დანტემ ღმერთი მოიხსენია, როგორც „სასწაული“ (13, 348).

გალაკტიონის ლექსში „ბნელცოდვილი ღუციფერის“ მძვინვარება დაამარცხა „უმანკო ნათელმა“ და „სასწაულმა“ (ღმერთმა).

ხშირად პოეტი თვალთმაქცური ღიმილის მიღმა სატანური სულის შხამს და გესლს ჭკრეტდა: „მე ვიცი სახე, რომლის ნაკეთებზე მხოლოდ სატანის სული კრთებოდა, შხამით და გესლით უბგერდა გული, იგი კი მაინც იღიმებოდა“ („ღიმილი“) (3, 143).

გალაკტიონს აღაშფოთებდა „მავენე ქვეყნის სული“, რომელსაც ხალხთა უბედურება უხაროდა და „სასიკვდილო არიას“ მღეროდა („ვილანელი“) (3, 312).

პოეტს არ გამოჰპარვია გველური ბუნების სატანა, რომელსაც პაციფისტის ნიღაბი ჰქონდა მორგებული: „... ისევ გველური მიპარებით იღება კარი და დემონით ამ ლექსების შემოდის გმირი“ („გაიცანით, პაციფისტია“) (5, 179).

უკეთური სატანები, დემონები ტყვიებს არიგებდნენ, რომ დედამიწაზე სიკეთისთვის ეძიებდნენ: „მან შეაჩვია თვის სულს სატანა, ალი ქურების, დემონიურად მიუძღვის ღამით რაზმებს ტყვიებით, რომ დედამიწას უჩვენოს ამით შურისძიება“ („მოგონება“) (2, 44).

პოეტი მომსწრე იყო დემონთა მიერ ორგანიზებული სამგლოვიარო ეტლების ფრენის: „დემონიურად მიუძღვის ღამით, სამგლოვიარო ეტლების ფრენას...“ („სამგლოვიარო ეტლების ფრენა“) (2, 36).

ბოროტების ქარის ორომტრიალში ბელზებელს ჭკრეტდა კიდით-კიდევ („ქარიშხლის შემდეგ“) (2, 128).

თითქოს, დემონს ეპყრა ჭიანური და ადამიანურ წყურვილს ახშობდა („სხვისი სისპეტაკე უფრო აგიუებს“) (2, 77).

პოეტი წინასწარმეტყველურად ჭკრეტდა იმპერიალიზმის საშიშროებას, რომელიც სატანური ცვლით ცდილობდა მიწაზე სიცოცხლის ათიბვას, სისხლიანი სამოსელის მორგებას: „მიწას კვლავ ეფინება იმპერიალისტური ომის საშიშროება, რათა სატანიური ცვლით მიწა ათიბოს, რათა ასისხლებული მხრები მოიქათიბოს“ („მიწას კვლავ ეფინება“) (5, 78, 512).

ეშმაკი გამუდმებით მახეს აგებს, მაგრამ „ალოცების“ პოზა უცხო არ არის მისთვის („გვიანი ოცნება“) (3, 57).

დაფიქრება და შეეჭვება ჩვევია ბოროტ სულს („საღამოვ, ვიცი“) (2, 57), მწუხარების ნიღაბს იკეთებს... („ვარ გენია რიმანელი“) (3, 265).

ხშირად კი, როცა იწყება „აგუგუნება დემონთა გუნდის“ სახეზეა „ნგრევა ღრუბლების, დაღეწილი ცა“ („ზღვის ეფემერა“) (3, 208).

ცა ღმერთის (10, 121), ღრუბლები მარიამის სიმბოლოა (11, 124).

ლექსით მინიშნებულია დემონური ძალების მიერ სარწმუნოების უარყოფაზე.

მთაწმინდის იქით უხილავს პოეტს ბნელი ჩრდილების „ღინგების გროვა“, დასისხლული მზე და ბოროტების აყვავება („შავი და ჩუმი დღის ყვავილები“) და უსასობის განცდა დაუფლებია („მთაწმინდის იქით“) (3, 127).

დემონები წარუმატებლობის, დამარცხების შიშს უნერგავდნენ: „მე დემონები ქროლვით მარადით მომაგონებდნენ დაფარულ შხამით, რომ უიმედოდ მივქროდი ღამით გატეხილ შუბით და მუხარადით“ („მაგრამ მე რა ვქნა?“) (3, 111).

გველისგან მოწამლული „ყვავილოვანი სიყმაწვილე“ და ქნარი ელეგიურ მოტივებს აძლევდა სტიმულს („ელეგია“) (5, 30-31).

პოეტი ნატრობდა დემონთა დავიწყებას: „...მხოლოდ დემონთა დავიწყება ეძებს სამყოფელს, ყოველივესთვის იყოს იგი სამაგიერო“ („შენს სიყმაწვილეს“) (3, 180).

საბოლოოდ, გალაკტიონი კი არ ემონებოდა, ამხელდა სატანას: „იყავ სატანა, იყავ დემონი!“ („ბინდის სტუმარი“).

ლუციფერთან ბრძოლაში „სასწაული“ – ღმერთი ეიმედებოდა და უსმენდა რა ლუციფერს, თან ბრძოლით ასუსტებდა, რითაც სიკვდილს და სიბერესაც ამარცხებდა: „ერუდ ვუსმენდი ლიუციფერს, ის ბრძოლაში მიგანელე, ვგმობ სამარეს და სიბერეს მე, გენია რიმანელი“ („ვარ გენია რომანელი“) (3, 389).

ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა „ცხოვრებასა“ და „ბელზებელს“ შორის იყო, რაც ერთ-ერთის გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო („გზადგზა“) (3, 445).

ცხოვრება, ყოფნა, სიცოცხლე ღმერთის სახელია: „მე ვარ გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ (იოანე, 14, 6) (12, 211).

ლექსში „დემონიური“ (5, 187) პოეტი გმობს სიცოცხლის – ღმერთის გარეშე ცხოვრებას: „არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე, შენ გაიარე სიცოცხლის ახლო... შენ გაიარე სიცოცხლის ახლო და სიცოცხლისთვის არ შეგიხედავს“ (სტანსები) (14, 508-509).

სამყაროში ყოველივე წარმავალია, სულისა და მშვენიერების გარდა, ლაჩრისთვის კი მხოლოდ სატანა არის უკვდავი: „არარა ჰგვიებს უკუნისამდე, სულ ყველაფერი მიდის და ჰქრება, ღრუბელს ამართულს უზრუნველ ცამდე იდუმალება არ ესიზმრება. მშვენიერებას უხმო სიკვდილი მოელის ქვეყნად, თან არ მოელის... შენთვის, ლაჩარო, უკვდავი არის ხმა სატანასი და სამოელის“ („დემონიური“) (6, 102).

„ადარ არსებობს იგი დემონი, ის ბრძოლით არის დასუსტებული, იქნება ძალას იკრებდეს ისევ, რომ დაუწეწოს მსოფლიოს სული“, – აცხადებს პოეტი.

სატანის, ბოროტის მძლეველი მხოლოდ სიყვარულის ღმერთია, რომელიც „ბნელეთის დემონს დაეჯახა, გაანადგურა და ქვეყნად ერთა სიყვარული დაასადგურა. ბოროტნი სულნი ხეობების იქით გარეკა, გამოცოცხლების, გაღვიძების ზარი დარეკა“ („სვანის დაბრუნება“) (14, 55).

გალაკტიონის შთაგონება ზღვასთან, უდაბნოსთან, დემონებთან იყო წილნაყარი: „ზრვას უდაბნოს და დემონებს ჩემი ბედისწერა შეეჩვია და სიმღერაც მხოლოდ მათთან სჯერა“ („ბედისწერა“) (5, 150).

მაგრამ „სიბრძნის დემონი“, დემონი, როგორც გენიალობის სიმბოლო, სხვა თემაა და მას სხვაგან ვეხებით (1, 63-73).

### **ლიტერატურა:**

1. სორდია ლ., გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, თბ., 1991.
2. ტაბიძე გ., თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ., 1993.
3. ტაბიძე გ., თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, ლექსები, თბ., 1988.
4. ტაბიძე გ., თხზულებანი 5 ტომად, ტ. V, თბ., 1995.
5. ტაბიძე გ., რჩეული, თბ., 1977.
6. გოეთე, ფაუსტი, თბ., 1961.
7. კოსტავა მ., შეწვევტილი ფიქრები, თბ., 1991.
8. ჯავახიძე ვ., უცნობი, თბ. 1991.
9. ტაბიძე გ., თხზულებანი 12 ტომად, ტ. XI.
10. მოსია ტ., საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
11. მოსია ტ., საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.
12. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
13. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ., 1941.
14. ტაბიძე გ., თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბ., 1994.

**Luara Sordia**  
*Daemon and its variations as a landmark of evil in the works of Galaktion Tabidze*  
**Summary**

Daemon is multi-valued nature in poetry of Galaktion Tabidze, one of them it is identical to the genius.

Personification of evil is Satan, Mephistophele, Lucifer, Beelzebub.

In atheistic era mentors of totalitarian state became friends with Satana. Galaktion deliberately named all XX century by name of Mephistopheles.

Galaktion deliberately named all 20 century by name of mephistophele.

In enslaved Georgia poet had the visions of the person of Lucifer, the demon, monster, stranger calling for death and suicide.

In the poem "John Rid" leaders of revolution are personificated in the face of Satan.

Galaktion as Baratashvili, Iliа Chavchavadze, Vaja Pshavela, fought all the forces against the demons and believed in the eternity of the soul.

**Луара Сordia**  
*Демон и его вариации, как эпохальное зло в творчестве Галактиона Табидзе*  
**Резюме**

Демон имеет множество понятия в поэзии Галактиона Табидзе. По одной из них оно идентично гениальности.

Воплощением злой сущности демоничного является Сатана, Мефистофель, Люцифер, Вельзевул.

В атеистической эпохе основатели тоталитарного государства братались с Сатаной.

Галактион находчиво окрестил мефистофелем весь двадцатый век.

В потерянной независимости Грузии поэту виделись лица Люцифера, Вельзевула, Демона, Дьявола призывающие к безуспешности, смерти, самоубийству.

В поэме «Джон Рид» в лице Сатаны персонифицированы вожди революции.

Галактион, как и Нико Бараташвили, Илия Чавчавадзе, Важа Пшавела, всеми силами боролся с Демоном и верил в вечность добра.



**ტიტე მოსია**  
(საქართველო)

**ბიოგრაფიული შარვაშიძის სემპა**

გიორგი შარვაშიძის შემოქმედებაში თავი იჩინა როგორც პირადულმა, ისე მსოფლიო სევედამ. ეს გამოწვეული იყო საზოგადოებრივი პირობების უმსგავსო ხასიათით, ჯვარცმულ სამშობლოზე დარდით, პირადი ცხოვრების უკუღმართობით, ამასთანავე, მსოფლიო სევედის გაცნობიერებით. მწერალს განწყობილებას უწამლავდა, ყოფიერებას უმწარებდა წუთისოფლის წარმავლობის განცდა, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა. ბიბლიურ-ქრისტიანული მოძღვრებით, სიკვდილის საფუძველი შეიქნა პირველშობილი ცოდვა. ღმერთის მიერ შექმნილი პირველი ადამიანების შეცოდებამ, ღმერთის მცნების შელახვამ სიკვდილს გაუღო კარები ამ წუთისოფელში. ადამისა და ევას შთამომავალნი შეგუებული არიან სიკვდილის მსახვრალ ხელს: „რამეთუ სიკვდილმან შემმუსროს მე, რამეთუ სახლ ყოველისა მოკუდავისა მიწად არს“ (იობი, 30, 23). ასე შემოდის ადამიანის შეგნებაში წარმავლობისა და ამოების განცდა: „რამეთუ ყოველითავე ამავე არს ყოველი კაცი ხორციელი“ (ფს. 38, 6); „კაცი ამაოვებასა მიემსგავსა და დღენი მისნი. ვითარცა აჩრდილნი წარვლენ“ (ფს. 143, 4). საყოველთაოდ ცნობილია ბიბლიური გოდება ამოების შესახებ: „ამოება ამოთა, ამოება ამოთა, ყოველივე ამო“ (ეკლეს. 1, 2); „ნათესავი წარვალს, ნათესავი მოვალს და ქუეყანა უკუნისამდე ჰკიეს“ (ეკლეს. 1, 4).

წუთისოფლის წარმავლობის პრობლემის გაცნობიერებისას შუა საუკუნეების ქართული სასულიერო და საერო მწერლობა დიდად არის დავალებული ბიბლიურ-ქრისტიანული მსოფლშეგრძნებით, ბიბლიაში გატარებული აზრებით. „შუშანიკის წამება“: „ესე ყოველი ცხოვრებად, ვითარცა ყვაილი ველთად წარმავალ არს და დაუდგრომელ“ (2, 27). „შიოს ცხოვრება“: „უწყოდეთ, ძმანო ჩემო, რამეთუ აქად ესე ყოველი წარმავალ არს, ხოლო საუკუნოდ წარუვალ“ (2, 226). არ შეიძლება აქ არ დავიმოწმეთ ერთი საინტერესო ჰიმნოგრაფიული თხზულება „გალობანი სულისანი“: „ცხოვრებად ესე წარვალს და განილევს, შეუნიერებად და დიდებად დაჯენების, ხოლო სიმდიდრე დაღპების და წარწყმდების, რასა ცუდად ვმადლოდთ, ოდეს ყოველნი მოკუდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი. მოვედით, ძმანო, შთავისებდნეთ საფლავთა, სადა არს შური, საოცრებად და ხდომად, სადა არს ძვირის ხსენებად და ზუაობად, და ხორცთა გულისთქუმანი, აჰა, ესერა, მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი“ (13, 277).

დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი იტყვის: არარად არს სოფელსა შინა მტკიცე, ყოველივე მსწრაფლ წარმავალ არს სრულიად: არცა სიმდიდრე, არცა სიგლახაკე და არცა დიდება, – აჩრდილი და სიზმარი“ (3, 173). „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ:

„დღეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა, დანასა მახია,  
აწყა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია“.

საჭიროდ გვესახება ჩვენს ერამდე IV-III საუკუნეების პირველი ცნობილი ჩინელი პოეტის ციუი იუანის (340-278) თვალსაზრისის გახსენება, რაც უთუოდ ძველ ჩინელთა წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. ადამიანი შეჰხარის სიცოცხლეს, რომელსაც უმწარებს წარმავლობის განცდა: „მსურდა არ მეგრძნო ჭირხლი სიბერის, მაგრამ გვიქადის გარდაუვალს ბედი-ავბედი“ („სიცოცხლის დიად მეუ-

ფეს“). ციუი იუანის რწმენით, ადამიანის სხეული მოკვდავია, სული კი – უკვდავი: „რადგან სხეული მოკვდავია, სხეული კვდება, სული კი ჰკიეს სამარადისოდ“... ეს სიტყვები პარალელს პოულობს ლაო-ძის „დაო დე ძინთან“: „გვამი იხრწნება, სული უკვდავია“; „უკვდავია სული უწმინდესი“ (6, 227).

ძველი ჩინური პოეზიის მშვენიერება ვან ვეი (701-761) შეუპყრია წარმავლობის საზარელ შეგრძნებას: „ხომ ჩამჩინებებს საღვთო კრებული – რომ სიზმარია სუფველაფერი... ცხოვრება ეკალთა მჩენი – ავანჩავანი... ყოფნა-უდაბნო, გზა-უდაბური“... ვან ვეი მიწიერ ცხოვრებას უყურებს, როგორც ამაოებას. ამის გაცნობიერებაში გადის სწორედ ბუდიზმის კვალი, თუმცა ამ მოძღვრების არა სრული და თანმიმდევრული გათვალისწინებით (შდრ. მოსია, 79).

შესაძლოა შესავალი გაგვიჭიანურდა კიდევ, მაგრამ იგი დაგვჭირდა ერთგვარად ფონის შესაქმნელად გიორგი შარვაშიძის მხატვრულ მემკვიდრეობაში წუთისოფლის წარმავლობის შეგრძნების, საწუთროს უკუღმართობის გამოსახვის წარმოსაჩენად. პოეტს ცხოვრებამ არაერთხელ დააღვეინა შხამი და სამსაღა. დავიმოწმებთ დიდ ქართველ მეცნიერს სიმონ ჯანაშიას: „პირადი ცხოვრების უკუღმართობა, საზოგადოებრივი პირობების ხასიათი („შემოგხვევია ცხოვრების სულთამხუთავი გალია“), ველური რეჟიმი, წრე – არაფერი უწყობს ხელს, რომ გ. შარვაშიძე პროფესიონალი ლიტერატორი დადგეს, თუმცა იგი ბუნებით ყველაზე ადრე სწორედ ამისთვისაა გაჩენილი“ (7, 65). ახლა კი ოთარ ჭურღულიას მოვუსმინოთ: „გიორგი შარვაშიძის თავგადასავალი უსასრულო ტანჯვა იყო. ბავშვობიდან დაებედა მას დარდი და ფიქრი ჯვარცმულ სამშობლოზე... იგი მოაშორეს სანუკვარ მხარეს, სანატრელ აფხაზეთს და ყმაწვილკაცობიდან მოყოლებული მთელი ცხოვრების მანძილზე განიცდიდა დევნას, დამცირებას, შევიწროებას“ (14,70).

სიმონ ჯანაშიას მითითებით, გიორგი შარვაშიძის ეპიტაფიისათვის შეუძლებელია უკეთესი ტექსტი მოიძებნოს, ვიდრე ის, რომელსაც ეს მისივე ლექსი შეიცავს: „უსამართლობის ცხოვრების ზღვაში შენ გერგო წილად მხოლოდ ტანჯვები, და იმ ტანჯვების უღმერთობაში კაცთა სიავის მწარე იჭვები არ შეჭხებიან შენს კეთილ გულსა, რომელშიდაცა ძმათ სიყვარულსა ენთო უმრეტი, წმინდა ლამპარი! ის გაანათებს შენსა წარსულსა და მით იქნები დაუვიწყარი“ (7, 100).

გიორგი შარვაშიძის პოეზიაში პირველად 1872 წელს დაწერილ „მოგონებაში“ გამოჩნდა „სოფლის ლახვრები“. ლექსი სოფელ ჭკადუაშშია (ზუგდიდის რაიონი) შექმნილი და ეძღვნება პოეტის მეგობარს კოწია დადიანს. პოეტი იგონებს სიყვარმის ჟამს, როცა ცხოვრებამ პირველად გააცნო დარდი, ღიმილი და ვნებანი. სწორედ სიყმაწვილეში აგრძნობინა მუხთაღმა წუთისოფელმა ლახვრის სიმწარე: „სად პირველ ვიგრძენ სოფლის ლახვრები და ხის ქვეშ ვიწექ დაფიქრებული; უმეცრებითა მჭმუნავი თავი ხელთ შორის მეპყრა გაცხელებული“ (7, 82).

გიორგი შარვაშიძე იხსენებს იმ ადგილს, „სადაცა განველენ სიყრმისა ჟამნი“, სადაც დედის გვერდით იმყოფებოდა „დამდნარს საბრალოს ხვედრად სამარის“, სადაც პირველად დაღვარა გულშეჭირვებულმა „თვით უწრფელესნი ცრემლნი მწუხარის“. მწერალი პოემა „გვადანის ციხეში“ ტკივილივით გადაგვდებს უმწვავეს განცდას საწუთროს, ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობის თაობაზე, ორგემაგე სოფლის ვერაგობაზე. ცხოვრების ბორბლის ტრიალს ვინ რას გაუგებს, ცხოვრება ვის რას უწილადებს, არავინ იცის. როცა ფუფუნებას მოგგვრის, იქვე განგირისხდება, ყველამ უნდა გაიცნობიეროს ამქვეყნიური არსებობის წარმავლობა. ვისაც ამის შეგნების უნარი აკლია, „ის უმეცარი და აბდალია“: „აგრე ცხოვრება ხან რას გვარგუნებს, როგორ ტრიალებს ეგ არვინ იცის, რასთვის უმართლოთ რას გვაფუფუნებს, ხან გვირისხდება, განგებამ უწყის. უნდა გვასოვდეს,



წუთი-სოფელში, რასაც ვხედავთ, წარმავალია! ვინც ფიქრობს, თავის ბედი აქვს ხელში, ის უმეცარი და აბდალია“ (7, 124-125).

დრამატულ თხზულებაში „გიორგი მესამე“ გიორგი შარვაშიძე თავის დამოკიდებულებას უკუღმართი საწუთროსადმი დემნა ბატონიშვილის ენით გადმოსცემს: „წუთისოფლის ცხოვრების წესი „უნამუსო და უტიფარია! კაცთ სასოება, თვით უმჯობესი, ცრუი ფარია. ავი და ჭუჭყი მით იფარება, კეთილი ქვეყნად, ვით სიზმარია, სიტყვაა მხოლოდ და ისე ქრება, როგორც ქარია. რაც უნდა იყოს კაცი მართალი, მცნებათა ეპყრას წმინდა ჯვარია, მასზე იტყვიან მხოლოდ: „საწყალი რა სახმარია“ (7, 166). ამასთან დაკავშირებით ელგუჯა თავბერიძე შენიშნავს: „დემნა პიესაში წარმოგვიდგება, როგორც ადამიანთა გაუტანლობაზე, კაცთა სიმუხთლეზე, ბოროტებაზე მოფიქრალი ბატონიშვილი; წარმოთქვამს შექსპირულის ტოლფარდ მონოლოგს – ამოება რომ ჩქეფს თითოეული ფრაზიდან, მოუწყობელი წუთისოფელი, სიკეთე-ბოროტება ერთმანეთში აღდგებილი, ფარად სიკეთე, გულში ბოროტი, კეთილი სიტყვა – მოვარდნილი ქარი“ (8, 224).

გიორგი შარვაშიძის პოეზიაში წუთისოფლის პრობლემას, სიკვდილ-სიცოცხლის თემას უშუაოდ უკავშირდება ბედისა და უბედობის საკითხი. ჯერ კიდევ უძველესი შუამდინარული პოეზია აქცენტს აკეთებს ბედსა და ბედისწერაზე, მის წინასწარგანსაზღვრულობაზე, ბედის გამრიგეზე, ადამიანის უბედობაზე, ბედის ანაბარა დარჩენაზე („ინანას ლიტურგია“, „ქება დედისა“, „ჰიმნი მეფე შულგისათვის და მიმართ“, „თამუხის სიზმარი“ და ა.შ.). (ფილოსოფია, 1972:19,29). აქვე უნდა დავასახელოთ ჩვენს ერთდელი ძველი ჩინური პოეზია, პირველ რიგში „შიძინი“. დუნჯუან-შუს (ძვ. წ. აღრ. II ს.) „ბედი ცის წარმოგზავნილად“ მიაჩნდა, „შიძინის“ მიხედვით, ცა წარმართავს სამყაროს ბედს და ამოძრავებს ისტორიას (12, 31).

ქართულ შუა საუკუნეებში ბედსა და ბედისწერაზე არაერთგვაროვანი წარმოდგენა არსებობდა. მაგალითად, რუსთაველს სწამს ბედისა და ბედისწერისა, მისი წინასწარგანსაზღვრულობისა, დავით გურამიშვილი კი კატეგორიულად უარყოფს ბედს და არარაობად თვლის მას. ქართულ კულტურულ ტრადიციებზე აღზრდილ გიორგი შარვაშიძეს, ბუნებრივია, თავისებური წარმოდგენა ჩამოუყალიბდა ბედის საკითხზე. მის ნაწერებში არ იგრძნობა ბედით მოხიბლვა, მისი პრიმატი, მისადმი მინდობა. პირიქით, რუსთაველის გმირებივით იგი უჩივის უბედობას, რაც გამოწვეული იყო სოფლის უკუღმართობის შეგრძნებით. როგორც ჭეშმარიტად ქრისტიანი პოეტი, ღმერთს უშუალოდ ვერ ჰკადრებს საყვედურს უბედობის გამო, სამაგიეროდ ბუნებას შესჩივის:

„ოჰ, ბუნებაჲ, შენ ძლიერო,  
მართალო და საკვირველო...  
მაშ, მიკვირს, რათ შენგნით სოფლად  
უბედობა არს გამოსრული“ (7, 94)

დამოწმებული სტროფის ქვეტექსტში უთუოდ ირეკლება ღვთისადმი საყვედური, ვინაიდან ბუნება ხომ უფლის გაჩენილია. კოწია ერისთავისადმი მიძღვნილ ლექსში („კოწია ერისთავს“) გიორგი შარვაშიძე პირდაპირ მიგვანიშნებს ბედის ეტლის მტრობაზე: „მისთვის, რომ ეტლი შენის ბედისა როგორც მე-ჩემი, დაგმტვრებია, რომ არც შენ გინდა დახრა ქედისა და გზა სიმდაბლის არ გყვარებია“. ამით ნათქვამია: მუხთალი ბედის წინაშე ქედის მოხრას არ აპირებს.

„ვარადას“ ავტორი სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსში („მამულს“) მწარედ განიცდის „ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი“ სინათლეს თუ როგორ უსპობს მის ქვეყანას, ახრჩობს „ცრემლნი გლოვისა“ და უბედობის ზარი:

„იმ თეთრ ნაკვეთით ჩამოდევლიან  
კვნესით, ღრიალით ცრემლნი გლოვისა

და ათას ღარად მკერდს უხეთქიან  
ნიშნად ზარისა უბედობისა (7, 97).

გიორგი შარვაშიძეს აქვს ერთი მშვენიერი ლექსი „სიმღერა“, რომელიც გაუ-  
ღენთილია პესიმისტური განწყობილებით. პოეტი წუხს იმის გამო, რომ არსაიდან  
არვის ელის, სატრფომაც მხარი აუქცია და მწველი სევდა დაუტოვა. ნაჭრილობე-  
ვი გული კვნესის, თუმცა ღირიკული გმირი შეგუებულია ვითარებას, რადგან ეს  
ყველაფერი საწუთროს წაღმა-უკუღმა ბრუნვის შედეგია: „ზოგს ახარებს, ზოგს კი  
არა“. ლექსის ბოლოს ავტორი მრჩევლის როლში გვევლინება: „არსაიდან არვის  
ველი, სატრფომ გვერდი ამიარა, დამრჩა მხოლოდ სევდა მწველი და გულში კი  
მძიმე იარა. ასეთია სოფლის ბრუნვა, ზოგს ახარებს, ზოგს კი არა. არას გვარ-  
გებს ბედზედ მღურვა, თუკი ერთხელ ჩაიარა“.

აქ ზოგადად ბედზე კი არაა მინიშნება, არამედ კონკრეტულად სატრფო-ბედ-  
ზე. თუკი ვაჟკაცს შესაფერისი მიჯნური შეხვდა, იტყვიან: ბედმა გაუღიმაო, იღბა-  
ლი ჰქონიაო, თუ პირიქით მოხდა, შეიცხადებენ: რა უბედო ყოფილა, იღბალმა არ  
გაუმართლაო. საანალიზო ლექსის მიხედვით, ბედზე მღურვა ანუ უიღბლობის  
განცდა უსარგებლოა თუ ამორჩეულმა სატრფომ ზურგი გაქცია, „თუკი ერთხელ  
ჩაიარა“.

საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გიორგი შარვა-  
შიძის ლექსი-შედევი „ვარადა“. ქართულ თუ უცხოურ ლიტერატურაში ბევრი  
რამ წავიკითხავს ბედზე, ბედისწერაზე, მის მიღება-არმიღებაზე, უბედობის ჩი-  
ვილზე, მაგრამ იშვიათად შეგვხვედრია ღირიკული გმირის მხრიდან ბედისთვის  
დამუქრება. „ვარადაში“ კი გამონაკლისი ვითარება დასტურდება: „ზოგჯერ გიჟუ-  
რად შეჰკივლებს ბედისა სამუქარადა. ეტყვის: მარტოკა დამაგდე ნაწყვეტად, ნაო-  
ხარადა; მიკვირს საწუთროს ვნებანი ვის ჰფხვრიან, ვის სახმარადა და მსგავსსა  
ბოროტებასა ყურსა არ უგდებს ცა რადა“ (7, 89).

ყურადღებას იქცევს ლექსის ბოლო ორი ტაეპი. დასველიანებულ პოეტს უკ-  
ვირს თუ საწუთროს ვნებებს და ბოროტებას რატომ არ ალაგმავს, ან ყურს მაინც  
რატომ არ უგდებს ცა. „დაო დე ძინში“ ცა განიხილება, როგორც ბუნების შემად-  
გენელი ნაწილი, მიწასთან დაპირისპირებული (6, 272). ქრისტიანული მოძღვრებით,  
ერთმანეთისგან უნდა განირჩეს ფიზიკური და სულიერი ცა. გიორგი შარვაშიძის  
„ვარადის“ ცა სულიერი ცაა, რომელიც გაიგივებულია მაცხოვართან. ლექსში პო-  
ეტის მხრიდან უფლისადმი ფარული საყვედური იგრძნობა. საწუთროს ვნებათა და  
ბოროტებათა პირისპირ დარჩენილ ადამიანს სახსენლად ღმერთის („ცის“) იმედი  
არა აქვს, მას უკვირს უფლის უყურადღებობისა.

გიორგი შარვაშიძის, შეიძლება ითქვას, საპროგრამო ლექსი „ჩანგი“ ასე იწ-  
ყება:

„თუმცა ჩემს გულს გარს ესევა  
შხამ-ნადველის, სევდის ქარი  
და შიგ რეკავს სავალალოდ  
ცრემლ-საფრქვევად გლოვის ზარი“...

ლექსის შინაარსიდან ირკვევა, რომ პოეტი დამწუხრებულია ჩაგრული ხალ-  
ხის ვარაძით, უსამართლობით. მასში თავისი წველილი აქვს ცხოვრების მოუწყობ-  
ლობას, საწუთროს ჩარხის უკუღმა ბრუნვას, რითაც დათრგუნულია მწერლის გუ-  
ლი, სავსეა შხამითა და ნადველით, რომელსაც უბერავს სევდის ქარი და ირეკება  
გლოვის ზარი. დიდებული ლექსია „ფშაურ ხმაზედ“, რომლის ღირიკულ გმირში  
საკუთრივ პოეტის სახეა არეკლილი. „კაკაბივით მახით დაბმულ“ ვაჟკაცში ავტო-  
რის სულიერი პორტრეტი მოსჩანს, რომელსაც ფრთები ვერ გაუშლია, სევდით  
მოცულა, გვერდით უღევს დაჟანგული „ყირიმი, ფარი, ხმალი“, რომელსაც ვერც

გაფერავს და ვერც მოიხმარს, ისე დაუნახანაკებია მტერს, მისი მერანი უმხედრო-  
დაა დარჩენილი, თავზე მუზარადი არ ხურავს, მტვერში აგდია მისი აბჯარ-ჯავშა-  
ნი... პოეტის სევდა და ჩივილი კულმინაციურ წერტილს აღწევს: „შემოხვევია  
ცხოვრების სულთა-მხუთავი გაღია“.

ასეთ სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებს გულგასენილი შემოქმედი, ვინაი-  
დან „ცოცხალი ლეში მკვდარზედაც უფრო მკვდარია“. თუმცა, ეს ლექსი მთავ-  
რდება ოპტიმისტური განწყობილებით. პოეტს სწამს, რომ მას მხსნელად, მფარვე-  
ლად მკურნალად მოეგვინება ქრისტეს მცნება და ჯვარი, მაცხოვარი დაუწყებს  
ტკივილებს:

„მაგრამ არა, ძმაგ, გახსოვდეს  
ქრისტეს მცნება და ჯვარია, –  
იგი გიშველის, განკურნავს,  
რაც ოდენ სატკივარია“.

ოთარ ჭურღულია მართებულად წერს: „ნუ შეგვაშფოთებს პესიმიზმი და  
ცრემლით მოთქმა გ. შარვაშიძისა. იგი პროტესტის გამოხატულებაა. ცრემლი ტან-  
ჯვით განაწამები პოეტის მოსაოხებელი საშუალებაა, დარდის ნაჟურია. ბედნიე-  
რია ის, ვისაც შეუძლია თავისი კაემანი ცრემლად დაწუროს. ცრემლი დიდმა სუ-  
ლიერმა ტრაგედიათ, მოუშუშებელმა ტკივილებმა იცის“ (14, 82). წუთისოფლის  
წარმავლობით აღძრული მწარე გრძნობებია გადმოცემული გიორგი შარვაშიძის  
რუსულ ლექსებშიც.

„გვადანის ციხეში“ ავტორი უჩივის ხალხის მოუსვენარ ცხოვრებას და  
მტრის ლაშქრის თავდასხმის შიშით ყოფას: „რა ცხოვრებაა იგი ცხოვრება, თუ  
ხალხი არის დაუსვენარი, ამას გულობდეს, რომ შეიძლება ხვალვე დაგვესხეს  
მტრისა ლაშქარი“ (7, 111).

გიორგი შარვაშიძის შემოქმედებაში წუთისოფლის წარმავლობის განცდას  
უშუალოდ ენასკვება სიკვდილის თემა. სიკვდილთან დაკავშირებით საინტერესოა  
რაინერ მარია რილკეს სიტყვების გახსენება: „სიცოცხლე ნაწილობრივ უკვე შეი-  
ცავს სიკვდილს და მიკვირს, ადამიანებს რად უჭირავთ თავი ისე, თითქოს ეს არ  
იცოდნენ. დიახ, შეიცავს სიკვდილს, რომლის დაუნდობელ აქ ყოფნას ყოველ უმ-  
ცირეს ცვლილებაშიც შევიგრძნობთ და ვცდილობთ, დაგძლიოთ იგი, რადგან სა-  
ჭიროა ვისწავლოთ ნელი სიკვდილი. საჭიროა სიკვდილი ვისწავლოთ. მთელი  
ცხოვრება ეს არის და ეს, სხვა არაფერი (11, 122).

„გვადანის ციხეში“ გიორგი შარვაშიძე IX თავში წერს:

„სულ სხვაა კაცი, რომელიც ბოლოს  
წარსულ ცხოვრებას დაუკვირდება  
და დაინახავს, მსპობსა ანგელოზს  
ცელ-მოელვარეს ვერ ასცილდება“.

ეს „ცელ-მოელვარე მსპობი ანგელოზი“ სიკვდილია. ამ ხატოვანმა თქმამ და-  
ვით გურამიშვილი მომაგონა, რომლის მიხედვით, სიკვდილი ჰგავს მჭლე კაცს,  
რომელსაც ცელი უჭირავს ხელში და სიცოცხლეს თიბავს: „ის მჭლე კაცი ცელს  
რას აქნევს, რასა სთიბავს? რასა სცელავს ნუ ენდობი საწუთროსა, სულ ბნელია,  
რასაც ელავს“. ან კიდევ: „კაცს რომე სენი შეყარო, ბრჭვალი ჰკრა გულსა, მუ-  
ცელსა, განა იმ სენით ვერ მოკლავ, რადას უმზადებ მუნ ცელსა?“ (4, 195). წყარო-  
ების გამოკიდებას ერთ ქართულ ხალხურ ლექსთან მივყავართ, სადაც სიკვდილი  
ამბობს:

„შამოვხე ფშავის მთაზედა,  
ვარდნი ჰყვალდეს, იანი.  
ჩაუდევ, ისე ჩავთიბე,

რო კარგმა ცეღმა თივანი“ (5, 63).

საგულისხმოა, რომ XIII საუკუნეში სიკვდილს წარმოსახავდნენ ტყავშემოკრული ჩონჩხის ფორმით. XV საუკუნეში სიკვდილი გამოხატული იყო სრულიად მკაფიოდ – ჩონჩხი ცულით და ნამგლით ხელში (10, 245). ჩანს, გიორგი შარვაშიძე იცნობდა დასახელებულ წყაროთაგან რომელიმეს, როდესაც სიკვდილი „ცელ-მოელვარე მსპობ ანგელოზად“ მოეჩვენა.

მართალია, გიორგი შარვაშიძის თხზულებათა ერთ ნაწილში მწვავედ იგრძნობა სევდა-მწუხარება, ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობა, წუთისოფლის სიმუხთლე, მაგრამ იგი ბოლომდე გულგატეხილ პოეტად არ რჩება. ის არ არის მხოლოდ პესიმიზმით შეპყრობილი შემოქმედი. სიმონ ჯანაშიას სამართლიანი შენიშვნით: „ღირს სიცოცხლე, ღირს ბრძოლა, არსებობს საამისო დიდი საქმე და მიზანი. შეუმუსრავი ოპტიმიზმი, ნიშანდობლივი მთელი ქართული პოეზიისათვის, ათობს გ. შარვაშიძის შემოქმედებასაც (7, 73). ოთარ ჭურღულია „ვარადას“ მხატვრული ანალიზისას წერს: „მართალია, ეს ლექსი მოთქმაა, მაგრამ არა განწირული, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ადამიანისა, არამედ ისეთი მოქალაქისა, პოეტისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გადაუწურავს იმედი, დაჯერებულია, რომ ბუნება, ღმერთი არ გაწირავენ ათასწლობით ნაგებ ეროვნულ შენობას და მის უშუალოდ გამოხატულებას – ენას“ (14, 76-77).

ამრიგად, გიორგი შარვაშიძის შემოქმედებაში წუთისოფლის წარმავლობის განცდა გამოწვეული იყო პირადი ცხოვრების უკუღმართობით, საზოგადოებრივი პირობების უმსგავსო ხასიათით, ჯვარცმულ სამშობლოზე დარდით, ამასთანავე, მსოფლიო სევდის გაცნობიერებით. მის პოეტურ მემკვიდრეობაში სიკვდილ-სიცოცხლის თემას, წუთისოფლის პრობლემას უშუალოდ ერწყმის ბედისა და უბედობის საკითხი. მასში არ იგრძნობა ბედისადმი სიმპათიები, მისი უპირატესობით მოხიბლვა, ან მისთვის მინდობა, რითაც იგი დავით გურამიშვილის ანტიფატალისტურ განწყობას უახლოვდება. გ. შარვაშიძე უჩივის ბედს საწუთრის უკუღმართობის გამო, რისთვისაც ფარულად ღმერთსაც შეჰკადრებს საყვედურს. პოეტი არ ურიგდება ბედის ეტლის მტრობას, არ აპირებს მისთვის ქედის მოხრას. უფრო მეტიც, იგი პირდაპირ მუქარაზე გადადის, რასაც, საერთოდ, იშვიათად შეხვდებით სიტყვაკაზმულ მწერლობაში. მუხთალი წუთისოფლის, მუხთალი ბედის წყალობით მწერლის ცრემლი და მოთქმა ერთგვარი პროტესტის გამოხატულებაც არის. იგი სძლევეს სიკვდილის შიშსაც – ამ „ცელმოელვარე მსპობ ანგელოზს“, ბოლომდე ინარჩუნებს სულიერ წონასწორობას, გადალახავს გულგატეხილობას. „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილივით სწამს, რომ ღმერთი და ბუნება არ გაწირავს. ეს ნამდვილად გადამდები ოპტიმიზმია.

#### **ლიტერატურა:**

1. მცხეთური ხელნაწერი (ბიბლია), ელ. დონანაშვილის გამოცემა, თბ., 1981-1986.
2. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963.
3. იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, თბ., 1968.
4. დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული (დავითიანი), თბ., 1980.
5. ქართული ხალხური პოეზია, VII, თბ., 1971.
6. ლაო-ძი, ლაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლ. ალიმონაკისა, თბ., 1983.
7. შარვაშიძე გ., ლირიკა, ეპოსი, დრამა, აკად. სიმონ ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, თბ., 1983.
8. თავბერიძე ელ., უბედო მამულის ყმა, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, თბ., 2006.

9. მოსია ტ., ძველი ჩინური პოეზია, თბ., 2010.
10. ნორაკიძე ვ., დავით გურამიშვილი, ფსიქოლოგიური პორტრეტი, თბ., 1980.
11. რაინერ მარია რილკე, ფრანგული წერილებიდან, „ახალი თარგმანები“, თბ., 1992.
12. ძველი ჩინური ფილოსოფია, I, მოსკ. 1972.
13. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946.
14. ჭურღულია ო., გიორგი შარვაშიძე, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზულებანი, II, თბ., 2006.

**Tite Mosia**  
***The Sorrow of George Sharvashidze***  
**Summary**

In the literary works of George Sharvashidze there have appeared a personal and a global sorrow. It was stirred up by abnormal character of social state, by worrying about crucified Homeland, by bad luck in personal life and also by recognition of the global sorrow. In the writer's artistic and literary heritage, the theme of life and death is connected with the problem of fortune and misfortune. There they do not feel that the author had sympathy to the destiny and he did not trust it. By this fact writer came nearer to the antifatalistic mood of David Guramishvili.

George Sharvashidze made complaints against fate for the World's bad luck. Therefore he surreptitiously complained to God. He is not going to obey his fortune. On the contrary George Sharvashidze threatens it. This fact we meet in his works very often. We think that the writer tried to express his protest by tear and grief. The writer could win over the fear of the death and keep a balance of spirit. As Avtandil from "The Knight in the Panther's Skin", he also believes that he will be protected by God and Nature, thus displaying perspectives of optimism.

**Титэ Мосиа**  
***Печаль Гиоргия Шарвашидзе***  
**Резюме**

В творчестве Гиоргия Шервашидзе проявилась как личная так и мировая печаль. Это было вызвано невыносимостью общественных условий, несложившейся личной жизнью, а также осознанностью всемирной печали. В литературном наследии писателя тема жизни и смерти, кратковременности жизни, непосредственно переплетается с вопросом счастья и несчастья. В нём не чувствуется симпатии по отношению к Судьбе, очарованность её привилегиями, или же доверия ей, чем он становится близок с антифаталистическим настроениям Давида Гурамишвили.

Гиорги Шарвашидзе жалуется на судьбу за её быстротечность и проблематичность, в чём даже осмеливается упрекать Бога. Он не намерен кланяться Судьбе, он даже угрожает ей, что, вообще, редко можно встретить в литературе. Слёзы и причитания являются проявлением своеобразного протеста. Писатель преодолевает и страх перед смертью, до конца сохраняет душевное равновесие. Как и Автандил в «Витязе в тигровой шкуре» он верит, Господь и природа не оставят его в беде, что является поводом для оптимизма.

**ციალა მესხია**  
(საქართველო)

**სულის ტაძარი**

ტიტე მოსია უსაჩინოესი სწავლული, დახვეწილი ინტელიგენტი და დიდი ესთეტია. დრომ გვაჩვენა, რომ ის უგანათლებულესი მეცნიერი და სიტყვის დიდოსტატია, რომელმაც ხელოვნების ესთეტიზმი მაღალ რანგში აიყვანა. მის თითოეულ ნაშრომს გამოარჩევს საოცარი აკადემიზმი, რომელიც არაჩვეულებრივად არის შერწყმული მოქალაქეობრივ პოზიციასთან და დიდ პასუხისმგებლობასთან, რამეთუ მისთვის ხელოვნება, ლიტერატურა და ესთეტიკა მთავარ სიმაღლეზეა, ღვთით ბოძებული შესაშური ნიჭით, ცოდნითა და შრომით მხატვრულ სიტყვასა თუ უთვალავ ფერში შექმნილი სამყარო.

ბატონი ტიტე მოაზროვნეა და ფილოსოფოსი, რომელიც ანალიზისა და განსჯის გარეშე არაფერს გვთავაზობს, იგი, უდავოდ, ავტორიტეტული, თავისი ტალანტით ზურგგამაგრებული პიროვნებაა, რომლის მეცნიერულ სამყაროს ინტელექტუალური აზროვნება წარმართავს და ამაშია მისი, როგორც ნაღდი მკვლევრისა და დიდი ესთეტის ძალმოსილება...

ტიტე მოსია ავტორია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, წერილის, სტატიის, რეცენზიისა. მათ შორის 25 ცალკე მონოგრაფიად და წიგნად გამოქვეყნდა. ამასთანავე, ძვირფას მკითხველს უნდა ვაუწყო, რომ ბატონი ტიტე პოეტური ზემოთაგონების პიროვნებაა. მისი ლექსები პრესაში ქვეყნდება 1963 წლიდან. იგი 20-მდე პოეტური კრებულის ავტორია და რამდენად საამაყოა ის, რომ მისი ლექსების კრებული „დედის საფლავთან“ უკრაინულად ითარგმნა და დაიბეჭდა კიევში 2001 წელს (მთარგმნელი ს. პინჩუკი). თითოეულ მათგანში მკითხველი მრავალი კულტურის ნახავს ამოიცნობს. თითოეული ნაშრომი თუ პოეტური სტრიქონი არა მარტო ჩვენი ხალხის, არამედ მეზობელი ერების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გამოცდილების მხატვრულ სახეებად გარდაქმნის საგულისხმო ილუსტრაციაა. ამ თვალსაზრისით კი ანგარიშგასაწვეია ბატონი ტიტეს ტექსტები, რაც მსოფლიო პოეტური აზროვნების მრავალ საიდუმლოს ხდის ფარდას...

ფიქრობ, ბატონი ტიტეს მსგავს პიროვნებებს ღმერთი გვიგზავნის ხოლმე. დიას, მხოლოდ ღვთითბოძებული ნიჭით დაჯილდოებულ შემოქმედს ძალუძს შექმნას ვეებერთელა გონითი ნაღვაწი, რომელიც მუდამ და ყოველთვის თაობების ინტერესის საგანი იქნება. მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ბატონ ტიტეს ყველა ღირსება გააჩნია. საოცრად ერუდირებული, დინჯი და გააზრებულია მისი ყოველი სიტყვა, მომხიბლავი და შთამბეჭდავი, შინაარსობრივად მდიდარი და ცინცხალი აზროვნებაც საოცარ ფანტაზიასაა მიდევნებული, სადაც „გული, გრძნობა და ფიქრი ერთმანეთზედა ჰკიდია“. მეცნიერი და პოეტი ბიბლიური პარადიგმების სამყაროშია ჩაძირული და ამადლებული და განწმენდილი ხუროთმოძღვრის საჭრეთლით ულამაზეს ორნამენტებს აჩუქურთმებს. იგი ჩასაფრებული მონადირესავით გაფაციცებული ადევნებს თვალს სტილურ მოღულაციას, თითქოს, ნებისმიერი შემოქმედის სამყარო მისი საუფლოა, მისი დაუშრეტელი ნიჭიერებისა და ფანტაზიის ასპარეზი. მხატვრული წარმოსახვისა და მეცნიერული კვლევა-ძიების ამომხვევებელი ჯადოსნური კალმის მონასმით გვაგრძნობინებს შემოქმედის მაგიურ ძალას, მის თითოეულ მსჯელობასა და დასკვნაში მეცნიერისეული შემოქმედის მსოფლმხედველობრივი ასპექტებია წარმოჩენილი უძირითადესი უნივერსალის საღვთისმეტყველო სახისმეტყველებად სახელდებული, დიადი პოეტური ენერგიითა და

ახალ-ახალი გონითი სასწაულებით რომ გეხიბლავს და თვალწინ გვიდგას „სუვერენული ბატონი“ (ჟორჟ პომპიდუ) უშურველად რომ გვთავაზობს მაღალ აზრებს და გვაგრძობინებს შემოქმედთა ნაფიქრ-ნააზრების სიმადლესა და მშვენიერებას...

და მაინც, ტიტე მოსიას მონუმენტური მონოგრაფია „დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობის სამყაროში“, – ვფიქრობ, აქაა რაღაც საოცარი ელვანტურობა სულისა, მეცნიერის შთაგონების მრავალფეროვნება, მხატვრული კონცეფცია, სინამდვილის ბელეტრისტიკული აღქმა, ცხოვრების სისავსის მთელი არსებით შეგრძნება და პოეტური ძალმოსილება.

გკითხულობ ამ დიდებულ წიგნს და აშკარად ვგრძნობ, რომ მეცნიერის ყოველი სიტყვა ცვილივითაა მოქნილი, რომელსაც თან ახლავს ხატოვნება და სიმსუბუქე, უფრო მეტიც, საოცარი არტიზმი სულისა. სიტყვის ეს უღამაზესი შეგრძნება მთელი სიმძაფრით გამოჩნდა დავით გურამიშვილის, როგორც პიროვნებისა და ადამიანის, ხასიათის წარმოჩენისას, საიდანაც ენით უთქმელ სიღამაზესა და სურნელს შეიგრძნობ და უბედნიერესი განცდით აღევნებ თვალს მეცნიერის ახალ-ახალ მიგნებებსა და მინიშნებებს, რათა უფრო ღრმად შეიმეცნო დავით გურამიშვილისეული პოეტური სამყაროს ღრმა მისტიციზმი და იდუმალება.

ბატონი ტიტე დავით გურამიშვილის სულის ჭეშმარიტი მხატვარია, რომლის მეცნიერული თვალსაწიერიდანაა დანახული ადამიანის ტრაგიკული ბედის შეგრძნება გადაჯაჭვული ბობოქარი საუკუნის ქარტეხილებთან. აქაა ავტორის სუბიექტური განცდის ობიექტივაცია, რასაც დისკარმონიის და სრული ადამიანური სრულყოფილებისა და ჰარმონიის ჭეშმარიტად დიდი სურვილი წარმართავს.

ნაშრომის ერთ-ერთი საინტერესო და დამაფიქრებელი თავია „მონანიების მოტივებიდან“. გკითხულობ და ვფიქრობ, რომ მეცნიერის უკეთილშობილესი სულიერი სამყარო მოითხოვს ჩადრმავებას, რათა წარმოჩენილ იქნეს მისი ყოველწამიერი ჩაფიქრება თუ დუმილი, სულის სიფაქიზე, მაღალი ესთეტიკური კულტურა და „ჭეშმარიტი დახვეწილობა“ (გოეთე).

ამ თავში ნიუანსობრივადაა წარმოჩენილი დავით გურამიშვილისეული განცდა სინანულისა, ლოცვით ამადლებული და განწმენდილი სული. აქაა მეცნიერის თვალთ დანახული ზეციერი და მიწიერი სამყარო, რაღაც მაგიური შერწყმა სულისა და სხეულისა; შთამბეჭდავი ამადლებული პასაჟები, იდუმალებისა და მისტიური ირეალობის უმშვენიერესი კულტიც. მკვლევარი შთამბეჭდავად მიგვანიშნებს ქრისტიანული ტრადიციების ერთგულებაზე, ცდილობს სიტყვიერ ქსოვილში მოიხელოთ ის ღვთაებრივი განცდა სინანულისა და ცოდვისა, რომელიც მხოლოდ გულმხურვალე ლოცვის ჟამს იბადება.

მეცნიერის კოლოსალური ენერგია ამხეურებს იმ მგზნებარე ხატებსა და პოეტურ ხილვებს, ბობოქარი საუკუნის სულისშემძვრელ მოვლენებს, ისტორიას, მთელი კოსმიური და თვით საკუთარი სამყაროს გარდამქმნელის უიშვიათეს ნიჭსა და უნარს და არაერთხელ მიგვაყურადებს გულმხურვალე ლოცვას: „გეაჯები ჩემო მყვარო, შეიწყნარო ჩემი სული“ (დ. გურამიშვილი).

ტიტე მოსია თანამედროვე ქართველ მეცნიერთაგან, შეიძლება ითქვას, ერთადერთია, ვინც ზეგარდმო ინტელექტუალური ნიჭით ჩასწვდა დ. გურამიშვილის პოეტურ სამყაროს და სიღრმისეულად აითვისა მსოფლიო პოეზიისა და ფილოსოფიის ნააზრევი, ბიბლია და მამათა თეოლოგიური ტრაქტატები... ნაშრომში ხაზგასმულია ის, რომ დავით გურამიშვილი, უპირველეს ყოვლისა, აღზრდილი იყო ეროვნულ ტრადიციებზე და ჩვენი მდიდარი ქართული სასულიერო პოეზია და ანტიკური ხანისა და მომდევნო პერიოდის ფილოსოფოსთა ნააზრევი, ბიბლია და თეოლოგიური ტრაქტატები ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა მისთვის, რამე-

თუ ღრმად სწამდა: „შენი არს ქვეყანა და ნაყოფი მისნი, შენნი არიან რომელნი არიან და რომელი კუალად მოსვლად არიან“ (იოანე ბოლნელი).

მართებულად მიგვანიშნებს მეცნიერი ბეჟან კილანავა: „ტიტე მოსია შორს იხედება იმის წყალობითაც, რომ ის გოლიათურ მხრებზე დგას. ნათქვამი არ აკნინებს მკვლევრის დგაწლს, პირიქით: ეს მისი ნაამაგარის ღირსეული დაფასებაა, რადგან ასეთ სიმაღლეზე ასვლას დიდი გარჯა, შრომა, ნიჭი, გამბედაობა და სიმტკიცე კი სჭირდება“ (2, 245).

„ღმერთის შემდეგ დიდ საეკლესიო მამებს ეჭირათ ხელში კუერთხი მხილები-საი“, რათა მიეცათ „სულის მარგებელი სწავლანი“, ყოველთვის, რომელთა შორის იყო სენი და მიზეზი უღბებისაი, რომელთა განაშორნეს თავნი თვისნი კურნებისაგან და იქმნეს სნეულ ნეფსით“. ერთ-ერთი „ეკლესიის მამათაგანი“, „მათ ყოველთა ასწრაფებდა მოქცევად ცოდვათა მათთაგან და მოსვლად ნავსადგურსა მას სინანულისასა, და კუალად ამხილებდა“... ეს იყო მათი ვალი, რათა ცოდვილი ადამიანები ესხნათ ზნეობრივი მარცხისაგან, დაეთესათ მათში სიკეთის მარცვალი. ამიტომ იწერებოდა სწორედ ქადაგებანი, სულის მარგებელი სწავლანი... მონანიების ძალის შეგნების თაობაზე. დაკვირვება ცხადყოფს, რომ გონიერი ადამიანები, „ეკლესიის მამანი“ ცოდვილთა ხსნას ამ სენისაგან ფიზიკური ძალით, შეურაცხყოფით, ფიზიკური დასჯით კი არ ცდილობენ, არამედ შეგონებით, სულიერ ძალთა მობილიზებით, მონანიების უებარი წამლის შემწეობით, ამაში იყო მათი შეუვალი ზნეობრივი მადლიც... ცოდვის გამოსყიდვის, დაშვებული შეცდომის შეგნების იმპულსი თვით ადამიანის სულში რომ დაიბადება და აქედან დაიძვრის მონანიების გრძნობა, ეს უნდა ჩაითვალოს დიდ ადამიანურ გამარჯვებად. მონანიების ამგვარი გაგება და უპირატესობა მსჭვალავს სწორედ ჩვენს ეროვნულ სასულიერო მწერლობას და „დავითიანს“ (1, 372).

დამაფიქრებელი მიგნებებია. აქაა მეცნიერის სამყაროს ფერისცვალებაც, თითქოს, პოეტთან ერთად ისიც ხედავს წუთისოფლის ამაოების სისასტიკით „დაგლეჯილ ღმერთს“ (გრიგოლ რობაქიძე). მონანიების განცდა და უფლისაღმი მიმართული ლოცვა-ვედრება მეცნიერსა და შემოქმედს სრულყოფენ და სრულიად ბუნებრივად ჩნდება შემდეგ ლოგიკური აზრიც: „დ. გურამიშვილის სინანულის მოტივი ძირითადად ეროვნულ იდეალებსაა დაქვემდებარებული, ამ იდეალებიდანაა ამოზრდილი იმ სტრიქონებშიც კი, რომელშიც თითქოსდა პირადი ცოდვების შესამსუბუქებლად თუ გამოსასყიდად ღმერთთან ვედრების ლოცვასავით აღვლენილი ხმა მოისმის. ტანჯული მამულის, მტრისგან დავრდომილი მშობელი ხალხის გახსნილი ჭრილობიდან დაძრული სისხლი ჟონავს... დაცემული ერის კვლავ ფეხზე დაყენების შეუვალი, სწორუპოვარი საშუალება დ. გურამიშვილს მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხის ზნეობრივ აღორძინებაში ეგულება, ამის სისრულეში მოყვანის საქმეს ემსახურება „დავითიანი“ (1, 378).

ტიტე მოსია ჭეშმარიტად დასაბუთებული არგუმენტებით ცდილობს წარმოაჩინოს პოეტის შინაგანი სამყარო, მისი პიროვნული მე, რომელმაც ამქვეყნად კაცური კაცის ცხოვრებით იცხოვრა, სინანულიც იწვინა და სიძულვილიც, მარცხიც და წარმატებაც და მიუხედავად ათასი ჭირ-ვარამისა, სიკვდილს მაინც არ უშინდება, გულზე დაჩნეული ცხოველი განცდა კი მოიარებით ათქმევენებს: „მოვა და მომკლავს სიკვდილი, მას ვერსად დავემალე, გავექცე ვერსად წაუვალ ცხენებიც მყვანდეს მალე“, ან კიდევ:

„ტურფა ხარ თვალად, ტანად, სულად ერჩევი ჯარშია,  
ტანზედა დიბის ქათიბი, გიხდების კაბის არშია,  
ფეხზე წითელი ჩახჩური, მწვანე კემუხტის მაშია“.



საოცრად ღრმა, ზუსტი და უზარმაზარი გონის ნაყოფია დიდი სწავლულის განმარტებანი ამ ციტატას რომ მოსდევს: „კითხულობ ამ სტრიქონებს და ძნელად თუ დაიჯერებ, რომ პოეტი სიკვდილის „ქებით“ არის გართული, არამედ თვალწინ გიდგას ადამიანი – თვალად ტურფა, ტანადი, რომელსაც ტანზე აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილიანი ფარჩა აცვია, უხდება კაბის არშია, ფეხზე წითელი შარვალი აცვია, ფერადი ტყავისაგან შეკერილი ფეხსაცმელი. ამის განცდისას ემოციურობას ზრდის ის, რომ სიკვდილს უყურებს თვალებში როგორც კონკრეტულ საგანს, ისე ხარ მასთან „გაშინაურებული“, რომ შიშის გრძნობა გიქრება. იგი არ ყოფილა თურმე ისე საშინელი, როგორც წარმოდგენაში გესახებოდა. დავით გურამიშვილი სიკვდილის „ქებისას“ იმით იმართლებს თავს, რომ „სიკვდილ-სიცოცხლე“ ორივე არის ღვთის განგება“. პოეტის მიერ სიკვდილის სიტურფის ჩვენებისას უნებურად გვახსენდება ვაჟა-ფშაველასეული შეფასება სიკვდილისა (შესაძლოა დავით გურამიშვილის შთაგონებით):

„რა ღამაზი ხარ, სიკვდილო,  
სიცოცხლე შევნობს შენითა“.

ამ სიტყვებში ის აზრია ჩატანებული, რომ სიცოცხლის სიღამაზის წარმომჩენელი არის სიკვდილი, რომ არ იყოს სიკვდილი, სიცოცხლეს ნაკლები ფასი დაედებოდა... (1, 413).

მართლაცდა ამოუწურავია მეცნიერის მხატვრული სიტყვის შესაძლებლობები, მისი პოტენცია. კიდევ ერთხელ რწმუნდები ავტორის პოეტურ ძალმოსილებაში, რამეთუ ზემოთ მოტანილ მსჯელობაში არა მარტო დავით გურამიშვილის სული ჟღერს სიკვდილის ფენომენტან დაკავშირებით, არამედ მას თითქოს ეხმიანებიან რუსთაველი და გალაკტიონი, ბარათაშვილი და ვაჟა ფშაველა. ჩემი ღრმა რწმენით, ეს სულიერი ერთობა კი უჩვეულო პოეტური სამყაროს მოწმეს გვხდის და თითქოს, იშლება დროითი და სივრცითი კატეგორიები, რამეთუ აქაა მეცნიერის მიერ სათუთად და უგულწრფელესად მოტანილი მხატვრულად ტრანსფორმირებული განცდები და გრძნობები. მკითხველი გრძნობს მეცნიერის ადეკვატურად გადმოცემულ დ. გურამიშვილის შეხედულებებს სიკვდილის ფენომენტან დაკავშირებით. ლექსის ტევადობასა და სიღრმეს, პოეტურ სინატიფეს, ზუსტად მიგნებულ პოეტურ სახეებსა და სენტენციებს, ლექსის ბწკარებში აკუმულირებულ ბიბლიური პარადიგმების ნიუანსებს. მეცნიერს საოცრად აქვს გათავისებული დავით გურამიშვილის პოეტიკა, თითოეული ღირიკული ქმნილების ტონალობა და სიღრმისეულ პლასტებში წვდომის უიშვიათესი უნარი.

ტიტე მოსიას მხატვრული სამყაროს ნაირგვარად მოკიაფე წახნაგები, ტექსტებში მოხმობილი და გაანალიზებული უჩვეულო ფერისცვალება, ზუსტად მიგნებული დეტალები კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ცნაურდება პარაგრაფებში: „სოფლის დაბადება“, „ბიბლიური დავითი“, „ფსალმუნთ ებანი“, „დავით გურამიშვილის ანთროპოლოგიური შეხედულებიდან“, „დავით გურამიშვილის ეროვნულ-იდეოლოგიური ნააზრევიდან“, „დავით გურამიშვილის ეთიკური შეხედულებიდან“ და სხვ. და მაინც, მისი თითოეული დასკვნა თუ მსჯელობა დ. გურამიშვილის პოეტური ქმნილებების არსის ძიებაზე „ქრისტეს ღურსმნიდან მოდენილი ტკივილის“ განცდის ასოციაციაა და გჯერა მეცნიერის გამჭოლი მზერით განჭვრეტილი პოეტის სიცოცხლის მარადისობა.

მეცნიერმა ახალი რაკურსით წარმოაჩინა დ. გურამიშვილის ესთეტიკური ფენომენი, გლოვისა და განცდის ღრმა უნარი, სიტბოს, მოყვასისადმი სიყვარულის უშრეტი მარაგი, ღვთისმოსაობა და მტკიცე ნებისყოფა.

კკითხულობ ამ წიგნს და გული სიამაყის გრძნობით მევსება, თვალწინ დამიდგება დავით გურამიშვილის აჩრდილი, ეს „ბედნიერი ტანჯული“ (თ. ჭილაძე).

რამხელა სულიერი თვითგვემა და ტრაგედია ირეკლება თითოეულ სტრიქონში, დიდი შემოქმედის სულის ბიოგრაფიის ასე წარმოჩენა მხოლოდ მას ხელეწიფება, რომელიც ღრმა სულიერ ნათესაობას გრძნობს დავით გურამიშვილის პოეტურ სამყაროსთან...

დავით გურამიშვილია ტიტე მოსიას გემოვნების საწყაო, მისი სულის ნაწილი და ემანაცია, მისი მსოფლმხედველობისა და მხატვრული სამყაროს განმსაზღვრელი. დიდია და უსამანო ერუდიცია მეცნიერისა და პოეტისა, ფართოა მისი ხედვა და სამოქმედო არეალი. იშვიათად წამიკითხავს ესოდენ მაღალ რეგისტრში აყვანილი პოეტური ხელოვნების შეფასება. აქ მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია და ეთიკა ერთმანეთს შეერწყა და შეეზავა. მეცნიერის დებულებებსა და დასკვნებში განსაკუთრებულადაა მონიშნული თუ რაოდენ ახლოსაა დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ და დიონისე არეოპაგელის ნააზრევი, როგორ გაერთიანდა ერთ მარადიულ სევდად ორი დიდი ფიქრიანი კაცის მიერ დანახული სამყარო და ადამიანი და ისიც, თუ რაოდენ დიდი როლი აკისრია მეცნიერს, შემოქმედს დაძლიოს კულტურასა და ხელოვნებაში არსებული ბარიერები.

ბატონი ტიტესთვის, როგორც მეცნიერისა და მოაზროვნისთვის დამახასიათებელია მაღალი ჰეროიზმი და პატრიოტული პათოსი შეთავსებული ზოგადკაცობრიულ სულიკვეთებასთან. მისი მეცნიერული განჭვრეტილობა წინა პლანზე წამოწევს დ. გურამიშვილის პოეზიის ხასიათს, რომელიც ნასაზრდოებია შუა საუკუნეების ესთეტიკით, ეყრდნობა ტრადიციულ თემატიკას, გამოსახვის ფორმებსა და მეთოდებს; სახე-სიმბოლოთა ფონზე იძენს თავისთავადობას და გონითი სასწაულებით ბრწყინავს.

ბატონი ტიტე რაღაც საოცარი ესთეტიკური ალღოთი არჩევს პოეტურ სტრიქონებს. ვკითხულობ და აღფრთოვანებას ვერ ვმაღავ, მის მიერ მოტანილ თითოეულ ციტატასა თუ სტროფში მისეული ესთეტიზმი და განცდაა ჩატანებული. აი, თუნდაც:

„საფლავით აღვსდექ, სიკვდილით სიკვდილი ვსთრგუნეო,  
ჯოჯოხეთშიგან სატანა რისხვით მივბნიდეო...  
მოველ ადამს და ევასა ხელი მოვკიდეო...  
აღმოვიყვანე სხვანიცა, არავინ დავაგდეო“.  
(დ. გურამიშვილი)

იესო ქრისტეს სიტყვას დავით გურამიშვილის დასამოძღვრად თუ რჩევა-ღარიგების მისაცემად ფართო ადგილი ეთმობა ამ ლექსში. აღსანიშნავია, რომ პოეტმა „დავითიანი“ განუმეორებელი სიტყვა თქვა ქართულ პოეზიაში. ფიზიკური მემკვიდრის უყოლობით გულგათანგული დ. გურამიშვილი მოხარულია იმით, რომ სულიერ მემკვიდრეობას უტოვებს თავის ერს. ამასთანავე, იგი ითხოვდა:

„ამ ლექსს თავი მოუყარე, საცა მეთქვა თვითო ობლად,  
აგების რომ ბრძანოს ვინმემ სიტყვა ჩემთვის შესანდობლად“.

ტიტე მოსიას თითოეულ დებულებასა თუ დასკვნაში პოეტის „სულის ბიოგრაფია“ იშლება. მეცნიერი ხომ თავადაა პოეტური ზეშთაგონების, რაც ხელს უწყობს იღვაწოს მეორე შემოქმედის გადასარჩენად, რათა დაღლილი და დარბეული სული ერთმანეთში არ აირიოს. სტილური არტისტიზმი თითქოს ქუდბედად დაჰყვა მეცნიერს, მოგვითხრობს რა დავით გურამიშვილის სასწაულებრივ ბუნებასა და საოცარ პოეზიაზე, ადვილი შესამჩნევია, რომ იგი ნამდვილი ვირტუოზია სიტყვისა, რამეთუ მისი თითოეული სიტყვა მზის სხივივით ელვარებს და ღრმა განცდებისათვის დამახასიათებელი სიმძაფრითა და შარავანდედმოსილი გვაზიარებს დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობის სამყაროს. აქვე მინდა ხაზგასმით მივანიშნო, რომ მეცნიერს სიტყვის გრძნობის, პოეტური ენის შეცნობის უიშვიათესი უნარი

აქვს და საოცარი სიფაქიზით ელოლიავენ, ესაღბუნება ყოველ სიტყვას. ამაღელვებელი პასაჟებითა და საინტერესო დაკვირვებებით ჩაგვაფიქრებს.

დ. გურამიშვილის ცხოვრების ისტორია ხომ მუდამ უმშვენიერესი ნოველაა, რომლითაც მეცნიერი მეთვრამეტე საუკუნის აფორიაქებულ სინამდვილესთან, საქართველოს მიმე გარემოსა და სირთულეებთან გვაახლოებს, რომელთა გადალახვას უთუოდ დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა.

„დავითიანის“ მიხედვით, მკითხველის თვალწინ გაივლის თითქოსდა ქართველი ხალხისთვის თავგანწირული ეროვნული გმირის ტრაგიკული ხვედრი. ქრისტეს ჯვარცმას აღვიქვამთ, როგორც საკუთარი სხეულის გაუგონარ წამებას, თითქოს, მოღალატე დგას ჩვენთან ახლოს, რათა ლახვართვე განგვიგმიროს გვერდი და სისხლის დვარი გვდის.

დ. გურამიშვილმა ქართველი მკითხველის გულში მაცხოვრის სასტიკი წამების დახატვით დიდი, განუზომელი ტკივილი მოიტანა. ეს შეძლო მან სწორედ მხატვრული სიტყვის ძალით...

... „უგმირეს გვერდსა ლახვარი, ვაიმე ვითა ვსთქვი ესო“. „შემოეხვიენენ გარშამო, დაუწყეს ჭრა და კოდება“, პოეტს ქრისტეს პიროვნებაში განსაკუთრებით ნიბლავს მისი თავგანწირვა და წამების მოთმენა ადამიანთა საკეთილდღეოდ: „ჰქმენ სულგრძელობა მათხედა და დასთმე შენ ჩვენთვის იესო“. სწორედ ამიტომ ხმამაღლა შესძახებს იგი: „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო“. ადამიანთა ხსნისათვის ნებით წამებული ქრისტე მისმა მშობელმა ასე განადიდა: „შენ ძეო და ღმერთო ჩემო, უფალო გძღვნი დიდებასა!“ (1, 132) – ვრცელი პასაჟით მეცნიერმა გვაზიარა მაცხოვრის ჯვარცმის მისტერიას. ეს ეპიზოდი ამაღელვებელი და სულისშემძვრელია. კითხულობ და გრძნობ როგორ მადლდები, როგორ გადაიშლება ახალი შეგრძნებების ჰორიზონტი იმ შინაგანი სულის ამბოხისა, რაც ტანჯავდა დიდ მამულიშვილს. აქ რაღაც შთამაგონებელი აზრია, რაც უკვე ტექსტის ჩარჩოს მიღმაა, თუმცა, ჰორიზონტზე თითქოს ციალებს და მკითხველიც შეუმცდარად აღიქვამს მეცნიერის ნაფიქრ-ნააზრებს.

„ქართველთათვის ასეთი ძნელბედობისა და უმწეობის ჟამს შემოჰყავს თანამემამულეთა სულიერ სამყაროში ქრისტეს ხატება პოეტს, რათა მისი მაგალითით გადაგვარებულ ქართველთა დაბნელებულ გონებაში სინათლე შეიტანოს, გონს მოიყვანოს ისინი, ხალხისა და სამშობლოსთვის თავგანწირვის თესლი გაადვივოს მათ გულში; ასწავლოს თანამედროვეთ ჭირის ატანის, გამძლეობისა და მოთმინების სასიკეთო თვისებები. ამიტომ მიმართავს „ქართლის ჭირის“ ავტორი ქრისტეს: „დიდება მოთმინებასა შენსა უფალო იესო“ (1, 129-130).

პირადად ჩემთვის ეს მრავლისმეტყველი მსჯელობა და დასკვნა უფრო მეტია, ვიდრე დავით გურამიშვილზე დაწერილი უამრავი წერილი თუ რეცენზია.

ამ მონოგრაფიაში თითოეული პარაგრაფი დამოუკიდებლად სუნთქავს, მაგრამ მაინც ერთიან მოზაიკურ სურათად წარმოგვიდგება თავისი ფერადონებითა და შინაგანი სინათლით.

ტიტე მოსიას პოეტური წარმოსახვა არღვევს დროის სამანებს და გულისძარღვამდე განგვაცდევინებს ჯვარცმის მისტერიას... იღუმალებითა და გზნებით განმსჭვალული დ. გურამიშვილის პოეზიაში მეცნიერი დიდ ადგილს უთმობს წუთისოფლის რაობას, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის მხატვრულ განსახოვნებას, ასევე სავსებით სიღრმისეულადაა გაანალიზებული ფოლკლორული წყაროები, რაზედაც დაქვემდებარებული იყო პოეტის მსოფლმხედველობრივი სამყარო.

ბატონი ტიტეს წიგნიდან სამყარო შემოგვცქერის მირიადი თვალებით. ლაღად და თავისუფლად გვაზიარებს დავით გურამიშვილის შემოქმედების უშუალობასა და სულის პირველყოფილ ეგზოტიკას. ჩვენამდე მოაქვს ბობოქარი საუკუნის სურ-

ნელი, ექსპრესიული მეტაფორებით მიგვანიშნებს მარადიულ განზომილებაში არსებობის გამართლებაზე და ჰქმნის განმაცვიფრებელ კოსმიურ ჰარმონიას.

ბატონმა ტიტემ დ. გურამიშვილის მისტიკურ პოეზიაში სამყაროს უსასრულო სისტემაც მოიხილა და მისი მძლავრი უზენაესობაც.

მეცნიერის ორიგინალური აზროვნება და განსჯის თავისებურება მთელი სიხვედრით ჩანს პარაგრაფში „თვალთა ცრემლი შენ აწანწკარი“. ბატონმა ტიტემ კარგად უწყის, რომ „სულის ტირილი ცრემლს წარმოშობს. ცრემლი კი ცოდვით გაბინძურებულ სულს წმენდს, ე.ი. ცრემლს ადამიანის არსების ცოდვათაგან განბანის ფუნქცია აკისრია, ვნებათა ცეცხლის დასაშრებლად და შეგინებული სულის განსაწმენდ ცრემლს ზოგჯერ მეტი ძალა აქვს, „ვითარმედ სინანულისა ცრემლითა ძალი ნათლისღების აქუს“ (იოანე ოქროპირი).

„მონანიებით, სინანულის ცრემლით, ადამიანის მიერ ცოდვის ჭუჭყის ჩამორეცხვა, ე.ი. ცოდვილი სულის განბანვა მის შინაგან სულიერ და ზნეობრივ კათარზისზე მეტყველებს, ცოდვილი კაცის ზნეობრივ კაცად გარდაქცევაზე მიგვანიშნებს“ (1, 393).

როგორც არაერთხელ მივანიშნეთ ტიტე მოსიას ხედვის ესთეტიკური პლანი, აზროვნების განსჯითი ხასიათი სულიერ ფასეულობათა და მოვლენათა სიღრმისეული განცდა გაპირობებულია ლიტერატურული ტალანტის თავისებურებით, რასაც ზურგს უმაგრებს დახვეწილი, უტყუარი გემოვნება.

უცილო ჭეშმარიტებაა ის, რომ ცხოვრება მუდამ საკუთარ სტრატეგიას გვთავაზობს და ყოველდღიურ ფოკუსში გვითრევს, რათა ძლიერმა სულიერმა ტკივილებმა არ დაგვთრგუნოს, არ დაგვაბეჩაოს. ამ მონოგრაფიაში კარგი მიგნებები, ზუსტი აქცენტებია დასმული და ის სასიცოცხლო ველიცაა მონიშნული კაცს ამ ცოდვილ მიწაზე რომ აძლებინებს.

ამ წიგნმა წარმოაჩინა ბატონი ტიტე, როგორც დიდი მეცნიერი და დახვეწილი ესთეტი, რომელსაც ეხერხება ოსტატური აღწერა საგანთა და მოვლენათა, ღრმა და საგულისხმო მსჯელობა ეგზისტენციალურ საკითხებზე, რომლის ბიბლიური ილუზიები სულის თავისუფლებისაკენ ისწრაფვიან. მის თხრობას თავისებურ სიმსუბუქეს მატებს მახვილგონივრული დაკვირვებები, მინიშნებები და კონცეფციები, რაც ხაზს უსვამს ავტორის განსწავლულობას, მის არტისტულობას და სიტყვიერი თამაშის ხელოვნებას.

ბატონი ტიტე არტისტიზმის ჭეშმარიტი ვირტუოზია. ყოველივე ამას მის „სტრიქონებში ჩაქსოვილი სუნთქვით შეიგრძნობ“ (გრიგოლ რობაქიძე). ის ლიტერატურის თეორიასა და პოეტურ ხელოვნებაში ღრმად ჩახედული ის მეცნიერია, რომელიც საკუთარი ერუდიციის, კულტურის წყალობით, უცხოელ მწერალთა, მეცნიერთა თუ ხელოვანთა შემოქმედებით მარგალიტებსაც უშურველად გვთავაზობს, ვით კირითხურო, რომელსაც პოეტური მზერა მარადისობისთვის მიუპყრია და დავით გურამიშვილის ტანჯვისა და გლოვის ესთეტიკა საკუთარი სულის ნაწილად უქცევია. მეცნიერისა და პოეტის თვალი სულის სიღრმეებსაც წვდება და ჩვენი სურვილებისა და ოცნებების თვალშეუდგომ მწვერვალებსაც.

დიდი სწავლული „გლოვის ტექსტში“ (ბეჟან კილანავა) ბედნიერებისაკენ უსაზღვრო სწრაფვას განჭვრეტს, რამეთუ მისთვის მისაღებია ელევანტური და რომანტიკული მედიტაციები, წარსულისა და აწმყოს ფანტასმაგორიები... წარსულთან თუ დღევანდლობასთან, ცხადთან თუ იდუმალთან, მიწიერთან თუ ზეციერთან მთელი არსებით ღტოლვა მისი, როგორც დიდი ესთეტისა და მეცნიერის, სასწაულებრივი უნარია და მაინც, ამაყი ნება და ინტელიგენტური ხავერდოვნება, პიროვნული სიხარული, სიღამაზე და მშვენიერება, აღფრთოვანება და უნაპირო სიხარული (ქრისტეს პირისახის) ხილვით, აღტაცება დავითის ბადით, საიდანაც ფი-

ზიკურად წარმოიშვა ქრისტე, „განუმეორებელია ამ ბაღში დარგული ხე, ანუ მაცხოვარი, მისი ხილი, ანუ რჯული. ქრისტიანულ რელიგიას ეზიარებიან ჭეშმარიტი მორწმუნენი“. „ზედ გულზე ვიბი იგი ხე კაციანი და ღვთიანი“ (1, 196).

ზოგი თავისებურად არის ბედნიერი, ზოგიც უბედური, განსაკუთრებულობა რჩეულთა ხვედრია, რჩეული სახელით, გვართ, საქვეყნო დვაწლითა და პირადი ცხოვრებით. ზნეობრივი გმირობა იშვიათია, საბედნიეროდ, ის არა მარტო კულტურის, არამედ ცხოვრების კუთვნილებაა, კიდევ უფრო მეტად დასაფასებელი, დასამახსოვრებელი და მოსაფრთხილებელი...

სიტყვის ოქროპირსა და რიტორს დიდი დავით გურამიშვილის სევდა მუდამ თან დაჰყვება და განწყობილების მიხედვით ახალ-ახალ მარგალიტებს განაბრწყინებს გარინდული მრევლის სულსა და გულში, მუდამ უმაღლეს იდეალებს ნერგავს ეროვნული მწერლობის გულმხურვალე ქადაგი, ჭეშმარიტი მოძღვარი და მეცნიერი, მხატვრული სიტყვისა და ლექსის შეუმცდარი ჭაშნავირი პოეტებისა და მწერლების უმკაცრესი მსაჯულიცაა, უნივერსიტეტებსა თუ აკადემიებში, რესპუბლიკურ კონფერენციებსა თუ წიგნების წარდგინებაზე მუდამ გულისყურში ჩაგვესმის მისი ჟღერადი ხმა მჭერმეტყველებისა, სასწაულებს რომ ფანტავს მთელს საქართველოში...

ამ მონოგრაფიაში ტიტე მოსიას პორტრეტიც გამოიკვეთა, კაცისა, რომელსაც თავი მეცნიერებისათვის, ქართული კულტურისათვის შეუწირავს. სტუდენტი ახალგაზრდობის სიყვარულით გულანთებული მოძღვრის ყოველდღიურ გარჯაში ნათელ კონტურებად იკვეთება და მრავალგზის დასტურდება ღირსეული წინაპრის – დავით გურამიშვილის მხატვრული აზროვნებისა და ნაანდერძევის ჭეშმარიტი ძალა და ხიბლი.

ჰოდა, დადის ჩვენს შორის ღმერთკაცი, თითოეული მისი ნაბიჯი სინათლისა და მზის ემანაციაა, სიტყვის დიდოსტატი და ჭეშმარიტი მოძღვარი ფეხაკრეფით, მაგრამ ლაღად დააბიჯებს დავით გურამიშვილის სულის ტაძარში და სჯერა, რომ აქედან უფრო ადვილია ჩვენი მარადიული იარების მოშუშება. ეოცნებება ენგურსგაღმა დარჩენილი საქართველო და ზეცისკენ თვალეზმპრობილი ივედრება თვალწარმტაცი აფხაზეთის, სანუკვარი ოდაბადეს ხილვას:

„სევდას, რომელიც ნაკადად მოჰქუხს,  
ვერ გაისტუმრებს გული ვადამდე,  
ნეტავი, ერთხელ მამყოფა სოხუმს,  
სული მხდებოდეს, სიკვდილს გადავდებ“.

#### **ლიტერატურა:**

1. მოსია ტ., დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობის სამყაროში, გამომცემლობა „ინოვაცია“, თბ., 2010.
2. კილანავა ბ., რჩეული შრომები, პირველი ტომი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2004.

**Tsiala Meskhia**  
***Spiritual Temple***  
**Summary**

Tite Mosia is a well-known scholar, refined intelligent and aesthete. As time proves he is a very well-educated scientist and a great master of a Word. His scientific works are academic as the scientist has a defined civil position and great responsibility.

The main values for him are Arts, Literature, Aesthetics.

He uses his great gift of eloquence to reflect the Universe created by the Lord God “in uncountable colours”.

Tite Mosia is an author of more than 200 scientific works, articles, essays.

Twenty five of them are published as monographs and books. T. Mosia has also about 20 poetry collections. One of them (“By the Mother's Grave”) was translated from Georgian into Ukrainian by S. Pinchuk.

The monograph “The World-Outlook of David Guramishvili” is the most important work of T. Mosia. The book is a part of the scientist's soul and the definer and determiner of his artistic world.

Reading the book we feel the great erudition of the scientist. Here science, art, philosophy and ethics are the whole.

The scientist shows the sameness of ideas of David Aghashenebeli (David the Builder) (“Galobani Sinanulisani”) and Dionises of Areopagus and we feel importance of the scientist's work reflecting that.

We read with great interest each page of the book and we can realise “spiritual biography” of the greatest poet, details of his life, his aim to look for the main sense of being - God and Native country.

Both of them – the poet (D. Guramishvili) and the scientist (T. Mosia) look for the Lord God, the One, Each and All, Every and Everything, reflected in Nature and incomprehensible as well.

The monograph reflects the portrait of a scientist living for science as well as his great spiritual ancestor David Guramishvili lived for the Arts.

**Циала Месхиа**  
***Храм души***  
**Резюме**

Титэ Мосиа – известный учёный, рафинированный интеллигент и эстет. Время доказывает, что он глубокообразованный учёный и великий мастер слова.

Его научные работы академичны, у него ярко выраженная гражданская позиция и огромная ответственность.

Важнейшими ценностями для него являются искусство, литература, эстетика.

Свой великий дар слова учёный использует для отражения многоцветного универсума.

Титэ Мосиа является автором более чем 200 научных работ, статей, эссе.

25 из них напечатаны как отдельные монографии и книги.

Т. Мосиа – автор около 20 поэтических сборников. Один из них («У материнской могилы») был переведён с грузинского на украинский язык в 2001 году С. Пинчуком.

Важнейшей работой Т. Мосиа является монография «Мировоззрение Д. Гурамишвили». Эта книга – часть души учёного, определяющая его артистический мир.

Читая книгу, чувствуется огромная эрудиция учёного. В книге искусство, наука, философия, этика представляется как единое целое.

Учёный показывает тождество идей Давида Агмашенебели (Давида Строителя) («Галобани Синанулисани») и Дионисия Ареопагита. Мы чувствуем значимость научной работы.

Каждую страницу читаем с глубоким интересом и перед нами предстаёт картина «духовной биографии» великого поэта, детали его жизни, его поиски смысла жизни, Бога, сути Родины.

Оба – поэт (Д. Гурамишвили) и учёный (Т. Мосиа) ищут Господа Бога, Единственного, Единого, Каждого и Всего, Всех и Вся, отраженного в природе и непостижимого.

აქვე მოგვყავს მოგვიანებით გაზეთ „თეატრში“ დაბეჭდილი, დავით ერისთავისადმი მიძღვნილი სტრიქონები:

საკუთარში არ მინახავს, ნასესხებში არ აქვს წუნი,  
(მე სხვის ნათქვამს ვიმეორებ; არც მათ უთქვამთ გასამტყუნნი) (13, 124).

როგორც ჩანს, საზოგადოებაში ეს აზრი არსებობდა. ზოგიერთები საყვედურობდნენ დავით ერისთავს – „სამშობლო“ ორიგინალური კი არა, გადმოკეთებულიაო.

ამ საკითხზე უშუალოდ დავით ერისთავის ნათქვამს იგონებს იონა მეუნარკია: „ოღონდ უსაქმოდ და უსარგებლოდ ნუ იქნება მწერალი, ოღონდ აღძრას იმან ჩვენს გულში ვითარიმე გულისთქმა, ოღონდ შთაბეჭდილება ჩაგვისახოს, ოღონდ მხარი მისცეს ერის სულიერს აღორძინებასა და ჩვენთვის სულ ერთია, მშვიერის კაცის საზრდო პური საკუთარის ფულით არის ნაყიდი, თუ სხვისგან ნასესხითა და წანართმევით“, იტყობი შენ, როცა „სამშობლოს“ თარგმანზე დაიწყებდნენ ლაპარაკს. ცხოვრებაც ისე მოკლეა და ქვეყანა ისე ფართე, რომ სხვის მწერლობაში გამოძებნილი და გადმოკეთებული ქმნილება იგივე ოქროა, მიწაში მდებარე, რომლის პოვნაც ღვაწლია და დიდ ღვაწლადაც უნდა ჩაითვალოს“ (14, 1).

ნიკო ტატიშვილმა, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა დავით ერისთავის „სამშობლოსა“ და სარდუს „Patrie“-ს ურთიერთობა – ერთმანეთს შეადარა ქართული პიესა და ფრანგული დრამა, აღნიშნა: „სამშობლო“ არა მხოლოდ „გმირთა სახელებითაა ქართული, არამედ იგი თითქმის ქართული ლიტერატურის ორიგინალური ნაწარმოებია, მისი განვითარების გზაზე ბუნებრივად შექმნილი. „სამშობლოს“ ნიადაგი ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქართულ ლიტერატურაში და ამიტომ ხვდა დიდი გამარჯვება“ (15, 78).

„სამშობლოს“ წარმოდგენამ გაზეთი „Московские Ведомости“ განარისხა. მასში 1882 წლის 3 თებერვალს (№44) გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომელთან დაკავშირებითაც 19 თებერვალს გაზეთი „დროება“ წერდა: „დღევანდელის ფოჩტით მოსულს გაზ. „მოსკოვის უწყებებში“ (44) დაბეჭდილია თბილისიდან გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომელიც სავსეა საძაგელ ცილისწამებით ქართველ და სომხის ახალგაზდებზე, რომელიც საზიზდარ „დანოსა“ და ჯაშუშის საკადრის დაბეზღებას შეიცავს. კორრესპონდენცია დაწერილია დრამმის „სამშობლოს“ წარმოდგენის თაობაზე, ხელმოწერილია ვიღაც ს.რ-ის სახელით.

საუბედუროდ, დღეს ვერ ვასწრობთ ამ კორრესპონდენციის გაცნობას მკითხველისათვის; ხვალ კი გადავთარგმნით და ვეცდებით ცალკე სტატია ვუძღვნათ ამ საგანს“ (16, 1).

სიტყვა-სიტყვითი თარგმანი „დროებაში“ ორ დღეში გამოაქვეყნა. ჩვენ მოგვყავს პუბლიკაციის ის ნაწილი, რომელშიც საუბარია „სამშობლოზე“: „ახირებულნი და წარმოდგენილი მოვლენაა – ფრანგულ პატრიოტულ დრამმის გადმოკეთება ქართულ ხასიათზე და ამის მიხედვით ძველ საქართველოს ისტორიაზე, რუსეთისაგან საქართველოს დამორჩილებამდინ. მაგრამ აქაურ ახალგაზდა პატრიოტებზე (?), რომელნიც მსურველნი არიან, რომ ყველაფერი თავის მშობლიური, მიმკვდარი განაახლონ, ამ პიესამ დიდი და აღტაცებითი შთაბეჭდილება მოახდინა: ავტორი (თუ შეიძლება იმას ავტორი დავარქვათ) ხელით აყვანილი გამოიყვანეს თეატრიდან, უანგარიშო ხალხმა მიაცილა ის შინამდინ ამ ტალახში და თოვლში ბენგალის ცეცხლით და აღტაცებულის ყვირილით. ბევრ სადამოებს გაგრძელდებოდა კიდევ ეს ნეტარება აქაურ ახალგაზდა პატრიოტებისა, თუ რომ ბოლოს, ადგილობრივ ცენზურის კომიტეტს არ შეშინებოდა კავკასის მხრის ახალ მთავარ მმართველის მალე მოსვლისა და ამ ახირებულ პიესის ნება-დართვით ასეულების მოხდენისა, და არ აღეკრძალა პიესის წარმოდგენა...

გვენანება ხარჯი, რომელიც ამ პიესის დასადგმელად მოსვლიათ; მაგრამ მგონია, ხარჯსა გამოვლენ, თუ დეკორაციებს, ტანთსაცმელებს და ქართულს დროშებს აქაურ გოდფრუას ცირკს მიჰყიდონ, სადაც პანტამიმით რო წარმოედგინ-



ნათ, ნებას მისცემდნენ და მომქმედი პირები, ქართველები და სპარსელები, კარგად ეფექტით გამოჩნდებოდნენ ცხვრის ქუდებითა (!)“ (17, 1-2).

ბოლოს კორესპონდენტი ამბობს, რომ ერთმა ვიდაცამ, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ადგილობრივ პატრიოტიზმსა და სეპარატიზმთან, ასე იმახვილა დავით ერისთავის მიერ ფრანგი მწერლის ნაწარმოების გადაკეთებაზე და მოჰყავს ზემოთ ნახსენები ლექსი („В порыве молодчества“...).

„დროებამ“ გააკრიტიკა „გუსლი“ – დაცინვით საუბრობ დრამა „სამშობლოზე“, ქართულ თეატრზე, ქართველების პატრიოტიზმზე (18, 1).

„გუსლის“ უპასუხოდ არ დაუტოვებია არც „Московские Ведомости“ და არც „დროება“.

კატკოვის გაზეთის მისამართით ის წერდა: „Корреспондент до глубины души оскорбил нас тем, что сочувственно, с своей точки зрения, отнесся к нашим насмешкам над пьесой г. Эривова „Родина“. Ему насмешки эти понравились потому, что пьеса г. Эривова, по его мнению, патриотична. Г. корреспондент не понял, или, вернее, умышленно не хотел понять, что мы именно потому и смеялись над пьесой кн. Эривова, что патриотизм ея выкроен из французской драмы... Еслибы г. Эривов, „отыскав отечество“, не „занял его у Сарду“, а написал бы самобытную драму, в которой искрилась бы истинная любовь к своей родине, то мы первые приветствовали бы появление подобной пьесы на грузинской сцене“ (19, 14).

„გუსლი“ უსაფუძვლოდ მიიხნევდა „დროების“ კრიტიკასაც (20, 9).

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილმა კორესპონდენციამ ქართული საზოგადოება სამართლიანად აღაშფოთა. ილია ჭავჭავაძემ მას „მასხარაობა მასხარა კაცი“ უწოდა და განაცხადა, რომ ამ პუბლიკაციას ყურადღებას არც კი მიაქცევდა ავტორს მთელი ქართველობისათვის, ქართული დროშისათვის შეურაცხყოფა რომ არ მიეყენებინაო.

„გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა ჰსცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლედ დაცვისათვის არამცთუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, – იმის ეგრედ უკადრისად ხსენებას, არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრედ მომხსენებელი რა სულიერებში შევრიცხოთ“ (21, 520), – ნათქვამია ილია ჭავჭავაძის წერილში. ის ამბობს – ქართული დროშა ქართველობას ორი ათასი წლის განმავლობაში სახელითა და დიდებით ხელში სჭერია, სასოებითა და პატივით უტარებია. ეს დროშა გაჭირვების დროს რუსეთის დროშასთან ერთად არაერთხელ გამოუტანიათ ბრძოლის ველზე და ქართველობას არაერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად. ეს დროშა წინ დახვედრია მოზღვავებულ მუსლიმანობას და ქრისტეს ჯვარი თამამად წინ წაუძღვარებია, ძღვევამოსილებით ომიდან გამოუტანია. ....დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვიდაცა კორესპონდენტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მიჰსცა.

... ბარაქადა კატკოვს და მის მომხრეებსა, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროზიც კი ითაკილებდა“ (21, 520).

ილია ჭავჭავაძემ, რომელიც მტკიცედ იდგა ეროვნულობის, ქართველი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე, კატკოვსა და მის გაზეთს არ აპატიო ქართველობის შეურაცხყოფა.

მოგვიანებით ილია ჭავჭავაძემ ქართული დროშის შეურაცხყოფელს უწოდა „სალახანა, ვინ იცის საიღამ მოთრეული, ურცხვი და უსვინიდისო სულდგმული“ (22, 91).

„მოსკოვის უწყებებს“ პასუხი გასცა აკაკი წერეთელმა. მისი თქმით, არც ერთ პატიოსან და წესიერ რუსს არ მოეწონება ის კორესპონდენცია, რომელშიც უმიზეზოდ ღანძღავენ ქართველებს. შემდეგ სტატიაში ვკითხულობთ: „ქართველების დროშას ცოტა სამსახური არ მიუძღვის ქრისტიანობასთან. მის ქვეშ რჯული-სათვის სისხლი იღვროდა!.. ეს რომ არ იცოდენ იმ ზემოხსენებულმა ბატონებმა, არ გვიკვირს, რადგანაც ეს ანბავი წარსულ საუკუნოებს ეკუთვნის!.. მაგრამ ეს როგორღა დაავიწყდათ, რომ ისევე დროშა, რუსეთისაგან უმაღლესად ბევრჯერ დაჯილდოებული, დღეს რუსეთსვე ემსახურება?! და მაშ გოტფრუას ცირკში მისი გაგზავნის მრჩეველები თვითონ უნდა იყონ საეჭო კაცები, სულაც საიმედო და სანდო ვერ უნდა იყონ თვითონ მათთვისაც, ვის ერთგულებასაც ისინი თავმოკატუნობით იჩენენ“ (23, 169-170).

აკაკი წერეთელი სინანულით შენიშნავდა: „ეჰ, ასე თამამად მისთვისა გეწამებენ ცილს, რადგან იციან, რომ როგორც უნდა და როგორც ვემართლებით, მისთანა პასუხს არავინ გვათქმევინებს, თორემ მაშინ დაუმტკიცებთ რა შვილებიცა ბრძანდებიან და რადგანაც აქაურობა არ მოსწონთ, უჩვენებდით – სად შეჭფერისთ ბინა“ (23, 170).

საპროტესტო წერილები გამოაქვეყნეს თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლმა ლუარსაბ მაღალაშვილმა (24, 2) და ქაიხოსრო გელოვანმა (25, 1-2).

„მოსკოვის უწყებების“ პუბლიკაციას გამოეხმაურა რუსეთის საზოგადოებრიობა. „Московский Телеграф“-მა გადაბეჭდა ილია ჭავჭავაძის პასუხი კატკოვისადმი და საკუთარი პოზიციაც დააფიქსირა, კერძოდ, აღნიშნა: „კატკოვის გაზეთის ბეზღაობა არის ნამდვილი ბეზღაობა; კატკოვს არ აკმაყოფილებს რომელიმე საბრალლო გიმნაზისტის დაბეზღება... ის ეძებს ხალხების არეულობას, განდგომას, ბუნტს; ეს არი იმისი ნამდვილი ასპარეზი, რომლითაც ის ცხოვრობს და სუნთქავს. ხან რუსეთის ერთ კუთხეს მივარდება და პოლშელების განდგომის ამბავს განაახლებს, ხან სახელმწიფოს მეორე კუთხეს დაეძგერება და ქართულს და სომხურს თეატრების არსებობაში ეძებს განდგომისა და ბუნტის ნიშანს...“

ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობს განაახლოს ის უბედური მოვლენა, რომელიც მოხდა პოლშაში ათას რვაას სამოცდასამში. მაგრამ ის დრო წავიდა, სხვა აზრებმა და კაცებმა დაიჭირა ადგილი რუსეთის ცხოვრებაში და კატკოვს ვერა მოუხერხებია-რა იმათთვის. მართალია, კატკოვის მოქმედება ხანდისხან უნაყოფო არ არი: ის სთესავს უკმაყოფილებას, სპობს ყოველგვარ საშუალებას საზოგადოების დამშვიდებისას—რადგან იცის, რომ თუ საზოგადოება დამშვიდდა, მაშინ თითონ იმას, კატკოვს, ბოლო მოელება და არ ექნება ის ძალა, რომლითაც ეხლა ლამის დაგვახრჩოს.

მაგრამ ნახეთ, რა საზოგადო ზიზღს აღძრავს მრთელი კატკოვის უსვინიდისო მოქმედება: თფილისის გაზეთებმა ერთის ხმით უპასუხეს ბ-ნ კატკოვს და გამოაშკარავეს მისი საზიზღარი საქციელი“ (26).

როცა „გოლოსმა“ ლუარსაბ მაღალაშვილის წერილი გამოაქვეყნა, მას რედაქციამ წაუმიძვარა შემდეგი შინაარსის ტექსტი: „Племенной травле не будет, кажется, конца! Вчера травили немца, сегодня, не бросая немца, начинают травлю против грузинов и армян. К чему же это приведет?“

Мы получили из Тифлиса, от тифлиского уездного предводителя дворянства, помещаемое ниже письмо, совершенно понимая естественное негодование, возбужден-

ное в тифлиском обществе клеветою „Московских Ведомостей“, возводящих на грузинов и армян обветшалые обвинения в пресловутом сепаратизме, которое прозревается газетою в поддержке, оказываемой местными народностями своим родным сценам“ (24, 2).

„მოსკოვის უწყებების“ პუბლიკაცია დაგმო ნ. მიხაილოვსკიმ (27, 249-265). მისი თქმით, რუს ხალხს ბრალი არ მიუძღვის კატკოვის ველურ მოთხოვნაში ქართული დროშების ცირკისათვის მიყიდვის თაობაზე.

ქართული და რუსული პრესის მხრიდან ასეთი გამოხმაურების შემდეგ კატკოვის გაზეთი შეეცადა თავი ემართლებინა. „დროება“ წერდა: „ბ. რ., რომლის ბეზღობითა და საბაგლობით საგვს კორრესპონდენცია იყო ამას წინათ „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილი, ახლა თითქო-თავს მართლულობს ამავე გაზეთში (№98). მე სრულებით საქართველოს ნამდვილ დროშას არ შევხებივარო, მე მხოლოდ იმ სათამაშო, საბავშო დროშაზედ ვამბობდიო, რომელიც დრამის „სამშობლოს“ წარმოდგენის დროს გამოიტანეს სცენაზედაო. მიკვირსო, ბ. ტფილისის მაზრის წინამძღომელმა მაღალაშვილმა ეს როგორ ვერ გაიგოვო და სხვ.“

ჩვენ კიდევ უფრო ზოგიერთ ღირფი და მშიშარა ხალხის ხასიათი გვაკვირვებს, რომელნიც მოუფიქრებლად, უსირცხვილოდ წამოტორტლავენ რასმე და შემდეგ, როცა ჰხედვენ, რომ ერთობ სულელური და საბაგლობა რამ წარმოთქვებს, უნდათ გაისწორონ თავის ნათქვამი, მაგრამ, გასწორების მაგიერ, ახალს უახრობასა და ახალს სისულელეს წამოტორტვლენ.

როგორ სისულელე არ არის, მაშ, იმის თქმა ბ. რ.-საგან, რომ მე ნამდვილ საქართველოს დროშას ხო არ ვეხებოდიო, თეატრის დროშას შევეხეო. ამას კუდა მოძუება ჰქვიან, თორემ ეს როგორი თავის გამართლებაა? რასაკვირველია, თეატრში გამოტანილი დროშა ნამდვილი საქართველოს დროშა არ არის, ის დროშა არც ქართველ ერს უტარებია, იმისთვის არავის სისხლი არ დაუღვრია; მაგრამ ეს თეატრის დროშა იყო წარმომადგენელი იმ ქართველთ ნამდვილ დროშისა და ხსენებულ კორრესპონდენციიდან ცხადათ ჩანდა, რომ ბატ. რ-ს ამ ნამდვილ დროშის შეურაცხყოფა ჰსურდა, როცა ამბობდა, რომ ეს დროშები ახლა გოდფურუას ცირკში გამოდგებაო.

მაგრამ ბევრი ლაპარაკი არა ღირს იმისთანა პირთან, რომელიც დღეს ერთს ამბობს და ხვალ, შეშინებულს, ან შერცხვენილს, ისევ უკან მიაქვს თავის სიტყვები, – ფასი არა აქვს ამისთანა კაცის თქმას“ (28, 2).

1882 წლის 21 მაისს თბილისის დასმა ქუთაისში პირველად ითამაშა „სამშობლო“. მას მოჰყვა სხვა წარმოდგენებიც. თეატრში ხალხის ტევა აღარ იყო. სპექტაკლის ნახვის მსურველების თითქმის ნახევარი, არასაკმარისი ადგილების გამო, ფეხზე იდგა. 23 მაისს, მეორე წარმოდგენის დღეს, ადგილობრივების მიწვევით, საგანგებოდ ჩავიდა ქუთაისში დავით ერისთავი, რომელსაც სახსოვრად მიაჩნოთ ვეს დაფნის გვირგვინი წარწერით – „ქუთაისის საზოგადოებისაგან „სამშობლოს“ ავტორს“ (29, 3).

იმ რეზონანსზე, რაც მოჰყვა ქუთაისში „სამშობლოს“ დადგმას, წერდა ესტატე მჭედლიძე. კერძოდ, მან აღნიშნა: ის, რაც მოხდა „სამშობლოს“ წარმოდგენის დროს, „ქუთაისის სცენას თავის დღეში ამისთანა არაფერი უნახავს; ხარაზოვის თეატრს ამდენი ხალხი ჯერ სიზმარშიაც არ მოლანდებია; აქაური საზოგადოება ასე ერთგვრად გრძნობააშლილი და სულიერად დაკმაყოფილებული პირველად ბრუნდება შინ წარმოდგენიდან. ახლაც თვალწინ მიდგია რამდენიმე ასი ადამიანი, – ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ჩინიანი და უჩინო, ბატონი და მოსამსახურე, – სმენად გარდაქცეული, სულგანაბული და თითქოს სისხლშეყენებული. მაგრამ, აჰა, იგრიალა მთელად საზოგადოებამ და ერთბაშად, თითქო რაღაც მანქანების ძა-

ლით, შეიქმნა ტაშის კვრა და ბარაქალას ძახილი. ყველას ერთი რაღაც გრძნობა იტაცებს, ყველას გული ერთი რამესათვის სცემს. დიად, „სამშობლომ“ ქართველის გულს რამდენსამე საათს მაინც დააწყებინა ქართველურად ცემა!“ (30, 245-246).

ესტატე მჭედლიძემ ყურადღება გაამახვილა დავით ერისთავის დრამის ძლიერ და სუსტ მხარეებზე.

დაპირებისამებრ, სტეფანე ჭრელაშვილი დაუბრუნდა „სამშობლოს“ და ისაუბრა მის ღირსება-ნაკლოვანებებზე (31, 22-48).

რაში მდგომარეობს დრამის ნაკლოვანებები?

შეთქმულების მოწყობა სამშობლოს დამპყრობთა წინააღმდეგ, შეთქმულების გაცემა, მისი მეთაურების დასჯა – ეს ყოველივე საკმარისი იყო დრამის შესაქმნელად და არავითარი საჭიროება არ იყო იმისა, რომ დავით ერისთავს პიესაში ჩაერთო „მრავალი გარეშე უბედურებანი“ – ცოლის დაღატი, „საყვარელი მეგობრის უნებური სიმტყუნე“, ფაიხოშის სამაგალითო გულჩვილობა და სხვ. „ესეები სრულებით უადგილონი არიან „სამშობლოში“ და გაცილებითაც ჩამოუვარდებიან დრამის მთავარ აზრს, ავტორის უმთავრეს წადილს და, თავის უადგილობით... საშინლად უშლიან პირდაპირ საქმეს“ (31, 32).

სტ. ჭრელაშვილი თვლის, რომ უფრო საინტერესო იქნებოდა გაგვეგო არა ფაიხოშის გულკეთილობა ან თუ როგორ არაკეთილსინდისიერად ექცევა ლევან ხიმშიაშვილი მამასავით საყვარელ სვიმონ ლიონიძეს, არამედ ის, თუ როგორ მომზადდა შეთქმულება. კარგი იქნებოდა, გვენახა თვით ბატონიშვილი მოქმედებაში, გაგვეგო მისი შეხედულება არსებულ მძიმე ყოფაზე, რადგან სწორედ ამ შემთხვევაში ვნახავდით ნათლად დრამაში გამოყვანილი გმირები როგორი საუკეთესო წარმომადგენლები არიან ქართველობის, ვნახავდით მათ საქმეში. ისინი ნელ-ნელა, თანდათან ამადლდებოდნენ ჩვენს თვალში და თავიანთი მოქმედებით შთააგონებდნენ მკითხველს თუ მაყურებელს, რომ მართლა გმირები არიან, მათი დამარცხებაც ათასჯერ მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

ახლა კი?

„...რადგანაც ავტორის ყურადღება, ტყუვილ-უბრალოთ და შეცდომილებით, გაფანტულია სხვა და სხვა მასალის ძიებაში და მათ გამოჩეკაში, უმთავრესი თემა მეტათ შევიწროებულა, და საცოდავი გმირები მხოლოდ რეზონერობენ, ფრაზირობენ, საქმის მაგივრათ იმათ გააქვთ ტკბილი ლაპარაკით, თბილ-თბილი სიტყვებით...“ (31, 33).

რაც შეეხება ღირსებას.

სტეფანე ჭრელაშვილის შეფასებით, „სამშობლო“ არის ნაწარმოები, რომელმაც ბევრის გულელებში იმედისა და ნუგეშის სხივები გააჩინა, რომელიც შეესმიანა ეპოქის ტკივილებს, რომელმაც საზოგადოებაში ძლიერი გრძნობები გააღვიძა.

1882 წლის 8 დეკემბერს კოტე მესხის საბენეფისოდ ქართულმა დრამატულმა დასმა წარმოადგინა „სამშობლო“. მას გამოეხმაურა გაზეთი „დროება“ (32, 2).

რეცენზენტმა დადებითად შეაფასა მსახიობების თამაში. განსაკუთრებულად გამოჰყო კ. ყიფიანი და ვ. აბაშიძე. რაც შეეხება ბენეფიციანტს, რომელიც ლევან ხიმშიაშვილის როლს ასრულებდა, მასთან დაკავშირებით გამოთქვა იმედი, რომ ის ქართული თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობი გახდებოდა.

დამსწრე საზოგადოება სპექტაკლით კმაყოფილი დარჩა.

1884 წლის 20 დეკემბერს, საზოგადოებრივ თეატრში, ქართულმა დასმა კიდევ ერთხელ წარმოადგინა „სამშობლო“. სპექტაკლით უკმაყოფილება ვერ დამალა პიესის ავტორმა. „დროება“ წერდა: „თ-დი დავით ერისთავი გვთხოვს შემდეგი სიტყვების დაბეჭდვას: „იმედი მაქვს ნებას მომცემთ, თქვენის გაზეთის საშუალებით ვაუწყო იმ საზოგადოებას, რომელიც ხუთშაბათს „სამშობლოს“ წარმოდგენაზედ და-

ესწრო, რომ ამ ყოველად სამასხარაო სპექტაკლში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და არც ნება მიმიცია ამ პიესის დადგმისა. სამასხარაოს ვეძახი ამ წარმოდგენას, რომ მეტი არა ვსთქვა-რა, რადგანაც იგი იყო დამსწრე საზოგადოების მასხრად აგდება. ამაზედ, ვგონებ, ყოველი მნახველი იმ წარმოდგენისა დამეთანხმოს“ (33, 3).

საპასუხო წერილი რამდენიმე დღეში გამოქვეყნდა „დროებაში“ (34, 3). მისმა ავტორმა ვასო აბაშიძემ დავით ერისთავი იმ ადამიანთა რიცხვს მიაკუთვნა, რომლებსაც გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე.

ვ. აბაშიძემ დავით ერისთავს უწოდა „სამშობლოს“ მტარვალი, ისტორიის არმცოდნე, რომელსაც, მისი თქმით, ყურმოკვრით გაუგია, რომ ოდესღაც საქართველოში შაჰ-აბასი შემოსულა, ქვეყანა აუოხრებია და მასაც აულია კალამი, ხელი უტაცნია ფრანგული პიესისათვის, დაუმახინჯებია, თანაც ჰგონია, რომ რაღაც განსაკუთრებული დაწერა.

სტატიის ავტორმა მოიწონა ის ადგილები, რომლებიც დედნიდან პირდაპირ არის გადმოთარგმნილი და დაიწუნა დავით ერისთავის ფანტაზიით შექმნილი ეპიზოდები.

ვასო აბაშიძის შეხედულებით, „სამშობლოს“ თავდაპირველი წარმატება იმან განაპირობა, რომ ხალხს ამ იდეით დაწერილი ნაწარმოები ენატრებოდა და ის ყოველგვარი განხილვის თუ კრიტიკის გარეშე მიიღო. ხალხი თავისსავე სურვილს შეტრფოდა და ავტორს ეგონა, ჩემი დრამის ღირსებამ ააღელვაო. „ახლა, როდესაც საზოგადოება თანდათან ფხიზლდება და გულგრილად უყურებს ამ პიესას, თავ. ერისთავი ბრალს მოთამაშეებს ადებს. დარწმუნდით, ბატონო, რომ ახლაც ისე ითამაშეს „ვითომ თქვენი“ პიესა, როგორც კვლავ, მაგრამ საზოგადოებას აღარ მოსწონს და ჩვენი რა ბრალია“ (34, 3).

ვ. აბაშიძე აცხადებს – დ. ერისთავმა სიტყვიერი თანხმობა მოგვცა და მხოლოდ ამის შემდეგ ვითამაშეთო დრამა. „თუ მართლა ნებას არ იძლეოდა, რამდენმა დღემ გაიარა აფიშის გამოცხადებისა და წარმოდგენის შუა, განა ვერ მოასწრობდა აკრძალვას, თუ მართლა აკრძალვა ჰქონდა გულში?“ (34, 3) – ნათქვამია პუბლიკაციაში.

ვასო აბაშიძე ამ სტატიაში განაწყენებული, გაბრაზებული კაცის პოზიციიდან საუბრობს და მისი შეფასებები ობიექტურობას მოკლებულია.

„სამშობლოს“ დადგმა მეფის მთავრობამ აკრძალა. არაერთგზის იყო მცდელობა, მიეღოთ პიესის წარმოდგენის ნებართვა. 1889 წლის 19 აპრილს თავის დღიურში ვალერიან გუნია წერდა: „დღეს დონდუკოვმა უარი გვითხრა „სამშობლოს“ წარმოდგენაზე. დავრჩით ისევე ცარიელზე“ (35, 183).

„სამშობლოს“ დადგმა განახლდა 1891 წლიდან.

დასასრულ, როგორ შეაფასა ილია ჭავჭავაძემ დავით ერისთავის დრამა? მისი თქმით, „სამშობლო“ „ერთი საყვარელი პიესაა ჩვენის საზოგადოებისა და სწორედ დიდი განძია ჩვენის ღარიბის რეპერტუარისა. „სამშობლომ“ არა თუ თეატრი დააყენა ცოტად თუ ბევრად ფეხზედ, არამედ თვით საზოგადოებაც გამოაფხიზლა და რამდენისამე საფეხურით მაღლა ასწია მისი ეროვნული ცნობიერება, მისი გრძნობა მამულისმოყვარეობისა“ (36, 496).

როგორც ვხედავთ, დრამა „სამშობლოთი“ დაინტერესება დიდი იყო. მას შემდეგ, რაც საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა სარდუს პიესის გადმოკეთების შესახებ, ქართულ თუ რუსულ ჟურნალ-გაზეთებში გაჩნდა წერილები, რომლებშიც დავით ერისთავის „სამშობლოსთან“ დაკავშირებით სხვადასხვაგვარი თვალსაზრისი გამოვლინდა. XIX-ის 80-იან წლებში გამოთქმულ შეხედულებათაგან ზოგიერთი დღეს კრიტიკას ვერ უძლებს, ნაწილიც აშკარად მიუღებელია, მაგრამ მთავარი

ის არის, რომ ძირითადად სწორად იქნა აღქმული „სამშობლო“ იდეური შინაარსი, აღინიშნა პიესის მნიშვნელობა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში და მისი როლი სასცენო ხელოვნების განვითარების საქმეში.

#### **ლიტერატურა:**

1. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, თბ., 1954.
2. გ.ყ. საზაფხულო ფელეტონი, გაზ. „დროება“, 1881, 22 ივლისი, №152.
3. ი.მ., თბილისის ქრონიკა, გაზ. „შრომა“, 1881, 2 სექტემბერი, №1.
4. ემბე, თეატრის ქრონიკა, გაზ. „დროება“, 1881, 10 ნოემბერი, №236.
5. აკაკი, სათეატრო შენიშვნა, გაზ. „შრომა“, 1881, 18 ნოემბერი, №12. იხ. ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XII, თბ., 1960.
6. აკაკი, ბენეფისი ვ. აღექსევევი-მესხიევისა, „თეატრი“, 1885, 15 დეკემბერი, №17. იხ. ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XII, თბ., 1960.
7. დლიური, გაზ. „დროება“, 1882, 22 იანვარი, №15.
8. დლიური, გაზ. „დროება“, 1882, 24 იანვარი, №17.
9. ხ.გ., დრამა „სამშობლო“, გაზ. „დროება“, 1882, 30 იანვარი, №22.
10. თეატრი, ჟურნ. „ივერია“, 1882, №1.
11. სტ. ჭრელაშვილი, ქართული თეატრი, ჟურნ. „იმედი“, 1882, №1.
12. Под сурдиною, журн. „Гусли“, 1882, 31 января, №5.
13. ჩვენ პუბლიცისტებს, გაზ. „თეატრი“, 1885, 17 ნოემბერი, №13.
14. გაზ. „ივერია“, 1890, 16 ოქტომბერი, №220.
15. ნ. ტატიშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1965.
16. დლიური, გაზ. „დროება“, 1882, 19 თებერვალი, №36.
17. გაზ. „დროება“, 1882, 21 თებერვალი, №38.
18. ჟურნალ „გუსლს“, გაზ. „დროება“, 1882, 23 თებერვალი, №39.
19. О тифлисской корреспонденции „Московских Ведомостей“ от 3-го февраля 1882, журн. „Гусли“, 1882, 21 февраля, №8.
20. Отповедь кн. Эрстову и г. Месхи, журн. „Гусли“, 1882, 28 февраля, №9.
21. ი. ჭავჭავაძე, კატკოვის პასუხად, გაზ. „დროება“, 1882, 24 თებერვალი, №40. იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VI, თბ., 1997.
22. ქართული თეატრი, ჟურნ. „ივერია“, 1882, №11.
23. აკაკი, ვერა ხედავთ? გაზ. „დროება“, 1882, 4 მარტი, №45. იხ. ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XII, თბ., 1960.
24. Газ. „Голос“, 1882, 16 марта, №70.
25. საქართველოს დროშაზე, გაზ. „დროება“, 1882, 28 მარტი, №64.
26. ტექსტი გამოაქვეყნა გაზ. „დროებაში“ 1882 წლის 16 მარტს (№55, გვ. 1).
27. Н.М., Записки современника, Отечественные записки, 1882, апрель, №4.
28. დლიური, გაზ. „დროება“, 1882, 18 აპრილი, №79.
29. ადგილობრივი ამბები, გაზ. „შრომა“, 1882, 26 მაისი, №20.
30. ბოსლეველი, თეატრალური შენიშვნა, გაზ. „შრომა“, 1882, 9 ივნისი, №22. იხ. ბოსლეველი, ნაწერები, ს. ხუციშვილის რედაქციით, გამოკვლევით, შენიშვნებითა და საძიებლით, თბ., 1961.
31. სტ. ჭრელაშვილი, ძვირფასი მხარე ჩვენი წარსული ცხოვრებისა, ჟურნ. „იმედი“, 1882, №VII-VIII.
32. ქართული თეატრი, გაზ. „დროება“, 1882, 11 დეკემბერი, №259.
33. გაზ. „დროება“, 1884, 22 დეკემბერი, №276.

34. ვ. აბაშიძე, პასუხად თ-დ დ. ერისთავს, გაზ. „დროება“, 1884, 28 დეკემბერი, №279.
35. ვალერიან გუნია, თბ., 1953.
36. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ.V, თბ., 1991.

**Irma Zakaraia**  
***Drama “Motherland” and Georgian Society***  
**Summary**

In the second half of the 19th century no play has any great of importance to Georgian people as Davit Eristavi’s drama “Motherland”. This paper deals with that response caused by drama in the 80s of the 19<sup>th</sup> in Georgian Society.

The interest about Drama “Motherland” was great. After David Eristavi altered play by Sardu, French writer, there appeared letters in Georgian and Russian newspapers and journals. In these letters there were quite different points of view, different types of approaches to drama of D. Eristavi. Some of these views have become old fashioned, some of them are vividly unacceptable, but mainly ideological contents of “Motherland” was correctly perceived, importance of the play for National Liberation Movement of Georgia and its role in development of Georgian theatrical art.

**Ирма Закараиа**  
***Драма «Родина» и общественность Грузии***  
**Резюме**

Во второй половине XIX века ни одна пьеса не имела такого существенного значения для грузин, как пьеса Давида Эристави «Родина». В статье говорится о том резонансе, который вызвала драма в 80-х годах XIX века среди грузинской общественности.

В 80-ые годы XIX века заинтересованность драмой «Родина» была большой. После того, как обществу стало известно о переработке Давидом Эристави пьесы французского писателя Сарду, в грузинских и русских газетах и журналах появились письма, в которых проявлялись различные точки зрения, разные подходы к драме Д. Эристави. Из высказанных в исследуемый период взглядов, некоторые, на современном этапе, кажутся нам устаревшими, часть из них явно неприемлема, но можно сказать, что в основном правильно было воспринято идейное содержание «Родины», отмечено значение пьесы для национально – освободительной борьбы грузинского народа и ее роль в деле развития грузинского театрального искусства.



**Dilara Khanbabayeva**  
(Azerbaijan)

**MIR JALAL – NATIONAL CRITIC AND HISTORIAN  
OF AZERBAIJAN LITERATURE**

The outstanding representative of Azerbaijan literature Mir Jalal (1908-1978) like his other contemporary writers is not only an author of novels, narratives, short stories included into the treasure of Azerbaijan literature world literature but also one of the first critics and specialist in literature. During his long standing literature activity as the critic following modern literature process Mir Jalal researched the problems of Azerbaijan literature history and theory, as the prominent researcher and obtained some valuable benefits on the research of the range fundamental problems. In order to imagine the worth of his works, it is enough to indicate Mir Jalal's research works on the greatest poet of Azerbaijan Mahammad Fusuli who lived in the 16 th century (1498-1556) and Azerbaijan romantic literature. Doctor of Philology – Mir Jalal's works have not lost worth yet, his works are considered to be valuable source on studying history of our literature.

Mir Jalal's first book about Fusuli was printed in 1940. This is the monograph named "Fuzuli's poetic features" published by the edition of Academician Hamid Arasli, this research object was chosen as the most difficult and complicated one-as the subject and problem. Mir Jalal researched Fusuli's creative work, first of all lyric poetry and it is interesting in itself that it happened when the vulgar sociology attitude to wards the classic heritage had not entirely disappeared, Mir Jalal put the most complicated scientific aim in his monograph. The author wrote "The greatness of Fuzuli was in his taking into consideration all experiences of poets created and written in our language till the XVI century and developing them a lot. First of all the author researched and analyzed Fuzuli's poetry from above mentioned point of view and he came to the conclusion that with his poetic creation art Fuzuli had built entirely fundamental and glorious literary school. The literature school of Fusuli. with its language richness creates the art encyclopedia of man's sense and thoughts. "Presenting the greatest samples of lyric art Fusuli created fundamental and glorious literary school" Mir Jalal wrote. During Mir Jalal's research activity of Fusuli is poetry he acted this point of Fusuli's poetry he acted from this point of view. The author noted that Fuzuli was fairly regarded the father of our poetry. "He is entirely aware of our literature history and is the greatest poet who creates his poems in the sweetest language" Mir Jalal wrote.

In coincidence with the target in his monograph Mir Jalal researched Fusuli's point of view to the poetry to the form and plot world, to the language features.

Doctor of Philology – Mir Jalal Pashayev's second fundamental research work is his defence of a doctor's thesis that was devoted to the literary schools in Azerbaijan in 1905-1917s.

In this work Mir Jalal researched Azerbaijan literature of the XX century realism and romantism of two main literary schools their attitude and roles in the national literature process.

Mir Jalal wrote and researched Azerbaijani literature of 40-s, also, the XX century (early period) about prominent people and their creative activity of that period. So in the 30-s he published articles devoted to the great classics of the XX century as Abbas Sahhat, Nariman



Narimanov, Abdurrahim bay Haqverdiyev, Jalil Mamadguluzadeh. In these articles Mir Jalal arose as the outstanding researcher of the XX century literature (early years).

Deep and well-grounded knowledge of the XX century (early years) literature is the proof that the whole chapter “XX century literature” of “Contracted Azerbaijanian literature” (1943-1944) belonged to Mir Jalal. Just with this work Mir Jalal attracted attention as the professional mature historian of literature (Azerbaijanian literature D.Kh.) To be the researcher of arisen and developing on early years of the XX century literature meant to be the researcher of wide well-grounded, perfect literature history process. It embraced the period after the XIX century literature process after M.Ph Axundov (1812-1878) the great Azerbaijanian prose writer, dramatist, poet, enlightener. To be the researcher of that period meant to be the researcher of a new period new embodiment period of realism. Realistic literature began in the XIX century appeared in the early period of the XX century obtained new artistic aesthetic qualities . It was the period of the XX century romantism the first embodiement period. Thus “XX century Literature” can wholly be regarded as the concise history of our literature concise history of our literature arisen in the early period of the XX century. Just after that period of the XX century. Just after that period the literature history research had been deepened and we can see Mir Jalal as the profound researcher of that period. Thus in 1947 Mir Jalal defended doctor’s thesis on “Literary schools of Azerbaijan” literary heritage of early period of the XX century, style typology and literature trend found the base of Mir Jalal’s work. Mir Jalal was one of the authors of the fundamental work, three volumed “Literature history of Azerbaijan” (1957-1962). In 1962 “XX century Azerbaijan literature” book was published and this valuable work of art was prepared together with literary critic Firuddin Husyenov. More part of this book belongs to Mir Jalal.

Though Mir Jalal possessed profoundly European and Russian literature profiting them in his prose, he is the Eastern write. His aethetic views surely took source from “Kitabi Dede Qorqud”, “Oguzname”, “Qurani Kerim”, the greatest poets of the East Khagani, Nizami, Firdovsi, Sadi Shirazi, Nasimi, Fuzuli poetics, fairy-tales, dastans (a piece of work written in epic genre of non-written folk literature). The very aethetic circle was the reliable guide to Mir Jalal – a writer and a scientist in growing as a real creative man. Classic East culture is a trustworthy guide, fundamental moral treasure. This treasure generally belongs to the East and influences on everybody in this giant civilization, especially creative people.

It is interesting that Great East treasure as well as Western civilization opened doors to the men of letters of the XX century. The West with it social, political, cultural face was stepping into Azerbaijan, into the mend and life style of Azerbaijani man.

The revolution of Mirza Fatali Akhundov had already existed. Prominent philosopher public figure presented his famous plays, later foundation of national theatre was laid, Hasanbey Zardabi founded “Əkinçi” (Sower) (1875) – the first national newspaper.

Mir Jalal Pashayev was born in 1908 at the same time outstanding composer Uzeyir Hajibeyov creating his masterpiece “Leyli and Majnun” became the founder of opera in the whole East.

Two years ago in 1996 “Molla Nasredin” magazine – the peak of publication mind was published and would continue to be published pausing till the firs created works of Mir Jalal. Great minds of Azerbaijan of Mirza Jalil, U. Hajibeyov, M.A. Sabir, A. Nazmi, N. Narimanov, A.Qamkusal, A.B.Haqverdiyev and others contributed to “Molla Nasreddin” Great aethetic improvement was growing in the world of word A. Bakikhanov, S.A. Shirvani, Q.B. Zakir, M.F. Akhundov, N.B. Vazirov, A.B. Haqverdiyev aethetic traditions were continued by the new literary power in the first decade of the 20th century and literature welcomed new names

such as S. Vurqun, M. Hadi, A. Sahhat, M.A. Sabir, M. Musfiq, H. Javid, Y. Chamanzaminli, S. Rustam, R. Rza, S. Rahimov, A. Valiyev, I. Afandiyev, M. Ibrahimov and others began to enter the world of literature.

In the same century – the end of 1920's Mir Jalal's first writing began to be published and improving in the shortest period 26 years old man of letters created the novel "Dirilən adam" ("The Resurrected") one of the Azerbaijani classical novels. Prose of Mir Jalal held the light to the way of the future generation. It must be noted it was the prose of Mir Jalal that raised realism to the level of literary method.

Actually Mir Jalal was one of the reliable transmitter of before himself created national prose. That's why works of the writer show his deep respect to M.F. Akhundov, H.B. Zardabi, N.B. Vazirov, A.B. Haqverdiyev, U. Hajibeyov, M.A. Sabir. By the way it must be noted from the following sources.

- Classical East culture as well as East word treasure.
- Azerbaijan national literature (beginning from folklore to the writer's contemporaries).
- Eventually world literature transmitted from the Russian language.
- In Mir Jalal's literary and scientific creativity these three sources were mixed and synthesized. Every source composed the branch of Mir Jalal's scientific research. There is no need to be either a philologist or researcher in order to accept it as a fact.

If Mir Jalal's monumental work "Fuzuli's creativity" (1958) shows the power of East mind in the face of great Mahammad Fuzuli, "Literary schools in Azerbaijan" (1905-1917) reflects the styles of creators of national world treasure.

Mir Jalal devoted scientific articles to the great minds of the Russian literature such as A.S. Pushkin, L.N. Tolstoy, N.V. Qoqol, A.P. Chekhov, M. Qorki, M. Sholokhov. The main goal of these articles was to bring the impressions about world word treasure in the face of these writers to the national literary mind.

Mir Jalal is on top with his simple, bright literary-theoretical views and his whole scientific creative system is influencing on modern literary process.

This, drawing a conclusion we should come to the conclusion that national (Azerbaijan) literature history embraces the wide research trend of Mir Jalal's literature activity. Research of national literary process of the early period of the XX century is the most important and fundamental stage in this direction.

Surely, Mir Jalal's literature activity is the richest research source. Mir Jalal greatly contributed to the development of National literature.

### ***Literature:***

1. Kocharli F.B. Azerbaijanian literature, V I, Baki, 1978.
2. Mir Jalal, XX century literature, History of Azerbaijan literature, VII, Baki, 1944.
3. Mir Jalal, Poetic features of Fusili, Baki, Academy of Sciences, 1940.

**დილარა ხანბაბაევა**  
**მირ ჯალალი – აზერბაიჯანული ლიტერატურის**  
**კრიტიკოსი და ისტორიკოსი**  
**რეზიუმე**

სტატიაში გამოვლენილია მირ ჯალალის, როგორც ცნობილი მეცნიერისა და მწერლის ფორმირების მიზეზები.

აზერბაიჯანული ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენელი მირ ჯალალი (1908-1978), თავისი ეპოქის სხვა მწერლების მსგავსად, იყო არა მხოლოდ იმ რომანების და მოთხრობების ავტორი, რომლებიც აზერბაიჯანული ლიტერატურის მონაპოვარია, არამედ ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი და ლიტერატორი. თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე მირ ჯალალი იკვლევდა აზერბაიჯანული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის პრობლემებს და ამ სფეროში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

**Дилара Ханбабаева**  
**Мир Джалал – национальный критик и историк**  
**Азербайджанской литературы**  
**Резюме**

В статье раскрываются причины становление Мир Джалала, как видного ученого и известного писателя.

Выдающийся представитель Азербайджанской литературы Мир Джалал (1908-1978) подобно другим писателям своей эпохи, был не только автором романов, повестей, рассказов, которые включены в число достояний Азербайджанской литературы, но также был одним из первых критиков и литераторов. В течение своей долгой литературной деятельности Мир Джалал исследовал проблемы истории и теории Азербайджанской литературы и достиг значительных успехов в этой сфере.



**Maria Cornelia Bârliba**  
(Romania)

## **SOME ANALYTICAL REMARKS ON THE INTERCULTURALITY**

### **1. Concepts and interpretative visions**

The notion of *interculturality* is a combination of two Latin words, namely the prefix *inter* (among, between) and the noun *culture* (agriculture, cultivation). The great orator Cicero introduced a metaphoric construction, considering that the cultivation could be applied not only to the lands, but also to the human souls, to spiritual entities - *cultura animi* (in Latin language). As it is mentioned in one research work under the aegis of the Council of Europe (1), the meanings of the term *culture* shifted over times: for instance, five centuries ago, it referred to the tending of crops or to rearing animals; later on, there was a gradual evolution of its significance and, by analogy, this word was related to the process of nurturing the minds of people (2).

The general meaning of this concept has evolved from the second significance as a sign of the entirety of a society's spiritual and artistic contributions that could be seen to constitute the forming of their identity as a social group like nation, language community etc. (3). Wilhelm von Humboldt compared the term *culture* with the term *civilization*, having an impact on the history of thought. In 1871, Edward Tyler, in his book devoted to the primitive culture, offered a definition for culture, based on a complex area which includes *inter alia*: knowledge, beliefs, arts, laws, customs, as well as any other capabilities and habits acquired by a member of society (4). For Alfred Kroeber and Clyde Kluckhohn, a culture refers to the distinctive way of life of a group of people, to their designs of living (5). In the view of Michael Byram, a multicultural society is not a patchwork of several fixed cultural identities, but a network of cross-cutting networks and identifications which are situated, contested, dynamic, fluid and heavily dependent on context (1).

As a concept related to that of culture, the interculturality has been interpreted from various perspectives. In this respect, the following concepts should be enumerated in a conventional order (2): *pluriculturalism* (the capacity to identify with and participate in multiple cultures belonging to specific "cultural families", "cultural styles, "cultural systems", "pluricultural societies" etc.); *transculturality* (the ability to overcome the strict level of some cultures exclusively based on ethnicity and to share a higher, integrative level of multiple horizons); *alterity/ otherness* (to accept and promote an active relationship with foreign cultures which belong to other communities (ethnic groups, nations, minorities, small geographic entities); *cultural transfer* (a clearly motivated decision to move from a given cultural horizon to another one, which does not mean to abandon or totally ignore the initial culture, but just to operate an adequate application of the given culture in a new context); *intercultural communication* (to develop fruitful and mutually useful contacts among various cultures of the world, starting from the conviction that each of those sets of values could be useful and relevant for the human personality).

There are more definitions of the interculturality, not only in a classical logical manner, but in a broader perspective as descriptions of some important parameters. We have chosen a

few presentations which, in our opinion, reflect in a quasi-exhaustive way the semantic identity of this concept (1). Interculturality refers to the capacity to experience and analyze cultural otherness and to use this experience with the aim to reflect on certain matters that are usually taken for granted within one's own culture and environment. As it is stated by several specialists, the interculturality entails some cognitive, affective and behavioral competences which include: i) knowledge, for instance about other cultural entities, their products and practices; ii) attitudes like curiosity, openness, empathy; iii) skills of interpreting and relating; iv) skills of discovery; v) cultural awareness (critical, constructive, comparative). M. Byram stated that the interculturality enables people to act as mediators among representatives of different cultures, to explain and interpret certain perspectives (1).

## 2. Cultural dialogue

The long and rich history of mankind contains many examples of cultural interferences in various periods, involving a series of parameters such as: languages, literature, arts, science and technology; those correlations occurred in the specific coordinates of historical time as well as of real time. We will refer just to some aspects relevant for the importance of cultural dialogue as a complex reality having several consequences on the harmonious development of human civilization.

The cultural dialogue could be theoretically structured in two major categories: a) dialogue *stricto sensu*, done in the same coordinates of time (Antiquity, Middle Age, Renaissance, Enlightenment, modern history, contemporary period); b) dialogue *sui-generis*, when the periods of time do not coincide and are completely different (e.g. Antiquity and Middle Age; Antiquity and XX-th century).

A historical analysis will clearly indicate numerous facts proving the intercultural dialogue and communication as such (during the same period of time) in their basic dimensions: transfer of literary and artistic expertise; mutual consideration of genuine cultural values and traditions; acceptance of other criteria which, by the way, are not incompatible with the own ones; cross-cultural influences. One pertinent example comes from the classical art of oratory and it was underlined in our book entitled "*Introduction to Rhetoric*" (7). The greatest orator of Rome, Marcus Tullius Cicero, studied not only in his native country, under the influence of renowned *magisters* like: Marcus Antonius, Licinius Crassus, Mucius Scaevola, but also in Greece, Asia Minor, thus entering in direct contact with some style-schools such as *the new Atticism*. After a passionate debate with the great teacher of rhetoric, Apollonius in Rhodes Island, a Greek present there, whose name was Molon, felt suddenly obliged to say the following words: "since now, my country has just a single advantage, that of knowing that you (Cicero – *note of author*) took the eloquence from here and sent it to Rome. "For a long period of time, the Latin spirituality was inspired from the cultural values of ancient Greece; this is why, in "*Ars Poetica*", Horatius warmly recommended the inspiration from the Greek models: "*Vos exemplaria Graeca nocturna versate manu versate diurna*" (Day and night, read and consult the Greek books).

Going further on our evaluation with regard to the *sui-generis* cultural dialogue, it would be important to stress the idea that in such situations when the time-factor is not manifested in terms of coincidence, but of succession (sometimes, in very different periods), the communication is just spiritual, consisting in a series of references *a posteriori* to certain cultural values of the past; thus, every act of historical research and re-consideration of old cultures means a "dialogue" with the respective values, despite of the fact that their authors or

supporters are not anymore physically present. Some examples are able to indicate this kind of dialogue in the history of culture.

It goes without saying that the Antiquity was treated with a very high respect by the next epochs which ensured the transfer and continuity of cultural values created in various parts of the world - Greece, Rome, Egypt, Persia, Turkey , Middle East, India, Far East, North and South Americas etc. The great prestige of ancient times in terms of culture represented also a source of inspiration for famous painters, sculptors, composers, poets, playwrights, scholars and scientists of Renaissance and modern times, until nowadays.

As it was mentioned in our study on linguistic diversity and intercultural communication (2), the Latin language was for many years used in academic correspondence and international scientific fora. Moreover, the old Greek and Latin were considered, particularly in Europe, as "languages of culture", illustrating a high standard of professional competence in science, technology, philosophy, ethics, rhetoric. All over the world, specialists in the ancient literature studied, for instance, the Homer's poems "*Iliad*" and "*Odyssey*" from original perspectives of interpretation; among them, the following experts should be mentioned: Theodor Bergk, R.C. Jebb, Aram Frenkian, Georg Finsler, Hermann Bonitz, John Burnet, Victor Berard etc.(6). On the level of dramatic literature, certain outstanding examples like: Goethe, Bertolt Brecht, Antoine Artaud could be emphasized with regard to continuity of a series of symbolic forms taken from Asian ancient theater traditions and creatively applied to some modern artistic and literary works (3).

In the Medieval times, Erasmus from Rotterdam became a genuine symbol for the concept of interculturality, due to his convictions, daily practices and intellectual behaviour. Even the scholarly full name of this remarkable personality reflected on semantical level the sense of intercultural communication: Desiderius (originated in the Latin word "*desiderium*"=desire), Erasmus (based on the Greek word "*erasmios*"=bellowed), Roterodamus (which was an evident Latinized version of his Dutch city). Starting 1499 until his death in 1536, Erasmus traveled through Europe – France, England, Italy, Belgium, Switzerland, had numerous university lectures and academic conferences at Cambridge, Louvain, Paris, Torino, Basel, developed fruitful scientific links with Thomas Morus, Aldo Manuzio and many other well – known scientists and scholars, translated famous books from Antiquity.

Another personality whose whole life was devoted to the interculturality is closer to the Black Sea space: Antim Ivireanu (Antimoz Iverieli), a common symbol of the Georgian and Romanian spirituality (8). Born in 1650 in Georgia, Antim Ivireanu was kidnapped during his childhood and taken to Constantinople, where the Patriarch of Jerusalem saved him from slavery. At the Patriarch's Court, the teenager acquired good education, mastered several languages (old Greek, Slavonic, Turkish, Arabic) and professions (painting, printing, sculpture, writing literature, drafting sermons, translating into/from various languages). In 1680, Antim was invited by Constantin Brâncoveanu, King of Wallachia (a historical province of today's Romania), where his talent and intellectual abilities were dedicated to Romanian language and Orthodox religion; in 1708, Antim became Metropolitan of Wallachia. The great theologian set up printing houses in Bucharest, Târgoviste, Râmnicu Vâlcea and Snagov; at the same time, he was very instrumental in founding of the first typography in Tbilisi (1709) as well as in publishing of "*Gospel*" in Georgian language. Antim Ivireanu became an outstanding representative of Romanian Orthodox and secular literature and rhetoric; it is to be underlined in this respect that Antim – as a native Georgian – was able to introduce the Romanian language in the divine services.

Interculturality – as an attitude open to the values and traditions of other peoples- was closely connected to certain long travels through continents and oceans, as well as to important geographical discoveries, as we will indicate by the following two examples.

The first one refers to the famous navigator Cristofor Columb; in his long journey on the Atlantic Ocean, he took the first Spanish grammar – a fact which could be considered a clear gesture of interculturality, consisting in the transfer of culture from Spain under the reign of Queen Isabella to the *New World* (2). In such a way, a huge continental region, situated far away from Europe, assumed the name “*Latin America*“, having Spanish as the main and quasi-exclusive speaking language of local population .

The second example envisages the process known under the name “*Silk Road*“, reflecting the truth that the inter-human contacts between Asia and Europe were not exclusively on the level of material goods for commercial activities and daily needs, but also on the level of spiritual artifacts such as: books, maps, gold, silver and ivory - jewelry, carpets, sculptures, paintings, weapons, traditional handicrafts etc.; to those aspects we think that is fully appropriate to add the ”verbal portfolio“ of culture (sayings/ aphorisms, folk stories and legends, jokes, minstrelsy, songs) which were part and parcel of the cultural universal treasure, transferred from people to people, during those frequent journeys on the famous *Silk Road*.

მრავალი კულტურული წარმონაქმნისთვის, რომლებიც ქმნიან საზოგადოებას, კულტურის შემაერთებელ საწყისად საერთო სიმბოლური გარემო გვევლინება. სიმბოლოების ყველასათვის გასაგები და საყოველთაოდ აღიარებული სისტემა, როგორც ქცევის ფასეულ-ნორმატიული რეგულატორი, ხელს უწყობს კულტურულ კონსოლიდაციას კონკრეტული სოციალური ერთობების ჩარჩოებში. როგორც თვითიდენტიფიკაციის საფუძველი, სოციოკულტურული გარემო სტაბილურ საზოგადოებაში ეყრდნობა ბაზისურ ფასეულობათა, მდგრადი სტერეოტიპების, სხვათა ელემენტების განახლებას, რაც კულტურული განვითარების ტრადიციით წინასწარ არის განსაზღვრული.

ცალკეული ადამიანისთვის ან სოციალური ერთობისთვის დადებითი (პოზიტიური) იდენტურობის დაკარგვა ნიშნავს კულტურული ორიენტირის დაკარგვას, ხოლო რიგ შემთხვევებში – მარგინალიზაციას და ამ სუბიექტის „ამოვარდნას“ სოციოკულტურული ურთიერთქმედების არიდან. საზოგადოების, როგორც წარმონაქმნის ერთიანი იდენტურობის დაკარგვა ზრდის მის ფრაგმენტაციას, ხელს უწყობს ანომიას (დიურლკჰეიმის გაგებით), სოციალური სივრცის ცალკეულ, ერთმანეთში არაინტეგრირებულ ნაირსახოვან სეგმენტებად დაყოფას.

ასეა თუ ისე, ერთიანი იდენტურობის მსგავსი დარღვევა ხელს უწყობს კულტურის კრიზისს და ქმნის მისი დეგრადაციის რეალურ მექანიზმს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს იდენტურობის დონის გადასვლა უფრო დაბალ საფეხურზე (საზოგადოებიდან ან ცივილიზაციიდან ნაციონალური, ეთნიკური, რელიგიური და სხვა სახის იდენტურობის დონეზე). ასეთი გადასვლის დადებითი ეფექტი შეიძლება შეინიშნებოდეს ამ წარმონაქმნების მიერ სამოქალაქო საზოგადოების ჩარჩოებში თვითგადარჩენისა და სტაბილური კვლავწარმოების უნარის შენარჩუნების შემთხვევაში. მდგრადი სტერეოტიპების რღვევას ხელს უწყობს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მიგრაცია, ეთნოშორისი კონტაქტები, ინფორმაციულ-კომუნიკაციური სისტემების გავლენის ზრდა, რისი საშუალებითაც ვრცელდება უცხო კულტურათა ელემენტები, აგრეთვე, თვითგანვითარებადი სოციუმისგან მომდინარე ინოვაციები, ახალი ნორმები და ფასეულობები, ზოგი სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორი და ა.შ.

გლობალიზაციის პროცესში ამ ფაქტორების ზეგავლენა იზრდება იმ ტემპის ხარჯზე, რითაც ის ვრცელდება დროსა და სივრცეში. ტრადიციული კულტურის მატარებელი ადამიანის ჩვეულ ცხოვრებაში იჭრება ახალი, უცხო სამყარო. ხშირად ახალი განსხვავდება ნაირსახეობით და საკუთარი შინაგანი მრავალფეროვნებით.

ფართომასშტაბიანი ცვლილებების პერიოდებში, რომლებიც გამოირჩევა სოციოკულტურული სისტემების ფუნქციონირების ცენტრალური საფუძვლების რადიკალური ტრანსფორმაციით, ადამიანები განიცდიან დაბნეულობას, მომავლისადმი

შიშს, კარგავენ საიმედო ორიენტირებს. ასეთ პერიოდებში მათ ესაჭიროებათ სტაბილური, შემოწმებული მოდელები, რომლებიც აწესრიგებენ მათ ქაოტურ გამოცდილებას, უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა იმაზე, თუ ვინ არიან, საიდან მოდიან და საით მოძრაობენ, რაც ხელს უწყობს იდენტურობის ცვლილებებს ან მის დაკარგვას და ძიებას.

გლობალიზაცია მოიცავს მრავალ ქვეყანას განსხვავებული კულტურული ორიენტაციით და განვითარების სხვადასხვა დონით. გლობალიზაციის პირობებში იდენტურობა ან ცვლილებებს განიცდის, ან თანდათან იძენს მრავალი, არსებული კულტურისთვის არადაამახასიათებელ შეფერილობას, ამასთან, კულტურათა ურთიერთგავლენა ხორციელდება როგორც ერთიანი კომუნიკაციური სივრცის შექმნით (მსგავს კომპონენტთა სათანადო ფორმირებით), ასევე „კულტურული პროდუქტების“ ელემენტების გავრცელების დონეზე, რომლებიც ცვლის იდენტიფიკაციის პროცესებს. კულტურის სფეროში გლობალიზაცია ხასიათდება ლოკალურ ერთობათა უნიფიკაციის მკვეთრად გამოხატული ტენდენციით. ეს ვლინდება საერთო ფასეულობათა, ნორმების, სტანდარტების, იდეალების გავრცელებაში, რაც, ნაწილობრივ, უნივერსალური ხასიათისაა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ვისაუბროთ პლურალისტური იდენტურობის ფორმირების შესაძლებლობაზე – იდენტურობის, რომელიც აიგება პრინციპით „ერთობა მრავალფეროვნებაში“, როდესაც ხდება „ადგილობრივი“ კულტურული ფორმების ნაწილობრივ ინკორპორირება გლობალურ სივრცედ. ცალკეულ ასპექტებში შეიძლება საუბარი კულტურათა სინთეზზე, სადაც აქტიური ნასესხობის პროცესში შენარჩუნდება ცალკეული თვითმყოფადი კულტურული თავისებურებანი (იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსალურ ფასეულობათა გარდა, კულტურაციის პროცესში ფართოდ ხდება უცხო კულტურათა ელემენტებთან შეგუება ამ სიტყვის ფართო გაგებით.

ზოგი ავტორის აზრით, გლობალიზაცია წარმოადგენს და უნდა წარმოადგენდეს ორი ურთიერთდაკავშირებული პროცესის ერთობას, კერძოდ, გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის, სადაც ლოკალური ყალიბდება გლობალურის ზეგავლენით, მაგრამ ამავე დროს, შეინიშნება ზეგავლენის უკუპროცესი. მსგავსი ვარიანტი იდეალურ შემთხვევაში შეადგენს განვითარების პოსტმოდერნისტული მოდელის საფუძველს.

თუ მოდერნიზაციის პირველი თეორიები გულისხმობდა განვითარებას დაწვევისა და იმიტირების მოდელის შესაბამისად იმ საზოგადოებებისთვის, რომლებიც ისწრაფვიან განახორციელონ გადასვლა ტრადიციულიდან თანამედროვე ტიპის მოწყობაზე, რის ეტალონადაც გამოდგებოდა დასავლური მოდელები, უფრო თანამედროვე პოსტინდუსტრიული მოდელები ეფუძნებიან განვითარების იმ ვარიანტს, რომლის ცენტრშიც დგას საკუთარი იდენტურობა. გლობალური სივრცის გამრავალფეროვნების აუცილებლობას ემატება უნიკალურობისა და ინოვაციების მოთხოვნები. კულტურათა თვითმყოფადობა აღმოჩნდა თანამედროვე საზოგადოებების ფუნქციურად აუცილებელი კომპონენტი (რაც უშუალოდ ეკონომიკური ასპექტების საკითხებთანაც არის კავშირში). გლობალიზაცია აუცილებლად ეხება უნივერსალურ ფასეულობათა გავრცელებას, ამასთან, ლოკალურ კულტურებს უნარჩუნდება თვითგამორკვევის უფლება. ღიად რჩება გლობალურისა და ლოკალურის შეთავსების გზების საკითხი როგორც მთლიანობაში, ასევე ცალკეულ კულტურათა ჩარჩოებში. რეგულირების გავრცობის მცდელობა ლოკალურ კულტურათა სფეროზე, გარკვეულ მიზეზთა გამო, შეფასებულია როგორც ეროვნული, ეთნიკური და სხვა სახის იდენტურობის, კულტურული საწყისების, მათ შორის, უფრო ფართო დონის გაურკვეველი იდენტურობის სასარგებლოდ. მაგალითად, EC-ის მონაწილე

ქვეყნებიდან ჯერ არც ერთი არ გამხდარა საერთო კულტურული იდენტურობის ნაწილი. იდენტურობის დარღვევას ხელს უწყობს ზეგავლენის სხვა არხები.

როგორც აღინიშნა, კულტურის შემაკავშირებელ ბირთვს შეადგენს ფასეულობათა, წარმოდგენათა, ქცევის კოდებისა და მოტივაციების სისტემები, რომლებიც აწესრიგებენ ინდივიდების ქცევას და ახდენენ მის რეგლამენტირებას. ამ სისტემების ათვისებით და მიღებით სოციოკულტურული იდენტურობა ყალიბდება. გლობალიზაციის პროცესები ხელს უწყობს კულტურული მოდელების გავრცელებას და საზოგადოებას მიეწოდება საყოველთაო მნიშვნელობის ერთიანი ინფორმაციულ-კომუნიკაციური ველის ფარგლებში. ამასთან, სახელმწიფოს როლის შემცირება გამოიხატება იმაში, რომ იდენტურობის სიმბოლოები მეტწილად ყალიბდება ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის მიღმა. იდენტურობა აღიქმება „თავისისა“ და „სხვისის“ შედარებით, მაგრამ იგივე შეიძლება აღმოაჩნდეს იდენტურობის დარღვევის საფუძველი. იდენტურობის დარღვევისა და შეცვლის ანალოგიური პროცესები, როდესაც მისი დადებითი მნიშვნელობა დაკარგულია, შეინიშნებოდა, მაგალითად, ყოფილი სსრკ-ის სუბკულტურების თავისებურებებში, რომლებიც შეითვისებდნენ ცხოვრების წესის უფრო მიმზიდველ დასავლურ სტილს - მოხმარების ნიმუშებს.

სახდურები „თავისისა“ და „სხვისისა“ შორის თანდათან იშლება, სხვადასხვა ჯგუფში ვრცელდება ერთფეროვანი სტანდარტები და სიმბოლოები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მიგრაციულ დინებას, კულტურული პროდუქტის გავრცელების გლობალიზაციას შემოაქვს ალტერნატიული სტილი, სახეები, სიმბოლოები, ფასეულობანი, ქცევის სტანდარტები და ეს ყველაფერი ყალიბდება როგორც უცხო კულტურათა ელემენტები. ეს ნასესხები ელემენტები თანდათან გამოდევნის ტრადიციული კულტურის მრავალ ელემენტს, რომლებიც აღიქმება უკვე როგორც არამიმზიდველი და უსარგებლო. კანონზომიერად მიმდინარეობს განსხვავებათა წაშლა არა მხოლოდ ტანსაცმელში ან საკვებში, არამედ კულტურულ და ქცევით სტერეოტიპებშიც, რომლებიც ხშირად უცხო კულტურის მიერ არის თავსმოსხვეული. არატრადიციულ მოდელებზე ორიენტაცია ცვლის ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და საზოგადოების „კულტურულ“ იერს. გარდა ამისა, თვით საზოგადოება იშლება მრავალ სუსტად ინტეგრირებულ ჯგუფად, რომლებიც განსხვავდებიან იდენტურობის სხვადასხვა კრიტერიუმით.

ცვლილება შესაძლოა შეეხოს კულტურის ბაზისურ ელემენტებს – ენას, ფასეულობებს, ქცევის სტანდარტებს, ტრადიციებს, ტრანსფორმირდება ტრადიციული კულტურის შემეცნებითი სივრცე, იკარგება მანამდე ნაცნობი და გასაგები ორიენტირები, ჩნდება არასტაბილურობისა და გაურკვეველობის განცდა, რაც ბადებს წუხილს და ფრუსტრაციას. სულ უფრო აქტუალური ხდება პასუხების ძიება კითხვებზე – „ვინ ვართ?“ , „საით მივდივართ?“ იწყება სტაბილური, შემოწმებული ორიენტირების ძიება. ასეთ ორიენტირებად, ხშირ შემთხვევაში, გვევლინება ტრადიციული ეთნიკური კულტურის ელემენტები, „კულტურული მემკვიდრეობა“. კულტურული მემკვიდრეობისკენ მობრუნება გულისხმობს ახალ პირობებში მოცემული კულტურის მიღწევებისა და ისტრიული გამოცდილების გამოყენებას. თანამედროვე პირობებში კარნახობენ ადრინდელი კულტურული გამოცდილების მუდმივი „ამოშიფურის“ აუცილებლობას, მის გადაფასებას და ახალ სიტუაციაზე მორგებას. კულტურული მემკვიდრეობისკენ მიბრუნებამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებაში ტრადიციულად დამკვიდრებული ჩვეული სიმბოლოების, ნორმებისა და ფასეულობების გამოყენება; მრავალწლიანი პრაქტიკის მიერ შემოწმებული მოდელების არსებობა უზრუნველყოფს ცხოვრების ჩვეულ პირობებს, კულტურის თვითმყოფადობას. ეროვნული იდენტურობის ელემენტების შენარჩუნებისკენ სწრაფვა ზოგ

შემთხვევაში ხორციელდება სახელმწიფო დონეზე. საფრანგეთში, მაგალითად, მიღებულია საკანონმდებლო აქტები, რომლებიც იცავენ ფრანგულ ენას, დადგენილია ფრანგულ-ევროპულის მონაწილეობის ზღვარი ტელე და რადიომაუწყებლობაში; მსგავსი შეზღუდვებია ჩინეთშიც.

ამგვარად, გაუსახურებელი ერთფეროვნებისკენ მოძრაობას უპირისპირდება კულტურული, ეროვნული თავისებურებების შენარჩუნების ამოცანა, ხდება პირველადი იდენტურობის გაძლიერება.

**ლიტერატურა:**

1. სემენკო ი.ს., გლობალიზაცია და სოციოკულტურული დინამიკა: პიროვნება, საზოგადოება, კულტურა// ჟურნალი „პოლისი“, 2003, №1.
2. ფედოტოვა ნ.ნ., იდენტურობის კრიზისი გლობალიზაციის პირობებში// „ადამიანი“, 2007, №6.

**Indira Dzagania**  
***Intercultural Contacts in the Epoch of Globalisation***  
**Summary**

Intercultural contacts have prior significance in the state politics and they are more important in the epoch of globalisation. Such issues as preservation of identity, culture and traditions attract and will always attract the attention of the specialists of this field.

**Индира Дзагания**  
***Межкультурные контакты в эпоху глобализации***  
**Резюме**

Межкультурные контакты имеют приоритетное значение в государственной политике, тем более важны они в эпоху глобализации. Вопросы сохранения национальной идентичности, культуры, традиций и обычаев являются темами, которые всегда привлекали и впредь будут интересовать специалистов по данной проблематике.



**Заур Багиров**  
(Азербайджан)

## **ОТЧУЖДЕНИЕ КАК ОБЩЕСОЦИОЛОГИЧЕСКАЯ КАТЕГОРИЯ**

Как известно, подавляющее большинство философских систем рассматривали отчуждение через призму опредмечивания, которое конституируется в деятельности, как сущности человека. Таким образом, для определения места данной категории необходим анализ диалектики вещного и личного факторов производительных сил как основы определяющей уровень развитости общества. При анализе вышеуказанной диалектики, считаем целесообразным, провести сравнение между гегелевской и марксистской линией в ее изучении. Г.В.Ф. Гегель в произведении «Система нравственности» начинает анализ труда с триады: потребность – труд – наслаждение, с тем, чтобы продвинуться дальше к другой триаде: обладание орудием, процесс самого труда, обладание продуктами труда. Таким образом, разделение труда выступает опосредованным звеном между человеческой потребностью и ее удовлетворением, или между его сущностью и отчуждением. В отличие от него, К. Маркс рассматривает личный элемент производительных сил, человека в рамках отчуждения или в качестве отчужденного человека. Таким образом, диалектика элементов производительных сил рассматривает разделение труда как качественное взаимопроникновение, выражающееся в единстве положительного и отрицательного. Чем глубже разделение труда, тем больше машин внедряется в процесс производства потребительских стоимостей, но тем меньше стоимость человеческого труда и он должен в этих условиях работать больше в сфере науки, которая увеличивает сумму машин, являющихся продолжением человеческого «Я» на более высоком уровне. Следовательно «Я» превращается в удлиненное в пространстве и во времени «не я», как отчужденной формы, содержанием которой является сущностное «Я». Следовательно, развитие производительных сил, выражается в разделении труда создающего нищего индивида, и человек из создателя становится придатком машины, заложником собственной силы и умения увеличивать самость. Увеличивая свою самость, личный элемент уменьшает самого себя, так как он выражается в способности производить потребительскую стоимость, которая все более удешевляется. В этой связи необходимо отметить, что удешевляется не продукт труда, а труд как выражение человека. Он (человек) превращается в существо, подконтрольное этому независимому процессу и эта подконтрольность выступает необходимым условием сохранения его же родовой сути. Человек утверждает себя в своей родовой сути в форме отчужденной сути, то есть индивид существует только в рамках абстрактного, лишённого индивидуальности человека, совершающего абстрактный труд для восполнения абстрактной потребности. Чем более абстрагируется человек, тем менее он индивидуален, чем более абстрактна и дешева в процессе реализации потребности его деятельность, тем меньше в ней человечности. Чем более абстрактны его потребности, то есть, унифицированы, тем более он перестает чувствовать себя полноценным, и становится чуждым себе. Здесь человек становится сверхчеловеком. Однако этот сверхчеловек не всесторонне развитый индивид, а бедный, неразвитый и лишенный своей самости субъект. Его самость выражается в чуждой сущности машины.

Если разделение труда и собственность есть проявление отчуждения, то источником их появления как формы реализации отчуждения является неразвитость



самого человека и реальные географические и природные условия, в границах которых осуществляется его деятельность. Как известно, Разделение труда выступает с одной стороны, проявлением неразвитости индивида, с другой стороны, причиной его антибиблейского усиления. Указанные выше факторы становятся условиями необходимого проявления неразвитости, которая есть тождество родовой сути в рамках отчужденной сути. Человеку присущи все виды деятельности, так как они есть результат его способности к практической самореализации. Следовательно, неоспоримым фактом является то, что вид деятельности индивида сам есть продукт его деятельности. Таким образом, индивид «добровольно» или исходя из необходимости, то есть, мнимо добровольно, выбирает какой-либо вид деятельности, а другой вид отдается другому индивиду. Наделенные разными видами деятельности, люди опредмечивают себя или свою родовую суть посредством способности, которая есть проявление данной родовой сути в продукте труда. Одновременно его отчужденная суть производится другим индивидом, для которого отчужденная суть индивида первого есть его родовая суть. Индивид, произведя свою сущность, производит свою отчужденную суть и в то же время индивид производит отчужденную суть индивида в форме отчужденной сути уже своей (индивид'). Чтобы получить потерянную в процессе становления себя или индивида суть первый индивид должен отдать находящуюся в его владении часть сути для получения отчужденной от него самости и являющейся собственностью, продуктом труда второго индивида. Таким образом, стык двух необходимостей: первая – деятельность, в которой проявляется неразвитая родовая суть; и вторая – порождение отчужденной сути, как необходимости создает условия обмена, который происходит в целом случайно, хотя и на стыке двух необходимостей. Конкретный индивид меняется с другим индивидом непосредственно или опосредовано, через всеобщий эквивалент отчужденности – деньги.


В этом же процессе мы находим диалектику способности и неспособности. Проследим ее. Создав продукт труда, индивид выражает свою родовую суть, однако не всю, а только ее часть. Чтобы получить остальную часть, он обменивает находящуюся у него суть на суть другого. Таким образом, он счастлив, он получил то, что ему недостает в процессе своего воспроизводства, то есть воспроизводство способности, опредмеченной в продукте труда другого. Он одновременно, отчуждает свою родовую суть тем, что отдает продукт индивиду, и воспроизводит собственное отчуждение через воспроизводство родовой сути индивида. В итоге всякая родовая суть выражается в отчужденной, а всякая отчужденная суть есть родовая сущность. Следовательно, всякий обмен есть приобретение отчужденной сути для воспроизводства способности и неспособности. Под неспособностью понимается присущие человеку качества, которые он не может выполнить по объективным причинам. Поэтому, именно неразвитость индивида, связанная с объективными условиями, является первопричиной, как разделения труда, так и собственности, которые обуславливают отчужденную реальность.

Для более целостного анализа понятия неразвитость индивида проанализируем его через призму диалектики возможного и действительного. Г.В.Ф. Гегель характеризует ее следующим образом: « ... в снимающей себя реальной возможности снимается нечто двойное, ибо она сама двойкая: и действительность, и возможность. Таким образом, реальная возможность не только переходит в действительность, но осуществляет слияние сама с собой, она уже сама есть необходимость» (1, 340, 342). То есть по Г.В.Ф. Гегелю – действительность – это единство сущности и существования, единство внутреннего и внешнего. При таком подходе разделение труда выступает и как

действительность, и как возможность существования неразвитости индивида. Разделение труда есть действительная неспособность, ее сущность и форма его (разделения труда) существования. Следовательно, разделение труда требует неспособности и неразвитости, из которых конституируется совокупная способность, которая есть действительная возможность, то есть вся возможная деятельность есть реальная деятельность или ее продукт.

Указанное обуславливается тем, что неспособность человека выражается в возможной способности, которая выступает действительной деятельностью другого человека. Этот переход предполагает обязательную необходимость, в которой возможная деятельность для неспособного к этой деятельности становится действительной способностью другого в необходимой обратной связи с первым. Неспособность переходит здесь в способность, предполагающую свою противоположность в самой себе, как отрицание себя в границах чужого. Следовательно, разделение труда есть выражение неспособности и одновременно причина ее ликвидации в рамках общества. Раздвоенность проявляется во всем, например, если рассматривать собственность как возможное владение продуктом, то обмен есть действительная возможность данного владения, выражающаяся в отличной от первой действительности, возможной второй действительностью. Таким образом, понятие неразвитый индивид есть необходимое условие его развития, как двойственного процесса, при котором: а) оно выступает, как прогресс объективных, вещных элементов производительных сил, то есть орудий труда; б) человек, освоив прогрессирующие орудия труда, создает нового человека, обогащенного опытом создания, то есть прогресса. Изобретая новую машину, мы создаем и новый вид деятельности, одновременно воссоздавая неспособность уже в рамках созданной деятельности. Исходя из этого, мы заключаем, что развитие человека в его постоянной неразвитости, иначе говоря, утверждающаяся развитость, есть отчужденная суть неразвитости. Для раскрытия этого тезиса, необходимо рассмотрение категорий «утверждение», «отчуждение», «свобода» в их взаимосвязи.

Диалектика этих трех категорий представляет собой два взаимодополняющих друг друга соотношения: утверждение – отчуждение и свобода – отчуждение. В обоих соотношениях отчуждение выступает тождеством, в котором взаимодействуют различия: утверждение и свобода. Триада выражается в следующем виде:



Исходя из указанной триады, отчуждение синтезирует два эти понятия создавая их содержание, которые в свою очередь при диалектическом соединении выражают содержание отчуждения. Рассмотрим это на примерах. Сущность человека проявляется в его отчужденной сути, которая выходит на авансцену жизни в форме его (человека) предметности. Мы судим о сути индивида. Например, пекаря, по отчужденной предметности, хлебу. Пекарь отчуждая хлеб утверждает себя, как пекарь. Утверждение пекаря, выступающее в форме отчуждения (хлеб), одновременно является утверждением отчуждения сущности другого, например сапожника, который лишен сути в форме

хлеба, но имеет другую предметность в виде сапог. Таким образом, утверждение является утверждением отчуждения или утверждение есть, по сути, отчуждение. Приведем еще один пример. Сущность мрамора, как скульптурного материала, мы видим, не в мраморной глыбе, а в мраморной статуе. В данном случае статуя, как активная форма, выражающая пассивный мрамор есть отчужденная суть мрамора и одновременно является утверждающей его суть, как скульптурного материала. Следовательно, содержанием утверждения всегда выступает отчужденная форма жизнедеятельности. В свою очередь содержанием отчуждения всегда выступает обуславливающая ее утверждающая форма (та или иная деятельность).

Другая сторона триады – свобода. Нам известны многие определения свободы. Наиболее распространенными в философском дискурсе являются определения свободы, как «познанная» или «осознанная» необходимость. В обоих определениях тождество проявляется в понятии необходимости, которая подразумевает объективную реальность. Данная объективная реальность выступает в форме отчужденной реальности. Следовательно, необходимость есть отчуждение, в границах которого действует понятие свободы. Другими словами, свобода есть выбор отчужденно утверждающей формы деятельности, в границах отчужденной реальности ею порождаемой и порождающей. Это выражает круговорот.



То есть выбор отчужденной формы деятельности есть необходимость, диктуемая отчужденной реальностью. В свою очередь, отчужденная реальность фиксирует условия выбора формы отчужденной деятельности, продуктом которой является отчужденная реальность'. Возникает круговорот и стадийность. Показанный выше круговорот есть только один виток спирали, где его составляющие (свобода и отчуждение) в процессе развития возвращаются к себе и для себя, но уже на более высокой ступени. Таким образом, можно утверждать, что я на столько, свободен, насколько утверждаю (отчуждаю) себя в границах совокупной отчужденной необходимости (реальности).

Таким образом, **отчуждение – это совокупность внешних и внутренних несоответствий между отношением человека к реальности и действительностью, проявляющиеся в негативных опредмеченных формах созданной им реальности.**

**Литература:**

1. Г.В.Ф. Гегель Энциклопедия философских наук. Т.1.

**ზაურ ბაგიროვი**  
**გაუცხოება – როგორც ზოგადსოციოლოგიური კატეგორია**  
**რეზიუმე**

მოცემულ სტატიაში განხილულია გაუცხოება როგორც ზოგადსოციოლოგიური კატეგორია. ცნობილია, რომ ფილოსოფიური სისტემების უმრავლესობა გაუცხოებას განიხილავს როგორც ადამიანის არსს. მოცემული კატეგორიის ადგილის დასადგენად საჭიროა მწარმოებელი ძალის მატერიალური და პიროვნული ფაქტორების შესწავლა, რაც განსაზღვრავს სოციალური განვითარების დონეს.

**Zaur Bagirov**  
***Alienation as a General Sociology Category***  
**Summary**

The article covers aspect of alienation as a category of general sociology. As it is known, the overwhelming majority of philosophical systems considered alienation through a prism, which is constituted in activity, as essence of the person. Thus, to position the place of the present category, it's necessary to study dialectics of corporeal and personal factors of productive force that determines the level of social development.



## ნესტან ლომია (საქართველო)

### ოჯახის უბავშლენა და როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში

ოჯახს ხანგრძლივი და მრავლისმომცველი ისტორია აქვს. XX საუკუნის დიდი მკვლევარი ლუის მორგანი აღნიშნავდა, რომ არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ ჰქონია ისეთი მდიდარი და შინაარსიანი ისტორია, არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია უფრო ხანგრძლივი და მრავალმხრივი ცდის შედეგები, როგორც ოჯახს, რომელმაც თანამედროვე სახის მიღებამდე განვითარების დიდი გზა განვლო; რომ ოჯახი აქტიური ელემენტია, იგი არასოდეს არაა ერთ ადგილზე გაქცეული, არამედ დაბალი ფორმიდან უმაღლესში გადადის იმ ზომით, რა ზომითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან უმაღლესი საფეხურისკენ ვითარდება (4, 16).

ოჯახი ერთ-ერთი უდიდესი ღირებულებაა ზოგადსაკაცობრიო ღირებულება-თავან, რომლებიც კაცობრიობამ შექმნა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარების მანძილზე. ვერც ერთი ერი, ვერც ერთი კულტურის მატარებელი საზოგადოება ვერ ასცდა ოჯახს, როგორც სოციალურ ფენომენს. მის პოზიტიურ განვითარებაში, შენარჩუნებაში, განმტკიცებაში დაინტერესებულია მთელი საზოგადოება, სახელმწიფო; მისი ურყეობა სჭირდება ყველა ადამიანს, განურჩევლად ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, რელიგიური მრწამსისა, კანის ფერისა, ეროვნებისა თუ ეთნიკური წარმოშობისა.

თანამედროვე მეცნიერებაში არ არსებობს ოჯახის, როგორც ფენომენის, საყოველთაოდ აღიარებული სრულყოფილი განმარტება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინათ ცდილობდნენ მის შემუშავებას გამოჩენილი მოაზროვნეები (პლატონი, არისტოტელე, კანტი, ჰეგელი). გამოვლენილია და დადგენილია ოჯახის დამახასიათებელი თვისებები. უფრო მეტად საუბარია ოჯახზე როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედზე, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოების ბიოლოგიურ და სოციალურ აღწარმოებაში მას უწოდებენ, აგრეთვე, მცირე სპეციფიკურ სოციალურ ფსიქოლოგიურ ჯგუფს, საზგასმით აღნიშნავენ იმასაც, რომ ეს არის ადამიანთა ერთობლიობა განსაკუთრებული პიროვნებათაშორის ურთიერთობებით, რომლებსაც მართავენ კანონი, ზნეობრივი ნორმები, ტრადიციები. ოჯახისათვის დამახასიათებელია ისეთი ნიშან-თვისებები, როგორიცაა მისი წევრების ერთად ცხოვრება, საერთო საოჯახო მეურნეობა, ნათესაობითი კავშირები.

ამგვარად, ოჯახის ცნება შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: ოჯახი არის მცირე მოცულობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფი, რომლის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებს საქორწინო ან ნათესაური კავშირი, ერთიანი ყოფიერება და ურთიერთმორალური პასუხისმგებლობა. იგი სოციალური აუცილებლობაა, რომელიც განპირობებულია საზოგადოების მოთხოვნილებით. ამ განსაზღვრებიდან ჩანს, რომ ოჯახისათვის დამახასიათებელია ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ურთიერთობის ტიპი: საქორწინო (ცოლსა და ქმარს შორის) და ნათესაური (მშობლებსა და შვილებს შორის, ნათესავებს შორის) (6, 200).

ოჯახური ურთიერთობებიც თავისი ემოციური დატვირთვით სხვადასხვა სახისაა, რამდენადაც პიროვნული ურთიერთობები ოჯახის წევრთა შორის შეიძლება იყოს ღია ან დაფარული, ოჯახის წევრებს შეიძლება სძულდეთ ან უყვარდეთ ერთმანეთი, მათ შორის იყოს ურთიერთგაგება და თანაგრძნობა, ან დაპირისპირება და გაუტანლობა. ბედნიერია ოჯახი, სადაც თავს ყველა კარგად გრძნობს.

კაცობრიობის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ოჯახმა არსებითი ცვლილებები განიცადა. მეტწილად ეს ცვლილებები შეეხო ქორწინების, შეუღლების დანიშნულებას, რიტუალებს, წეს-ჩვეულებებს, დაქორწინებულთა უფლებებს და მოვალეობებს.

ოჯახი და ქორწინება სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ჩამოყალიბდა. სამართლებრივი და ზნეობრივი პრინციპებით ერთმანეთისაგან განსხვავდება საეკლესიო და სამოქალაქო ქორწინებები. ქორწინება აერთიანებს ქალსა და მამაკაცს, ერთ ოჯახად წარმოადგენს მათ შვილებთან და, ხშირ შემთხვევაში, ახლო თუ შორეულ ნათესავებთან ერთად. ოჯახი დახურული და ხელშეუხებელია უცხო პირთათვის, ერთგვარი აუღებელი ციხე-სიმაგრეა.

რამდენადაც ოჯახი გარკვეული სოციალური მოვლენაა და საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესს და ცვლილებას ასახავს, ბუნებრივია, რომ იგი მეცნიერების სხვადასხვა დარგის კვლევის საგანი ხდება. ეს ინტერესი ოჯახისადმი გამოწვეულია თვით ოჯახისა და პიროვნების იმ ფუნქციონალური მნიშვნელობით, რასაც ისინი ასრულებენ საზოგადოებასა და ერთმანეთთან მიმართებაში.

საქართველოში მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში განვითარებულმა მოვლენებმა წარმოშვა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ურთულესი პრობლემები. მრავალი სოციალური ურთიერთობა დაიმსხვრა, დაიწყო ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება, რომელმაც წარმოაჩინა ისეთი ცხოვრებისეული წინააღმდეგობის ფაქტორები, რომლებიც წარსულში საზოგადოებაში რეალურად არ არსებობდა. სოციალური წინააღმდეგობები ყველაზე უფრო რთულად ოჯახზე აისახა. მატერიალურმა სიდუხჭირემ, მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის ცხოვრების პერსპექტივის დაკარგვამ ძალზე უარყოფითად იმოქმედა ოჯახზე, როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედზე. ზოგიერთ ოჯახში ურთიერთობა, ფაქტობრივად, შეწყდა. ამკარად შეიმჩნევა ოჯახის წევრებს შორის აგრესიულობის გამოვლენა, საბოლოოდ კი წარმოიშვა ისეთი სოციალურად საშიში მოვლენა, როგორცაა საოჯახო ურთიერთობებში ძალადობა, რამაც თანამედროვე საზოგადოებაში ობიექტურად წარმოშვა ოჯახური ძალადობის თავიდან აცილების პრობლემა: პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების მოშლამ თითქმის ნულამდე დაიყვანა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი. წარმოების შეჩერებამ მწვავე ფინანსური კრიზისი გამოიწვია, მკვეთრად დაეცა საქართველოს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონე, მძაფრად იჩინა თავი უმუშევრობის პრობლემა და სხვა. ძალადობითი დანაშაულის მიზეზების კვლევისას ასევე გასათვალისწინებელია სამანაბლოდან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა.

სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი სოციალური მოვლენები – მასობრივი უმუშევრობა და სიღარიბე – საზოგადოების ძირითად უჯრედზე, ოჯახზე, უკიდურესად უარყოფითად აირეკლება და ამწვავეებს ურთიერთობას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს შორის, რაც, ბუნებრივია, იწვევს მათ ურთიერთობაში გაუცხოების პროცესებს და სხვადასხვა მოტივით დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ მიზეზად გვევლინება.

უძველესი დროიდან მეცნიერთა დავის საგანია ის, თუ რა უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს მოზარდის განვითარებაზე – თანდაყოლილი თვისებები, სოციალური გარემო, ორივე ერთად, თუ აღზრდა.

პირველი თეორიის წარმომადგენლები (სოკრატე, პლატონი, ლაიბნიცი) იმ აზრისანი იყვნენ, რომ ადამიანის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს თანდაყოლილი, ბუნებრივი თვისებები, რომლებიც მას მემკვიდრეობით გადაეცემა;

რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია რაიმე ცვლილება შეიტანოს ადამიანის განვითარების პროცესში, რომ მოზარდს მემკვიდრეობით გადაეცემა როგორც ფიზიოლოგიური თვისებები, ასევე ხასიათი, მიდრეკილებები, ტემპერამენტი და ა.შ.

დემოკრიტე და არისტოტელე ახალშობილ ბავშვს ადარებდნენ „სუფთა დაფას“. მათი მტკიცებით, ადამიანი დაბადებიდან ისეთია, როგორც სუფთა დაფა და მისი ჩამოყალიბება სრულფასოვან პიროვნებად მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ზეგავლენას მოახდენს მასზე მისი გარემომცველი სოციალური გარემო, აღზრდა, საზოგადოებრივი ცხოვრება (5, 147).

საბოლოოდ მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აღზრდის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრეობასა და სოციალურ გარემოს, მაგრამ გადაწყვეტი როლი – „ოჯახსა და მიზანმიმართულ აღზრდას“. აღზრდა არის პიროვნებაზე, მის ქცევაზე ორიენტირებული და მიზანმიმართული პროცესი. აღზრდა პიროვნების სწავლების, მისი სოციალიზაციის ერთ-ერთი ასპექტია. სწავლება, აღზრდა და განვითარება განიხილება როგორც საზოგადოების სოციალური დაკვეთა, რამდენადაც მისი ძირითადი შედეგია პიროვნების ადაპტირება საზოგადოებაში ყოფიერებისა და ცხოვრების წესებისადმი.

იმ მაღალი ჰუმანური ღირებულებებიდან გამომდინარე, რომლებიც კაცობრიობამ შექმნა თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე და ცდილობს იგი ჩაუნერგოს ახალ, მომავალ თაობას, აღზრდის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ადამიანის ჩამოყალიბება სრულფასოვან პიროვნებად, რომელსაც ახასიათებს მაღალი სულიერება, მაღალი ზნეობრივი იდეალები, ამასთან, საკუთარ ქცევათა და მოქმედებათა გააზრება და მათზე პასუხისმგებლობის გრძნობა.

გარდა ამისა, აღზრდა ითვალისწინებს მოზარდებში ისეთი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: თვითრეგულაცია, თვითშეგნება, პასუხისმგებლობა, აქტიურობა და ინიციატივა, წარმატებისაკენ სწრაფვა და სხვა. ამგვარად, მოზარდის, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდის, ადამიანის განვითარება მრავალი კონკრეტული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორით არის განპირობებული. მათგან უმნიშვნელოვანესია სოციალური ფაქტორი – მოზარდის გარშემო მყოფი წრე, ოჯახი, რომელიც ზრდის და ამზადებს მას, რომ აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ საქმიანობაში. სოციალური ნორმატივებისა და წესების ათვისებით და დაცვით. მოზარდის ინდივიდუალურობას განსაზღვრავს ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორებიცაა: მისი გონებრივი, ფსიქიკური, ფიზიოლოგიური განვითარების დონე და თვითშეგნების სტრუქტურა, რაც მას მემკვიდრეობით და აღზრდით ეძლევა.

ინდივიდუალური ბუნებრივი თვისებები – ტემპერამენტი, ხასიათი, ნიჭიერება – განსხვავებულ როლს ასრულებენ ყოველი ბავშვის პიროვნებად აღზრდა-ჩამოყალიბებაში და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს ანიჭებენ. ერთნი წინ უსწრებენ ასაკობრივ განვითარებას, მეორენი კი რამდენადმე ჩამორჩებიან. მაგ., ზოგიერთი მოზარდი ვერ იმეორებს მარტივ მუსიკალურ მელოდიას, სხვას კი შეუძლია მეტად რთული მუსიკალური ნაწარმოების შექმნა, შესრულება. ასეთ და სხვა მსგავს შემთხვევებში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს როგორც თავის ტვინმა, ასევე გარემომ, რომელშიც ბავშვი იზრდება და სრულყოფილი ხდება. აქ მხედველობაში გვაქვს ოჯახის ინტელექტუალური, კულტურული, ზნეობრივი და ეთიკური მახასიათებლები, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ეროვნული კულტურა და ტრადიციები, ოჯახის ტიპი, დამოკიდებულება თვით ბავშვის – მოზარდის მიმართ, მშობელთა შორის ურთიერთობა და ყველა ის გარეგანი პირო-

ბა, რომლებიც განსაზღვრავენ ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებას, მის შემდგომ ჩამოყალიბებას პიროვნებად.

ფსიქოლოგები, მეცნიერები, მშობლებს ურჩევენ, შეიღებონ ჩაუნერგონ რწმენა, რომ თითოეულ მათგანს შეუძლია მიაღწიოს დასახულ მიზანს საკუთარი ძალისხმევით და ბუნების კანონებიდან გამომდინარე. მშობლები თავდაუზოგავად უნდა ცდილობდნენ, რომ მათი შვილი ჩამოყალიბდეს პიროვნებად, რომელშიც იგულისხმება: – ხასიათი, როგორც მისი მოტივაციურ-ნებელობითი სტაბილური სისტემა:

- ტემპერამენტი – ქცევის მოქმედების მყარი სისტემა;
- ინტელექტი – გონებრივი მოქმედების სტაბილური სისტემა;
- კონსტიტუცია – აღნაგობის, შინაგანი ორგანოების მყარი სტაბილური სისტემა (1, 139).

ბავშვის აღზრდაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმთავრეს როლს საზოგადოება ასრულებს, რომლის შემადგენელ ნაწილს ოჯახი წარმოადგენს. ოჯახში იწყება ბავშვის აქტიური ურთიერთობა, მისი ძირითადი თვისებების აღმოცენება. აქ ეყრება საფუძველი მის ზნეობასა და მორალს, ესთეტიკურ და ეთიკურ შეხედულებებს, პიროვნულ თვისებებსა და რამდენადაც ყველაფერი ეს პირველადია თავისი წარმოშობით და განვითარებით, ისინი დიდხანს და მკვიდრად მყარდებიან ბავშვის არსებაში როგორც პიროვნული თვისებები.

ბავშვისათვის მშობელთა დამოკიდებულება შრომისადმი, ადამიანებისადმი, საზოგადოებისადმი ზნეობრივ ღირებულებათა მიმართ, უპირველესი წაბადვის საგანია. მოზარდები ცდილობენ, გადმოიღონ მათგან როგორც კარგი, ასევე ცუდი ჩვევები.

ოჯახი – პირველადი კოლექტივია. მის წევრებს აქვთ ერთნაირი ინტერესი და პასუხისმგებლობა ოჯახისადმი. ყოველ მათგანს შეაქვს წვლილი მისი თითოეული წევრის მიმართ მზრუნველობაში, ყველა შრომობს, ერთად ისვენებენ. ბავშვების სიხარულს თუ ტკივილს ოჯახის ყველა წევრი ერთნაირად განიცდის. მშობლები ყოველ წუთს მზად არიან უთანაგრძნონ, დახმარება გაუწიონ მათ, მშობლები ესაუბრებიან შვილებს თავიანთ მიღწევებსა თუ წარუმატებლობაზე. ოჯახის კოლექტივს შეადგენს როგორც დედ-მამა, ასევე შვილები. როდესაც ერთ-ერთი მშობელი მიატოვებს ოჯახს, მაშინვე მცირდება, კნინდება ოჯახის აღმზრდელობითი როლი და მნიშვნელობა. ოჯახის დაშლა უდიდეს ტრავმას წარმოადგენს თითოეული წევრისათვის, შვილები მტკივნეულად განიცდიან დედის ან მამის მოშორებას. მოზარდები იცვლიან ხასიათს, ხდებიან ჯიუტები, ფეთქებადები და უნდობლები, უხეშები, კონფლიქტურები თანატოლებისა და უფროსების მიმართ, უპასუხისმგებლონი თავიანთ მოვალეობათა მიმართ, ხშირად კი ქუჩის არც თუ ისე სასურველი ზემოქმედების მსხვერპლადაც გვევლინებიან (3, 139).

შვილების ოჯახში აღზრდა ყველთვის არ არის წარმატებული. აქ დაშვებული შეცდომები და გადახრები საზიანოა არა მარტო ოჯახისათვის, არამედ საზოგადოებისათვისაც. ამ შეცდომათაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია მშობელთა ავტორიტარიზმი, რომელიც ავიწროებს შვილების თავისუფალი, დამოუკიდებელი ქცევისა და მოქმედების არეალს, ზღუდავს მათ შესაძლებლობებს, უკარგავს მათ რწმენას საკუთარ ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობათა მიმართ.

ოჯახურ აღზრდაში ამის საპირისპირო შეცდომაა შვილების უსაზღვროდ განებივრება, მათი ყოველგვარი მოთხოვნების დაკმაყოფილება და უკონტროლობა, ოჯახური საქმეებით დატვირთვისაგან მათი გათავისუფლება, რაც აქვეითებს მათ პასუხისმგებლობას, მათი ნებელობის განვითარებას, სასიცოცხლო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.



მოზარდის აღზრდაზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ასევე ისეთი ვითარება, როდესაც განსხვავებულ მიდგომებს იჩენენ დედა, მამა, ბებია, ბაბუა. ასეთი შემთხვევაში ბავშვს უვითარდება პირფერობა, იგი ლაქუცობს, ცრუობს და არ ერიდება სხვა უხელო ქცევებსაც.

საზოგადოების ისტორიული განვითარების მანძილზე ოჯახის ფუნქციები თითქმის უცვლელი რჩება, მიუხედავად იმისა, რომ იცვლება მისი დანიშნულება და მიზნები. ოჯახური ურთიერთობა უძველესი დროიდან სხვადასხვა ფორმაში ვლინდება, სახელდობრ: ავტორიტარული, დემოკრატიული და ანარქიული ფორმით. ავტორიტარული ტიპის მმართველობა დამახასიათებელია პატრიარქალური ოჯახისათვის, სადაც მის ხელმძღვანელობას თავის თავზე იღებს ისეთი უფროსი მამაკაცი, რომელსაც ეკუთვნის უკანასკნელი სიტყვა ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისათვის. დროთა განმავლობაში მისი ფუნქციებიც იცვლებოდა. ოჯახის უფროსობა დღეისათვის ვლინდება არა ოჯახის წევრთა გამორჩეული უმაღლესი ხელისუფლებით, როგორც ადრე იყო, არამედ საოჯახო საქმეების ორგანიზაციაში, მისი ყოფის კეთილმოწყობაში. საქმე ეხება ოჯახის უფროსის არა გადამწყვეტ სიტყვას, არამედ მის ინიციატივიანობას, ავტორიტეტს, ერუდიციას, რაც ოჯახს დემოკრატიულ საწყისებზე მართავს. არცთუ ისე იშვიათად ოჯახში თავს იჩენს „ორხელი-სუფლებიანობა“, რომელთაგან თითოეულს თავისი ძირითადი წვლილი შეაქვს საოჯახო ცხოვრებაში. ერთი მათგანი ხელმძღვანელობს საოჯახო მეურნეობას (საკვების მომზადება, სახლის დალაგება და ა.შ.), ხოლო მეორე წარმართავს ოჯახის უფრო რთულ საქმეებს (სახლის სარემონტო სამუშაოები, მიწის ნაკვეთის დამუშავება, ტექნიკის შეძენა და მოვლა და ა.შ.) (2).

ოჯახის დემოკრატიული ფორმით ხელმძღვანელობისას საკითხის გადაწყვეტა ევალება ყველაზე უფრო კომპეტენტურ წევრს. ისეც ხდება, რომ მამაკაცი ოჯახში არის მთავარი კულინარი, ხოლო მისი მეუღლე თავისებური ინტელექტუალური ცენტრია, რომელიც შვილების სწავლა-განათლებაზე ზრუნავს.

ოჯახის სამეურნეო ფუნქციების წარმატებით წარმართვისათვის ყველაზე უფრო პროდუქტიულია მართვის დემოკრატიული სტილი. მართვა ნიშნავს საოჯახო ეკონომიკის დაგეგმვას, ანგარიშს, მომჭირნეობას, კონტროლს, თანაც, არა მარტო ოჯახის უფროსი წევრების, არამედ ბავშვების, მოზარდების ინტერესების გათვალისწინებით. ოჯახის საბიუჯეტო საქმეების სწორი ორგანიზაცია დიდმნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ოჯახის ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნაზე, პიროვნულ ურთიერთობათა მოწესრიგებაზე.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ოჯახის დასვენებისა და გართობის ფუნქციების ოპტიმალურ ორგანიზაციას, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობაზე, მათ სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ზრუნვას. ოჯახის დასვენება და გართობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მისი წევრების შრომისუნარიანობის, ინტელექტუალური ძალების, ესთეტიკური მოთხოვნილებების რეგულირებისა და გაძლიერებისათვის.

ყველა შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქცია. ამ მიმართულებით გამოკვეთება ორი ძირითადი ასპექტი:

1. ბავშვის აღზრდა, მისი პიროვნების ჩამოყალიბება, მის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა სრულყოფა, ფიზიკური განვითარება, სულიერი ამაღლება. ოჯახი გვევლინება როგორც შუამავალი ბავშვსა და საზოგადოებას შორის, როგორც სოციალური გამოცდილების გადაცემის ფაქტორი, რომლის საშუალებითაც ბავშვი ითვისებს და ითვისისწინებს საზოგადოებრივი ქცევის, მოქმედების ფორმებს, ზნეობრივ ღირებულებებს.

2. ოჯახის სისტემატური აღმზრდელობითი ზემოქმედება ბავშვზე მისი განვითარების ყველა ეტაპზე, რომლის საფუძველს წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი ღირებულებები. ოჯახი გვევლინება როგორც თავისებური სკოლა, რომლის საფუძვრებს იგი დაბადებიდან სრულწლოვანებამდე და მის შემდეგაც გადის, იცვლება მხოლოდ აღზრდის ფორმები და მეთოდები.

ბავშვის აღზრდას, მის ქცევას, ძირითადად, ორი ფაქტორი განსაზღვრავს. ამათგან პირველია მისი მოთხოვნილება და ძალები, ხოლო მეორეა ის გარემო, რომელშიც ეს მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს. ეს ფაქტორები განსხვავებული ძალით მოქმედებენ ბავშვის განვითარებაზე.

საზოგადოების დემოკრატიზაციამ მეცნიერების სხვადასხვა დარგში შემოაღწია და ჩამოყალიბდა კრიტიკული დამოკიდებულება აღზრდის ავტორიტეტული პრინციპის მიმართ, რომელიც ცალსახად ითვალისწინებს მოზარდთა უსიტყვო მორჩილებას, მშობლების სურვილის ასრულებას. ამასთან დაკავშირებით თვით ცნება „ავტორიტეტი“ და „ავტორიტარული აღზრდა“ დაუპირისპირდა ჰუმანური აღზრდის თანამედროვე პრინციპებს. ავტორიტეტი (ლათინური სიტყვაა *autoritas* – ძალაუფლება, პიროვნების ძალაუფლება) დაფუძნებული პიროვნების ზნეობაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. ზოგჯერ ავტორიტეტს განსაზღვრავენ როგორც ისეთ ურთიერთობას, როდესაც ერთი პიროვნება მეორეზე ახდენს გავლენას, ზემოქმედებას მისი დაცვის მიზნიდან გამომდინარე. ავტორიტეტული მშობელი – ნიშნავს მიიზიდო შვილი მისი დაცვის, მისთვის დახმარების, ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით, ხოლო ბავშვებისათვის მშობლის ავტორიტეტი ნიშნავს არა იმდენად მორჩილებას, რამდენადაც მისდამი ნდობას, დაცულობის გარანტიას. მოზარდისათვის მშობლის ავტორიტეტი მიიღება როგორც ღირსება და ძალა, რომელსაც შეიძლება მოზარდი დაეყრდნოს (7, 176).

მშობლები ამას კარგად გრძნობენ, თუმცა, ზოგი მშობელი ფიქრობს, რომ ეს ბუნებრივი მოვლენაა და არ ფიქრობს იმაზე, რომ ავტორიტეტს შენარჩუნება სჭირდება, განსაკუთრებით ისეთ ოჯახებში, სადაც ურთიერთობა დიქტატორულ, ურთიერთმორჩილებაზეა აგებული. ამ შემთხვევაში სკოლამდელი ასაკის მოზარდი უკვე კარგად ხვდება, რომ ასეთი ავტორიტეტი დაკავშირებულია ასაკთან, ფიზიკურ ძალასთან და არა ინტელექტთან, მაღალ ზნეობასთან, დადებით პიროვნულ თვისებებთან. მოზარდისადმი მშობლის სიყვარული, მზრუნველობითი დამოკიდებულება, მშობლის მაღალი კულტურა, დახვეწილი უნარ-ჩვევები, ემპათია იქცევა საფუძვლად მშობლის ავტორიტეტის ამადლებისათვის მოზარდის თვალში. დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალული მშობლები ყოველნაირად ცდილობენ შეინარჩუნონ, განამტკიცონ მათდამი შვილების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, არ დაარღვიონ იგი საზოგადოებისათვის მიუღებელი ქცევით.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ოჯახის უფროსი წევრები გაუფრთხილდნენ ურთიერთავტორიტეტს, გაითვალისწინონ, რომ ძნელია მისი შენარჩუნება და ძალიან ადვილია მისი დაკარგვა, განსაკუთრებით კამათისას სხვადასხვა საოჯახო საკითხის, პრობლემის მოსაგვარებლად, არ დაუშვან ურთიერთშეურაცხყოფა უხეში სიტყვებით და მით უმეტეს – ფიზიკური შეხება, რაც დაღევანდელ ჩვენს სოციუმში არც ისე უცხო მოვლენა გახდა. აგრეთვე, უარყოფითად მოქმედებს მშობლების ავტორიტეტზე ოჯახის წევრების უხეში დამოკიდებულება საზოგადოების სხვა წევრებისადმი (მეზობელი, ნათესავი, თანამშრომელი), მშობლების მიუღებელი ქცევა საზოგადოების თავშეყრის ადგილებში (საქალაქო ტრანსპორტი, ქუჩა, ბაზარი).

სოციოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ოჯახში მამის პრესტიჟის დაცემას განსაკუთრებით განიცდიან ბიჭები, რადგან ოჯახში ბატონდება „მატრიარქატი“. ვაჟები კი, შინაგანი პროტესტის ნიშნად, თავად ითვისებენ მამის, რო-

გორც ოჯახის უმნიშვნელო წევრის ფუნქციებს და ცდილობენ თვითონ შეასრულონ მისი როლი როგორც დანაგრული პიროვნებისა, ან ეძებონ სხვა მამაკაცური იდეალები, მათი წარმოდგენით შექმნილი „მომავლის ხატი“, რომელსაც შემდგომ სავალალო შედეგებამდე მივყავართ. რაც შეეხება შვილს „გოგონას“, ისინი უფრო ლოიალურები არიან ასეთი მოვლენისადმი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მამა მათ მიმართ ლოიალური, მოსიყვარულე და მზრუნველი რჩება.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ოჯახი წარმოადგენს უნიკალურ, დიფერენცირებულ სოციალურ მიკროჯგუფს, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოზარდის აღზრდა-განვითარებასა და მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. მასში წარმოდგენილია ისეთი ქვესისტემები, რომლებიც განსხვავებულია ასაკით (უფროსი და უმცროსი ასაკის ოჯახის წევრები), სქესით (მამაკაცები და ქალები), პროფესიით (დედა – ექიმი, მამა – იურისტი, ბებია – მასწავლებელი, ბაბუა – ეკონომისტი), რაც ქმნის საუკუთესო პირობებს ოჯახის, როგორც აღმზრდელობითი ინსტიტუტის, ფუნქციების წარმატებით შესრულებისათვის.

ყველა ოჯახს აქვს განსხვავებული შესაძლებლობები, პოტენციები საკუთარი ძირითადი მოვალეობის შესრულებისათვის. გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: დასახლების ადგილი, ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და ა.შ.

ამ ფაქტორებიდან ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ-კულტურული ფაქტორი, რომლის ზეგავლენით არცთუ ისე ცოტაა უდელმამო ბავშვი, რომლებსაც არ სურთ სწავლა და ძირითადად ქუჩაში ატარებენ დროს, აგრეთვე სამართალდამრღვევი ბავშვები, მცირეწლოვანი დედები, ბავშვები, რომლებიც იზრდებიან საბავშვო კოლონიებში ან ბავშვთა სახლებში, რომლის მიზანია მათი ხელახალი აღზრდა, მკურნალობა, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია.

ოჯახური მიკროკლიმატი და ოჯახის კულტურა უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ამ მხრივ, საგულისხმოა ისეთი ფაქტი, როგორიცაა ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა და მის წევრთა დასაქმების სფერო, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორს. თანამედროვე პირობებში სწავლა-განათლება მოითხოვს გარკვეულ ხარჯებს. ასევე აღსანიშნავია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, რაც განუხრელ კავშირშია ოჯახთან, რადგან სახელმწიფო და ოჯახის ცნება ერთ ჭრილშია გააზრებული.

საბოლოო ფორმირება მოზარდის გარდატეხის ასაკს უკავშირდება, რასაც ახლა ჩვენ „თინეიჯერებს“ ვუძახით. ეს არის ის რთული პერიოდი, როცა ადამიანი იწყებს საზოგადოებაში თვითდამკვიდრების გზების ძიებას, რასაც, ბუნებრივია, ემატება, შინაგანი ბიოლოგიური ცვლილებები, რომლებსაც მოზარდები განიცდიან, ფიზიოლოგიური ცვლილებები, რომლებითაც ყალიბდება ქალი ან ვაჟი. მათში იზრდება საკუთარი პოზიციის მკვეთრად გამოხატვის მოთხოვნილება (8).

სოციოლოგები სხვადასხვა კვლევის შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დღეს მოზარდთა დანაშაულობის მკვეთრი ზრდის ერთ-ერთი მიზეზია საზოგადოებაში საკუთარი თავის დამკვიდრების არასწორი სტანდარტები – სახელმწიფოს მიერ ოჯახში თუ საზოგადოებაში მშობლების ავტორიტეტის შელახვის ტენდენციები, რომელიც ძალიან მტკივნეულია მოზარდისათვის. ასეთ ვითარებაში მშობლებმა უნდა განუმარტონ ბავშვს, მოზარდს, რომ მიმდინარეობს კონკურენცია საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დასაკავებლად და რომ მან კარგად უნდა ისწავლოს, იყოს დისციპლინირებული, შრომისმოყვარე, კარგი განათლება მიიღოს, რომ კარგი სამსახური იშოვოს. მშობელი თვითონ უნდა იყოს ამ მხრივ სამაგალითო, რომ შვილმა მას მიბაძოს და მხოლოდ მაშინ შეძლებს ჩაუნერგოს შვილს, რომ მთავა-

რია მოემზადოს ამ კრიზისისათვის, რომ ყველაფერი არ არის აგებული მარტო მატერიალურ ფაქტორებზე. თუ გამოვლინდა, რომ მოზარდი ნარკოტიკს მოიხმარს, მშობელი მას გულახდილად უნდა დაელაპარაკოს, ჰქონდეს შვილთან მეგობრული დამოკიდებულება, გაუგოს მას, არ დასცინოს და არ გამოხატოს აგრესია მის მიმართ და აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს ფსიქოლოგს, ფსიქოთერაპევტს, ნარკოლოგს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ნარკოტიკებისადმი მისწრაფება გარდამავალ, გარდატეხის ასაკში ხდება, რომელიც ურთულესი პერიოდია და ბევრი დამატებითი მიზეზის გამო კიდევ უფრო რთულდება ხოლმე. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირება, რადგან ეს ის პერიოდია, როდესაც მოზარდს აქვს თავისუფლებისა და მძაფრი განცდების მიღების მოთხოვნილება და ამიტომ ოჯახი, მის აღზრდასთან ერთად, საჭიროა თავგამოდებით ცდილობდეს მისთვის დადებითი სოციალური გარემოს შექმნას.

უკანასკნელ ბოლო ათწლეულში მსოფლიომ და მასთან ერთად საქართველომაც ბევრი ცვლილება განიცადა. ეს ცვლილებები, ბუნებრივია, შეეხო ადამიანთა შეხედულებებს, ზოგადსაქაცობრიო ზნეობრივ ღირებულებებს. ჩვენი ინტერესის საგანი გახდა ის სფერო, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის უფლებების დაცვას, ოჯახშიც და სკოლაშიც. სკოლის დიქტატორული მეთოდები ჩაანაცვლა დემოკრატიულმა, სკოლაში გატარებულმა რეფორმებმა, რომლის საწინდრად გვესახება სკოლებში შემოღებული „მანდატურის“ ინსტიტუტი, რომელიც ცივილური მეთოდებით ცდილობს ყოველგვარი კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვას. უმაღლეს სასწავლებლებში მონიტორინგის სამსახურის შემოღება ხელს უწყობს ლექცია-სემინარებზე სტუდენტების და პედაგოგ-მასწავლებლების მოწესრიგებულ საქმიანობას. ესეც იმ რეფორმების შედეგია, რომელსაც საგანმანათლებლო სივრცეში ბოლონის პროცესად მოიხსენიებენ და ჩვენი ქვეყანა, საქართველო, ძალიან აქტიურად არის ჩაბმული ამ პროცესში.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველო დგას დემოკრატიის გზაზე, ჩვენი ხელისუფლება მოწოდებულია და ყველაფერს აკეთებს მომავალი ჯანსაღი თაობის არსებობისათვის. თითოეული ოჯახი, საზოგადოების ყველა წევრი, ყოველი ადამიანი უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ ჩვენი მომავალი თაობა, რომელმაც უნდა შეგვცვალოს, აღიზარდოს პიროვნებებად, რომლებსაც ეყვარებათ სამშობლო და იქნებიან საქართველოს ღირსეული მოქალაქეები. ანტიკური ხანის დიდი ბერძენი ორატორი და ფილოსოფოსი დემოსთენე თავის გამოსვლებში ათენელებს ასე მიმართავდა: „მოქალაქენო“, „ვაჟკაცებო“, „დარბაისელო“. ქვეყნის, სახელმწიფოს სიმდიდრედ იგი მიიჩნევდა მოკავშირეებს, მოქალაქეთა ნდობას, მათ კეთილ ნებას, ხოლო ყველაზე საშიშ თვისებად – საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისადმი გულგრილობას. მოქალაქეა ყველა, ვინც ერთი სახელმწიფოს საზღვრების შიგნით ცხოვრობს და მასთან არის დაკავშირებული მთელი თავისი უფლებებითა და მოვალეობებით. მოქალაქე ვაღიარებულია განუხრელად იცავდეს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას – ზნეობრივსა თუ სამართლებრივს, ერთგულად ემსახუროს თავის ხალხს, ქვეყანას, საზოგადოებას. მოქალაქეობრივი ზნეობა ვლინდება არა მარტო სამშობლოს სიყვარულში, მისთვის თავდადებაში, არამედ პირად ურთიერთობებშიც: „გიყვარდეს მოყვასი შენი“ – ეს ნიშნავს ცხოვრებას და თანამშრომლობას იმ ადამიანებთანაც, ვისაც შენგან განსხვავებული შეხედულება და მოსაზრებები აქვს პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ ჭრილში. განსხვავებული შეხედულებები არ ნიშნავს იმას, რომ მათთან არ შეიძლება გამოინახოს საერთო შეხების წერტილი. ქართველი ხალხის ისტორიული ტრადიცია, წარსული გვაძლევს იმის შესაძლებლობას, ვიფიქროთ, რომ ის სიძნელებები,

რომელიც თან ახლავს გარდაქმნის რთულ პროცესს, მოგვარდება; ყოველი ოჯახი სახელმწიფოსთან ერთად იზრუნებს ჯანსაღ, მომავალ თაობაზე და აღზრდის ისეთ პიროვნებებს, რაც ჩვენი ქვეყნის მომავალი აღზევების შედეგი იქნება.

The above mentioned contracts and agreements were regulating Iran’s activities in the Caspian Sea with Soviet Union till The USSR disintegrated. “The international legal regime of the Caspian Sea was not formed in spite of the emergence of a number of scientific investigations and the legal practice contract between Iran and Russia until 1921. Being the presence of existing legal relationships between Iran and Russia, The Caspian became a victim of the colonial policy and aggressive position. In this case, only one country (Russia) reinforced the right to possess the sea. According to the 1921 and 1940 agreements it is not clear that the parties agreed their positions to which existence of the water (sea or lake). As a practical point of view, the parties didn’t determine the legal status of the Caspian Sea but its closeness. In particular it should be emphasized that at that time the course of the contract was not aimed to determine the exact mode of the Caspian Sea. Probably, both of the countries had preferred the “sui generic” mode for the Caspian which is available for their military and political doctrines but incomprehensible to the third countries” (3).

It becomes clear from the essence of the Soviet-Russian agreements that there is no legal basis of applying of the regime of “common use” that offered by Iran today but before Iran and Russia, as well as before this the Caspian was not divided into equal parts between two countries that today Iran demands 20% of the division of equal part between its five littoral states. Whereas, in practice, according to the position of Azerbaijan and Kazakhstan, the division of the Caspian into national sectors is based on legal bases. According to the decision of the USSR DIXT was shown that Iran cannot pass to the north of the Astara-Hasangulu line without permission. This line is safe water border of the Soviet Union (4, 134).

In 1950s and 1960s The USSR took out oil on the banks of the fishing zone of the 10 miles. Moreover, Iran made unilateral activities on the coast of the Caspian which is near Iran and at the bottom of the sea and water basin. USSR extracted oil far from 10 miles fishing areas of the Baku shore in 1950’s and 1960’s. In addition Iran acted singularly in adjacent to coast of Iran of the Caspian Sea and in the depth of the sea and around the water. And it meant the guarantee of recognition of “Astara – Hasangulu” line by Iran side. Although the signing of agreement in 1964 about regulation of air space and the determining of the flying information region did not bear the idea of sharing of the Caspian Sea but, at that time, it proved the treaties about sea borders between USSR and Iran. Thus both states started to act in the areas given to them (4, 114). In addition in 1970’s USSR divided the Caspian Sea equally into economical territories in terms of equal distances between Azerbaijan, Kazakhstan, Turkmenistan and Russia. Then in this sharing list were

included some islands and it was taken as a basic in determining of the Caspian border. Moreover, including Russia none of the states from USSR and even Iran protest it (4, 109).

After collapsing of USSR the new Caspian Sea states recognized the sharing of 1970's by joining together. In the early 1990's the ministry of industry signed one protocol about the division of oil resources in the Caspian Sea with new states. Moscow divided the depth of the sea into national energy sectors and Russian Ministry of Energy signed some treaties about these sharing (4, 109).

It showed that the Caspian Sea was recognized as great lake. In 1991 USSR and Iran recognized Astarra - Hasangulu line as their borders. However Russia and Iran changed it to general utilizing project and refused the sector of sharing (4, 109).

So during the USSR period the Caspian Sea which never had any problem of borders since 1993 it had the problem of status. In 1994 the successful foreign policy of Azerbaijan after signing "the treaty of century" activated this status problem one more time. Although Moscow and Teheran announced protests to this treaty of century, both of these countries made efforts to take part in the investments which were contributed to sectors of Azerbaijan. However this was contradictory to their positions. Finally, in 1998 Moscow made a compromise in dividing the depth of the sea between Kazakhstan, Azerbaijan, likewise, Azerbaijan and Kazakhstan made a compromise for Moscow in utilizing the surface of water. Thus the problem of the status of the Caspian Sea between countries began to unravel.

Iran as one of the countries of Caspian littoral was against of division of the seabed. This country claimed along with solution of problem of the sea status and principle of general use of seabed in 1998, it required to divide the sea into equal 20% between 5 littoral countries. Iran's last suggestion i.e. the principle to get equal share from the sea meant to get 20% of share by each country. Surely, this proposal was not admitted by other littoral countries. Because in this case the borders of all countries will mix up.

Thus, nowadays Iran and Turkmenistan prevent from reaching solution in the issue of the Caspian's status. Moreover, Iran which could not join different economic projects protests by declaring: "Reducing to a common denominator, five Caspian littoral states should stop their economic activity on the sea and the USSR - Iran agreements signed in 1921 and 1940 should enter into force".

It must be noted that Azerbaijan, Turkmenistan and Kazakhstan are not forced to accept these agreements due to two reasons:

A) One of the sides (USSR ) signed the contract legally did not exist any more

B) Newly-emerged Caspian states have the right to lose the force of all treaties, signed between USSR and Iran, as the result of the complete change of the situation, with the respect of the "Clean board doctrine" of the international law, in accordance with the condition of complete change of the situation (5, 668-669).

Taking into consideration all the mentioned above, it should be stressed that Caspian littoral states including Azerbaijan cannot rely on Russian and Iranian agreements aimed at disturbing economic activities of the Caspian States. If they, specially Iran supports the solution of the legal status problem of the Caspian sea, they should not sacrifice the international law principles to the colonization policies for the solution of this problem and should not ignore the imperative norms of the international law: state integrity of states,

border inviolability, sovereign right equality and non-interference in the internal issues of states for regulating their relations with the newly-emerged

It proves that, Russia does not have fixed position and if it gets offer of help in a big amount from western country it will change its position immediately. It is not worth of talking about the positions of other Caspian diminutive littoral states. Thus, the meeting of the Caspian littoral States in Tehran based on security issues from the agreement will remain only on the paper.

The position of Azerbaijan on this issue is that, Azerbaijan is in favour of the internationally accepted principle of international-legal central line and partition of the Caspian Sea into the national sectors on this base and declares that, each state has the exceptional sovereignty on its national sector.

Thus, in order to determine the legal status of the Caspian sea littoral States can come to terms by following the principles of International law, and for this the states while carrying out their policy should have real approach to solution of the problem.

**Literature:**

1. Ziya Bunyadov. Azerbaijan History. Azerbaijan State Publishing House. Baku, 1994.
2. Seljuq Cholaq oqlu, "Problem of International Law on the Status of the Caspian". Ankara University the Faculty of Political Sciences. Ocak-Aralık, 1998, N1-4.
3. R.F. Mammadov. The history of developing of problem of the Caspian Sea status. Azerbaijan. Jan. 07, 2001.
4. Sanan Samandar Hasanov. "Status of the Caspian Sea, the issue of the relations between States". Baku-Science, 2002.
5. Principles of Public International Law. By Ian Brownlie. (Fourth Edition) Oxford: Clarendon Press. 1990.

**რაფიგ ტავაკულ მახმუდოვი**  
**კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის ისტორიისათვის**  
**რეზიუმე**

კასპიის ზღვა მსოფლიოში ყველაზე დიდი წყლის აუზია, რომელიც გარშემორტყმულია რუსეთის ფედერაციით, ყაზახეთით, თურქმენეთით, აზერბაიჯანით და ირანით.

სტატიაში აღნიშნულია – ის, რომ კასპიის ზღვა არის ტბა და მან დაფარა წყლის აუზი, დამტკიცდა მხოლოდ ორი ათასი წლის წინათ. არ შეიძლება კასპიის ზღვის შედარება შავ, ბალტიის და სხვა ზღვებთან.

სტატიაში საუბარია კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის ისტორიაზე.

**Рафиг Тавакил Махмудов**  
**Об истории правового статуса Каспийского моря**  
**Резюме**

Каспийское море - самый большой в мире водный бассейн, окруженный Российской Федерацией, Казахстаном, Туркменией, Азербайджаном и Ираном.

В статье отмечается, что Каспийское море является озером и закрыло водный бассейн. Это было доказано только 2 тысячи лет спустя. Невозможно сравнить Каспийское море с Черным, Балтийским и другими морями.

Автор приходит к выводу о том, что Каспийское море было признано большим озером, и решение о правовом статусе государств побережья Каспийского моря может быть достигнуто следующим принципом Международного права, но для этого у государств должен быть реальный подход к решению проблемы.



# **ეკონომიკა და ტურიზმი - ECONOMICS AND TOURISM - ЭКОНОМИКА И ТУРИЗМ**

**მაია ჭანია**  
(საქართველო)

## **ეკონომიკური ბარდაქმნები, სახელმწიფო პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა**

სახელმწიფოების ეკონომიკური ზრდის ტემპები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, სინგაპურში, სამხრეთ კორეასა და ტაივანში, საშუალო შემოსავალი ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყოველწლიურად 7%-ით იზრდებოდა (1, 522). ზრდის ასეთი ტემპის შემთხვევაში შემოსავალი ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ორმაგდება. ამ უღარიბესმა ქვეყნებმა დროის ძალიან მცირე მონაკვეთში მოიპოვეს საპატიო ადგილი მსოფლოს წამყვან სახელმწიფოებს შორის. თუმცა, მათგან განსხვავებით, აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში საშუალო შემოსავალი წლების განმავლობაში არ შეცვლილა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2008 წელს, ერთ სულ მონახლეზე გაანგარიშებით, მთლიანმა შიდა პროდუქტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგინა 47348, იაპონიაში – 38520, მექსიკაში – 9785, რუსეთში – 11806, სომხეთში კი – 2626 აშშ (4).

საშუალო შემოსავლის ძალზე საინტერესო სტატისტიკური მონაცემებია დიდი ბრიტანეთის შესახებ. 1870 წელს დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანა იყო, რომლის საშუალო შემოსავალი 20%-ით აღემატებოდა აშშ-ის საშუალო შემოსავალს და ორჯერ მეტი იყო კანადის საშუალო შემოსავალზე. დღეს კი დიდი ბრიტანეთის საშუალო შემოსავალი ნაკლებია თავისი ყოფილი ორი კოლონიის საშუალო შემოსავალზე. ყოველივე ზემოთქმული ნიშნავს, რომ მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებსაც კი არა აქვთ იმის გარანტია, რომ მშვიდად იყვნენ და იყვნენ ყველაზე წარმატებული ქვეყნები.

ეს მონაცემები ძალზე საყურადღებოა ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც აგერ უკვე თითქმის 20 წელია იბრძვის უკეთესი მომავლისთვის, თუმცა, ვერ მიაღწია ეკონომიკის განვითარების სათანადო დონეს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში 2008 წელს მშპ-მა მოსახლეობის ერთ სულზე საბაზრო ფასებით შეადგინა 2850,9 ლარი, ხოლო მუდმივი 2003 წლის ფასებით – 2257, 6 ლარი. 2009 წლის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მშპ-მა ნომინალურ ფასებში შეადგინა 2450 აშშ დოლარი, ანუ 4092, 9 ლარი.

დღეისათვის დადგენილია და ეჭვს არ იწვევს ის, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპები ტოლია დაგროვების ნორმა (ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში) გამრავლებული კაპიტალის ზღვრულ მწარმოებლურობაზე. აღნიშნული მოკლედ შეიძლება დახასიათდეს, როგორც დაგროვების ეფექტიანობა.

დაგროვების ნორმის ზრდას უცილობლად თან ახლავს მისი ეფექტიანობის დაცემა, მაგრამ ეს უფრო რთული საკითხია და ვიდრე მას შევეხებოდეთ, ვნახოთ, რატომ არის აუცილებელი დაგროვება.

თუ წარმოება არსებული ფონდების (შენობა, მანქანა-დანადგარები) და საწარმოს არსებული ორგანიზაციის პირობებში ახდენს კაპიტალის ინვესტირებას ნედლეულის და მუშახელის შესაძენად, მაშინ შედეგი იქნება, პირველ ეტაპზე მზარდი, ხოლო შემდგომ ეტაპზე – კლებადი უკუგება („კლებადი უკუგების კანონი“). ეს ფაქტი ცნობილია ნებისმიერი მეწარმისათვის. მას შეიძლება ეს გააზრებული არ ჰქონდეს, მაგრამ ის ქვეცნობიერად მაინც ემორჩილება ამ კანონის მოქმედებას. ამასთან, მეწარმემ იცის რა, ქვეცნობიერად, ამ კანონის მოქმედების შესახებ, იძულებულია, დღესვე იფიქროს იმ საწარმოო ძალების (მუშახელი, ფონდები) შესაქმნელად, რომელიც მზად იქნება მოხმარებისათვის მომავალში. ე.ი. პირველი, კანონი აიძულებს მას განახორციელოს ინვესტიცია კაპიტალში. ინვესტიცია კი, თავის მხრივ, დაგროვების პროპორციულია (აქ მხედველობის გარეშე ვტოვებთ იმ გარემოებას, რომ დაგროვება და ინვესტირება 100%-ით არ ემთხვევა ერთმანეთს).

მართალია, დაგროვების ნორმის ზრდას თან ახლავს კლებადი უკუგება, მაგრამ უკუგების კლებადობას არ შეუძლია მოახდინოს დადებითი ეფექტის ასპროცენტური ნიველირება, ამიტომ ქვეყნები, სადაც ინვესტიციების წილი მაღალია მთლიან შიდა პროდუქტში, ხასიათდება მაღალი ზრდის ტემპებით, ვიდრე ქვეყნები, სადაც ეს წილი ნაკლებია.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ შეიძლება შეიცვალოს მთლიანი შიდა პროდუქტის არსებული სტრუქტურა, თუ რა არის აუცილებელი ამისთვის, რისი გაკეთება შეუძლია ბაზარს დამოუკიდებლად და რისი არა? ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ა) ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებენ დაგროვების ნორმის მეშვეობით (რაოდენობრივი მხარე) და ბ) ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ინვესტიციების ეფექტიანობის მეშვეობით (თვისებრივი მხარე).

დავიწყოთ პირველი ფაქტორით. დაგროვების დაბალი ნორმა, პირველ რიგში, იწვევს კაპიტალდაბანდების შემცირებას და, შესაბამისად, ქვეყნის დაბალ კონკურენტუნარიანობას. საქართველო ამის ნათელი მაგალითია. დაბალი კაპიტალდაბანდებები სარკისებურად აისახება ქართული პროდუქციის დაბალ ხარისხზე და მის დაბალ კონკურენტუნარიანობაზე. გარდა ამისა, დაგროვების დაბალი დონის გამო, იმპორტი უფრო იაფი ხდება და ექსპორტი კი გაცილებით ძვირდება. შესაბამისად, იზრდება საგაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო, რომელიც, თავის მხრივ, აისახება ქვეყნის საგადაამხდელო ბალანსში.

დაგროვების დაბალ ნორმას ძირითადად იწვევს პირადი და სახელმწიფო დანაზოგების დაბალი დონე. დაუბალანსებელი, ანუ დეფიციტური ბიუჯეტის შემთხვევაში, რაიმე სახელმწიფო დანაზოგებზე ლაპარაკი ზედმეტია. ასევე, თუ არ არსებობს პირადი დანაზოგების წახალისების სისტემა და სტაბილური საბანკო სექტორი, არც პირადი დანაზოგების სიდიდე იქნება შთამბეჭდავი. დაგროვების ნორმის ზრდა და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურაზე და დეფიციტის ოდენობაზე. ფისკალური პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან ერთად, წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან ბერკეტს, რომლის პროფესიონალური გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ეფექტის მოხდენა დაგროვებაზე და ეკონომიკურ ზრდაზე. ბიუჯეტის შედგენისას, აუცილებელია პრიორიტეტების განსაზღვრა. აღნიშნული საყოველთაოდ აღიარებულია. სწორედ ამიტომ, განვითარებულ ქვეყნებში, აქცენტი კეთდება არა გადასახადის განაკვეთებზე, არამედ, საგადაამხდელო ბაზაზე და მის ზრდაზე. სამწუხაროდ, ჯერ არავის წარმოუდგენია რაიმე დასკვნა, რომელიც მეტნაკლებად დაასაბუთებს ამა თუ იმ გადასახადის განაკვეთის აუცილებლობას. აქ გათვალისწინებული უნდა იყოს

ის გარემოება, რომ ყოველ ქვეყანას გააჩნია საკუთარი ეკონომიკური წყობა. ამიტომ გადასახადების განაკვეთების შემცირება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სხვა ეფექტის მომტანი იქნება, ვიდრე ისეთ ქვეყანაში, როგორცაა საქართველო. კერძოდ, პირველ შემთხვევაში, ადგილი ექნება საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას, მაგრამ მეორე შემთხვევაში, ასეთი შედეგი არ არის ფატალური გარდუვალობა. შესაძლებელია პირიქით მოხდეს, მოთხოვნის სტიმულირება, რომელიც ბიძგს მისცემს წარმოების გაფართოებას, დასაქმების მაღალ დონეს და საპროცენტო განაკვეთების ზრდას, რომელიც შექმნის სტიმულს უცხოური ინვესტიციებისათვის. ამ უკანასკნელის გარეშე კი საქართველოს ეკონომიკას გაუჭირდება კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება და სავაჭრო ბალანსის უარყოფითი საღდოს შემცირება. ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის უშუალო შედეგიცაა. თუმცა ამ მიმართულებით არსებობს გარკვეული რეზერვებიც. ერთ-ერთი რეზერვი, რომლის გამოყენებითაც შეიძლება შეიცვალოს საგადასახადო ბაზა და შემოსავლების სტრუქტურა ბიუჯეტში, არის მინიმალური ხელფასის დონის მოწესრიგება. აღნიშნული კი პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის მმართველობის ხარჯების ოპტიმიზაციას.

მას მერე, რაც განვიხილეთ რაოდენობრივი მხარე (დაგროვების ნორმა და მასზე მოქმედი ფაქტორები), საჭიროა განვიხილოთ ინვესტიციების ეფექტიანობის საკითხი. რაზეა დამოკიდებული ინვესტიციების ეფექტიანობა? ეკონომისტის პასუხი იქნება – მრავალ ფაქტორზე. ჭკვიანი ეკონომისტი ამ ფაქტორებს დაყოფს ორ ჯგუფად: ა) ფაქტორები, რომლებიც გამომდინარეობენ ეფექტური ბაზრის არსებობიდან და ბ) ფაქტორები, რომლებიც უკავშირდებიან ეფექტურ ინსტიტუტებს.

საბედნიეროდ, დღეს ალბათ საკამათო არ არის, რომ ინვესტიციების ეფექტიანობის უზრუნველყოფა შეუძლებელია ლიბერალური ეკონომიკის ანუ საბაზრო ეკონომიკის გარეშე. ჩვენ ახლო წარსულიდან ძალიან კარგად გვახსოვს, რომ ცენტრალიზებულ ადმინისტრაციული (ე.წ. სოციალისტური) ეკონომიკის პირობებში, შიდა პროდუქტის სტრუქტურაში, მოხმარებაზე ძალიან მცირე ნაწილი იხარჯებოდა, ინვესტიციებზე კი მთელი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტი. მაგრამ ქვეყანა მაინც დამშეული იყო, შედეგები- სავალალო. ასე, რომ ცენტრალიზებულ-ადმინისტრაციული ეკონომიკა არ წარმოადგენს ეფექტური დაგროვების გარანტს. ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი გარანტი მხოლოდ თავისუფალი ბაზარი და საბაზრო ეკონომიკა შეიძლება იყოს. ან ავიღოთ ნებისმიერი ორი ქვეყანა, სადაც ბაზრის თავისუფლება მეტნაკლებად ერთნაირია, მაგრამ ეკონომიკური ზრდა კი მეტად განსხვავებული, მაგალითად, ფილიპინები და სამხრეთი კორეა. 40 წლის წინათ ფილიპინები გაცილებით მაღალგანვითარებული ქვეყანა იყო, ვიდრე სამხრეთი კორეა, მაგრამ დღეს სრულიად საპირისპირო სურათი გვაქვს. მაშ, რა განასხვავებს საქართველოს ეკონომიკას რუსეთის, ბელორუსიის, ყირგიზეთის ან ესტონეთის ეკონომიკისაგან, ანდა სამხრეთ კორეის ეკონომიკას ფილიპინების ეკონომიკისაგან? საქმე იმაშია, რომ ეკონომიკური პროცესები ნებისმიერ ქვეყანაში მიმდინარეობს განსაზღვრული სამეურნეო წყობის შიგნით და ამ წყობის მეშვეობით. ერთი და იმავე ქვეყნის სამეურნეო წყობა, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (ისტორიული ასპექტი) და განსაზღვრულ სივრცეში (გეოგრაფიული ასპექტი) განსხვავებულია. ამიტომ არ არსებობს ქვეყნები, რომელთა სამეურნეო წყობა აბსოლუტურად ერთმანეთის იდენტურია. სამეურნეო წყობა შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი, მაგრამ მის გარეშე მეურნეობრიობა შეუძლებელია. ყოველი ქვეყანა თვითონ ირჩევს საკუთარ სამეურნეო წყობას. ასეა ეს აშშ-ში და გერმანიაში და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სამეურნეო წყობები, რომლის შიგნით მიმდინარეობს

ეკონომიკური პროცესები, თითოეულ ქვეყანაში განსხვავებულია, არსებობს ამ წყობის ე.წ. „წმინდა ფორმები“ (შემადგენელი ერთეულები), რომლებიც ერთსა და იმავე ისტორიულ მონაკვეთში უმრავლესი ქვეყნებისათვის მსგავსია, მაგალითად, კერძო საკუთრება, ხელშეკრულების თავისუფლება, კონკურენცია, ბაზრის ფორმები და ა.შ. ამრიგად, თუ აბსტრაგირებას მოვახდენთ ინდივიდუალური თავისებურებებიდან, მაშინ დაახლოებით ერთნაირ სურათს მივიღებთ. ყველა ზემოთ მოყვანილ ქვეყანაში, ეკონომიკური პროცესები გაცვლითი მეურნეობის, ანუ, როგორც ახლად მიღებული, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიმდინარეობს.

ის, რაც ძირეულად განასხვავებს საქართველოს ეკონომიკას ესტონეთის ეკონომიკისაგან და ასევე, ფილიპინების ეკონომიკას სამხრეთ კორეის ეკონომიკისაგან, არის სამეურნეო წყობის ისეთი მახასიათებელი, როგორცაა სამეურნეო-სამართლებრივი გარემო. უფრო ზუსტი ვიქნებით ინსტიტუტების ეფექტურობა (უფრო სწორედ არაეფექტურობა).

ეკონომიკური გარდაქმნების საწყის ეტაპზე, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ცენტრალიზებულ-ადმინისტრაციული ეკონომიკის პირობებში არსებული დაგროვების მაღალი ნორმის ხვედრი წილის შემცირების კომპენსაცია უნდა მომხდარიყო ინვესტიციების ეფექტიანობის ხარჯზე, რისი გარანტიც უნდა ყოფილიყო თავისუფალი ბაზარი, მაგრამ პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობაში, და მათ შორის საქართველოში, ეს არ მოხდა, და არ მოხდა ზუსტად ინვესტიციების არაეფექტიანობის გამო და არა იმის გამო, რომ ქართველები ესტონელებზე უფრო ზარმაცნი არიან ან ესტონეთს განსაკუთრებული სტრატეგიული რესურსები გააჩნია.

სახელმწიფოს ფინანსური სისუსტე ასახვას ჰპოვებს ინსტიტუტების უსუსურობაში, რომელსაც თავის მხრივ მინიმუმამდე დაჰყავს დაგროვების ეფექტიანობა. უფრო მეტიც, რომ ავიღოთ ბელორუსია (ან, თუნდაც, თურქმენეთი), სადაც თავისუფალი ბაზარი და ლიბერალიზაცია საწყის ეტაპზეა, ძლიერი ინსტიტუტების წყალობით გაცილებით მეტ წარმატებებს აღწევს ეკონომიკაში, ვიდრე საქართველო, სადაც ბელორუსთან შედარებით ლიბერალური ეკონომიკა და პოლიტიკური წყობაა.

ის, რომ ეკონომიკური გარდაქმნები დემოკრატიული ინსტიტუტების პირობებში გაცილებით რთულია, ვიდრე ავტორიტარული რეჟიმების შემთხვევაში, ნათლად ჩანს ჩინეთის, ტაივანის და სამხრეთ კორეის მაგალითზე. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დემოკრატიის პირობებში ასეთი გარდაქმნების განხორციელება არ შეიძლება. უბრალოდ, დემოკრატიის პირობებში ვერცერთი მთავრობა ვერ განახორციელებს არაპოპულარულ ნაბიჯებს (ინსტიტუციონალური გარდაქმნების დროს კი, ეს აუცილებელია), თუ არ იქნება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აქტიური მხარდაჭერა, რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკური ძალების მხარდაჭერაზე.

თუ დავაკვირდებით ჩვენი დამოუკიდებლობის ცხრამეტ წლიან ისტორიას, ადვილი დასანახია, რომ საქართველომ 1994-1998 წწ.-ში წარმატებით განახორციელა ეკონომიკური გარდაქმნების პირველი ეტაპი: ეკონომიკის ლიბერალიზაცია და სტაბილიზაცია. მართლაც, ჰიპერინფლაციის შემდგომ გატარებულმა ღონისძიებებმა (ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, ადეკვატური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ფასების განთავისუფლება და ა.შ.) შესაძლებელი გახადა სტაბილიზაციის მიღწევა. აღნიშნულს, შემდგომ პერიოდში, უნდა მოჰყოლოდა ინსტიტუციონალური გარდაქმნები. ლიბერალიზაცია, სტაბილიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია მოგვცემდა საშუალებას დაგვესრულებინა ტრანსფორმაციის პერიოდი. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. შესაბამისად, ეკონომიკაში პირველ ეტაპზე მიღწეული შედეგები (ეკონომიკური ზრდა 1995-1998 წლის პირველ ნახევარში შთამბეჭდავი იყო – 10-13%) დარჩა შემდგომი ინსტიტუციონალური მხარდაჭერის გარეშე, რამაც თავისი შედე-



გი გამოიღო და ეკონომიკა 1998 წლის მეორე ნახევრიდან 2003 წლამდე პერიოდში ღრმა კრიზისში შევიდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევას მოჰყვა 2007-2008 წლების ცნობილი მოვლენები, რასაც თან დაერთო მსოფლიო კრიზისული მოვლენები. ამ მოვლენებმა დიდად შეუწყო ხელი ქვეყანაში კრიზისის გაღრმავებას და ფაქტი სახეზეა-2009 წელს, რეალური მშპ-ის ზრდამ 96,1 პროცენტი შეადგინა.

ასე რომ, დაზოგვისა და ინვესტირების ხელშეწყობა მთავრობის მიერ ეკონომიკური ზრდისა და გრძელვადიან პერიოდში ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ხელშეწყობის ერთ-ერთი გზაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ “საქსტატის” წინასწარი ინფორმაციით, 2011 წლის II კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 3,9 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი I კვარტალში 5,9%-ს შეადგენდა.

ოფიციალური სტატისტიკით, ივნისში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 4% შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა თვის მაჩვენებელს, თუმცა, ნაკლებია აპრილზე – მაისში ეკონომიკური ზრდა 1,7%-ით განისაზღვრა, ხოლო აპრილში – 6%-ით.

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა ივნისში გასული წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით 15,6%-ით გაიზარდა და 3,052 მლრდ ლარი შეადგინა. ივნისში წინა წლის შექვეყნებულ თვესთან შედარებით 23,3%-ით არის გაზრდილი ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა და 4681 ერთეულს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა ივნისში 465 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯებმა – 384,7 მლნ ლარი. როგორც შემოსავლები, ასევე ხარჯები მაისთან შედარებით შემცირებულია – მაისში ბიუჯეტმა 507,1 მლნ ლარის შემოსავალი მიიღო და 422,8 მლნ ლარის ხარჯი აანაზღაურა.

კერძო დანახარჯების წახალისებისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მთავრობამ გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

1) შემოღებულ იქნას დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. ამ სისტემის ამოქმედების შემდეგ საერთოდ უნდა გაუქმდეს დღეს არსებული ანაბრების საშემოსავლო დაბეგურის ხუთ პროცენტის განაკვეთი.

2) მოხდეს რეინვესტირებაზე მიმართული თანხის მოგების გადასახადისაგან განთავისუფლება.

3) მოხდეს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების ამოღების სფეროებში ადმინისტრირების გაუმჯობესება. (კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარება, შესრულება).

4) ქვეყანაში ხელახლა უნდა გამოცხადდეს ფინანსური ამინდისტი, ხოლო შემდეგ ურჩ გადახდებზე და ჩრდილოვან ეკონომიკაში წარმოებულ საქონელზე (გაწეულ მომსახურებაზე) დაწესდეს უმკაცრესი კონტროლი და შესაბამისად დაწესდეს ახალი სამართლებრივი ნორმები.

5) გარკვეული კატეგორიის ინდივიდუალურ მეწარმეთათვის (შესაძლებელია მხოლოდ ბაზრებსა და ბაზრობებზე დასაქმებული მეწარმეებისთვის) შემოღებულ იქნას ფიქსირებული გადასახადი.

6) ქვეყნის ეკონომიკის ზოგიერთი დარგის, განსაკუთრებით ტრადიციული დარგების აღორძინებისა და წმინდა ექსპორტში მისი წვლილის გაზრდისათვის ამ დარგებში წარმოებულ პროდუქციაზე მიზანშეწონილია დაწესდეს დაბალი საგადასახადო განაკვეთები, ხოლო უცხოეთიდან იმპორტირებულ პროდუქციაზე მაღალი საბაჟო განაკვეთები.

7) იმის გათვალისწინებით, რომ განათლებას – ადამიანური კაპიტალის ინვესტირებას – ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური წარმატებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ფიზიკური კაპიტალის ინვესტირებას, ამ სფეროს დაფინანსების მოცულობის ზრდას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როგორმე უნდა შევამციროთ უცხოეთში ქართული ინტელექტის გადინების პროცესი. ინტელექტის გადადინება ქვეყანაში დარჩენილ ადამიანებს უფრო მეტ სიღარიბეში ტოვებს, ვიდრე წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდნენ. საჭიროა უცხოეთში სასწავლებლად წასული ახალგაზრდებისათვის თავიანთ ქვეყანაში ნორმალური სამუშაო ადგილების შეთავაზება, რათა ისინი დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს და ხელი შეუწყონ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას..

8) სახელმწიფო ვალდებულია დიდი ყურადღება მიაქციოს მეცნიერების, ახალი ტექნოლოგიების, მეცნიერული კვლევების განვითარებას. ასევე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საპატენტო სისტემის განვითარებას.

#### **ლიტერატურა:**

1. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, „დიოგენე“, თბ., 2008.
2. ჩიქავა ლ., თავისუფალი ვაჭრობა თუ ეკონომიკური პროტექციონიზმი? ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2009, №4.
3. ჯანჯღავა ჯ., ეკონომიკური ზრდა – ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2007, №3.
4. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
5. [www.wikipedia.org](http://www.wikipedia.org)

### **Maia Chania**

#### ***Economic Transformations, State Policy And Economic Growth Summary***

Economic lifestyle globalization, regionalization and the intensification of the foreign economic relations became the one of the most important factors for the economical development of the any country. Moreover, the influencing factors classification on the economical growth can be divided into two groups A) Factors, which are influencing on the economical growth by the accumulation standard (numeral side) and B) Factors, which are influencing by the investments effectiveness (quantitative side). In these conditions regulation of the domestic and foreign balance of the national economic, investments, accumulation and tax balance becomes the main objective of the macro economical policy of the State.

### **Майя Чания**

#### ***Экономические перестройки, государственная политика и экономический рост Резюме***

Глобализация, регионализация, интенсификация внешнеэкономической деятельности стали главнейшей проблемой для развития любого государства. Факторы, которые воздействуют на экономический рост, классифицируются в двух категориях: а) факторы, которые воздействуют на экономический рост через норму накопления (количественная сторона) и б) факторы, которые воздействуют путем эффективности инвестиций.

**გიორგი რუსიაშვილი, ნინო ქეცბაია**  
(საქართველო)

**ტურიზმის განვითარების უმჯობესი ღონისძიება**  
**საქართველოსა და აფხაზეთში**  
(აფხაზეთის დამოუკიდებლობის რუსეთის ფედერაციის  
მიერ აღიარების შემდეგ)

როგორც ცნობილია, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესებულ პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარება. ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას აქვს კარგად ცნობილი უპირატესობები: 1) საზღვაო-საკურორტო დასვენების ინფრასტრუქტურა და ტრადიცია; 2) სამთო და სათხილამურო დასვენების ინფრასტრუქტურა და ტრადიცია; 3) საქართველო აღიარებულია ღვინის სამშობლოდ; 4) საქართველოს აქვს მდიდარი ტრადიცია (ცეკვა-სიმღერა და ორიგინალური კულტურა); 5) საქართველოს სამხარეო აღიარებულია მსოფლიოში; 6) საქართველო წარმოადგენს ყველაზე შორეულ ქრისტიანულ ქვეყანას აღმოსავლეთში და გააჩნია მრავალი კულტურული მემკვიდრეობის ისტორიული ძეგლი; 7) საქართველო იმყოფება ევროპის და აზიის შესაყარზე და ამდენად საუკეთესოდ წარმოაჩენს კულტურათა დიალოგის და ინტეგრაციის ნიმუშს; 8) საუკეთესო თერმალური და სასმელ-გამაჯანსაღებელი წყლები; 9) საქართველოს აქვს განუმეორებელი ფლორა და ფაუნა თავისი რეკრეაციული ზონებით, ნაკრძალებით და ეროვნული პარკებით; 10) და სხვა<sup>1</sup>.

90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ქართული ეკონომიკური აზრი „ბჭობდა“ იმ პრიორიტეტებზე, რომელიც საჭირო იყო საერთაშორისო წყაროებით დაფინანსებული 70%-იანი ეკონომიკური დაცემის შეჩერებისათვის, ჰიპერინფლაციის მოთხოვნისა თუ რაიმე სახის ზრდის ეკონომიკური პარამეტრების მიღწევისათვის, პირველ ადგილზე გამოვიდა პოლიტიკური სტაბილიზაციის აუცილებლობა, როგორც ქვეყანაში გამეფებული კრიმინალის, სამოქალაქო ომებისა და რუსეთთან აფხაზეთისა თუ სამაჩაბლოში მიმდინარე ღია საომარი კონფლიქტების ფონზე. ამ ფაქტორის მიღწევის გარეშე ჩათვლილი იყო, რომ ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილიზაცია შეუძლებელია.

---

<sup>1</sup> იყო სხვადასხვა სახის რეკომენდაცია უცხოელი ექსპერტების მიერ, რომ ყველაზე საუკეთესო გზა საქართველოს წარმონიშნავს გლობალურ ტურისტულ ბაზარზე ტურისტულ ქვეყნად არის სტუმრებისათვის არა მარტო სტანდარტული რელიგიურ-ტრადიციული პირობების (ეკლესიამონასტრების და ისტორიული ნანგრევების მონახულებით), რაც საქართველოს ერთგვარ „აუცილებელ ატრიბუტად“ იქცა ამ ბიზნესში, ისეთი ნოვატორული დასვენების იდეების შეთავაზებაც, როგორცაა, მაგალითად, გართობა (სათამაშო ბიზნესის განვითარების საფუძველზე). სწორედ ამ კუთხით არის ნიშანდობლივი საქართველოში კანაბისის მოხმარების დეკრიმინალიზაციის ლეგალიზაციის მოძრაობა, განსაკუთრებით ბათუმსა და აჭარაში, რაც გათვლილია ქვეყნის შემოსავლების ზრდის და ტურისტების მოზიდვის ერთ-ერთ ხელისშემწეობ ფაქტორად მის გადაქცევაზე (თუმცა ამ დროს აუცილებლად დასათვლელია, ასევე ის სოციალური დანახარჯი, რეაბილიტაცია-მკურნალობის ჩათვლით, რაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ლეგალური მომხმარებლისათვის). ასეთი ხერხები კარგად არის აპრობირებული სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად, თურქეთში და ევროპტემ გაითქვეს სახელი ALL INCLUSIVE-ის ფორმატის დანერგვით, რომელშიც შედის განუსაზღვრელად უფასო სასმელი და საკვები, რაც ასე იზიდავს რუსულენოვან დამსვენებელთა კონტინენტს, ტაილანდში და კუბაში სახელი გაითქვეს სექს-ტურიზმის განვითარებით (თუმცა, ორივე ქვეყანამ ამას მიადწია განსხვავებული სემანტიკით: კუბაში ძირითადად ამჯობინებენ დასვენებას სუსტი სქესის წარმომადგენლები, იმ დროს როდესაც ტაილანდს უფრო ეტანებიან ძლიერი სქესის წარმომადგენლები).

ცნობილია, რომ ტურიზმის განვითარებას უნდა არა მარტო ინფრასტრუქტურა და დამხმარე მომიჯნავე და დაკავშირებული ეკონომიკის სექტორები, მაგალითად, ძლიერი სოფლის მეურნეობა, რომელიც ელემენტარულად გამოკვებას ჩამოსულ სტუმრებს, გზები (ადგილებამდე მისასვლელის უზრუნველსაყოფად) და ასევე ისიც ცნობილია, რომ თვითონ ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში აღიარებული თანაფარდობით 1:10-თან (ანუ ერთი დასაქმებული ტურიზმის სექტორში ხელს უწყობს დამატებით დაახლოებით ათი ადამიანის დასაქმებას ეკონომიკის სხვა სექტორებში: სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, კომუნიკაცია, სარესტორნო და სასტუმრო ბიზნესი, ვაჭრობა და სხვა).

აღსანიშნავია, რომ ზოგადი თეორიული პოსტულატისა და საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილების აპრობაციის სიმწირის ფონზე საქართველოს სინამდვილეში<sup>1</sup>, მაინც იღვმება ნაბიჯები ტურიზმში საგადასახადო წნეხის შემცირების კუთხით, რამაც საბოლოოდ უნდა გამოიწვიოს ტურისტული პროდუქტის გაიაფება, რადგან მძლავრი გლობალური კონკურენციის ფონზე ამ სექტორში საქართველოს ტურისტული ბრენდით შეთავაზებული პროდუქტის სიიაფის გარეშე წარმოუდგენელია ოცნებაც კი ტურისტული ნაკადის მოზღვაგებაზე.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ტურიზმი, როგორც ექსპორტის სფერო საერთოდ განთავისუფლებული უნდა იყოს დღე-ის გადასახადისგან და ის ფინანსური დატვირთვა, რაც ტურიზმმა შეიძლება მოიტანოს სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა იყოს ჩანაცვლებული ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის პრიორიტეტით. ზოგადად თუ ქვეყანას უდგება პრიორიტეტების არჩევის დილემა ბიუჯეტის ზრდასა (შემოსავლის გადანაწილება - მეორადი განაწილების მიზნით) და მოსახლეობის დასაქმებას შორის (შემოსავლის ზრდის შედეგად შემოსავლის პირდაპირი განაწილების ოპტიმალური დონის მიღწევა ქვეყანაში), რადგან პირველი გათვლილია საბოლოო ჯამში „ღარიბი“ მოსახლეობის სუბსიდირება-დაფინანსებაზე, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მეორეს, რომელიც ორიენტირებულ იქნება თვითშეძლებული მოსახლეობის მხარდაჭერაზე, რომელიც იმდენ შემოსავალს შოულობს, რომ მოსახლეობის ფართო ფენები სულ უფრო ნაკლებ ხდებიან დამოკიდებული სახელმწიფო აპარატზე. როგორც აღნიშნულია, თუმცა ეს მიდგომა არ არის საბოლოო ჯამში აღიარებული საქართველოს სინამდვილეში, მაინც გვხვდება გარკვეული ცდები გადასახადების დაბრუნების კუთხით საქართველოდან გასვლის ანუ საზღვრის გადაკვეთისას. ჩვენ მიერ შემოთავაზებული მიდგომის ფარგლებში კი უცხოელი ტურისტის იდენტიფიკაცია ამ შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს საპასპორტო მონაცემების საფუძველზე ანუ დღე-განათავისუფლებულად (არგადამხდელად) ამა თუ იმ ობიექტში (სასტუმრო, რესტორანი, სავაჭრო კომპლექსი და სხვა) უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი უცხოელი მოქალაქე, საზღვარგარეთის პასპორტის ფლობის საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული, თუმცა, რა თქმა უნდა, შეამცირებს მიღებულ დამატებული ღირებულების გადასახადებს, მაგრამ ამასთანავე გაზრდის ქვეყანაში ტურისტთა რიცხვს, ბრუნვას და გაუმჯობესებს ყველა სხვა მომიჯნავე ფაქტორს პროდუქციის გაიაფების საფუძველზე და ქვეყანას მისცემს ყველა იმ სარგებელს, რაც ტურისტული ბიზნესის განვითარებითა და მის შემდგომი ბუმით მიიღწევა. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, რომ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მასობრივი უცხოელ დამსვენებელ-ტურისტზე ორიენტირებული იაფი და ხარისხიანი ტურიზმის სეგმენტი მიგაჩნია ტურიზმის იმ ფორმად, რომელიც წარმოადგენს ჩვენი კვლევის ობიექტს და რომელსაც ესაჭიროება განვითარება-მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, სხვა დამხმარე ფაქტორების გაუმჯობესების ფონზე.

<sup>2</sup> თუმცა, აქ გვხვდება განსხვავებული შეხედულებებიც. კერძოდ გერმანიაში საქართველოს ელჩის, ქალბატონ გაბრიელა ფონ ჰაბსბურგის აზრით საქართველო ძნელად თუ გახდება მასობრივ ტურისტზე ორიენტირებულ ქვეყანა სიიაფის ხარჯზე და ამის საპირისპიროდ უნდა შეთავაზებულ იქნეს ე.წ. VI - ტურები უცხოელ ტურისტებზე და შესაბამისად შემუშავდეს ამ პროდუქტის სათანადო VIP-პროგრამები, ტურისტების VIP-სეგმენტზე გასვლის მიზნით. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მიდგომა უფრო ეგზოტიკურ ნაირსახეობას წარმოადგენს და მის პრაქტიკულ რეალიზაციას ქვეყნის ტურისტული პროდუქტის გაიაფების გარეშე რეალური პერსპექტივა არ გააჩნია, რადგან ის დამატებული ღირებულება, რომელიც ბაუ-მანის (BOWMAN) მატრიცის თანახმად შეთავაზებული იქნება ამ შემთხვევაში კლიენტურაზე, ყოველთვის ნაკლები აღმოჩნდება მოთხოვნილ ფასთან მიმართებაში, რისი მიზეზიც ქვეყნის არაკონკურენტუნარიანობა იქნება ღია ტურისტულ მასობრივ ბაზარზე.

ამ კუთხით საინტერესოა ზოგადად ტურიზმთან დაკავშირებული მეცნიერული ხედვა. ტურიზმის მიკუთვნებას ექსპორტზე ის მნიშვნელობაც აქვს, რომ იგი წარმოადგენს უცხოური (მყარი) ვალუტის შემოდინების პირდაპირ რეალურ წყაროს ეკონომიკაში. თუმცა დღესდღეობით მარკეტინგში აღიარებული პორტერის „ეროვნული მარგალიტის“ მოდელის თანახმად შეუძლებელია პროდუქტზე (და მათ შორის ტურიზმზე) საექსპორტო პოტენციალის მიღწევა (მაღალი ხარისხის ხარჯზე) თუ ამავე პროდუქტზე არ არსებობს მოთხოვნა ადგილზე. ანუ სანამ ადგილობრივი მოქალაქე არ ამჯობინებს დასვენებას სხვა ქვეყანაში საქართველოში დასვენებას, მანამდე ძნელი იქნება უცხოური ტურისტული ნაკადების რეალური პროგნოზირება .

აქ ნიშანდობლივია განვიხილოთ პორტერის „ეროვნული მარგალიტის“ მოდელი, რომელიც განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ამა თუ იმ სექტორის საექსპორტო პოტენციალის განვითარებისათვის სწორედ შიდა ბაზარს და მასში მოქმედ ამა თუ იმ ძალას ანიჭებს.

**ამ ჩარჩო-მოდელს გააჩნია 4 ძირითადი კომპონენტი:**

- წარმოების ფაქტორები
- მოთხოვნა
- კონკურენცია
- დაკავშირებული და მომიჯნავე ბიზნეს-სფეროები

**წარმოების ფაქტორები**

წარმოების ფაქტორების კატეგორიზაცია შეიძლება მოხდეს ორი ფორმით:

- ადგილობრივი რესურსები
- სპეციალიზებული რესურსები

ჰოლივუდის მაგალითი მიუთითებს ე.წ. „ადგილობრივ რესურსებზე“ იმ თვალსაზრისით, რომ ადგილი აქვს მაღალი პროფესიული უნარ-ჩვევების პერსონალის კონცენტრაციას ერთ ადგილას, განსხვავებული სკოლების ჩამოყალიბების ჩათვლით. იაპონიის მაგალითი, რომელიც განიცდის ბუნებრივი რესურსების ნაკლებობას, მიუთითებს მაღალი სპეციალიზაციის დონეზე თავის ეკონომიკაში, რაც გულისხმობს ნულოვანი დონის საწარმოო დეფექტის მიღწევას წარმოების პროცესში და ასევე შემცველი პროდუქციის ინოვაციას (მაგ. ალტერნატიული ენერჯის წყაროები).

**დაკავშირებული და მომიჯნავე ბიზნეს-სფეროები**

ეს ფაქტორი ნიშანდობლივია ორი გარემოების გამო: 1) მომიჯნავე ბიზნესების განვითარების მაგალითია სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება ტურიზმის სფეროს განვითარების შედეგად; 2) დაკავშირებული ბიზნეს-სფეროების განვითარების მაგალითია „სილიკონის ველი“ აშშ-ში, სადაც კონცენტრირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმოების უმრავლესობა და ადგილი აქვს ე.წ. „კლასტერების“ წარმოქმნას. ორივე ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

**მოთხოვნა**

მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზე წარმოადგენს იმ მამოძრავებელ ძალას,

რომელსაც შემდეგ მიეძღვნება ამ თუ იმ სექტორის განვითარება ამ ქვეყანაში<sup>1</sup>. სწორედ ეს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის, ინოვაციის და ხარისხის გაუმჯობესების უშუალო ბერკეტს. ძლიერი ადგილობრივი ბაზრები განაპირობებს ფირმების გამსხვილებას და ექსპანსიას. ამის მაგალითს წარმოადგენს გერმანიის საავტომობილო მრეწველობის ნიმუში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს გლობალური თვალსაზრისით პრემიუმ კლასის ავტომობილების წარმოების მაგალითს (Mercedes, BMW, Porsche). გერმანული წარმოების მანქანები დომინირებს მსოფლიო ბაზარზე, როდესაც საქმე ეხება მაღალი კლასის ავტომობილებს. თუმცა, როდესაც საქმე ეხება უფრო იაფ, ადგილობრივი ბაზრისათვის განკუთვნილ ავტომობილებს, აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთი ბიზნეს-სეგმენტები ჩამოუვარდება სხვა ქვეყნების წარმოებებს საკუთარ ბაზარზე დაბალი მოთხოვნის გამო. ეს ასევე უკავშირდება იმ გარემოებას, რომ გერმანული ბაზარი თავისი სპეციფიკით ისტორიულად ორიენტირებული იყო უფრო მაღალ საინჟინრო პროდუქტზე, რასაც ხელს უწყობს გერმანიაში არსებული მაღალი დონის საგზაო ინფრასტრუქტურაც, რომელიც გათვლილია მაღალი ხარისხის მანქანებზე.

### კონკურენცია

ქვეყნის ამ თუ იმ ბიზნეს-სეგმენტში ოპერირება უკავშირდება ამ თუ იმ სექტორში ფირმების სტრუქტურას და მათ მიერ გატარებულ სტრატეგიებს. კონკურენცია თამაშობს წამყვან როლს ინოვაციის ხელშეწყობასა და კონკურენციული უპირატესობის უფრო მაღალ დონეზე აყვანაში. იმის გამო, რომ შიდა კონკურენცია უფრო პირდაპირია და შესაბამისად უფრო დიდი ზეგავლენის მქონე, ვიდრე სხვა ფაქტორები (გარე კონკურენცია), ის სტიმული, რომელსაც ეს ფაქტორი იწვევს მაღალია, როგორც ინოვაციის, ისე ეფექტიანობის ხელის შეწყობისას. ამის მაგალითს წარმოადგენს იაპონური საავტომობილო ინდუსტრია, რომელშიც 8 მსხვილი ბრენდის არსებობა (Honda, Toyota, Suzuki, Isuzu, Nissan, Mazda, Mitsubishi, Subaru) უზრუნველყოფს ძალიან მძაფრ კონკურენციას შიდა ბაზარზე და ამით აძლევს შესაძლებლობას ამ ფირმებს თავისუფლად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კონკურენციაში და შთამბეჭდავ წარმატებასაც მიაღწიონ.

ამრიგად, ეს ოთხივე პირობა (შიდა მოთხოვნა, შიდა კონკურენცია, შიდა წარმოების ფაქტორები (ორივე, როგორც უნიკალური რესურსები, ისე უნიკალური სპეციალიზაცია), შიდა მომიჯნავე ბიზნეს-სფეროების არსებობა) ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტულობის ზრდას (იხ. ცხრილი).

	ქვეყანაში არსებული წარმოების ფაქტორები	
მოთხოვნა შიდა ბაზარზე	+	დაკავშირებული მომიჯნავე ბიზნეს-სფეროები
	კონკურენცია შიდა ბაზარზე	

<sup>1</sup> სწორედ ამას ესადაგება წარმატებული საექსპორტო ქვეყნების მაგალითი, როდესაც ექსპორტი მიიღწევა ჯერ იმავე პროდუქტით ადგილობრივი ბაზრის გაჯერების ხარჯზე. ანუ ექსპორტი მხოლოდ იმ მიზნით, რომ ამა თუ იმ საქონელსა თუ პროდუქტსაზე, რომლის წარმოებაც შეუძლია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკას, მხოლოდ იმიტომ, რომ მასზე არ მოიპოვება მოთხოვნა შიდა ბაზარზე განწირულია კრახისათვის (ანალოგიაა ტურიზმის საექსპორტო პროდუქტად გადაქცევის სტრატეგია საქართველოში; შესაბამისად სანამ ქართველი დამსვენელი არ არჩევს საზღვარგარეთის კურორტებზე ქვეყნის შიგნით კურორტებზე დასვენებას, მანამდე ასეთი მცდელობა ჩაითვლება სამეცნიერო თვალსაზრისით ფუჭად, თუმცა, როგორც აღნიშნულია, ტურიზმს სხვა შემზღვეველი ფაქტორებიც გააჩნია).

სახელმწიფოს როლი პორტერის მოდელში განსაზღვრულია, როგორც მოქმედი „კატალიზატორის და გამოწვევების ინციატორის“ როლი, რაც მიზნად ისახავს იმგვარი ინციატივების შეთავაზებას საგადასახადო და სხვა კუთხით, რომ ფირმებს მიეცეთ სტიმული გადავიდნენ კონკურენტუნარიანობის უფრო მაღალ საფეხურებზე. იგივე მიიღწევა კონკურენციის წახალისების, ანტი-მონოპოლიური რეგულირების, ზოგადად საკუთრების და მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის, ფირმების მიერ კვლევების და განვითარების წახალისების გზით.

რადგან პორტერის „ეროვნული მარგალიტი“ ძირითადად ეხება სახელმწიფოს როლს ინოვაციის მხარდაჭერაში, მის კრიტიკოსებს მოყავთ შემდეგი დებულება: "მდგრადი კეთილდღეობა შეიძლება მიღწეულ იქნეს ქვეყნის ინოვაციურ ქვეყნად გადაქცევის გარეშე იმ ქვეყნებშიც<sup>1</sup>, სადაც მკაფიო „ეროვნული მარგალიტის“ მოდელი, პორტერის მიხედვით, არ არის მიღწეული ბევრი საერთაშორისო დონეზე წარმატებული ქვეყნის მაგალითზე და პირდაპირ უცხოური ინვესტიციების მოცულობის ნაკლებობა, რომელიც მიუთითებს პორტერის მიხედვით იმას ქვეყანას გამოყენებული აქვს თუ არა „ეროვნული მარგალიტის“ მოდელი, ყოველთვის არ არის რეალური საზომი როგორც ქვეყნის არაკონკურენტუნარიანობის, ისე ეროვნული მეურნეობის პროდუქტიულობის“<sup>2</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მოდელი, რომელიც პორტერმა განაზოგადა ამერიკული ეკონომიკის გამოცდილების საფუძველზე, შეიძლება გამოუსადეგარი აღმოჩნდეს გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკებისათვის.

ამიტომ ჩვენს ინტერესს წარმოადგენდა იმის დადგენა, დღეს დამოუკიდებლობის მიღწევის 20 წლის თავზე ისევ ეს ფაქტორი ანუ პოლიტიკური სტაბილურობა და ქვეყნის მშვიდობისმოყვარე, უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის საკითხის პრობლემატურობა ხომ არ არის კვლავ ის ძირითადი საკითხი, რომელიც ესაჭიროება ტურიზმის განვითარებას საქართველოში.

კერძოდ, ჩვენ კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ ერთ-ერთი რუსულენოვანი სოციალური ქსელის საიტზე განთავსებული განცხადებების ნუსხა rambler.ru დომეინზე. აღნიშნული განცხადებების შინაარსი ეხებოდა 2011 წლის ზაფხულში (დასვენების სეზონზე) საქართველოსა და აფხაზეთში დასვენების მსურველთა ღია დაფიქსირებულ ცნობებს.

აღნიშნული კვლევის შედეგების გაანალიზებისას მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოებაც, რომ მიღებული შედეგები ძალზე ახლოს არის (რელევანტურია) საქართველოში ტურიზმის განვითარების რეალურ სურათთან და დამსვენებელთა კონიუნქტურაც სწორედ ასეთი დიფერენციალით გამოირჩევა.

შევისწავლეთ რამდენიმე ფოკუს-ჯგუფი, რაც ამავე დროს სრულად მოიცავს „ტურისტთა“ ანუ დამსვენებელთა ფართომასშტაბიან სეგმენტს. კერძოდ:

- 1) ქალბატონები
- 2) ქალბატონების ჯგუფი
- 3) ვაჟები

<sup>1</sup> ამ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ პროფ. ბაჟალის (უკრაინის ეროვნული აკადემია - კიევი-მაგილას უნივერსიტეტი) მიხედვით, ქვეყანა ვადლებულია თანამედროვე მსოფლიო განვითარების კონიუნქტურის პირობებში მიადწიოს წარმოების ინტენსიურ ზრდაზე გადასვლას, თუ მისი ეკონომიკური ზრდის ტემპები წლიურად არ აღემატება 4%-ს; აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი 2010 წელს შეადგენდა საშუალოდ 6,5%-ს, იმ დროს, როდესაც საშუალო გლობალური ზრდის ტემპი შეადგენდა სწორედ 4%.

<sup>2</sup> თუმცა, ამის ემპირიული დადასტურება ნაკლებად მოიპოვება, ჩვენი აზრით, რეალურ ცხოვრებაში.

4)ვაჟების ჯგუფი

5)შერეული ჯგუფი

6)ოჯახური წყვილები

მათგან, რომლებიც საქართველოში ტურისტული ვიზიტით ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამს „ქალბატონების“ კატეგორიაში სურათი შემდეგი სახისაა:

ქვეყანა	პროცენტული მაჩვენებელი
უკრაინა	50%
რუსეთის ფედერაცია	35%
ბელარუსი	9%
ყაზახეთი	6%
სულ	100 %

მათგან ვინც აფხაზეთში, როგორც საქართველოსგან დამოუკიდებელ ქვეყანაში, ტურისტული ვიზიტით ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამს „ქალბატონების“ კატეგორიაში სურათი შემდეგი სახისაა:

ქვეყანა	პროცენტული მაჩვენებელი
რუსეთის ფედერაცია	97%
ბელარუსი	2%
უკრაინა	1% (დამრგვალებულად)
გერმანია	1% (დამრგვალებულად)
სულ	100 %

მათგან, რომლებიც საქართველოში ტურისტული ვიზიტით ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამენ „ქალბატონების ჯგუფის“ კატეგორიაში სურათი შემდეგი სახისაა:

ქვეყანა	პროცენტული მაჩვენებელი
უკრაინა	33,33%
სომხეთი	33,33%
ყაზახეთი	33,33%
სულ	100 %

მათგან, რომლებიც საქართველოში ტურისტული ვიზიტით ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამენ „ქალბატონების ჯგუფის“ კატეგორიაში სურათი შემდეგი სახისაა:

ქვეყანა	პროცენტული მაჩვენებელი
რუსეთის ფედერაცია	96%
აფხაზეთი (შიდა ტურიზმი)	4%
სულ	100 %



მათგან, ვინც საქართველოში ტურისტული ვიზიტით ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამს „შერეული ჯგუფის“ კატეგორიაში სურათი შემდეგი სახისაა:

ქვეყანა	პროცენტული მაჩვენებელი
საქართველო (შიდა ტურიზმი) *	100%
სულ	100 %

\*პრაქტიკულად ტურიზმის, როგორც საექსპორტო დარგის, ამ პროდუქტზე საქართველოში რუსულენოვანი მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნა არ არსებობს.

მათგან, ვინც აფხაზეთში, როგორც საქართველოსგან დამოუკიდებელ ქვეყანაში ტურისტული ვიზიტით ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამს „შერეული ჯგუფის“ კატეგორიაში სურათი შემდეგი სახისაა:

ქვეყანა	პროცენტული მაჩვენებელი
რუსეთის ფედერაცია	100%
სულ	100 %

მათგან, ვინც საქართველოში ტურისტული ვიზიტით ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამს „ოჯახური წყვილების“ კატეგორიაში სურათი შემდეგი სახისაა:

ქვეყანა	პროცენტული მაჩვენებელი
რუსეთის ფედერაცია	33,33%
სომხეთი	33,33%
ბელარუსი	33,33%
სულ	100 %

მათგან, ვინც აფხაზეთში, როგორც საქართველოსგან დამოუკიდებელ ქვეყანაში, ტურისტული ვიზიტით ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამს „ოჯახური წყვილების“ კატეგორიაში სურათი შემდეგი სახისაა:

ქვეყანა	პროცენტული მაჩვენებელი
რუსეთის ფედერაცია	94%
ბელარუსი	6%
სულ	100 %

მათგან, ვინც საქართველოში ტურისტული ვიზიტით ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამს „ვაჟების“ კატეგორიაში სურათი შემდეგი სახისაა:

ქვეყანა	პროცენტული მაჩვენებელი
საქართველო (შიდა ტურიზმი)	34%
სომხეთი	20%
აზერბაიჯანი	14%
რუსეთის ფედერაცია	13%
უკრაინა	13%

გერმანია	2%
პოლონეთი	1% (დამრგვალებულად)
საბერძნეთი	1% (დამრგვალებულად)
ბელგია	1% (დამრგვალებულად)
თურქეთი	1% (დამრგვალებულად)
გაერთიანებული არაბეთის ემირატები	1% (დამრგვალებულად)
სულ	100 %

მათგან, ვინც აფხაზეთში, როგორც საქართველოსგან დამოუკიდებელ ქვეყანაში, ტურისტული ვიზიტით ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამს „ვაჟების“ კატეგორიაში სურათი შემდეგი სახისაა:

ქვეყანა	პროცენტული მაჩვენებელი
რუსეთის ფედერაცია	94%
აფხაზეთი (შიდა ტურიზმი)	3%
უკრაინა	1% (დამრგვალებულად)
ბელარუსი	1% (დამრგვალებულად)
აზერბაიჯანი	1% (დამრგვალებულად)
ყაზახეთი	1% (დამრგვალებულად)
სულ	100 %

მათგან, ვინც საქართველოში ტურისტული ვიზიტით ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამს „ვაჟების ჯგუფის“ კატეგორიაში სურათი შემდეგი სახისაა:

ქვეყანა	პროცენტული მაჩვენებელი
საქართველო (შიდა ტურიზმი)	25%
სომხეთი	25%
აზერბაიჯანი	13% (დამრგვალებულად)
უკრაინა	13% (დამრგვალებულად)
გერმანია	13% (დამრგვალებულად)
მოლდავეთი	13% (დამრგვალებულად)
სულ	100 %

მათგან, ვინც აფხაზეთში, როგორც საქართველოსგან დამოუკიდებელ ქვეყანაში ტურისტული ვიზიტით ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამს „ვაჟების ჯგუფის“ კატეგორიაში სურათი შემდეგი სახისაა:

ქვეყანა	პროცენტული მაჩვენებელი
რუსეთის ფედერაცია	91%
აფხაზეთი (შიდა ტურიზმი)	5% (დამრგვალებულად)
სომხეთი	5% (დამრგვალებულად)
სულ	100 %

ამგვარად, სულ დაფიქსირებულია 566 განცხადება, მათგან 153 ანუ 27% მოდის საქართველოში დასვენებაზე, ხოლო 413 კი ანუ 73% მოდის აფხაზეთში დასვენებაზე.

საქართველოში დასვენების მსურველთა სიმცირეზე მეტყველებს ამ კონტინგენტის შედარება იმავე საიტზე დაფიქსირებულ სხვა ქვეყნებში დასვენების მსურველებთან, რაც ასე გამოიყურება:

საქართველო (153 განაცხადი) პირველ სამ ადგილზე მყოფ ქვეყნებთან (თურქეთი, ეგვიპტე, ტაილანდი: სულ 15 000 განაცხადი) მიმართებით – 1%

საქართველო თურქეთის (6970 განაცხადი) მიმართ - 2%

საქართველო ეგვიპტეს (4400 განაცხადი) მიმართ - 3%

კათედრის ეფექტური მუშაობისათვის სასურველია თავმჯდომარის არჩევა ერთი წლის ვადით. თავმჯდომარის ფუნქციებია: რეგულარული შეხვედრების ორგანიზაცია; კათედრის გადაწყვეტილების მიწოდება სკოლის მმართველობისათვის საჭიროების შემთხვევაში; პროფესიული განათლების სასარგებლო ღონისძიებების ორგანიზაცია: ტრენინგების, სემინარების, კონფერენციების და სხვათა მოწყობა; კათედრას შეუძლია დააწესოს პრიზი მასწავლებლისა და მოსწავლისათვის. კათედრის წევრები რეგულარულად უნდა შეიკრიბონ (მინიმუმ ერთხელ თვეში). აუცილებელია შეკრება სასწავლო წლის დასაწყისში. სხვა საკითხებთან ერთად ხდება სახელმძღვანელოს არჩევა, პროგრამის განსაზღვრა: განიხილება საგნობრივი პროგრამების სტანდარტების შესრულების მიმდინარეობა, ხოლო წლის ბოლოს შეფასდება, თუ რა ხარისხით იქნა შესაძლებელი ყველა მოსწავლისათვის საგნობრივ პროგრამებში აღწერილი შედეგების მიღწევა.

კათედრის მუშაობის მიზნები და ამოცანებია: მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება; პედაგოგიური სიახლეები, როგორც სწავლების ხარისხის ამაღლების მხარდამჭერი; სწავლების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან; სწავლების სტრატეგიების სწორად შერჩევა; სასწავლო პროცესის დაგეგმვაში მოსწავლეების მონაწილეობა; კვალიფიკაციის ამაღლების წახალისება; სწავლების განვითარების პროექტები; სწავლების სტრატეგიების შერჩევა მიზნის შესაბამისად; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მკაფიო და პრაქტიკული ხედვა და გამოყენება; სასწავლო რესურსების შერჩევა, დამზადება, გამოყენება; სწავლის შეფასების ფორმების გამოყენება; მოსწავლეთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმის განსაზღვრა; სხვადასხვა პროგრამის ტრენინგებით პედაგოგიური უნარების სრულყოფა.

საგნობრივი კათედრის მეშვეობით საფეხურების მიხედვით წერის არსებული ვითარების გაანალიზების შემდეგ შედგება პროგრამა შემდეგი მიზნით: საბაზო და საშუალო საფეხურზე წერის კომპეტენციების სასურველი დონის მიღწევისათვის სწავლება/სწავლის ახალი მიდგომების დანერგვა.

მიზნის მისაღწევად ერთი საგნობრივი კათედრის ფარგლებში, ასევე სხვა კათედრებთან ურთიერთობით, კათედრა პრობლემის გადაჭრის გუნდური თანამშრომ-

ლობის შესაძლებლობას იძლევა.

სამოქმედო პროგრამაში გაითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

I. წერის შედეგები პირველი სემესტრის მიხედვით (სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა).

II. წერის წარმატებული შედეგების მიღწევის გამოცდილების შესწავლა, განზოგადება. ამ მიმართებით ჩატარდება:

1. ღია გაკვეთილები:

ა) წერა ჩართულია საგაკვეთილო პროცესში.

ბ) გაკვეთილის მიზანია წერის კომპეტენციების დაუფლება.

გ) წერის მიღწეული კომპეტენციების გამოყენება და განვითარება ინტეგრირებულ გაკვეთილებზე.

2. წრის მეცადინეობები თავისუფალი დასწრებით;

3. „კლასის საათი“ – წერით მიღწეული კომპეტენციების გამოყენება;

4. შეხვედრა-დიალოგი „მასწავლებლის პროფესიული პორტრეტი“.

III. წერის სწავლება/სწავლისას გამოვლენილი სიძნელეების დასაძლევად ტრენინგების ჩატარება:

- წერის სტრატეგიები და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში.

- წერის ზოგადი კომპეტენციების მიღწევის მახასიათებლები.

- წერა ინტეგრირებულ გაკვეთილებზე.

- წერითი ნამუშევრების შეფასება.

IV. სემინარების ჩატარება.

- წერა საწრეო მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად.

- წერა – „კლასის საათისადმი“ ინტერესისა და მოტივირების ეფექტური საშუალება.

- „წერის სემინარები“ სახელმძღვანელოს მიხედვით.

V. ლექცია შეკვეთით:

კომპეტენციის რაობა და მისი მიღწევის მახასიათებლები.

პროგრამა ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული ოსტატობის ამაღლებას სკოლის დონეზე. ყოველი საქმიანობის შემდეგ ხდება ცვლილებები მასწავლებლის შეფასების დიაგნოსტიკურ რუკაზე, სადაც აღინიშნება:

ა) სხვების მიერ გაზიარებული გამოცდილება;

ბ) სემესტრის განმავლობაში დაძლეული პრობლემა.

გ) პრობლემა, რომელზეც მუშაობს ახალ სემესტრში.

კათედრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორება, მხედველობაში გვაქვს შემაჯამებელი წერის შეფასება. კათედრის წევრები შეიმუშავენ წერის განმსაზღვრელი შეფასების ერთიან კრიტერიუმებს, სქემებს.

აუცილებელი მოთხოვნაა, რომ შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებისათვის ცნობილი იყოს წერის დაწყებამდე.

გთავაზობთ განმსაზღვრელი შეფასების პრაქტიკაში გამოყენებულ კრიტერიუმებს, რომელიც განაპირობებს შეფასების ობიექტურობის, ვალიდურობის პრინციპების დაცვას:

1. ნაწერის შინაარსის თემასთან, სათაურთან შესაბამისობა.

2. წერის სტრატეგიის შემოქმედებითად გამოყენება.

3. საკუთარი დამოკიდებულების მკაფიოდ გამოხატვა.

4. ტექსტის (ან წყაროების) ცოდნა, ციტატების ან მოსაზრების მიზნობრივად ჩართვა.

5. ნაწერის სტილის შესაბამისი სრუქტურის დაცვა.
6. ორთოგრაფიული შეცდომების რაოდენობა.
7. ენობრივი ნორმების დაცვა.
8. ლექსიკური სიმდიდრე.

ჩავატარეთ **კვლევა**, რომლის მიზანი იყო გამოცდილების გაზიარებასთან და მოკიდებულების შესწავლა.

**კვლევის მეთოდი:** კვლევითი ესე: „რა შემატა წერასთან დაკავშირებით ჩემს პედაგოგიურ გამოცდილებს კათედრაზე მუშაობამ“.

ესე **ანალიზის შედეგად** ცხადი გახდა, რომ მასწავლებლები მხარს უჭერენ საკითხის კონკრეტულად განხილვას, შესწავლას, თვლიან, რომ ბევრი რამ შეცვალეს წერის სწავლებასთან მიმართებაში, კერძოდ, გამოიყენეს ახალი სტრატეგიები, გაერკვნენ კომპეტენციის მიღწევის მახასიათებლებში, მოსწონთ შემოქმედებითი ძიების ატმოსფერო, კათედრას მიიჩნევენ გუნდური თანამშრომლობის საუკეთესო საშუალებად.

საგნობრივი კათედრის მეშვეობით განხორციელდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა თანამშრომლობა წერის სწავლება/სწავლის თვითშეფასებისა და უკეთესი გზების ძიებისათვის; ხელი შეეწყო სხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან კოორდინირებულ მუშაობას.

კათედრის სხდომაზე განხილვა წერის გაკვეთილების დაგეგმვის რესურსები, მაგალითად, **წერის გაკვეთილების თემატიკა მოკლევადიანი დაგეგმვისათვის.**

I. წერის ფორმა ტექსტის გაგებისათვის

ა) ესე: „ჰაჯი უსუფის განაჩენი – ზნეობრივი სასჯელი ვისთვის?“

წყაროები: აკაკი წერეთელი – „გამზრდელი“; აკაკი ბაქრაძე – „ზნეობრივი გმირისათვის“.

ბ) თხზულება: „მინდიას ფილოსოფია“

წყაროები: ვაჟა-ფშაველა – „გველისმჭამელი“; აკაკი ბაქრაძე – „ვაჟას მრწამსი“; გრიგოლ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელის კრიტიკული წერილები.

გ) რეფერატი „პარალელები პოემასა და თქმულებას შორის“ (ვაჟას „ბახტრიონის“ მიხედვით)

წყაროები: ვაჟა-ფშაველა – „ბახტრიონი“, გრიგოლ კიკნაძე – „ვაჟა-ფშაველა“;

აკაკი მორჩილაძე – „გლეხი, მღვდლის შვილი“; სანდრო რაზიკაშვილი – „მოგონებანი“.

II. შემაჯამებელი წერითი სამუშაო:

კრიტიკული მიმოხილვა „რეალობა ემოციებით და უემოციოდ“ (მიხეილ ჯავახიშვილი „ლამბალო და ყაშა“).

თხზულება „მონობა თუ ერთგულება“ (ლეო ქიაჩელი „ჰაკი აძბა“)

ტექსტის ენობრივ-მხატვრული ანალიზი „მწერლის სიტყვის გავლენა“ (რევაზ ინანიშვილის „ლარა“).

III. მწერლის ბიოგრაფიის გავლენა მის შემოქმედებაზე. „რესპოდენტის ფსიქოლოგიური პორტრეტი“ (გოდერძი ჩოხელი, „ცხრა შეკითხვა სიყვარულის შესახებ“).

IV. ნათარგმნი ნაწარმოების ანალიზი „სათაური და შინაარსი“ (ერნესტ ჰემინგუეი – „თეთრი სპილოების მსგავსი მთები“. თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა).

V. ანალიტიკური კომენტარი „ფიქრები რომანის წაკითხვის შემდეგ“. წყაროები: ჯერომ სელინჯერი – „თამაში ჭვავის ყანაში“, როსტომ ჩხეიძე – „ნეტა, ცოცხალია ჯერომ სელინჯერი?“.

VI. ინტერპრეტაცია და საკუთარი თვალსაზრისი. „თავსაფრიანი დედაკაცი“. წყაროები: ნიკო ლორთქიფანიძე – „თავსაფრიანი დედაკაცი“; მერაბ მამარდაშვილი

– „ცოცხალი სხეული“; გურამ ასათიანი – „ქართული სულის ესთეტიკური ბუნებისათვის“.

VII. ინტეგრირებული გაკვეთილისათვის მოხსენება „მხატვრული და ისტორიული სინამდვილე“ (კონსტანტინე გამსახურდია – „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“; წიგნი „ქართლის ცხოვრება“; ანანია ჯაფარიძე – „ქართული ეკლესიის ისტორია“).

პირადი გამოცდილებისა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, კოლეგებთან შეთანხმებით შევიმუშავეთ გაკვეთილის გეგმა-სცენარის ფორმები, რომლის გამოყენებამ ეფექტური შედეგი მოგვცა, რაც გამოიხატა შემდეგში: მოსწავლეებმა უკეთ გააცნობიერეს წერიტით სამუშაოს დანიშნულება, გაუადვილდათ საშინაო დავალების შესრულება. წარმოგიდგინთ გაკვეთილის გეგმა-სცენარის ნიმუშებს:

**I ვარიანტი**  
**წერა ჩართულია გაკვეთილის მსვლელობაში**

გაკვეთილის თემა	<b>ჭაბუა ამირჯიბი - „მოსე ზამთარაძის ნაამბობი“</b> (ნაწევები რომანიდან „დათა თუთაშხია“)
გაკვეთილის მიზნები და შედეგები	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარკვეული თვალსაზრისის შემცველი ტექსტის წაკითხვა;</li> <li>• წერა კონკრეტულ საკითხზე სათანადო არგუმენტების მოხმობით.</li> </ul>
გაკვეთილის მსვლელობა / საკლასო მენეჯმენტი	<p><b>I. გამოსწავლის ფაზა</b> საერთო საკლასო სამუშაო (5 წთ.) ფრაგმენტების ჩვენება ფილმიდან.</p> <p><b>II. შინაარსის რეალიზების ფაზა</b> წვეილური სამუშაო (7 წთ.) ა) მარკირებული კითხვა: გამოყავით ტექსტში ადგილები, სადაც მუდგანდება მთხრობელის დამოკიდებულება ნაამბობისადმი; საერთო საკლასო სამუშაო (8 წთ.) ბ) დისკუსია: რა თვალსაზრისის შემცველია წაკითხული ტექსტი?</p> <p><b>III. რეფლექსიის ფაზა</b> ინდივიდუალური სამუშაო (12 წთ.) წერა (თემას ირჩევს მოსწავლე): ა) მსჯელობა: რატომ ირქმევს სეთური სხვადასხვა სახელს? ბ) შთაბეჭდილების გადმოცემა: „ვინ იყო და რა იყო ეს ქალი...“; გ) აღწერა: ასინეთის პორტრეტი (კინოფილმიდან, ნაწარმოებიდან).</p> <p>ინდივიდუალური სამუშაო (10 წთ.) დიალოგი – გამოხატე საკუთარი დამოკიდებულება: „ფიქრები ტექსტის გაცნობის შემდეგ“.</p> <p>ინდივიდუალური სამუშაო (3 წთ.) საშინაო დავალება: ა) წაკითხეთ ტექსტის II ნაწილი; ბ) ამოიწერეთ ტექსტიდან მოსეს ან დათას თვალსაზრისი და გააკეთე კომენტარი წერილობით.</p>
შეფასების კომპონენტები	სწრაფი კითხვის უნარი; კონკრეტულ საკითხზე არგუმენტების მოხმობით საკუთარი დამოკიდებულების წერილობით გამოხატვა.
საგანმანათლებლო რესურსები	სახელმძღვანელო, კომპიუტერი, პროექტორი, ფურცლები.

II ვარიანტი  
გაკვეთილის მიზანია წერის მიღწეული დონის შეფასება

გაკვეთილის თემა	წერის კულტურა
გაკვეთილის მიზნები და შედეგები	მოსწავლეთა წერითი კულტურის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა
გაკვეთილის მსვლელობა / საკლასო მენეჯმენტი	<p>საერთო საკლასო სამუშაო (5 წთ.) გონებრივი იერიში: „რას წერენ მოსწავლეები?“ ინდივიდუალური სამუშაო (10 წთ.) წერითი დავალება არჩევით:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საყვარელი ნაწარმოების, კინოფილმის, სპექტაკლის მოკლე შინაარსი;</li> <li>2. საკვანძო სიტყვების გამოყენებით ამბის შეთხზვა;</li> <li>3. ნაწარმოების პერსონაჟის დახასიათება;</li> <li>4. „მე ვფიქრობ, რომ...“</li> </ol> <p>წყვილური სამუშაო (10 წთ.) რეცენზიის დაწერა – მოსწავლეები გაასწორებენ ერთმანეთის ნამუშევრებს. რეცენზიას წაიკითხავენ ხმამაღლა. აღნიშნავენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. ჯგუფური წერითი სამუშაო (შემფასებელთა შენიშვნების გათვალისწინებით): 10 წთ.</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. სტუმრად ოტია იოსელიანთან;</li> <li>2. ნაწარმოების ორი პერსონაჟის შედარებითი დახასიათება;</li> <li>3. მოთხრობა მკითხველისათვის;</li> <li>4. „საით მიდიან ღრუბლები“.</li> </ol> <p>ინდივიდუალური სამუშაო, 7 წთ. პრეზენტაცია წყვილური სამუშაო, 3 წთ. შეფასება და თვითშეფასება</p>
შეფასების კრიტერიუმები	თემა პასუხობს სათაურს; აზრი ჩაწერილია მკაფიოდ, თანმიმდევრულად, გამოხატულია ავტორის დამოკიდებულება; დაცულია დროის ლიმიტი; გამოყენებულია მდიდარი ლექსიკა, გამოვლენილია თემის ცოდნა; დაშვებულია ორთოგრაფიული და სტილისტური შეცდომები.
საგანმანათლებლო რესურსები	სახელმძღვანელო, კომპიუტერი, პროექტორი, ვიდეოჩანაწერი, ფურცლები, პრიზი.

პროფესიული განვითარებისათვის გაწეული მუშაობა ორიენტირებულია ურთიერთთანამშრომლობაზე, სისტემურობაზე, შედეგიანობაზე. მასწავლებლებს მნიშვნელოვანი ცვლილება შეაქვთ სწავლებასა და შეფასებაში.

**ლიტერატურა:**

1. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის, თბ., 2007.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2010.
3. თერნული ჯეკი, პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი, თბ., 2009.

4. რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი, ეფექტური სწავლება სკოლაში, თბ., 2009.
5. მეგრელაძე ც., ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის, გაგების სტრატეგიები, ბათუმი, 2008.
6. პაპავა პ., სკოლების განახლება საქართველოში, თბ., 2005.
7. ჩუბინიძე ნ., როგორ ვწეროთ ესე, ჟურნალი „მასწავლებელი“, 2010, №1.

**Khatuna Khalvashi**  
***Coordination of teaching writing through disciplinary departments***  
**Summary**

This article considers the role of discipline teachers in the process of teaching writing skills. There is an action plan of the department in secondary schools that displays certain activities in order to distinguish and eliminate problems of writing, master writing skills and advance writing competence. There is a diagnostic map that helps teachers in self-assessment. To determine potential for achieving writing competences the author of the article offers some topics of the writing lessons and results of the conducted research.

**Хатуна Халваши**  
***Координация обучения письма посредством предметных кафедр***  
**Резюме**

В статье обсуждается роль учителей в процессе обучения письму. Для достижения письменных компетенций в общеобразовательной школе представлена программа работы кафедр, которая предусматривает интересную работу по выявлению сильных и слабых сторон письма, помогает обобщению опыта достижения положительных результатов. Формой самооценки учителями принята диагностическая карта.

Для определения средств достижения письменных компетенций в статье даны результаты исследований, представлена тематика уроков письма.





ნათია შენგელია, ბიძინა ჭუმბურიძე, მინედა ჭანტურია, ქრისტინე ბოკუჩავა  
(საქართველო)

**მინერალური წყლის – ლუგელას ანალიზი**

საქართველო მინერალური წყლების ნაკრძალს წარმოადგენს. მინერალური ჰიდრორესურსებით ის მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა – 690500 კვ/კმ-ის ტერიტორიაზე 1200-ზე მეტი მინერალური წყალია. ბუნებრივად „დამზადებული“ ქიმიური ნარევის ანუ ბუნებრივად მინერალიზებული წყლის სამკურნალო მიზნებით გამოყენებას აქ უძველესი დროიდან ჩაეყარა საფუძველი. საქართველოში მინერალური წყლების დიდ პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბევრ ადგილას ღელე-მდინარეს, წყაროსა თუ ხევს მინერალურ წყლებთან დაკავშირებული სახელები აქვს შერქმეული. ეს ტენდენცია აისახა ლუგელას სამკურნალო წყლის სახელწოდებაზეც. ეგრისის მთის სამხრეთის წინა კალთაზე ალპურ ზონაში მდებარე ლუგელას ულამაზესი ხეობიდან გამომავალ მინერალურ წყალს უძველესი დროიდანვე მენჯს უწოდებდნენ და თავისი მშობლიური ადგილის სახელი ლუგელა 1947 წლიდან ეწოდა. ამ წყალზე შეიქმნა საკვირველი ღებენდები, იგი თითქოს, მკვდარს აცოცხლებს. ძნელია იმის თქმა, თუ რა დროიდან იწყება მოსახლეობის მიერ ამ იშვიათი ბუნებრივი წყლის გამოყენება.

სამკურნალო მინერალური წყლის – ლუგელას ძირითადი საბადო არის საქართველოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, მუხურის ხეობაში, სოფ. მუხურიდან 4 კილომეტრზე. წყალი გამოდის ბაიოსური ასაკის დისლოცირებული ქანებიდან.

მინერალური წყალი ლუგელა თავისი ქიმიური შემადგენლობითა და სამკურნალო მოქმედებით უნიკალურია მსოფლიოში. მისგან მზადდება და აფთიაქში იყიდება კბილის პასტები, გამოიყენება მედიცინაში 10% ქლორ-კალციუმის ხსნარის სახით. ბუნებრივი მედიკამენტი ლუგელა შეიცავს დიდი რაოდენობით ბიოლოგიურად აქტიურ მინერალურ კომპონენტს, რის გამოც მას სამკურნალო საშუალებად იყენებენ.

ლუგელას პირველი ქიმიური ანალიზი რ. კუპცისის მიერ იქნა შესრულებული 1927 წელს. 1932 წელს განმეორებითი გამოკვლევა ჩატარდა პროფესორ ქუთათელაძის ხელმძღვანელობით (4). ორი წლის შემდეგ ჩიხლაძემ ადგილზე გამოიკვლია წყლის დებიტების გაზრდა. ლუგელამ განსაკუთრებული პოპულარობა და პრაქტიკული გამოყენება ომის შემდგომ პერიოდში მოიპოვა, მედიკამენტების დეფიციტის გამო. ამ პერიოდისთვის ინტენსიურად გრძელდებოდა მინერალური წყლის ლუგელას კვლევა. 1945 წელს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭომ „ლუგელა“ ცნო სამკურნალო საშუალებად, დაასაბუთა მისი მედიცინაში გამოყენების შესაძლებლობა, კალციუმის ქლორიდის 10%-იანი ხსნარის ნაცვლად. 1947 წელს დოცენტ მ. ლუგავას, პროფესორ დ. ჯავახიშვილის, პროფესორ გ. გვიშიანის მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა მინერალური წყლის „ლუგელას“ უნიკალურობა. ლუგელა ურთულესი შემადგენლობისაა, იგი მიეკუთვნება ქლორ-კალციუმის წყლების ჯგუფს, ძირითადი იონებია: კალციუმის კატიონი და ქლორის ანიონი, მცირე რაოდენობით შეიცავს ნატრიუმისა და მაგნიუმის კატიონებს, დამახასიათებელია ბრომის, ლანთანოიდების ჯგუფის ექვსი იონის არსებო-

ბა, თანმხლები აირია მეთანი. იგი მაღალი მინერალიზაციის გამო დიდ ხანს ინახება და ჩამოსხმისას არ საჭიროებს ნახშირორჟანგით გაჯერებას, გამჭვირვალება, უნაღებო, არ იყინება  $-25^{\circ}\text{C}$ -მდე. ამ თვისებების გამო მას მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს. ლუგელა ქიმიური მახასიათებლებით მხოლოდ ზღვის წყალმცენარეებს თუ შეედრება (8).

სამედიცინო გამოკვლევებით დადგენილია, რომ მინერალური წყალი „ლუგელა“ მიეკუთვნება სამკურნალო წყლების კატეგორიას. ლუგელას სამკურნალო ჩვენებებია: პარათირეოიდული ჯირკვლების, სასუნთქი ორგანოებისა და ლიმფური ჯირკვლების ფუნქციური უკმარისობა, ტუბერკულოზი, ალერგიული დაავადებები, რაქიტი, მოტეხილობები, სისხლდენები, ტეტანია, სპაზმოფილია, შარდგამომყოფი ორგანოების, კანის და ანთებითი ხასიათის გინეკოლოგიური დაავადებები. მინერალური წყლის „ლუგელას“ მიღება დასაშვებია მხოლოდ ექიმის დანიშნულებით, დოზირება განისაზღვრება ზრდასრულ ასაკში სუფრის კოვზი სამჯერ დღეში, ბავშვებში – ჩაის კოვზი სამჯერ დღეში (4).

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა მინერალური წყლის „ლუგელას“ სამი წყაროს: I – მთის ლუგელას (მუხურის წყალი); II – ზუგდიდის ჭაბურღილიდან აღებული; III – თბილისის აფთიაქში შექმნილი ნიმუშების ქიმიური ანალიზის ჩატარება. აღნიშნული კვლევების ჩატარება განპირობებულია იმით, რომ კალციუმის ქლორიდის შემცველობა ლუგელაში მნიშვნელოვნად იცვლება წლის სხვადასხვა პერიოდში და იგი მერყეობს 6-9%-ის ფარგლებში. კვლევის მიზანია აგრეთვე ლუგელას ბაქტერიოლოგიური შესწავლა, დასაშვებია არაუმეტეს 1000 ბაქტერიის და 100 ობის საფუარის სოკოს (შეჯამებული) არსებობა; დაუშვებელია (ენტერობაქტერიების, ფსევდომონა და სტაფილოკოკი) ოჯახის ბაქტერიების არსებობა (ს.ფ.ტ. 2 გვ. 119) (3).

**კვლევის მასალა და მეთოდები.** ჩვენი კვლევის ობიექტია მინერალური წყლის ლუგელას 3 ნიმუში, რომელთა ანალიზისათვის გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები სახელმწიფო ფარმაცოპეის მიხედვით (3):

1. ნატრიუმისა და კალიუმის რაოდენობრივი განსაზღვრა ალური ფოტომეტრით;
2. კალციუმისა და მაგნიუმის რაოდენობრივი განსაზღვრა კომპლექსონომეტრული მეთოდით;
3. ქლორიდების განსაზღვრა არგენტომეტრული მეთოდით;
4. სულფატის განსაზღვრა წონითი მეთოდით  $\text{BaSO}_4$ -ის მიხედვით.
5. გამოკვლევა იგივეობაზე (კალციუმის იონი; ქლორიდ-იონი), მიკრობიოლოგიურ სიწმინდეზე, მშრალი ნაშთი, pH-ის განსაზღვრა.

**ექსპერიმენტული ნაწილი:** ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებით შესრულებული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილის სახით თანმხლებ სერტიფიკატში. მიკრობიოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა ბოტანიკის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიურ განყოფილებაში, რის შედეგადაც დადგინდა 1000 ბაქტერიის და 100 ობის შეჯამებული არსებობა, რაც სტანდარტს შეესაბამება (სერტიფიკატი: 1, 2, 3) (3).

**I – მთის ლუგელას (მუხურის წყარო) ნიმუში**  
**სერტიფიკატი**  
**გაცემის თარიღი – 8 თებერვალი, 2011 წ.**  
**მინერალური წყლის „ლუგელას“ ნიმუშის ანალიზის მონაცემები**

ფარმაკოპეის მოთხოვნები	სპეციფიკაციის მოთხოვნა	შესაბამისობა
გარეგნული აღწერა	უფერო, უსუნო, გამჭვირვალე, მომწარო-მლაშე გემოს სითხე	შეესაბამება
საერთო მინერალიზაცია (მშრალი ნაშთი)	35-60 მგ/ლ	35 მგ/ლ
pH	6,0-9,0	6,20
იგივეობა		
კალციუმის ქლორიდი	6,0-9,0% Ca <sup>2+</sup> Cl <sup>-</sup>	6,7% დადებითი დადებითი
რადენობრივი განსახ- ლვრა	ქლორი – 12000-2600 მგ/ლ კალციუმი – 12000-21000 მგ/ლ მაგნიუმი – <100,0 მგ/ლ კალიუმი – 4,0-10,0 მგ/ლ ნატრიუმი – 1600,0-2500,0 მგ/ლ ბრომიდები – კვალი იოდიდები – კვალი	15 110 მგ/ლ 15 650 მგ/ლ 85მგ/ლ 8,3მგ/ლ 1800მგ/ლ კვალი კვალი
მიკრობიოლოგიური სიწ- მინდე	ს.ფ.ტ. II 119. ლუგელას წყალი აკმაყოფილებს სანიტარულ-ეპი- დემიოლოგიურ სტანდარტს	შეესაბამება
შეფუთვა, მარკირება	მთიდან აღებული ნიმუში	შეესაბამება

**დასკვნა:** აღებული I ნიმუში მთის ლუგელას (მუხურის წყარო) აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

**II – ზუგდიდის ჭაბურღილის ნიმუში**  
**სერტიფიკატი**  
**გაცემის თარიღი – 8 თებერვალი, 2011 წ.**  
**მინერალური წყლის „ლუგელას“ ნიმუშის ანალიზის მონაცემები**

ფარმაკოპეის მოთხოვნები	სპეციფიკაციის მოთხოვნა	შესაბამისობა
გარეგანი აღწერა	უფერო, უსუნო, გამჭვირვალე, მომწარო-მლაშე გემოს სითხე	შეესაბამება
საერთო მინერალიზაცია (მშრალი ნაშთი)	35-60 მგ/ლ	34,4 მგ/ლ
pH	6,0-9,0	6,0
იგივეობა		
კალციუმის ქლორიდი	6,0-9,0% Ca <sup>2+</sup> Cl <sup>-</sup>	5,4% დადებითი დადებითი

რაოდენობრივი განსაზღვრა	ქლორი – 12000-26000 მგ/ლ კალციუმი – 12000-21000 მგ/ლ მაგნიუმი – <100,0 მგ/ლ კალიუმი – 4,0-10,0 მგ/ლ ნატრიუმი – 1600,0-2500,0 მგ/ლ ბრომიდები – კვალი იოდიდები – კვალი	15 110 მგ/ლ 15 650 მგ/ლ 85 მგ/ლ 8,3 მგ/ლ 1800 მგ/ლ კვალი კვალი
მიკრობიოლოგიური სიწმინდე	ს.ფ.ტ. II 119. შეესაბამება	შეესაბამება
შეფუთვა, მარკირება	შეფუთვის გარეშე	

**დასკვნა:** მოცემული ნიმუში არ აკმაყოფილებს სტანდარტს.

**III – ავთიაქიდან შექმნილი ნიმუში  
სერტიფიკატი  
გაცემის თარიღი – 8 თებერვალი, 2011 წ.  
მინერალური წყლის „ლუგელას“ ნიმუშის ანალიზის მონაცემები**

ფარმაკოპეის მოთხოვნები	სპეციფიკაციის მოთხოვნა	შესაბამისობა
გარეგნული აღწერა	უფერო, უსუნო, გამჭვირვალე, მომწარო-მომღაშო გემოს სითხე	შეესაბამება
საერთო მინერალიზაცია (მშრალი ნაშთი)	35-60 მგ/ლ	37 მგ/ლ
pH	6,0-9,0	6,1
იგივეობა კალციუმის ქლორიდი	6,0-9,0% Ca <sup>2+</sup> Cl <sup>-</sup>	7,1% დადებითი დადებითი
რაოდენობრივი განსაზღვრა	ქლორი – 12000-2600 მგ/ლ კალციუმი – 12000-21000 მგ/ლ მაგნიუმი – <100,0 მგ/ლ კალიუმი – 4,0-10,0 მგ/ლ ნატრიუმი – 1600,0-2500,0 მგ/ლ ბრომიდები – კვალი იოდიდები – კვალი	15 110 მგ/ლ 15 650 მგ/ლ 85 მგ/ლ 8,3 მგ/ლ 1800 მგ/ლ კვალი კვალი
მიკრობიოლოგიური სიწმინდე	ს.ფ.ტ. II 119. „ლუგელას“ წყალი აკმაყოფილებს სტანდარტს	შეესაბამება
შეფუთვა, მარკირება	საქართველოში რეგისტრირებული ნიმუში	შეესაბამება

**დასკვნა:** მოცემული ნიმუში შ.პ.ს. „ლუგელას ხეობა“. ს.ფ. მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა მინერალური წყლის „ლუგელას“ 3 ნიმუშის ანალიზი საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნორმატიული დოკუმენტის შესაბამისად. ექსპერიმენტის შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ მთის ლუგელა და ავთიაქში შექმნილი ნიმუში თავისი თვისობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობით სრულიად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო ზუგდიდის ჭაბურღილის ნიმუში კალციუმის ქლორიდის რაოდენობით

ნობრივი შემცველობით არ შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ ნორმებს, ნაცვლად 6-9%-ისა კალციუმის ქლორიდი არის 5,4%.

ქიმიური ანალიზის გარდა, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად ბოტანიკის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში ჩატარდა მიკრობიოლოგიური გამოკვლევა, სამივე ნიმუში მიკრობიოლოგიური სიწმინდით აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

#### **ლიტერატურა:**

1. Курортные ведомости реферативный сборник Трудов, Том XXI. Грудмедгиз. Тб. 1954.
2. Максимкина Е.А, Миназова Г.И., Чукреева Н.В. Сгандартизация и обеспечение качества лекарственных средств. 2008.
3. სახელმწიფო ფარმაკოპეა (ს.ფ. ტომი I-II), 1998 და 2003.
4. ბაკურიძე ა., ბარამიძე ქ., ჩხაიძე ნ., ფარმაცევტული საწარმოს ნორმატიულ ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის მეთოდური საფუძვლები, 2006.
5. ბაკურიძე ა. წამლის სამრეწველო ტექნოლოგია, 2006.
6. ვიდალის ცნობარი, 2003-2004.
7. ხუხია ვ., მუხურის მინერალური წყალი ლუგელა და მისი გამოყენების პერსპექტივები, 1941.
8. ჭუმბურიძე ბ., ჭანტურია ზ., ჟურნალი „ფარმაცევტული მაცნე“, მაის-ივნისი, 2007.
9. ჭუმბურიძე ბ., მახარაძე რ., ჭანტურია ზ., ჩიკვილაძე თ., *Alergologia u Umynologia*. ოქტომბერი, №5, 2006.
10. ჭუმბურიძე ბ., ფარმაცევტული ქიმია, 2009.
11. ჭუმბურიძე ბ., ჭანტურია ზ., ჟურნალი „გუთნის დედა“, ივნისი-აგვისტო, 2007.
12. Джавахишвили Д.В.. Минеральная вода «Лугела». 1953.

### **Natia Shengelia, Bidzina Chumburidze, Mineda Chanturia, Cristine Bokuchava** ***Analysis of Mineral Water "Lugela"*** **Summary**

Mineral water "Lugela", is unique by its chemical composition and medicinal action. It is researched chemically and pharmacologically and it is used as medical means.

According to seasonal chemical composition, water changes significantly, because the norm of  $\text{CaCl}_2$  in mineral water fluctuates from 6 to 9%.

Analysis of three specimen of mineral water have been carried out: one was mountain's "Lugela" (mineral water of Mukhuri); second was Zugdidi's bore-hole, and the third one was gained in a drugstore.

Analysis that was carried out according to the normative document approved by the Ministry of Healthcare of Georgia revealed that two models - mountain's Lugela and Lugela gained in the drugstore was in accordance with the standard requirements but Zugdidi's bore-hole model  $\text{CaCl}_2$  composition and clearness did not satisfy the standard.

**Натия Шенгелия, Бидзина Чумбуридзе,  
Минеда Чантурия, Кристине Бокучава**  
*Анализ Минеральной воды “Лугела”*  
**Резюме**

Химический состав и медицинское действие минеральной воды “Лугела” уникальны. Химические и фармакологические исследования подтвердили возможность использования воды “Лугела” в качестве лекарственных средств. Согласно химическому анализу состав воды изменяется значительно, норма содержания  $\text{CaCl}_2$  в минеральной воде колеблется приблизительно от 6 до 9 %. Был выполнен анализ трех экземпляров минеральной воды: I – Лугела горы (минеральная вода Мухури); II – буровая скважина источника Зугдиди, и III – был получен в аптеке. Анализ, который выполнил согласно нормативному документу, одобренному Министерством здравоохранения Грузии, показал, что два образца – Лугела горы и Лугела, полученный в аптеке, соответствуют стандартным требованиям, но состав образца буровой скважины Зугдиди не удовлетворял стандарт.



თუკი ვინმეს ქართულ-აზერბაიჯანული მეგობრობის სიმბოლოდ დავასახელებთ, მათ შორის უპირველესი, უდავოდ, ვალექ ჰაჯილარი იქნება. ამ ღვაწლმოსილმა ადამიანმა და დიდმა მეცნიერმა თანაბარი სითბოთი და სიყვარულით უმღერა საქართველოს და აზერბაიჯანს, უმღერა ორივე ენაზე – ქართულად და აზერბაიჯანულად, რადგან ორივე ემშობლიურებოდა, ორივეს ისე დაჰფოფინებდა და ეთაყვანებოდა, როგორც საკუთარი თვალის ჩინს. შემთხვევით როდი ჩაულრმავედა ასე საფუძვლიანად ორივე ხალხის ფოლკლორს, აშუღთა პოეზიასა თუ სიმღერებს... ორივე ენის სრულყოფილად ცოდნის საფუძველზე შეიქმნა ქართულ-აზერბაიჯანული და აზერბაიჯანულ-ქართული ლექსიკონი.

ვალექ ალიფაშა ოღლი ჰაჯილარი (ჰაჯიევი) დაიბადა 15 აპრილს 1951 წელს ბოლნისის რაიონის სოფელ დარბაზში. საშუალო განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. 1968-1973 წლებში დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმწიფო ენათმეცნიერების ინსტიტუტის რუსულ-აზერბაიჯანული ფილოლოგიური ფაკულტეტი. სამეცნიერო და მხატვრული შემოქმედება სტუდენტობის დროიდანვე დაიწყო. კულტურულ-საგანმანათლებლო და მხატვრული თარგმანის დარგებში ვალექ ჰაჯილარი როგორც მომავლის პერსპექტიული ახალგაზრდა, 1973 წელს საქართველოსა და აზერბაიჯანის მწერალთა კავშირების რეკომენდაციებით თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (თსპი) გაიგზავნა.

ვ. ჰაჯილარმა 1973 წელს თსპი-ში ჯერ მეცნიერ-მუშაკად, მოგვიანებით კი აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის კათედრის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ამავე დროს იგი დაკავებული იყო საქართველოში თურქულენოვანი საფოლკლორო ნიმუშების, ურთიერთობების შესწავლა-შეგროვებით და მათი გამოცემით. ასევე მან ქართული ხალხური და კლასიკური პოეზიიდან აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ნაწარმოებები. იგი ცნობილია, როგორც აზერბაიჯანულ-ქართული ორმხრივი სალაპარაკო ლექსიკონის პირველი ავტორი.

1984 წელს დაიცვა დისერტაცია ნიზამის სახელობის აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში თემაზე „აზერბაიჯანულ ენაზე მომღერალი ქართველი აშუღები“. 1985 წლიდან იყო იმავე კათედრის დოცენტი, 1989 წლის მაისიდან სიცოცხლის ბოლომდე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ მუშაობდა.

1991 წლის ოქტომბერში მოხსენებით გამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის ათათურქის სახელობის უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „იუნუს ემრეს ტრადიციები საქართველოში“ და მან ამით თურქ მეცნიერებთან მეცნიერული თანამშრომლობის საფუძველს დაუდო სათავე. შემდეგში აზერბაიჯანსა თუ თურქეთში გამართულ პრესტიჟულ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მრავალჯერ მიიღო მონაწილეობა და თავისი მხარე ღირსეულად წარმოადგინა.

1993 წელს ნიზამის სახელობის აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში ვალექ ჰაჯილარმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „აზერბაიჯანული ფოლკლორის დამახასიათებელი თვისებები (საქართველოში არსებული თურქულენოვანი ნიმუშების საფუძველზე)“; ამავე წელს კათედრის პროფესორად იქნა არჩეული.

ვ. ჰაჯილარი 2000 წელს ლიტერატურათმცოდნეობის მეცნიერებათა აკადემიის არჩევნებში ფარული კენჭისყრის გზით აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში აკადემიის ნამდვილ წევრად იქნა არჩეული.

ვ. ჰაჯილარი ასევე ცნობილია, როგორც პოეტი და მთარგმნელი. მისი ლექსების ნაწილი ქართულ ენაზეა თარგმნილი. ქართული, რუსული, უკრაინული და აფხაზური პოეზიიდან აზერბაიჯანულ ენაზე ბევრი თარგმანი აქვს. იგი ხალხური ლიტერატურის, ლიტერატურული-ისტორიულ-ფილოლოგიური ურთიერთობების, ლექსიკოგრაფიკული და მხატვრული ტიპის 30 წიგნის ავტორია. მისი ძირითადი წიგნებია:

- 1) ჩვენი ფოლკლორის ჰორიზონტები (მონოგრაფია), ბაქო, 1991 წ.;
- 2) აზერბაიჯანული ფოლკლორის ტრადიციები (სახელმძღვანელო), თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992 წ.;
- 3) აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა (მოკლე კურს-სახელმძღვანელო), თბილისი, განათლების სამინისტროს გამომცემლობა, 1994წ.;
- 4) აზერბაიჯანული ფოლკლორის ანთოლოგია, 2-ტომეულად, ბორჩალოს ფოლკლორი, ბაქო, აზერბაიჯანის სახელმწიფო გამომცემლობა, 1996 წ.;
- 5) აზერბაიჯანულ-ქართული და ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი, ბაქო-თბილისი, 1997 წ.;
- 6) ჰარშას სამლოცველო (ჰარშას ოჯახი, ლექსები და პოემა), თბილისი, 2000 წ.;
- 7) ქართული ენა (აზერბაიჯანული სკოლებისთვის მე-3 კლასის სახელმძღვანელო), თბილისი, ინტელექტი, 2000-2005 წ.;
- 8) ბორჩალოელი მეჰრალი ბეი ისტორიულ სინამდვილეში (მონოგრაფია), თბ., 2001 წ.;
- 9) მეცხრამეტე საუკუნეში ბორჩალოში სახალხო მოძრაობა, თბილისი, 2003 წ.;
- 10) საქართველოში თურქული ხალხური ლიტერატურული ტრადიციები (მონოგრაფია), ბაქო, აზერბაიჯანის სახალხო მეცნიერებათა აკადემიის საფოლკლორო ინსტიტუტის გამომცემლობა, 2005 წ.;
- 11) შენი უძველესი წინაპარი ვინ იყო, პირველი წიგნი (საარქივო მასალები), თბილისი, 2005 წ.;
- 12) შენი უძველესი წინაპარი ვინ იყო, წიგნი მეორე (საარქივო მასალები), თბილისი, 2006 წ.;
- 13) აზერბაიჯანულ-ქართული ფოლკლორული ურთიერთობები, თბილისი, 2007წ.;
- 14) თურქულენოვანი ქართველი, ბერძენი და აისორი აშულ-პოეტები (მონოგრაფია), ბაქო, აზერბაიჯანის სახალხო მეცნიერებათა აკადემიის საფოლკლორო ინსტიტუტის გამომცემლობა, 2007 წ.;
- 15) ხასტა ჰასანი (ცხოვრება-მოღვაწეობა, პოეზიიდან ნიმუშები), თბილისი, 2009წ.

ვალეჰ ჰაჯილარი საქართველოში, აზერბაიჯანში და თურქეთში საკმაოდ ცნობილი აქტიური საზოგადო მოღვაწე იყო. იგი აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განათლების საბჭოს, სამეცნიერო ხარისხების მომნიჭებელი პროფესორთა საბჭოს, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ ინტელიგენტთა კავშირის პირველი თავმჯდომარე (შემდეგში საპატიო წევრი), საქართველოს მწერალთა კავშირის აზერბაიჯანული განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი იყო. იუნესკოს ხაზით საქართველოში გამოცემული „პრომეტეის“ და „გარაფაფაგლარის“, ბაქოში გამოცემული „დედე გორგუთის“, თურქეთში გამოცემული „ეროვნული ფოლკლორის“ სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრი და საქართველოს წარმომადგენელი იყო. მსოფლიოს აზერბაიჯანელთა პირველ კონგრესში (ბაქო-2001წ.) საქართველოს წარმომადგენელთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა და რესპუბლიკის სასახლეში სიტყვით გამოვიდა. მსოფლიოს აზერბაიჯანელთა საერთოერთობო საბჭოს პრეზიდიუმის წევრად იქნა არჩეული.



ვ. ჰაჯილარის ცხოვრება და მოღვაწეობა თავისი მრავალმხრივი აქტიურობით თურქი მეცნიერების ყურადღების ცენტრშიც იყო. სემრა აილმაზმა ათათურქის სახელობის უნივერსიტეტში ამ თემაზე ვრცელი სადოქტორო დისერტაცია დაიცვა.

საქართველო-აზერბაიჯანის ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის 1998 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ვ. ჰაჯილარი „ღირსების ორდენით“ დააჯილდოვა.

ვ. ჰაჯილარი 23 იანვარს 2010 წელს გარდაიცვალა.

„კაცთმოყვარეობის ამაყი სული იყო დაბუდებული ამ თავმდაბალ ადამიანში. ის იყო ტოლერანტი, ამ სიტყვის თბილისური გაგებით. მისთვის, როგორც ეს ჭეშმარიტ მორწმუნეებს ახასიათებთ, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა გარშემომყოფთა ეთნო-კონფესიურ კუთვნილებას, მისთვის ადამიანის შეფასებისას გადამწყვეტი ყოველთვის მათი პიროვნული ღირსებები იყო. დაუზარებლად და უანგაროდ თესავდა სიკეთეს და და ყველა კეთილშობილ ადამიანს გაჭირვებასა თუ განსაცდელში მეოხად ევლინებოდა. როგორც დოქტორი და პროფესორი, ის რალაცით გავდა სუფიური ორდენის შეიხს: თავის ნიჭიერ მოწაფეებს მამასავით თუ უფროსი ძმასავით მფარველობდა, ცოდნას აზიარებდა, გამოცდილებას უზიარებდა და გზას უკაფავდა მეცნიერებაში. მას ჰქონდა ევროპული მანერები და აზიური სიღარბაისლე. ის იყო მომხრე სინათლის და ვერ ეგუებოდა სიბნელესა და გონებაშეზღუდულობას, და გულწრფელად სწუნდა ხოლმე, როდესაც ამგვარი ადამიანების ხელში ჩაგდებულს ხედავდა რაიმე მნიშვნელოვან კულტურულ ან საგანმანათლებლო საქმეს, და მით უმეტეს, ერის ბედს“, – ასე წერდა დიდი ქართველი ენათმეცნიერი მიხეილ ქურდიანი თავისი მეგობრის ვალეჰ ჰაჯილარის გამოსათხოვარ სიტყვაში.

და მართლაც, პროფესორი ვალეჰ ჰაჯილარი ორივე ერს დააკლდა – ყოველ ზერბაიჯანელსაც და ყოველ ქართველსაც... მისი ფასდაუდებელი ღვაწლი და მემკვიდრეობა უძვირფასესი განძია ორივე ქვეყნისათვის, ხოლო ის სიყვარული, რუდუნება და ადამიანობა, რომელითაც მან ამდენი სიკეთე დათესა, უცვლელია და მარადიული ნებისმიერ დროში და ნებისმიერი ხალხისთვის.



ელენე ჯაველიძე.....	3
<i>ჟერარ დე ნერვალის ესთეტიკის ზოგიერთი ნიშან-თვისება იაჰია ქემალის მხატვრულ აზროვნებაში</i>	
Helen Javelidze	
<i>Jerard De Nerval's Aesthetic Features in Yahya Kemal's Artistic Thinking</i>	
Элене Джавелидзе	
<i>Некоторые особенности эстетики Жерара де Нерваля в художественном мышлении Яхьи Кемала</i>	
ირინე ბრუნჯაძე.....	13
<i>მეტყველება და ინტელექტი</i>	
Irine Brunjadze	
<i>Speech and Intellect</i>	
Ирине Брунджадзе	
<i>Речь и интеллект</i>	
ირინა ყრუაშვილი.....	19
<i>შედარების გამომხატველი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები გერმანულ ენაში</i>	
Irina Kruashvili	
<i>Word-building constructions that express comparison in the German language</i>	
Ирина Круашвили	
<i>Словообразовательные конструкции, выражающие сравнение в немецком языке</i>	
თეა შავლაძე.....	26
<i>არის თუ არა პალინდრომი გამოცანა?</i>	
Thea Shavladze	
<i>Are palindromes riddles?</i>	
Tea Shavladze	
<i>Являются ли палиндромы загадками?</i>	
ლალა ახმედოვა.....	30
<i>რიტორიკა – მჭერმეტყველების მეცნიერება და ხელოვნება</i>	
Lala Akhmedova	
<i>Rhetoric – science and oratorical skill</i>	
Лала Ахмедова	
<i>Риторика – наука и искусство красноречия</i>	

ალი ასკერი, ნინო ჩალაგანიძე.....	37
<i>ქართული ენის მნიშვნელობა ეროვნული თვითმყოფადობის კონსოლიდაციის პროცესში (პოლიტიკური და სოციალური პერსპექტივები)</i>	
Ali Asker, Nino Chalaganidze	
<i>Language Factor in the Consilidation of National Identity in Georgia (Political and Social Perspective)</i>	
Али Аскер, Нино Чалаганидзе	
<i>Языковой фактор в консолидации национальной идентичности в Грузии (Политические и социальные перспективы)</i>	
ნანა მაზმიშვილი.....	46
<i>ფონემა (გრაფემა)/მორფემა-ადეკვატური თარგმანის წინაპირობები</i>	
Nana Mazmishvili	
<i>Phoneme (grapheme)/morpheme-Prerequisites of Adequate Translation</i>	
Нана Мазмишвили	
<i>Фонема (графема) морфема – предпосылки адекватного перевода</i>	
ნანა მაზმიშვილი, ლილია აგაჯანოვა.....	49
<i>სირთულეები თარგმნის პროცესში</i>	
Nana Mazmishvili, Lilia Agajanova	
<i>Level-based Constraints of the Translation Process</i>	
Нана Мазмишвили, Лилия Агаджанова	
<i>Сложности перевода</i>	
შარგია გასანოვა.....	53
<i>ადამიანის ხასიათის ზოგადი ნიშნების აღმნიშვნელი ლექსიკა</i>	
Shargia Gasanova	
<i>Vocabulary expressing general human features</i>	
Шаргия Гасанова	
<i>Лексика, обозначающая общие черты характера человека (Обзор существующих подходов в изучении данной группы лексем и анализ лексических средств со значением характеристики человека в обоих языках)</i>	
იგორ კეკელია, დავით ოდიშარია.....	61
<i>ძიებანი სენაკის რაიონის ოიკონიმიიდან</i>	
Igor Kekelia, David Odisharia	
<i>Searching from oykonimy of Senaki District</i>	
Игорь Кекелия, Давид Одишария	
<i>Поиски из ойконимов Сенакского района</i>	

ქეთევან სვანიძე.....	74
<i>ბრუნვის აღმნიშვნელი ზმნების სუბიექტურ-ობიექტური გრადაცია ქართულ ენაში</i>	
<b>Ketevan Svanidze</b>	
<i>The Subject-Object Graduation of the Verbs of Rotation in Georgian</i>	
<b>Кетеван Сванидзе</b>	
<i>Субъектно-объектная градация глаголов вращения в грузинском языке</i>	
თეა ზოიძე.....	78
<i>ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის ტრანსლაცია ავტორისეულ თარგმანში</i>	
<b>Thea Zoidze</b>	
<i>Translation of National-cultural Traditions in the Authorial Translation</i>	
<b>Тея Зойдзе</b>	
<i>Трансляция национально-культурных традиций в авторском переводе</i>	
ლუარა სორდია.....	82
<i>დემონი და მისი ვარიაციები გალაქტიონის პოეზიაში</i>	
<b>Luara Sordia</b>	
<i>Daemon and its variations as a landmark of evil in the works of Galaktion Tabidze</i>	
<b>Луара Сордиа</b>	
<i>Демон и его вариации, как эпохальное зло в творчестве Галактиона Табидзе</i>	
ტიტე მოსია.....	90
<i>გიორგი შარვაშიძის სევდა</i>	
<b>Tite Mosia</b>	
<i>The Sorrow of George Sharvashidze</i>	
<b>Титэ Мосиа</b>	
<i>Печаль Гиоргия Шарвашидзе</i>	
ციალა მესხია.....	97
<i>სულის ტაძარი</i>	
<b>Tsiala Meskhia</b>	
<i>Spiritual Temple</i>	
<b>Циала Месхиа</b>	
<i>Храм души</i>	
ელენი ბოლიაკი.....	107
<i>დიონისეს რაობა და რელიგიის სწავლება</i>	
<b>Eleni Boliaki</b>	
<i>Who is Dionysis? and the Study of Religion</i>	
<b>Елени Болиаки</b>	
<i>Кто такой Дионис? и изучение религии</i>	

ხურამან ალიევა..... 112  
*პიროვნების კონცეფცია აირის მერდოკის რომანში „ბადის ქვეშ“*  
**Khuraman Alieva**  
*The Concept of an Individual in Iris Murdoch’s Novel “Under the Net”*  
Хураман Алиева  
*Концепция личности в романе Айрис Мердок «Под сетью»*

ირმა ზაკარაია..... 119  
*დრამა „სამშობლო“ და საქართველოს საზოგადოებრიობა*  
**Irma Zakaraia**  
*Drama “Motherland” and Georgian Society*  
Ирма Закараиа  
*Драма «Родина» и общественность Грузии*

დილარა ხანბაბაევა ..... 131  
*მირ ჯალალი – აზერბაიჯანული ლიტერატურის კრიტიკოსი და ისტორიკოსი*  
**Dilara Khanbabayeva**  
*Mir Jalal – National Critic and Historian of Azerbaijan Literature*  
Дилара Ханбабаева  
*Мир Джалал – национальный критик и историк Азербайджанской литературы*

**კულტუროლოგია - CULTUROLOGY - КУЛЬТУРОЛОГИЯ**

---

მარია კორნელია ბარლიბა..... 135  
*კულტურათაშორისი ურთიერთობების ზოგიერთი საკითხისათვის*  
**Maria Cornelia Bârliba**  
*Some Analytical Remarks on the Interculturality*  
Мария Корнелия Барлиба  
*Некоторые аналитические вопросы межкультурности*

ინდირა ძაგანია..... 150  
*კულტურათაშორისი კონტაქტები გლობალიზაციის ეპოქაში*  
**Indira Dzagania**  
*Intercultural Contacts in the Epoch of Globalisation*  
Индира Дзагания  
*Межкультурные контакты в эпоху глобализации*

ზაურ ბაგიროვი..... 155  
*გაუცხეობა – როგორც ზოგადსოციოლოგიური კატეგორია*  
**Zaur Bagirov**  
*Alienation as a General Sociology Category*  
Заур Багиров  
*Отчуждение как общесоциологическая категория*

ნესტან ლომაია..... 160  
ოჯახის ზეგავლენა და როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში  
Nestan Lomaia  
*The role of family its influence on personality formation*  
Нестан Ломая  
*Влияние и роль семьи в становлении личности*

მარია კორნელია ბარლიბა ..... 169  
კულტურათა შორის ურთიერთობებში არსებული პრობლემების საკითხისათვის  
Maria Cornelia Barliba  
*Some Considerations about Interculturality's Barriers*  
Мария Корнелия Барлиба  
*К вопросу о помехах в межкультурных отношениях*

**ისტორია და პოლიტოლოგია - HISTORY AND POLITOLOGY  
- ИСТОРИЯ И ПОЛИТОЛОГИЯ**

---

სეიხუნ გაჯიევი..... 181  
პოლიტიკური პარტიის როლი აზერბაიჯანის სახელმწიფო სისტემასა და  
საზოგადოების ცხოვრებაში  
Seikhun Gajievi  
*The role of political parties and systems in Azerbaijan*  
Сейхун Гаджиев  
*Роль политической партии в государственной системе Азербайджана и в жизни общества*

სურა ჭუსეინოვა ..... 189  
XX საუკუნის ბოლოს ჩეხეთის რესპუბლიკასა და დიდ ბრიტანეთს  
შორის პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობების  
ჩამოყალიბების ძირითადი წინამძღვრები  
Sura Guseinova  
*Main preconditions for forming political and diplomatic relations between the Czech Republic and Great Britain at the end of XX century*  
Сура Гусейнова  
*Основные предпосылки становления политических и дипломатических отношений между Чехией и Великобританией в конце XX века*

კენულ შიხიევა..... 196  
წინასაარჩევნო კამპანიის სტრატეგია და ტაქტიკა  
Kenul Shikhieva  
*Strategy and Tactics of Election Campaign*  
Кенуль Шыхиева  
*Стратегия и тактика предвыборной кампании*

ულვია ხაგვერდიევა.....	202
<i>მრავალპარტიულობის პრობლემისადმი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები</i>	
Ulvia Khagverdieva	
<i>Theoretical and methodological approaches to the problems of multi-party system</i>	
Ульвия Хагвердиева	
<i>Теоретико-методологические подходы к проблеме многопартийности</i>	

**სამართალმცოდნეობა - JURISPRUDENCE - ПРАВОВЕДЕНИЕ**

რაფიგ ტავაკულ მახმუდოვი.....	209
<i>კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის ისტორიისათვის</i>	
Rafiq Tavakkul Makhmudov	
<i>About the Histrty of Legal Status of the Caspian</i>	
Рафиг Тавакил Махмудов	
<i>Об истории правового статуса Каспийского моря</i>	

**ეკონომიკა და ტურიზმი -  
ECONOMICS AND TOURISM - ЭКОНОМИКА И ТУРИЗМ**

მაია ჭანია.....	216
<i>ეკონომიკური გარდაქმნები, სახელმწიფო პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა</i>	
Maia Chania	
<i>Economic Transformations, State Policy And Economic Growth</i>	
Майя Чания	
<i>Экономические перестройки, государственная политика и экономический рост</i>	

გიორგი რუსიაშვილი, ნინო ქეტსაია.....	222
<i>ტურიზმის განვითარების შედარებითი დინამიკა საქართველოსა და აფხაზეთში (აფხაზეთის დამოუკიდებლობის რუსეთის ფედერაციის მიერ აღიარების შემდეგ)</i>	
Giorgi Rusiashvili, Nino Ketsbaia	
<i>Comparative Dynamics of Tourism Development in Georgia and Abkhazia (after Recognition of Abkhazian Independence By Russian Federation)</i>	
გიორგი რუსიაშვილი, ნინო ჯეცბაია	
<i>Сравнительная динамика развития туризма в Грузии и Абхазии (после признания независимости Абхазии Российской Федерацией)</i>	

**პედაგოგიკა და ფსიქოლოგია - PEDAGOGICS AND PSYCHOLOGY –  
ПЕДАГОГИКА И ПСИХОЛОГИЯ**

ეკატერინე მჟავანაძე.....	234
<i>პედაგოგიური ტექსტის ფუნქციურ-შინაარსობრივი ასპექტები</i>	
Ekaterine Mzhavanadze	
<i>Functional - Semantic Aspects of Educational Texts</i>	
Екатерина Мжаванадзе	
<i>Функционально – смысловые аспекты педагогического текста</i>	

პანაგიოტის გიავრიმის.....	238
<i>გამონაკლისებსა და გონებრივად ჩამორჩენილ პირებთან დაკავშირებული საკითხისათვის: საშუალო სკოლის ბერძენი მასწავლებლების შეხედულებები</i>	
<b>Panagiotis Giavrimis</b>	
<i>Social Exclusion and individuals with Intellectual Disability (ID): The Views of Greek Secondary Education Teachers</i>	
<b>Панагиотис Гиавримис</b>	
<i>К вопросу об исключениях и лица с умственно отсталыми способностями: точка зрения греческих учителей средней школы</i>	
ხათუნა ხალვაში .....	246
<i>წერის სწავლების კოორდინაცია საგნობრივი კათედრის მეშვეობით</i>	
<b>Khatuna Khalvashi</b>	
<i>Coordination of teaching writing through disciplinary departments</i>	
<b>Хатуна Халваши</b>	
<i>Координация обучения письма посредством предметных кафедр</i>	

**კუმბურისმეტყველება - NATURAL SCIENCE -ПРИРОДОВЕДЕНИЕ**

ნათია შენგელია, ბიძინა ჭუმბურიძე, მინედა ჭანტურია, ქრისტინე ბოკუჩავა.....	252
<i>მინერალური წყლის – ლუგელას ანალიზი</i>	
<b>Natia Shengelia, Bidzina Chumburidze, Mineda Chanturia, Cristine Bokuchava</b>	
<i>Analysis of Mineral Water "Lugela"</i>	
<b>Натия Шенгелия, Бидзина Чумбуридзе, Минеда Чантурия, Кристине Бокучава</b>	
<i>Анализ Минеральной воды "Лугела"</i>	

**ოშბილე - JUBILEE - ЮБИЛЕЙ**

დიდი მეცნიერის მისაგონარი.....	259
<i>ვალეჰ ჰაჯილარი – 60</i>	
<b>To the memoty of the well-known scientist</b>	
<b>Valekh Hajilar - 60</b>	
<b>Памяти известного ученого</b>	
<b>Валех Гаджилар – 60</b>	



ჟურნალის ელექტრონული ვერსია:  
<http://www.nplg.gov.ge>

E-mail: Tel.: (+ 995 32) 2 30 25 48; (+ 995 32) 2 54 14 49  
[indira@dzagania.com](mailto:indira@dzagania.com) Mob.: (+995 93) 93 20 91  
[irsociety@rambler.ru](mailto:irsociety@rambler.ru)

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალაზე  
პასუხისმგებელია ავტორი.



გამომცემლობა ' ' უნივერსალი ' '

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)



9 771512 436007